გიორგი ნადარეიშვილი

მსოფლიოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი 2008

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია მსოფლიოს პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები, რომლებმაც თავიანთი მნიშვნელობის გამო სათანადო ადგილი დაიკავეს ინტელექტუალური აზროვნების უკიდეგანო სივრცეში.

ამ წიგნში ავტორი დაინტერესებულ მკითხველს ტრადიციულად აწვდის უამრავ, მანამდე უცნობ ინფორმაციას მსოფლიო ცივილიზაციისა და აზროვნების ხელთუქმნელ ძეგლებზე.

საგულისხმოა, რომ ბევრი მათგანი საფუძვლად დაედო თანამედროვე დემოკრატიული აზროვნებისა და პოლიტიკური იდეოლოგიების ჩამოყალიბების პროცესს. მკითხველის ეძლევა შესაძლებლობა პარალელი გაავლოს თითოეულ მოძღვრებასთან, შეაფასოს მისი ნაკლოვანებაუპირატესობა და დარწმუნდეს, რომ ადამიანის გონებრივი თვალსაწიერი უსაზღვროა ყველა ეპოქაში.

განკუთვნილია იურიდიული, პოლიტოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის, მეცნიერმუშაკთათვის, აგრეთვე სამართლის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ზაზა ნანობაშვილი

გამომცემელი: იურიდიული ფირმა
"ბონა კაუსა"

თბილისი, 2008 წ

სარჩევი

ძველი ეგვიპტის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრება.....5

ძველი ბაბილონის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი.....15

ძველი ინდოეთის პოლიტიკური მოძღვრებანი.....24

ძველი ჩინეთის პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის ისტორია.....34

კონფუცი და შანიანი.....52

ძველი საბერძნეთის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები.....77

ჰერაკლიტეს პოლიტიკური შეხედულებანი.....85

დემოკრიტეს პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები.....89

სოფისტების პოლიტიკურ-სამართლებრივი მოძღვრებანი.....94

სოკრატეს პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები.....100

პლატონის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი.....106

არისტოტელეს პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები.....117

პოლიბიოსის პოლიტიკური შეხედულებები.....126

პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი ძველ რომში.....131

ციცერონის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი.....134

გაიუს სალუსტიუს კრისპუსი
(ქრისტეს შობამდე 86-35 წ.წ..)....142

სტოიციზმი – სენეკა, ეპიქტეტე, მარკუს ავრელიუსი....144

რომაელი იურისტების შეხედულებები სახელმწიფოსა და
სამართლის შესახებ....152

ავგუსტინე ავრელიუსი (Augustinus Sanctus)....161

თომა აკვინელი (თომა აკვინატი) თომა აკვინელის
პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრება....168

დანტე ალიგიერის პოლიტიკური
შეხედულებების შესახებ....178

უილიამ ოკამის პოლიტიკური შეხედულება....184

მარსილიუს პადუელი....188

შუა საუკუნეების იურისტების შეხედულებები
სახელმწფოსა და სამართლის შესახებ....193

ფეოდალიზმის რღვევა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში
და ამ ეპოქის პოლიტიკური შეხედულებები

ნიკოლო მაკიაველის პოლიტიკური
შეხედულებები....200

მარტინ ლუთერის პოლიტიკური და სამართლებრივი
შეხედულებანი....209

ჟან კალვინის პოლიტიკური შეხედულებანი....214

ჟან ბოდენის პოლიტიკური
შეხედულებები....218

თომას მორი....224

ჰუგო გროციუსი....238

სპინოზას პოლიტიკური შეხედულებანი....245

ძველი ეგვიპტის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრება

ძველი ეგვიპტური კულტურა თავისი დროისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. სამწუხაროდ, სამართლის წიგნებმა ხსენებული ქვეყნიდან ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, თუმცა ცნობები მათი არსებობის შესახებ გაგვაჩნია. რაც შეეხება იურიუდიულ დოკუმენტებს, ისინი ჩვენამდე საკმაო რაოდენობით არიან მოღწეულნი და მათში შეიძლება ამოვიკითხოთ ძვირფასი ინფორმაცია სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, მაშინ არსებული შეხედულებების შესახებ. გარდა ამისა, საყურადღებოა „პატახოტეპის შეგონებანი", რომელიც შექმნილია ქრისტეს შობამდე ოცდამერვე საუკუნეში, ასევე „მიცვალებულთა წიგნი" (თარიღდება ოცდამეხუთე-ოცდამეოთხე საუკუნეებით ქრისტეს შობამდე).

ძველი ეგვიპტის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების მკვლევარი ასევე გვერდს ვერ აუვლის „ჰერაკლეოპოლის მეფის შეგონებას საკუთარი ვაჟიშვილისადმი", რომელიც შედგენილი უნდა იყოს ქრისტეს შობამდე XXII საუკუნეში.

ჩვენამდე მოღწეულია აგრეთვე ქრისტეს შობამდე მეთერამეტე საუკუნეში (დაახლ. 1750 წ.) შედგენილი იპუერის (თუ იპუსერის) გამონათქვამები ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის გამოსვლებთან დაკავშირებით. ხსენებულ წყაროებში მეტ-ნაკლები სისრულით არის გადმოცემული მაშინ გაბატონებული შეხედულებები სამართლისა და სახელმწიფოს შესახებ.

აქვე გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ძველ ეგვიპტურ სამართალზე განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდა რელიგიას – მაშინდელ საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებას ღმერთზე და ღმერთებზე, და მათ დამოკიდებულება ეს ადამიანებთან.

რელიგიური და სამართლებრივი ნორმები სუსტად იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული. სამართლებრივი ღვრებები, პოლიტიკური თეორიები თუ ესთეტიკური

შეხედულებები რელიგიის მძლავრ ზეგავლენას განიცდიდნენ.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რელიგია იმ უძველეს ხანაში წარმოადგენდა სამართლებრივ სისტემასაც და პოლიტიკურ დოქტრინასაც და მეტ-ნაკლებად მორალურ მოძღვრებასა და ფილოსოფიასაც.

ძველ ეგვიპტეში სახელმწიფო წარმოშობილი უნდა იყოს ქრისტეს შობამდე მეოთხე ათასწლეულში.

ეგვიპტე შედგებოდა ორმოცი სხვადასხვა „ქვეყნისაგან", ანუ ნომისაგან. თითოეულ ამ მხარეს ანუ ნომს საკუთარი რელიგია გააჩნდა. სახელმწიფოს წარმოშობის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო რელიგიაც. სახელმწიფოს წარმოშობას ნომების გაერთიანება-კონსოლიდაციასთან ერთად თან ახლდა რელიგიური ინტეგრაციაც. ჩვენთვის ცნობილია, რომ იმ უძველეს რელიგიას ახასიათებდა ტოტემიზმი და ფეტიშიზმი. ე. გარდინერის მართებული მოსაზრებით, გაერთიანებული ეგვიპტის რელიგია წარმოადგენდა თავდაპირველად დამოუკიდებელი სატომო კულტების ერთმანეთთან შერწყმა-გაერთიანების შედეგს. თითოეულ ქალაქს თუ დაბას თავისი საკუთარი ღმერთი გააჩნდა ან საკუთარი მატერიალური ფეტიშის სახით, ან ტოტემის სახით. ასეთ ვითარებაში თვით გაერთიანებულ ეგვიპტეშიც კი სავსებით ბუნებრივი იყო პოლითეიზმი (მრავალღმერთიანობა).

რა თქმა უნდა, ნელა მაგრამ რელიგია მაინც ვითარდებოდა. იცვლებოდა და იხვეწებოდა წარმოდგენები სამართლისა და სახელმწიფოს შესახებაც. დიდი მოწიწებისა და პატივისცემის საგანი იყო ღმერთი შევარდენი — გორ-ი. მისი სახელი ხშირად საერთოდ ღმერთის ცნების გამომხატველადაც გვხვდება.

ჰელო-პოლისში ცხრა ღმერთი სარგებლობდა დიდი პატივისცემით.

დროთა ვითარებაში ოსირისი წარმოიდგინებოდა ცის მბრძანებლად და ის გააიგივეს „რა"-სთან — მზესთან. სიბრძნის ღმერთად ითვლებოდა ტოტ-ი.

ძველ ეგვიპტურ პანთეონში სიკვდილის შემდეგ ათავსებდნენ გმირებსა და ფარაონებს. ფარაონი ითვლებოდა ღმერთ გორ-ის ვაჟიშვილად.

თანდათან მზადდებოდა ნიადაგი მონოთეიზმის წარმოსაშობად. ზოგიერთ ღმერთს უნივერსალობას, კოსმიურ ხასიათს მიაწერდნენ. ზოგჯერ ერთ ღმერთს სამპიროვნად წარმოიდგენდნენ (რა, პტახ-ი, ამონ-ი).

ჰეროდოტეს აღნიშნული აქვს, რომ ეგვიპტელებმა პირველებმა ირწმუნეს ადამიანის სულის უკვდავება. როგორც ჩანს, ეგვიპტელ ქურუმთა და წარჩინებულ ადამიანთა აზრით, თვით სახელმწიფოს ინტერესები, ხალხისა და საზოგადოების კეთილდღეობა მოითხოვდა ფარაონის, როგორც სახელმწიფოს პირველი პირის გაღმერთებას, რომელიც ითვლებოდა მზის ღმერთის ვაჟიშვილად. ფარაონი იყო ქვეყნის კეთილდღეობის და აყვავების სიმბოლო. ფარაონი წარმოიდგინებოდა, როგორც უმაღლესი ღვთაებრივი ძალის მატარებელი.[1]

ფარაონზე იყო დამოკიდებული, ეგვიპტეში გაბატონებული აზრით, თუ როგორი მოსავალი მოვიდოდა, თუ როგორი ძლიერი იქნებოდა სახელმწიფო და რამდენად სამართლიანი – სამართალი.

ფარაონის სიდიადე უნდა წარმოჩენილიყო რიტუალებშიც. მას უნდა გაეკლო პირველი კვალი ნილოსისპირა ყანებში და არსებობდა რწმენა, რომ ფარაონი და მისი მფარველი ღმერთები უ'სრ'უნველყოფენ ქვეყნის სიმდიდრეს, მოსავლიანობასა და წესრიგს.

თვით პირამიდა მოიაზრებოდა, როგორც ცისკენ ამავალი კიბე. ამ კიბეს აყავდა ფარაონი ცაზე.

ტაძრები თამაშობდნენ ძალიან დიდ როლს ეგვიპტელთა ცხოვრებაში. ტაძარში იწერებოდა და გადაიწერებოდა მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები.

ქრისტეს შობამდე XIV საუკუნეში ეგვიპტეში მრავალი ისტორიული მნიშვნელობის რეფორმა ჩატარდა.

---

[1] ვ. ს. პოლიკარპოვი, „რელიგიის ისტორია", ლექციები და ქრესტომა, მოსკოვი 1997, გვ. 20-21 (რუსულ ენაზე).

ფარაონმა ამენხოტეპ მეოთხემ უარყო თავისი წინაპრების მრავალღმერთიანობა და დაადგინა მზის დისკოს – ატონის კულტი. ამის შემდეგ ფარაონმა მიიღო ეხნატონის სახელი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ფარაონის ცდას – აღმოეფხვრა ძველეგვიპტური ძეგლებიდან ღმერთების სახელები და თვით ღმერთის ცნებაც კი. ღმერთების სახელების ნაცვლად იხსენიებოდა ხელმწიფე-მბრძანებლის–ფარაონის სახელი – ეხნატონი, ე. ი. ატონის რჩეული, ატონისთვის სასურველი. ხალხს შთააგონებდნენ, რომ ამიერიდან სამყაროს მართავს ორი მეფე – მზე-ატონი და მისი ვაჟიშვილი – ეხნატონი. ეს უნიკალური რელიგიური რეფორმა დღემდე იწვევს მკვლევართა შორის კამათს. ერთის მხრივ, ჩვენს წინაშეა ე. წ. სოლარული მონოთეიზმი, რომელსაც ასე თუ ისე კავშირი უნდა ჰქონოდა ქურუმთა დოქტრინასთან. მეორე მხრივ საქმე გვაქვს თითქოს ოსირისის სახელთან დაკავშირებულ ტრადიციულ რელიგიურ წარმომადგენლებთან კავშირის გაწყვეტასთან. ეხნატონის რეფორმებმა ხელი გაუმართა არასაკრალური ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმოშობას.

ეგვიპტოლოგებს შენიშნული აქვთ, რომ ეხნატონის რეფორმებმა გააძლიერა ეთიკური ელემენტები ძველეგვიპტურ რელიგიაში და ხელი შეუწყო ეთიკური მონარქიის იდეის წარმოშობას: ფიქრობენ, რომ სწორედ ეხნატონის ზეობის ხანაში დაიწერა „მიცვალებულთა წიგნის“ 125-ე თავი, სადაც გატარებულია იდეა საიქიოში არსებული სამართლიანი, მორალური კრიტერიუმების საწყისებზე დამყარებული მართლმსაჯულების შესახებ... მსჯელობენ განსასჯელის საქციელის შესახებ, წონიდნენ ადამიანის გულს. სასამართლო თითქოს ეწყობოდა ორი ჭეშმარიტების სასახლეში. მთავარი მსაჯულია ღმერთი რა. აქვე იმყოფებოდა ოსირისიც. სასამართლოს ესწრება 42 ზებუნებრივი არსება თუ დემონი და თითოეული მათგანის კომპეტენციაშია ესა თუ ის ცოდვა-დანაშაული. მიცვალებული კი ცდილობს თავი იმართლოს სასამართლოს

წინაშე... მისი სიტყვებიდან ჩვენს წინაშე წარმოსდგება ძველი ეგვიპტელის მორალურ-სამართლებრივი სახე. განსასჯელი ამბობდა: მე არ მომიწამლავს არავინ, მე არ გამიცია ბრძანება ვინმეს მოკვლის შესახებ, მე არავინ მომიკლავს, მე არ ამიტირებია არავინ, მე არ ვიყავი გულგრილი, როდესაც ბოროტებას ვხედავდი, მე არ წამირთმევია არაფერი ღარიბ-ღატაკისათვის, მე არ ვექცეოდი ცხოველებს სასტიკად, მე არ დამირღვევია ღვთაების დადგენილი ნორმები, მე არ დამიმცირებია მსახური ბატონის წინაშე და ა. შ. განსასჯელი ცდილობს თავი იმართლოს ორმოცდაორი დემონის წინაშეც. სიმართლე არ იმალება. გულის აწონვის შედეგებს ითვალისწინებს სასამართლო. განსასჯელს ან გაამართლებენ ან გაამტყუნებენ. თუ ვინმეს გაამტყუნებენ, მის სულს სპობენ, იქვე ანადგურებენ.

ჩეხ ეგვიპტოლოგს, ფ. ლეკსას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ძველი ეგვიპტე იყო ქრისტიანული მორალის და დოგმატიკის ერთ-ერთი ცენტრი; ასეა თუ ისე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველი ბერძნების თვალში ეგვიპტე ითვლებოდა სანიმუშო კანონმდებლობის ქვეყნად და არც თუ უსაფუძვლოდ. ძველეგვიპტური რელიგია და ეთიკა იყო მაშინდელი სამართლის თეორიული საფუძველი. ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია ფარაონ ბოქჭორისის კოდექსის შესახებ, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ძველი ეგვიპტური სამართალი იყო განვითარებისუნარიანი სოციალური ფენომენი. სავალო მონობის აკრძალვა, სასჯელების ჰუმანიზაცია და მიწაზე სახელმწიფო საკუთრების გარკვეული შეზღუდვების დაწესებაც ამას ადასტურებს. გლეხებს ნება დაერთოთ თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთების გასხვისება-დაგირავებისა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქრისტეს შობამდე XIII საუკუნეში მიაღწიეს იმას, რომ ქურუმთა მონოპოლია სამართლის გამოყენებაში, სამართლის კოლიზაციაში დაძლეულ იქნა. სამართალწარმოება საერო პირთა ' ჯში გადავიდა და ხელშეკრულებები და სხვა იურიდ-

იული დოკუმენტები რელიგიური ფორმულების ენით აღარ იწერებოდა.

სამართლის ერთი ცნობილი ისტორიკოსი მართებულად აღნიშნავდა: „ეგვიპტის სახელმწიფოს მწვერვალი იყო მეფე-ფარაონი, რომელსაც ღვთაებრივ ღირსებას მიაწერდნენ. მეფე იყო ღმერთი სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც, ის იყო ღმერთის ჩამომავალი – „მარადისობის უფალი", „სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გულის სიხარულის წყარო". მეფე კი არ კვდება, არამედ „თავის მარადიულ ჰორიზონტში შედის".

„მეფეს თაყვანს სცემდნენ მზის ღმერთი რა-ს თანაბრად. მეფე მზეა, მზის შვილია, იგი ღმერთის მატერიალიზაციაა ქვეყნად. დაწყებული ფარაონ ხეფრენით, მეფის სახელს უერთდება დიდ ღმერთ რა-ს ტიტული და ღმერთ რა-ს შვილის ტიტული. მეფის სახელი იწერება ოვალში, რომელიც მზის სიმბოლოს წარმოადგენს.

მეფის ყოველი მოძრაობა დიდებული ცერემონიალით იყო გარემოსილი. მეფის წინაშე პირქვე ემხობოდნენ, მუცელზე წვებოდნენ, მის ფეხებთან მიწას ეამბორებოდნენ. დიდ პატივად ითვლებოდა მისი მუხლების მოხვევნა. ფრიად სასახელოა მეფესთან საუბარი. წარწერები იუწყებიან, ადამიანებს გული უწუხდებოდათ იმ ფიქრით გამოწვეული მღელვარებისაგან, რომ მათ მეფესთან მოუხდებათ საუბარი, ხოლო ერთ კარისკაცს გადმოგვცემენ, მეფის ნახვის შესაძლებლობა რომ მიეცა, ბედნიერებისაგან გარდაიცვალა".[2]

ძველეგვიპტური სამართლის მიხედვით საკვლევით ბუნებრივად ითვლებოდა ერთი სახელმწიფო მოხელის ხელში როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო ხელისუფლების გაერთიანება. სახელმწიფო მოხელეთა არმიას მეთაურობდა ჯატი – „ყველა დიდებულის ნამდვილი უფროსი": ჯატი ხელმძღვანელობდა ადმინისტრა-

---

[2] ს. ფ. კენეკიანი, „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია", ნაკვეთი პირველი. ძველი აღმოსავლეთი და ძველი საბერძნეთი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1946, გვ. 71-72. მთარგმნელი გ. კვარაცხელია.

ციას, მართლმსაჯულებას, თვალყურს ადევნებდა სასოფ-ლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობას და როგორც ჩანს, ის ერკვეოდა ასტრონომიაშიც, რადგანაც მას მოიხ-სენიებდნენ, როგორც ცის საიდუმლოებათა მჭვრეტელს.

ძველეგვიპტური წესჩვეულების მიხედვით ჯატის წინაშე დიდებულნიც კი მიწაზე უნდა განრთხმულიყვნენ. მეფესთან საუდიენციოდ მიმავალ ჯატს, როგორც წესი, წინ ასაკოვანი დიდებულები მიუძღოდნენ. ფიქრობდნენ, რომ ეს იყო „გზის გაწმენდა“ ჯატისთვის. ზოგიერთ წყა-როში ჯატი ითვლებოდა სამართალშემოქმედად, მის სახ-ელს უკავშირდებოდა სამართალგანვითარება. ითვლებოდა, რომ ღმერთ ტოტს ღმერთთა პანთეონში ღმერთთა მეუფის — რა-ს ვეზირის (ჯატის) თანამდებობა ეკავა.

მეფე-ფარაონის ძალაუფლება თითქოს განუზომელია. ის შეუზღუდავია და ერთპიროვნულად ითვლება კანონმ-დებლად. ცხადია, ფარაონს მრჩეველები და მოხელეები ეხმარებოდნენ ქვეყნის მართვაში. მასვე ეკუთვნოდა აღ-მასრულებელი და უმაღლესი სამხედრო და სამოსამარო-ლო ხელისუფლებაც.

ძველი ეგვიპტელების სახელმწიფო იდეოლოგია იმ-ისკენ იყო მიმართული, რომ ფარაონის კულტს, მის დიდე-ბას ხალხში გაბატონებული აზრის სიმტკიცე მოეპოვე-ბინა. ყოველმხრივ აზვიადებდნენ ფარაონის შინაპოლი-ტიკურ და საგარეო წარმატებებს. ერთ-ერთი საზეიმო წარწერის მიხედვით ღმერთი ამონი მიმართავდა ფარაონ ტუტმოს მესამეს:

„მე შენ მოგმადლე ძალა და გამარჯვება ყველა ქვეყანაზე. შენი დიდება განვავრცე ყველგან. შენს წინაშე შიშისაგან კანკალებს მთელი ქვეყანა ცის ოთხივ ბოძამ-დე. მე შენოვის შევბოჭე ათეულ ათასობით ნუბიელი, ასეულათასობით აზიელი. მტრები შენი განვართხე შენს ფერხთა ქვეშ... დედამიწა სიგრძე სიგანეზე დასავლეთით და აღმოსავლეთით შენ გმორჩილებს“.

XVIII დინასტიის (1580-1320 ჩვ.წ.აღ.-მდე) მეფეებს თავი მოჰქონდათ იმით, რომ მათ ხელთ იგდეს უამრავი ტყვე — ეკანიანი ხანგები, მიხაკისფერკანიანი ნუბიელები, თეორ-იანი ლიბიელები და ყვითელკანიანი აზიელები.

ძველეგვიპტური წყაროებიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ იქ სახელმწიფო ბატონობდა საზოგადოებაზე.

მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს ეგვიპტეში შესაძლებელი იყო ხალხი აჯანყებულიყო ფარაონის ძლიერი ძალაუფლების წინააღმდეგ. სავარაუდოა, რომ ქრისტეს შობამდე XVIII საუკუნის შუა ხანების ეგვიპტეში ადგილი ჰქონოდა რევოლუციურ გამოსვლებს.

ამის შესახებ მოგვითხრობს ლეიდენის პაპირუსი. სახელმძღვანელოებში ამ აჯანყებას მოიხსენიებდნენ ბრძენ იპუვერის „წინასწარმეტყველების" სახელით. მოვიტანოთ ხსენებული პაპირუსიდან სათანადო ადგილები:

„ადამიანები სასტიკნი გახდნენ. მთელ ქვეყანაში ჭირი მძვინვარებს. ყველგან სისხლი იღვრება — ბევრი გვამი დამარხულია ნილოსის მორევში. მდინარე გადაქცეულია აკლდამად, ხოლო დაბალზამების ადგილად მდინარე გამხდარა. კეთილშობილები მწუხარებას შეუპყრია. მდაბიონი კი სიხარულს მოუცავს. ყოველი ქალაქი ამბობს: დავტირით ჩვენ შორის წარჩინებულებს...

ავაზაკი სიმდიდრის პატრონი გამხდარა. მდიდარი მძარცველად გადაქცეულა. გულით ძლიერნი ფრინველებს დამსგავსებიან... ჭიშკრები, სვეტები, თაღები დამწვარია, მეფის სასახლის კედლებიღა დარჩენილა. სამხრეთის ხომალდი შფოთს მოუცავს. ქალაქები დანგრეულია... სამხრეთი უდაბნოდ ქცეულა... მთელი სამხრეთი შფოთის გამო ხარკს არ იხდის. არ არის მარცველეული, ხილი, ირიშუ, ნახშირი, ანძები... ყუთები... ხელოსანთა ნაკეთობა, დისუს ნაყოფი, შავი ზეთი სახლისათვის. რა უნდა ქნას ხაზინამ უხარკებოდ".

„საუცხოო სასამართლო პალატა... მისი აქტები დატაცებულია, მისი განძი, საცავები დაცლილია. არქივები გახსნილია. საგადასახადო დეკლარაციები დატაცებულია. მონები მონათმფლობელებად გამხდარან... მოხელეები დაუხოცავთ. მათი დოკუმენტები წაუღიათ. ოჰ, როგორ ეწუხვარ ამ დროის უბედურებათა გამო." „მოსავლის აღმრიცხველნი, მათი ნუსხები მოსპობილია. ეგვიპტის მარცე-

.ლეული საერთო კუთვნილება გამხდარა. სასამართლო პალატის კანონთა გრაგნილები გადაუყრიათ. მათ ფეხით სოელაევენ გზაჯვარედინებზე... ღარიბნი მათ ქუჩებში ლუქს აძრობენ... დიდი სასამართლო პალატა გასასვლელი ადგილი გამხდარა. ღატაკნი დაიარებიან დიდ სასახლეებში. დიდებულთა ბავშვები ქუჩაში გამოუყრიათ. ვისაც თავისთვის სარკოფაგის გაკეთებაც არ შეეძლო, ის ახლა აკლდამის მფლობელი გამხდარა", „ვისაც თავისთვის ქოხის აგებაც არ შეეძლო, ის ახლა სახლის პატრონი გამხდარა... კარისკაცნი მეფის სახლებიდან გაუძევებიათ", „სიმდიდრეთა მფლობელი ახლა ღამეებს წყურვილით დატანჯული ატარებს..." „საუცხოო სამოსის პატრონებს ახლა ძონძები აცვიათ. ვისაც რაიმე არასოდეს მოუქსოვია, ის ახლა ნატიფი ტილოს პატრონია. ვისაც თავისთვის არასოდეს ნავიც კი არ აუგია, ის ახლა ხომალდების პატრონი გამხდარა. მათი ნამდვილი პატრონი კი შესცქერის ამ ხომალდებს, მაგრამ ისინი არ ეკუთვნიან მას.

ის ვისაც უბრალო საკრავიც კი არ უნახავს, ახლა ქნარის პატრონიც კი გამხდარა. ის ვისაც თავისი ქონება არ ჰქონია, ახლა სიმდიდრეთა მფლობელი გამხდარა. დიდებულნი ხოტბას ასხამენ მას. ხელქვეითნი მონების მესაკუთრენი გამხდარან. ვინც შიკრიკი იყო, ახლა სხვას დაარბენინებს. ვისაც თავისი პური არა ჰქონია, ისინი ახლა ბეღლის მესაკუთრენი გამხდარან. მისი საკუჭნაო სხვისი ქონებითაა გავსებული. კეთილშობილი ქალები კი გარბიან. უფროსები სიკვდილის შიშით დამხობილნი არიან. ქვეყნის ყოფილი მმართველნი გაქცევით შველიან თავს. თავის ადგილზე არც ერთი მოხელე არ არის; ისინი დამფრთხალ ჯოგს ჰგვანან, რომელიც უმწყემსოდ დარჩენილა..."

ბრძენ იპუვერს, ცხადია, უარყოფითი დამოკიდებულება აქვს აჯანყებისა თუ რევოლუციის მიმართ. მისი აზრით, ძველი ხელისუფლების ძალადობით დამხობას არ მოაქვს სოციალური პროგრესი; პირიქით, ხდება გარდაქმნა უარესისაკენ. ირღვევა სამართლიანობა. საკანონმდებლო ნორმები ხელყოფილია. საკუთრება და პიროვნება არ არის დაცული.

ძველი ეგვიპტის სახელმწიფოს მესვეურებს სამართლიანად მიაჩნდათ ეგვიპტელების ბატონობა მეზობელ ხალხებზე, მათი პატივისა და ღირსების ხელყოფა.

სირიელი მთავრები აღიარებდნენ რა ეგვიპტელი ფარაონების ბატონობას, თავიანთ თავს მისდამი მიწერილ წერილებში ფარაონის ერთგულ ძაღლებად მოიხსენიებდნენ.

„პტახოტეპის შეგონებაში" გატარებულია მოსაზრება, რომ ყველა თავისუფლად შობილი ადამიანი თანასწორია და რომ ადამიანი მოვალეა იცავდეს სამართლიანობას.

„ჰერაკლეოპოლისის მეფის შეგონებაში" ვხედებით მოწოდებას, ადამიანებმა დაიცვან კანონები, მორალური ნორმები და განერიდონ უსამართლობას, რათა დაიმსახურონ ღმერთების წყალობა საიქიო ცხოვრებაში, სახელმწიფო საქმისადმი მიიღონ არა მარტო დიდგვარიანები და წარჩინებულები, არამედ არაწარჩინებული წარმოშობის მდიდრებიც. „შეგონებაში" ჩანს სიძულვილი მეზობელი აზიელებისადმი.

ძველი ბაბილონის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი

ბაბილონი რომ ძველი აღმოსავლური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო, ეს სადავო არ არის. ის არც თუ ისე შორს მდებარეობდა საქართველოდან. ძველი ბაბილონის კულტურული ზეგავლენა საქართველომდე აღწევდა. ქართველებს ბაბილონზე ორგვარი წარმოდგენა ჰქონდათ: როგორც მაღალი კულტურის მქონე ქვეყანაზე და როგორც გარყვნილების ბუდეზე. „ქართლის ცხოვრებაში" ვხვდებით გამოთქმას „ვკურნევდით ბაბილოვნელსა და არა იკურნებოდაო."

რაც შეეხება ბაბილონში მეცნიერების განვითარების დონეს, ის საკმაოდ მაღალი იყო. მაგალითად, ძველ ბაბილონში მათემატიკური ასტრონომიის განვითარების დონე დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ევროპაში ადრეული აღორძინების ხანაში (ე. ს. პოლიკარპოვი). მართებულად ფიქრობენ, რომ ძველ შუამდინარეთში, მესოპოტამიაში რელიგია და სახელმწიფო არ ატარებდა ისეთ ტოტალურ ხასიათს, რომ მას მოეცვა ქვეყნის სულიერი ცხოვრების ყველა მხარე.

ბაბილონურმა კულტურამ ხელი შეუწყო ანტიკურ საბერძნეთში თავისუფალი აზრის დამკვიდრებას. მან ამისთვის საჭირო ნიადაგი მოამზადა.

ძველი ბაბილონის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების შესასწავლად გარკვეული წყაროები გაგვაჩნია. ჩვენამდე მოღწეულია შუმერის ორ ქალაქ-სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება — უმმასა და ლაგაშს შორის დადებული შეთანხმება ითვლება საერთაშორისო სამართლის ისტორიის უძველეს ძეგლად. იგი თარიღდება ქრისტეს შობამდე 31-ე საუკუნით. შუმერული კანონმდებლობის სხვა ძეგლებიც მნიშვნელოვანი მოვლენაა სამართლის ისტორიაში.

ეს კანონები შექმნილია გაცილებით ადრე, ცნობილ ხამურაბის კანონის შედგენამდე.

შუმერულმა კულტურამ დიდი ზეგავლენა იქონია ილინურზე. შუმერები არ იყვნენ სემიტები. არსებობს

ჰიპოთეზა, რომ შუმერული და ქართული ერთი საერთო ფუძე ენის განშტოებებია.

ჯერ კიდევ შუმერული კანონების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ უკვე დაწყებული იყო პროცესი რელიგიისა და სამართლის ერთიმეორისაგან გამიჯნვისა.

ბაბილონის მეფის, ხამურაბის კანონები შედგენილი იყო ქრისტეს შობამდე მეთვრამეტე საუკუნეში. იგი საუკეთესო წყაროა მაშინდელი პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების შესასწავლად. გარდა ამისა, ჩვენამდე მოღწეულია ძველბაბილონური კერძოსამართლებრივი საბუთები და ერთი პოლიტიკური ტრაქტატიც კი, რომელიც კარგა ხანია თარგმნილია ევროპულ ენებზე.

მეფე ხამურაბის კანონები თავისი დროისა და ეპოქის საუცხოო ძეგლია. ქრისტეს შობამდე XVIII საუკუნეში შედგენილ კანონებში გატარებულია მოსაზრება, რომ სახელმწიფო მოვალეა დაამყაროს ქვეყნად წესრიგი და ძლიერს არ დააჩაგვრინოს სუსტი. ამ ხანებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ანარქიის აღმოფხვრას, რასაც იწვევდა წვრილი სამთავროების ურთიერთქიშპი. გარდა ამისა, არსებობდა მოთხოვნილება დაწერილი საკანონმდებლო ნორმების შექმნისა. ვინაიდან დაუწერელი სამართალი უფრო მეტ შესაძლებლობას ქმნიდა იმისა, რომ ძლიერს დაეჩაგრა სუსტი. ხამურაბის მეშვეობით შუამდინარეთი გაერთიანდა და ქვეყანამ მიიღო თავისი დროისათვის ოპტიმალური წერილობითი სამართალი.

სახელმწიფო მეფის კერძო საკუთრებად კი არ წარმოიდგინება, არამედ ხალხის ინტერესების დამცველად, პოლიტიკურ წარმონაქმნად. ხალხის თავისუფლება თვითნებობათა აღკვეთაში გამოიხატება. მართებულია მოსაზრება, რომ შუამდინარული კონცეფციით, სამართალი მეფობის პრინციპული ელემენტია. სამართლის დადგენა, ქვეყნის სამართლებრივი მოწესრიგება შუამდინარელ მბრძანებელთა უპირველესი მოვალეობა იყო"...[3]

---

[3] „ხამურაბის კანონები", აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ, თბილისი, „მეცნიერება", 1988.

პროგრესულია და ხალხის ინტერესების დაცვას. ეხმიანება ისეთი მოელენა, როგორიცაა შურისძიების მკაცრად შეზღუდვა, მაშინ როცა სემიტებისათვის სისხლის აღება უძველეს ჩვეულებას წარმოადგენდა. შუა საუკუნეების არსებული პოეზიის მიხედვით, მისაღებად ითვლებოდა ყოველგვარი ხერხის გამოყენება სისხლის ასაღებად. ცნობილია, რომ შურისძიება საბოლოოდ ხამურაბის კანონების შედგენიდან სამი ათასი წლის შემდეგაც არსებობდა მრავალ ქვეყანაში.

აკადემიკოსმა ბორის ტურაევმა, ცნობილმა ეგვიპტოლოგმა და აღმოსავლეთმცოდნემ მართებულად შენიშნა, რომ ხამურაბის ეპოქის ბაბილონი იდეის მიხედვით მსოფლიო სახელმწიფოა. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ყველა თავისუფალი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. არ არსებობდა რაიმე პრივილეგია ეთნო-ეროვნული ნიშნის მიხედვით. ელამელის, ბაბილონელის, ქანაანელის მიმართ კანონი ერთნაირად მოქმედებდა. კანონმა არ იცოდა მოსულისა და უცხოტომელის ცნება.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხამურაბის კანონებში საკუთრების დაცვას. ყოველგვარი ხელყოფა საკუთრებისა სასტიკად ისჯება. კანონების ასზე მეტი პარაგრაფი აქვს დათმობილი მას. სასჯელები საკუთრების ხელყოფისათვის სასტიკია. კანონმდებელი მიიჩნევდა, რომ სამართლიანი იყო ქურდებისა და მძარცველების სიკვდილით დასჯა. ფიქრობდნენ, რომ საზოგადოება და სახელმწიფო სასტიკი სასჯელების მეშვეობით უნდა იქნას დაცული საკუთრების ხელმყოფთაგან. დამნაშავე ადამიანის სიცოცხლე არ ითვლებოდა ზღუდედ ამ მიზნის მიღწევის გზაზე. ძველი სამყაროს არც ერთ საკანონმდებლო ძეგლში ასე დიდი ყურადღება არა აქვს დათმობილი საკუთრების დაცვას.

სახელმწიფოს ხამურაბის (1792-1750 ჩვ.წ.აღ.-მდე)) ეპოქაში, ცხადია, არ შეეძლო უხეში ძალის – სახელმწიფოებრივი იძულების გარეშე არსებობა, მაგრამ მაშინდელ მოწინავე საზოგადოებას შეგნებული ჰქონდა, რომ ცივილიზებულ ქვეყანაში ძალა და სამართალი ერთმა-

ნეთს არ უნდა დაპირისპირებოდნენ. ცხადია, ასეთ მიმართულებას მოწინააღმდეგეც ეყოლებოდა. მაგრამ როგორც ჩანს, ძველ ბაბილონში ქვეყნის მოწინავე ადამიანები დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ სამართალშემოქმედ მეფეებს („სამართლის მეფე", „სამართლის მოლაპარაკე" და ა. შ.).

ძველ საქართველოშიც საეარაუდოა ამ ორი მიმართულების არსებობა. როგორც ჩანს ერთნი ძალას აძლევდნენ უპირატესობას სამართალთან შედარებით. აქედან უნდა გაჩენილიყო „ძალაუფლება", სადაც „უფლებას" ბატონობის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მაგრამ გაჩნდა სიტყვა „ხელისუფლება" – („ჴელისუფლება"), სადაც „ჴელი" უნდა იყოს „სამართლის" მნიშვნელობით ნახმარი.[4]

შუმერის ქალაქ-სახელმწიფოს მთავარს ურუინ-მგონას, რომელიც ქრისტეს შობამდე XXIV საუკუნეში მართავდა ლაგაშს, თავის ერთ-ერთ საკანონმდებლო ძეგლში გამოყენებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი ცნება, როგორიც არის „თავისუფლება" (ამარგი). როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ზ. კიკნაძე, ურუინ-მგონა სიამაყით ამბობს, რომ მან „ლაგაშის შვილებს თავისუფლება მისცა; ანუ სხვანაირად, კანონიერების აღდგენით გაათავისუფლა ისინი ხელისუფალთა თვითნებობისაგან".[5]

სწორედ ხელისუფალთა და კერძო პირთა თვითნებობისაგან ხალხის გათავისუფლებაში ხედავდა დიდი კანონმდებელი ხამურაბი თავის ამოცანას, „რომ ძლიერს სუსტი არ დაეჩაგრა". მეფე „ხამურაბის კანონების" მიხედვით უნდა იყოს „მწყემსი ხალხისა", „ერის წარმმართველი", „ამბოხის ჩამქრობი".

ხამურაბის კანონებიდან ჩანს, რომ საკმაოდ შორს არის წასული სამართლის გამიჯნვა რელიგიისაგან, რაც თავისთავად პროგრესული მოვლენაა. ამ გარემოებამ

---

[4] უფრო დაწვრილებით იხ. გ. ნადარეიშვილი, „სახელმწიფო სამართალი და მორალური ნორმები „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით" (რუსთველოლოგიური დაკვირვებანი), თბილისი, 2002, გვ. 32-34.

[5] იხ. „ხამურაბის კანონები", „მეცნიერება", 1988, ზ. კიკნაძის თარგმანით და კომენტარებით, გვ. 93.

საუკუნეების შემდეგ თავისი გაგრძელება ჰპოვა ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. ე. წ. მეფეების ხანაში რელიგია და სამართალი „ფას“ და „იუს“ ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული. ეს განცალკევება რელიგიისა და სამართლისა კლასიკურ ხანაში მოხდა.

გაგვაჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მეფე ხამურაბი იბრძოდა მევახშეობის წინააღმდეგ ბაბილონის სახელმწიფოში, აძლიერებდა სახელმწიფო სექტორს. სახელმწიფო საკუთრების როლი ქვეყნის ცხოვრებაში იზრდებოდა. სამეფო მეურნეობა მისი ბიუროკრატიული აპარატითურთ ბატონობდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. ხამურაბის ეპოქის ბაბილონის პოლიტიკური დოქტრინა, როგორც ჩანს, სახელმწიფო მეურნეობას აძლევდა უპირატესობას კერძო მონათმფლობელური მეურნეობის წინაშე. ეს კი, როგორც ამას ი. მ. დიაკონოვი აღნიშნავდა, ეწინააღმდეგება ძველი საზოგადოების მაგისტრალური განვითარების გზას და ობიექტურად ამუხრუჭებდა ისტორიულ განვითარებას.[6] ჭკვიანი და ენერგიული მეფე ხამურაბი მეტ-ნაკლებად იცავდა ხალხს კერძო მესაკუთრეთა და მოხელეთა თვითნებობისაგან, მაგრამ მის მიერ შექმნილი სახელმწიფო მანქანა, რომელიც შეუზღუდველ მონარქიას მოგვაგონებდა, ეწინააღმდეგებოდა ისტორიულ აუცილებლობას, და საბოლოო ანგარიშით აფერხებდა სოციალურ პროგრესს. მაგრამ ქრისტეს შობამდე მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებამდე მას ჯერ კიდევ ჰქონდა არსებობის უფლება.

ვ. ვ. ტრუევ ახასიათებდა რა ხამურაბის კოდექსს, წერდა:

„ძველი აღმოსავლეთის ეს პირველი სამართლებრივი ძეგლი წარმოადგენს ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან წყაროს არა მარტო ძველაღმოსავლური, არამედ საერთოდ მსოფლიო ისტორიისას. არც ერთი შემდეგში აღმოჩენილი აღმოსავლური სამართლის წიგნი არც თავისი სისრულით, არც შენახულობით არ შეიძლება შეედაროს ამ

---

[6] Дьяконов И.М., «Люди города Ура», М., 1990, «Наука», стр. 30-31.

ბაბილონური სამართლის წიგნს, რომელიც მოიცავს ცხოვრების ყველა მხარეს და ეხმაურება თავისი დროის ყველა უაღრესად არსებით სამართლებრივ მოთხოვნილებასაჭიროებას“.

ინგლისელი მკვლევარები გ. დრაივერი და ჯ. მაილზი მართებულად აღნიშნავდნენ, რომ იუსტინიანეს დიგესტებამდე ე. ი. ქრისტეს აქეთ VI საუკუნემდე არ არსებობდა ისე სრული კანონთა კრებული, როგორც ხამურაბის კანონებია.

სამართლის ნორმების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ საზოგადოების ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებლებზე, როგორიცაა პოლიტიკური და სამართლებრივი შესაძლებლობები და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ბაზისისა და იდეოლოგიის ურთიერთზემოქმედებაზე.

ეოველივე ამის შესახებ მონაცემები სამართალში მოცემულია გაკვრით და არც მთლად ნათლად.

ჯ. ა. იაკობსონის სიტყვით, სამართალი ეს საზოგადოების ავტოპორტრეტია, მაგრამ ისეთი ავტოპორტრეტი, რომელზედაც საზოგადოება გამოსახულია არა მარტო ისეთად, როგორიც ის არის, არამედ ისეთადაც, როგორადაც მას ყოფნა სურს.

„ბიბლიაში“ და ერთ ძველ ბაბილონურ პოლიტიკურ თხზულებაში ჩვენ ვხვდებით ბედის გამოცვლის იდეას და ეს იდეა ცნობილი ყოფილა აგრეთვე შუმერებისთვისაც. ცნობილია ის 'მოთა რუსთაველისთვისაც.

„ვეფხისტყაოსანში“ განსაკუთრებული ხატოვნებით არის გადმოცემული „წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ.“

რუსთაველის მიხედვით ავთანდილი

„იტყვის „ჰე მზეო, ვინ ხატად გოქვეს მზიანისა ღამისად
ერთ არსებისა ერთისა, მის უჟამისა ჟამისად
ვის გმორჩილებენ ტიერნი, ერთის იოტის წამისად.
ბედსა ნუ მიქცევ, შეყრამდის ჩემად და მისად“ (სტრ. 833).

პირველ ყოვლისა ჩვენ გვაინტერესებს გამოთქმა „ბედსა ნუ მიქცევ“. ძველი ბაბილონელების, შუმერების, ძველი ებრაელების წარმოდგენით ღმერთს ცალკეული ინდივიდის ბედი, მართალია, ზოგადად წინასწარ გადაწყვეტილი აქვს, მაგრამ მასვე ხელეწიფება ამ ბედის შეცვლა მოცემული პიროვნების საქციელის მიხედვით. პრინციპში „ბედის გამოცვლა“ შეუძლებელი რამ არ არის. ასეთი შეხედულების გამოძახილია ავთანდილის ვედრება ღმერთისადმი „ბედსა ნუ მიქცევ“-ო.

„ბედსა ნუ მიქცევ“ ნიშნავს „ბედსა ნუ მიცვლი“. „ეეფხისტყაოსანის“ ზოგიერთ ხელნაწერში „ბედსა ნუ მიქცევ“-ის ნაცვლად წერია „ბედსა ნუ მიცვლი“.

ბედის გამოცვლის მოტივს უძველეს შუმერში ვხვდებით. შუმერი ღმერთს შესთხოვდა: „კეთილი ბედი რომ დამიწერე, ცუდით არ შემიცვალო“.

ძველ ბაბილონში და რიგ სხვა ქვეყნებში გავრცელებული პოლიტიკური თეორიების მიხედვით მეფეს თავი უნდა შეეკავებინა მართლწესრიგის დარღვევისაგან.

ძველბაბილონურ პოლიტიკურ თხზულებაში, რომელიც შედგენილი იყო ქრისტეს შობამდე VIII თუ VII საუკუნეში, ნაათქვამია: „თუ მეფე პატივს არ სცემს სამართალს, მისი ხალხი აჯანყდება, ქვეყანა კი დაცარიელდება“. თუ თავისი ქვეყნის სამართალს მეფე უპატივცემულოდ ექცევა – ბედის მეუფე მას ბედს გამოუცვლის და სხვა ბედს დაუნიშნავს. თუ მეფე თავის მრჩეველ ბრძენს უპატივცემულოდ მოექცევა, მისი (მეფის) სიცოცხლე მოკლე იქნება. სამართლიან მეფეს კი დიდი ღმერთები კეთილ ბედს უნიშნავენ. თუ მეფე მართალს შეავიწროვებს და სასამართლო დავას მტყუანის სასარგებლოდ გადაწყვეტს, ღმერთი შამაში, ცისა და მიწის მსაჯული, მას სამეფოს წაართმევს და მის ქვეყანაში სხვას გაამეფებს“.

მაშასადამე, ძველი ბაბილონის პოლიტიკური ტრაქტატის ავტორის მიხედვით, მართალია, მეფის ბედი ზოგადად წინასწარ არის განსაზღვრული ბედის მეუფის – ეას მიერ, მაგრამ თუ ხელმწიფე უსამართლო იქნება, თავისი ქვეყ-

ნის სამართალს დაარღვევს, ღვთაება მას ბედს გამოუცვლის.

„ბიბლიაში“ ერთგან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ანალოგიურმა მოტივმა. მხედველობაში გვაქვს იონას წიგნის სათანადო ადგილები (თავები III და IV). ღმერთი აუწყებს იონას, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ორმოცი დღის შემდეგ დიდი და სახელოვანი ქალაქი ნინევია დაანგრიოს. გაიგებენ რა ღმერთის ამ მკაცრი გადაწყვეტილების შესახებ, ნინევიას მცხოვრებნი ცდილობენ უმაღლესი არსების წინაშე თავიანთი დანაშაული მოინანიონ და გამოისყიდონ. იცავენ მარხვას წარჩინებულებიც და ღარიბ-ღატაკებიც, ყველა ნინევიელი ძონძებით იმოსება. რიგორც ეს მეალოვიარეებს შეეკვერება. თვით ნინევიას მეფეს ისადის ძვირფას, საბოსელს და ძონძებით შემოსილი საქვეყნოდ ჯდება ნაცარზე. მეფის ბრძანებით მთელ ნინევიაში უკრძალავენ ჭამა-სმას. არა მარტო ადამიანებს, არამედ პირუტყვებსაც. ყველა ნინევიელი, რომელსაც ცოდვა მიუძღოდა ღვთის წინაშე, ვალდებული იყო უარეყო მრუდე გზა და გამოსწორებულიყო.

ყველა შესთხოვდა და შეჰღაღადებდა ღმერთს პატიებას იმ იმედით, რომ ვინ იცის, იქნება ღმერთმა გადაიფიქროს და მოწყალების თვალით შესედოს ნინევიელებს და რისხვა წყალობად შესცვალოს. და ღმერთმა ირწმუნა ნინევიელთა გულწრფელობა, შეიწყალა ნინევილები და მათ მძიმე სასჯელი ააცილა.

ღმერთი უარს ამბობს ნინევიას ასოცი ათასი მცხოვრების დაღუპვის განზრახვაზე და ამით ნინევიას სასიკეთოდ უცვლის ბედს.[7]

რუსთაველთანაც დასაშვებია, რომ ადამიანი ღმერთს შეეეედროს ბედის შეცვლა-შეუცვლელობის შესახებ. ბედის შეცვლა პრინციპში დასაშვებია.

ბედის გამოცვლის იდეაში აისახა ეთიკური ელემენტების გაძლიერება ბედის შესახებ მოძღვრებაში.

---

[7] იხ. „ძველი აღმოსავლეთის პოეზია და პროზა“, 1973, (რუსულ ენაზე), გვ. 556–557.

ბრმა, წინასწარ მკაცრად განსაზღვრული ბედისწერის ცნებაში გამოხატულება ჰპოვა იმ გარემოებამ, რომ ძველ სამყაროში და შუა საუკუნეებშიც ადამიანი ემონებოდა გაბატონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. და ეს ბატონობა-მორჩილებითი ურთიერთობა მარადიულ, ერთხელ და სამუდამოდ, განგების მიერ წინასწარ განსაზღვრულ მკაცრ აუცილებლობად ეჩვენებოდათ.

პიროვნება სუსტი იყო. კოლექტივი, საზოგადოება, სახელმწიფო და ბუნება კი ყოვლისშემძლე. ბედის რწმენა ემყარებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების სიძლიერის წინაშე ქედის მოხრის აუცილებლობის შეგნებას.

უკვე ძველ სამყაროშივე წარმოიშვა შეხედულება, რომ ადამიანს აქვს შესაძლებლობა შესდუდული არჩევანისა. მას შეუძლია ბედით წინასწარ განსაზღვრული დაარქვარეს ან დააყოვნოს, თუმცა მას თავიდან ყერ აიცდენს. განვითარების მომდევნო ეტაპზე ჩნდება შეხედულება, რომ ბედის გამოცვლაც შეიძლება.

ბედის იდეა, რომელიც უპირისპირდებოდა თავისუფლების იდეას, სოციალური მოვლენაა და ამდენად ისტორიულიც. ძველ ბაბილონში, შუმერში, ისრაელში, საქართველოში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ყოველისშემძლე ღმერთს ბედის შეცვლაც შეუძლია. ღმერთი მხედველობაში იღებს ადამიანის საქციელს. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ავთანდილი ბედკეთილია, ბედით კმაყოფილია, მაგრამ შიშობს „ღვთის სწორის“ – როსტევან მეფის მომდურების გამო ღმრეთმა ბედი არ შეუცვალოს.

ინდოეთი ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაა. ქრისტეს შობამდე XIV—XIII საუკუნეებში მდინარე განგის მიმდებარე დაბლობებზე აქ გამოჩნდებიან არიელები, ინდოევროპული ოჯახის ენებზე მეტყველი ტომები. მათ აქ დახვდათ უფრო ძველი ცივილიზაციის მქონე ტომები თუ ხალხები, მაგრამ ისინი ნაწილობრივ განიდევნენ უფრო სამხრეთისაკენ, ხოლო სხვები ასიმილირებული იქნენ.

ქრისტეს შობამდე მეოთხე-მეორე საუკუნეებში ინდოეთში აოსებიობდა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი — მაურიების იმპერია. სწორედ ამ ხანაში ინდოეთში დაიწერა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრაქტატი — არტხაშასტრა. ეარაუდობენ, რომ იგი დაწერილია იმპერიის შემქმნელის განათლებული მრჩეველის, კაუტილიას მიერ.

ჩვენთვის ცნობილია აგრეთვე ინდური სამართლის ძეგლებიც, რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მანუს კანონები, რომლის დათარიღებაც დავას იწვევს. ის ითვლება ქრისტეს შობამდე მეორე საუკუნეში შექმნილად. მკვლევრთა ნაწილს კი მისი დაწერის დროდ [illegible] ახ. წ. პირველ-მეორე საუკუნეები. „მანუს კანონების" რუსული თარგმანი მეორედ გამოიცა მოსკოვში [illegible] წელს. ინდური ცივილიზაცია, რელიგია და საერთოდ ცხოვრების წესი ინდეხად თავისებური იყო ქრისტეს შობამდე [illegible] ათასწლეულში, რომ მოდწეული წერილობითი ძეგლების ევროპულ ენებზე თარგმნა ჭირს. „მანა [illegible]ასტრა"-ს მანუს კანონებად თარგმნა ზოგ მკვლევარს [illegible] ზედმეტად მიაჩნია. „დჰარმა" მათი აზრით ნიშნავდა [illegible] ცხოვრების შესახებ და ა. შ.

„მანუს კანონებში" ჩვენ ვხვდებით დარიგებებს ეთიკური, [illegible] ურთიერთობების [illegible] ურთიერთობებთან დაკავშირებით. შეიმჩნევა, რომ ძველ ინდოეთში [illegible] ადგილი იყო რელიგიის დიდი ზეგავლენა, [illegible] ზეგავლენა სამართლებრივ ურთიერთობებზე, რელიგიური და სამართლებრივი ნორმების გაუმიჯნაობა.

გარდა მანუს.კანონებისა, ბრაჰმანთა მიერ შედგენილი იყო სხვა მსგავსი კრებულებიც, რომელთა სახელწოდებაც იყო: ნარადა, აპასტამბა, გაუტამა და ა. შ. მაშასადამე, ინდოეთში რელიგიური და სამართლებრივი ნორმები ერთმანეთში იყო შერწყმული. ქრისტეს შობამდე პირველ ათასწლეულში უძველესი რელიგიური გადმოცემების — ვედების მიხედვით უკვე დაყოფილი ყოფილა საზოგადოება ოთხ სოციალურ ფენად, ოთხ ვარნად. პირველი და სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვანი წოდებრივი ჯგუფი იყო ქურუმების ანუ ბრაჰმანების ვარნა. მეორე ადგილზე იყო ქშატრიების ანუ მეომრების, სამხედრო პირების ვარნა. შემდეგ კი ვაიშიების და შუდრების წოდებრივი ჯგუფია დაფიქსირებული წყაროებში. ვაიშიებში იგულისხმებოდნენ მიწათმოქმედები და ხელოსნები, ხოლო შუდრებში — მსახურები.

ინდოეთში ისტორიულად არა მარტო მონარქიები, არამედ რესპუბლიკებიც არსებულა. ამის შესახებ ნაშრომები გამოქვეყნებულია რუსულ ჟურნალ „ვესტნიკ დრევნეი ისტორიაში", მაგრამ მმართველობის ძირითადი ფორმა მაინც მონარქია იყო.

რა თქმა უნდა, ძველი ინდოეთის მეფეების ხელში იყო აღმასრულებელი საკანონმდებლო და სამოსამართლო ხელისუფლება და ერთი შეხედვით მათ ისეთივე შეუზღუდველი ძალაუფლება უნდა ჰქონოდათ, როგორც ძველი ეგვიპტის ფარაონებს. მაგრამ ეს მთლად ასე არ იყო. ინდოეთის მეფე არ ითაესებდა ქურუმობას და იძულებული იყო ანყაიაში გაეწია ბრაჰმანებისათვის. ეს გაიქცევა კი მის ძალაუფლებას საკმაოდ ზღუდავდა. თუ მხედველობაში მივიღებთ რელიგიის დიდ სულიერ ძალაუფლებას, ბრაჰმანების ავტორიტეტს საზოგადოებაში, ცხადი გახდება, რომ მეფე ინდოეთში ვერ მოგვეჯლიხებოდა აღმოსავლეთის დესპოტის სახით. მეფეს, როგორც უმაღლეს მართლმსაჯულს ყოველთვის მრჩეველად და თანაშემწედ ბრაჰმანი ედგა ვეერდით.

სიტყვა „არია" ძველინდურ ენაზე — სანსკრიტზე ნიშნავდა წარჩინებულს, არისტოკრატს, ვადატანითი მნიშ-

ვნელობით გაბატონებულ ტომს (ეროვნებას). სავარაუდოა, რომ როდესაც „არიებმა“ – მომთაბარე ტომებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ ინდოეთი, მათ დაპყრობილი ერთეულები დაჩაგრეს, უფლებრივად დააკნინეს, მყარ წოდებრივ ჯგუფებად გამოაცხადეს. გაბატონებული წოდებები იყვნენ ბრაჰმანები და ქშატრიები, ხოლო დამორჩილებულნი ვაიშიები და შუდრები.

ძველინდური პოლიტიკური იდეოლოგია საზოგადოების ოთხ ვარნად დაყოფას ამართლებდა, ე. ი. საზოგადოების არათანაბარ უფლებრივ ფენებად დაყოფა, მათი უფლებრივი უთანასწორობა სამართლიანად ითვლებოდა. თანაც, თუ თავდაპირველად საზოგადოების ვარნებად დაყოფა ეყრდნობოდა ტომობრივ, ეთნიკურ წარმომავლობას, გარკვეული საუკუნეების შემდეგ ის სოციალურ მოვლენად იქცა. გაღარიბებული „არიები“, დამპყრობელთა ტომის წარმომადგენლებიც გადაიქცეოდნენ ვაიშიებად და შუდრებად.

საზოგადოების ვარნებად დაყოფა მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა.

ბრაჰმანიზმი ვედური რელიგიის განვითარების შედეგი იყო.

ვედები ყალიბდებოდნენ საუკუნეების განმავლობაში (ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის დასასრულიდან მოყოლებული). ვედები შედგებოდნენ ოთხი კრებულისაგან. პირველს შეადგენდა რიგვედა – მითოლოგიური შინაარსის ჰიმნები. მეორე კრებული იყო სამავედა – ჰიმნები და რიტუალურ წესჩვეულებათა ხასიათის ინსტრუქციები. მესამე – იაჯურვედა, სადაც აღწერილი იყო ვედური რიტუალები და მსხვერპლის შეწირვის წესები. ვედების მეოთხე კრებული შეიცავდა მაგიურ ფორმულებს და შელოცვებს.

ბრაჰმანიზმი რელიგიურად ასაბუთებდა საზოგადოების ვარნებად დაყოფას და მხარს უჭერდა მას. ბრაჰმანთა სწავლებით ხდებოდა სულების გადასახლება ერთი სხეულიდან მეორეში. ადამიანის სული შეიძლება გადასახლდეს სხვა ადამიანში, ცხოველში, მცენარეში, სხვა

საგანში. თუ ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი სული გადასახლდება უფრო დაბალი ღირსებისა და პატივის მქონე ადამიანში თუ ცხოველში, ეს იმას ნიშნავს, რომ გარდაცვლილს ისე არ უცხოვრია, როგორადაც უნდა ეცხოვრა. სააქაოში ცხოვრების წესი განსაზღვრავს მისი სულის ბედს მომავალში. სულის გადასახლების უსასრულო ჯაჭვში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ადამიანის მიერ ჩადენილ ბოროტ და კეთილ საქმეთა ჯამს – კარმას. ასე რომ მეფე შეიძლება გარდაქმნილიყო შუდრად, ხელოსანი ბრაჰმანად და ა. შ.

ქრისტეს შობამდე VI საუკუნეში ინდოეთში წარმოიშობა ახალი მსოფლიო რელიგია – ბუდიზმი. ამ მოძღვრებამ აღმოსავლეთის ქვეყნებში: ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში და ა. შ. დიდი როლი ითამაშა, და შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ ო. ო. როზენბერგმა ბუდიზმს „აღმოსავლეთის სულის გასაღები“ უწოდა.

ბუდიზმი, ცხადია, დაუპირისპირდა ბრაჰმანიზმს, რომელიც მოსახლეობის აშკარა წოდებრივ უთანასწორობას აღიარებდა. ბუდიზმის თანახმად არ შეიძლება ადამიანი ჩავთვალოთ ბრაჰმანად მხოლოდ იმიტომ, რომ ის ბრაჰმანია წარმოშობით. სიტყვა დხარმა (დხამმა) ძველინდურ ენაზე – სანსკრიტზე მრავალი მნიშვნელობის იყო, ის ნიშნავდა: მოვალეობას, კანონს, სათნოებას, ჭეშმარიტებას და ა. შ.

ბუდიზმმა ზემოხსენებულ სიტყვას უფრო შეზღუდული მნიშვნელობა მიანიჭა და თავის მოძღვრებას დაუკავშირა.

ქრისტეს შობამდე V საუკუნის ინდოეთში წარმოიშვა აგრეთვე ჯაინიზმი, რელიგიური მოძღვრება, რომელიც უკავშირდება ვარდხამანა მახავირას, ჯინად წოდებულის სახელს. ჯაინისტები თაყვანს სცემდნენ თავიანთ წინასწარმეტყველებს ისევე, როგორც ღმერთებს. ჯაინისტების მიხედვით მხოლოდ ის ცხონდება და სამუდამო ნეტარებას მიაღწევს, ვინც სათნოებითა და სიმართლით იცხოვრებს. ჯაინისტების აზრით ადამიანმა არც ერთი ცოცხ-

ალი არსება არ უნდა მოკლას და უნდა იცხოვროს ასკეტურად. ადამიანმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ თავი დააღწიოს გარდაქმნათა ციკლს. ჯაინისტების ეთიკური სტანდარტი ძალიან მაღალია. გასული საუკუნის ბოლოს დაახლოებით 3 მილიონი ჯაინისტი იყო. ისინი ვეგეტარიანელები იყვნენ და ცხოვრების პურიტანული წესით გამოირჩეოდნენ. ბუდიზმი და ჯაინიზმი საუკუნეების განმავლობაში ზეგავლენას ახდენდნენ ბრაჰმანიზმზე. მკვლევართა აზრით, ინდუიზმი ამ რთული ურთიერთობის შედეგია და ის წარმოიშვა ქრისტეს აქეთ პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებში თუ ათასწლეულის პირველ ნახევარში.

ჯაინიზმის მიმდევრები „ახინსას“ წესს იცავენ და ცდილობენ არავითარ შემთხვევაში არ მიაყენონ ზიანი ცოცხალ არსებებს. მათი აზრით ყოველ ცოცხალ არსებას შეიძლება გააჩნდეს ადამიანის მსგავსად სული. რელიგია ავალდებულებდა ჯაინის მიმდევარი ყოფილიყო მართალი, არ ეთქვა სიცრუე, არ მიეთვისებინა სხვისი ქონება, ყოფილიყო უბიწო. ჯაინიზმი გავრცელებული იყო დასავლეთ ინდოეთში, გუჯერათში. თუ ბუდიზმი შუა საუკუნეებში თითქმის გაქრა ინდოეთის მიწა-წყლიდან, ჯაინიზმმა დღემდე შემოინახა თავი.

ძველ ინდურ რელიგიებს ძირითადად ეთიკური მიმართულება ახასიათებდა. ეთიკური პრობლემებია წინ წამოწეული „რამაიანაში“, „მაჰაბჰარატში“, „არტხაშარტრაში“, ზღაპრების კრებულში „პანჩატრატრაში,“ „მანუს კანონებში“ და ა. შ.

იხილავს რა ძველი ინდოეთის რელიგიებს ე.ს. პოლიკარპოვი თავის ლექციებში „რელიგიის ისტორიის შესახებ,“ ასკვნის: „საერთოდაც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დრო გვაიძულებს უფრო ღრმად ჩავწვდეთ ძველების მოძღვრებათა არსს. სავსებით სამართლიანია შეგონება: ბუდიზმი უნდა ვიცოდეთ, თუ ჯაინისტურ მორალს უნდა მივდიოთ, ვედების მოძღვრებას გვერდი არ ავუაროთ და უმაღლეს ჭეშმარიტებას მუდამ ვწვდებოდეთ“.

ინდოეთი იყო დიდი სულიერების ქვეყანა, ძველაღმოსაელური ცივილიზაციის ერთ-ერთი მედროშე და ხშირ შემთხვევაში ლიდერიც. თვით ინდოელებს ესმოდათ, რომ ის დღეს საჭიროებს მოდერნიზაციასა და რეფორმებს. დიდი ინდოელი მოაზროვნეები რამმოხან რაი (1775-1833 წ.წ.), რამაკრიშნა (1836-1886 წ.წ.), ვივეკანანდა და სხვები.[8]

რაი იყო რელიგიური რეფორმატორი, ნეოინდუიზმის იდეოლოგი.

ის აშკარად გამოვიდა მრავალღმერთიანობის (პოლითეიზმის), კერპთაყვანისმცემლობის და საზოგადოების წოდებრივ ჯგუფებად, ვარნებად დაყოფის წინააღმდეგ.

რაიმ დაგმო არასრულწლოვანთა ქორწინება, ჩვეულება ქვრივი ქალების დაწვისა გარდაცვლილ ქმართან ერთად და ა. შ.

რაიმ შეიმუშავა რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელშიც გააერთიანა ინდუიზმის, ისლამის და ქრისტიანობის ელემენტები.

ძველინდუიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დღეანდელი ინდოეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მისი მიზანია ინდოეთში სულიერი და მატერიალური კულტურის ამაღლება. სიღარიბე კი ინდოეთისათვის მძიმე პრობლემაა. 1950 წელს უაღრესად დაბალი იყო ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. მაშინ იგი შეადგენდა 265 რუპიას წელიწადში; მაშასადამე, ინდოეთი ამ მაჩვენებლით თერთმეტჯერ ჩამორჩებოდა დიდ ბრიტანეთს და ოცდარვაჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

მოკლედ დავახასიათოთ ძველინდური პოლიტიკური ტრაქტატი – არტხაშასტრა. იგი შედგენილია ქრისტეს შობამდე მეოთხე-მესამე საუკუნეებში. ალექსანდრე მაკედონელის ინდოეთში ლაშქრობის შემდეგ ინდოელებში გაიღვიძა პატრიოტულმა გრძნობებმა. შეიქმნა ძლიერი სახელმწიფო და დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს მმართველობის მეთოდების დახვეწა-გაუმჯობესების სა-

---

[8] იხ. Г. Ф. Ильин, „Религия древней Индии", стр. 52-53, М. 1953 г. Л. Б. ^ лаев, „Социальная структура индийской деревни", М . 1976, стр.69_74.

კითხი. გარეშე და შინაური მტრების ხელყოფისაგან ქვეყნის დაცვის ინტერესები მოითხოვდა მართვა-გამგებლობის მართებულ წესებზე დაფიქრებას. როგორი უნდა იყოს სახელმწიფო, რომ ის თავის საგარეო თუ საშინაო ფუნქციებს მართებულად ახორციელებდეს.

„ართხაშასტრა" თარგმნილია რუსულ ენაზე. თანაც ხსენებული პოლიტიკური თხზულების შესახებ სერიოზული გამოკვლევები არსებობს.[9]

„ართხაშასტრაში" საუბარია სამართალწარმოებაზე, სასამართლოს ორგანიზაციაზე. დანაშაულსა და სასჯელზე. ადმინისტრაციის უფლებებზე და მოვალეობებზე, ფინანსებზე და ა. შ.

მკვლევართა აზრით, „ართხაშასტრის" მთავარი შინაარსია მოსაზრებები მეფის მოვალეობის და უფლებების შესახებ. მეფემ პირველყოვლისა მხედველობაში უნდა იქონიოს სახელმწიფოს ინტერესები, ის სარგებლობა, რაც შეიძლება სახელმწიფომ მიიღოს.

თუ ერთმანეთს შეეწინაღმდეგება სახელმწიფოს ინტერესები და რელიგიური მორალი, უპირატესობა უნდა მიეცეს სახელმწიფოს ინტერესებს, იმ სარგებელს, რასაც სახელმწიფო მიიღებს. საეარაუდოა, რომ ხსენებული ძეგლი შედგენილი იყო არა ბრაჰმანის, არამედ სამხედრო ან სახელმწიფო მოხელის მიერ და მისთვის არ არის დამახასიათებელი რელიგიური პრინციპებისათვის პრიორიტეტის მინიჭება.

თვით ართხაშასტრიდან ჩანს, რომ ინდოეთში მანამდეც არსებულა სახელმწიფო მნიშვნელობის ჩანაწერები ძველი ჩვეულებების შესახებ. მეფის ბრძანებულებათა ასლები, რომლებიც თურმე არქივებში ინახებოდა. ყოფილა შენახული ჩანაწერი „ქურდების დაჭერის შესახებ". ძველი ინდოეთის სახელმწიფოსათვის უცხო არ ყოფილა დამნაშავეთა ტანჯვა-წამება და სატანჯველი სასჯელები (IV-11 (26)).

---

[9] ზოგიერთ მკვლევარს „ართხაშასტრა" მიაჩნია ქრისტეს შობამდე პირველი საუკუნის ან ქრისტეს შობის შემდეგ პირველი საუკუნის ძეგლად.

ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან უკვე აღარ ჩანან საერო შინაარსის იურიდიული ძეგლები, თუმცა დახარმაშასტრები საკმაოდ არიან მოღწეულნი.

ინდური სამართლის სპეციალისტს ნ. კრაშენნიკოვს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ რამდენადაც დიდი არ უნდა ყოფილიყო ძველ ინდოეთში სამართლის წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა, ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე სამართლის პრიორიტეტულ წყაროდ ჩვეულებები ითვლებოდა... ხსენებულ მოსაზრებას საფუძველი ეძებნება ისტორიულ-იურიდიულ წყაროებში.

ჩვეულებითი სამართლის ნორმებით იყო შეზღუდული ძველი ინდოეთის მესაკუთრის ცხოვრებაც. თუ ის ადგილ-მამულის გაყიდვას მოისურვებდა, მას მხედველობაში უნდა ჰქონოდა ის გარემოება, რომ მიწის ნაკვეთის უპირატესი შესყიდვის უფლება რამოდენიმე პირს ეკუთვნოდა. პირველყოვლისა ეს იქნებოდა ახლო ნათესავი, შემდეგ მეზობელი და ა. შ.

ძველი ინდური სამართლის ნორმების მიხედვით, თუ სარწყავი სისტემა ხუთი წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა და მიგდებული იყო, მესაკუთრე მასზე უფლებას კარგავდა. ყოველ თავისუფალ ადამიანს უფლება ჰქონდა დაუმუშავებელი სახნავ-სათესი მიწა, მესაკუთრის მიერ უყურადღებოდ მიტოვებული, დაემუშავებინა. „ართხაშასტრის“ მესამე წიგნის მეათე თავის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ დებიტორი ავადმყოფი ან არასრულწლოვანი იყო, თავნზე პროცენტის დარიცხვა უნდა შეჩერებულიყო.

ძარცვა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და ამასთან დაკავშირებით ხსენებული დანაშაულის ჩადენისკენ წამქეზებელი ისჯებოდა ორმაგი ჯარიმით (ართ. წიგნი მესამე, თავი 17).

„ართხაშასტრიდან“ ვგებულობთ, რომ ადამიანის პატივი და ღირსება ძველ ინდოეთში ფასდებოდა მათი წოდებრივი მდგომარეობის მიხედვით. თუ შუდრა ბრაჰმანს ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებდა, ვთქვათ სილას გააწნავდა, ის დაკარგავდა იმ ორგანოს, რომლითაც ის ბრაჰმანს შეეხო. მას ხელს მოაჭრიდნენ.

თუ დამნაშავე ბრაჰმანი ან ქშატრია იქნებოდა, როგორც წესი, მას სასჯელი უმსუბუქდებოდა.

შერცხვენა და მუქარა შეურაცხყოფად იყო მიჩნეული.

რა როლს თამაშობდა მონური შრომა ძველ ინდოეთში?

მკვლევართა შნიშვნელოვანი ნაწილი ფიქრობს, რომ მონური შრომა არ იყო თვით მეფის მეურნეობაშიც კი გადამწყვეტი. ხელოსანთა შორისაც მონები უმცირესობას შეადგენდნენ.

ინდოეთში პირველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს პროტოსახელმწიფოთა კატეგორიას მიაკუთვნებენ. როგორც ჩანს, სატომო მმართველობა ხანგრძლივი ევოლუციის შემდეგ სახელმწიფო მმართველობაში გადაიზარდა. ირკვევა, რომ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში რაჯებს ირჩევდნენ. ასეთ სახელმწიფოებში მონარქის გვერდით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა უხუცესთა საბჭოც. ზოგიერთი მკვლევარი ლაპარაკობს ძველი ინდოეთისათვის დამახასიათებელ „მორალურ დაპყრობაზე", რასაც იწვევდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთის რელიგიურ-კულტურული გავლენის გავრცელება ქვეყნის სხვა ნაწილებზე.

იყო თუ არა ინდოეთში სახელმწიფოს ცენტრალიზაცია და ბიუროკრატიზაცია ისე ძლიერი, როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში?

ფიქრობენ, რომ არა. ინდოეთში ქვეყნის ცენტრალიზაციას ყოველთვის უპირისპირდებოდა სეპარატისტული ტენდენციები; სათემო თვითმმართველობაც ზღუდავდა ცენტრალიზაციას. ასე რომ „ართხაშასტრაში" დახატული სურათი მეფის ყოვლისშემძლეობისა და სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა, მთლად სანდო არ არის.

მეფე ითვლებოდა ქვრივების, ობლების, აკადმყოფების მზრუნველად. მეფეს ევალებოდა ბრძოლა სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის, საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობის და მოწესრიგებისათვის, სახელმწიფო მიწების ათვისებისათვის. ამის შესახებ საუბარია „ართხაშასტრას" მეორე წიგნის პირველ და მეორე თავებში.

ძველი ინდოეთის პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის შესახებ არსებული სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა.

ვ. აბაშმაძე

ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, „პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია“ (ლექციების კრებული), თბ., 1997.

«История политических и правовых учений.» Под ред. В.С.Нерсесянца, М., 1988, «Юридическая литература»,1 стр. 31-34.

«История государства и права зарубежных стран», часть 1, М., 1999, Под ред. О.А.Жидкова и Н.А.Кременниковой.

«Религиозные традиции мира,» т. 2., М., 1996.

ძველი ჩინეთის პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის ისტორია

ძველი ჩინეთის პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის ისტორია შორეულ წარსულში იწყება.

ჩინეთში სახელმწიფო, სამართალი და დამწერლობა დაახლოებით ერთსა და იმავე ხანაში წარმოიშვა. სახელმწიფოს წარმოშობის დროის შესახებ ჩინეთში ერთიანი აზრი არ არსებობს. უფრო მისაღებად გვეჩვენება მოსაზრება, რომ იგი ქრისტეს შობამდე მეთვრამეტე საუკუნეში წარმოიშვა არაკლასიკური გზით. სხვა მოსაზრებით ჩინეთში სახელმწიფო წარმოიშვა ძვ. წ. XVI-XIV საუკუნეებში.

ჩინეთში მიწაზე კერძო საკუთრება სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ წარმოიშვა, უძველესი იეროგლიფური დამწერლობაც თანდათან, საუკუნეების შემდეგ გაუგებარი გახდა. მათი გაშიფვრა შეძლეს ჩინელმა მეცნიერებმა და ეს მათი ღვაწლი უნდა ჩაითვალოს ისეთივე მეცნიერულ გმირობად, როგორც ევროპელ მეცნიერთა მიერ იეროგლიფური და ლურსმნული დამწერლობის ამოკითხვა.

აღმოჩნდა, რომ ჩინეთში მეფეს მოხსენდებოდა, თუ როგორი ამინდი იყო სახელმწიფოს ამა თუ იმ მხარეში. ასეთი ინფორმაცია ჩვენ არ გაგვაჩნია არც ერთი ძველი აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებიდან.

ძველ ჩინეთში უყვარდათ მაგარ საგნებზე წერა. განსაკუთრებულად უყვარდათ სპილენძისა და ქვის დაფებზე წარწერების გაკეთება. „ქვის წიგნების“ წერა ჩინეთში მეოცე საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა. ქვებზე გადაჰქონდათ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ლიტერატურული, ისტორიული თუ რელიგიური ძეგლები. ქრისტეს შობამდე XII-V საუკუნეებს მიაკუთვნებენ ჩინური ლიტერატურის ისეთ უბრწყინვალეს ქმნილებას, როგორიცაა „ში-ძინ“- სიმღერების წიგნი. მას ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია. სინოლოგები მას ადარებენ ლიტერატურის ისეთ ქმნილებებს, როგორიცაა ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, ინდური „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“ და ა. შ.

ძველ საქართველოსა და სპარსეთში კარგად იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ ჩინეთში მნიშვნელოვანი ლიტერატურული ქმნილებანი ქვის დაფებზე იწერებოდა.

შოთა რუსთაველის მიხედვით „ესე არაკი მართალი ჩინეთს ქუას ზედან სწერია", „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია". ჩინეთში ქვებზე არსებულ წარწერებზე საუბარია „ვისრამიანშიც". ქართულ ხალხურ ლექსშიც იხსენიება ჩინეთში ქვაზე დაწერილი „ქართული":

„როსტომ თქვა, ერთი ქართული ჩინეთს ქვაზედა სწერია:
ვისიც მე ვიყავ ერთგული, ის გახდა ჩემი მტერია".

გამორიცხული არ არის, რომ შ. რუსთაველი იცნობდა (თარგმანში?) „მცირე ოდას მეგობრობის შესახებ", რომელიც „ში-ძინ"-შია მოთავსებული და სადაც ნათქვამია „როგორ არ უნდა ეძებოს ადამიანმა მეგობარი".

„ში-ძინ"-ი არის ჩინელთა უძველესი შეხედულებების შესწავლისათვის ძვირფასი წყარო სახელმწიფოს, სამართლისა და მორალური ნორმების შესახებ. მასში დაგმობილია სოციალური და ქონებრივი უთანასწორობა, მოსახლეობის წარჩინებული ფენების თვალშისაცემი სიმდიდრე და თავხედობა და შექებულია ადრეკლასობრივ-პატრიარქალური ინსტიტუტები, სათემო მიწათმფლობელობა და ა.შ. გლეხი ღმერთს შესთხოვს წვიმა მოაველინოს და პირველყოველისა სათემო ნაკვეთები არ გასწიროს, გვალვისგან გადაარჩინოს ხალხი.

ერთი მკვლევარი წერდა: „თუ ინდოეთი წარმოადგენს რელიგიის სამეფოს, ჩინეთში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური ეთიკა".

„ინტროვერტული ინდოელისაგან" განსხვავებით, რომელიც ცდილობს ასკეზის, იოგის, ბერად აღკვეცის მეშვეობით შეერწყას აბსოლუტს და ამით აცხონოს თავისი უკვდავი სული, იხსნას იგი მისი შეზღუდული მატერიალური გარსისაგან, ჭეშმარიტი ჩინელი აფასებს ამ მატერიალურ გარსს. ე. ი. თავის სიცოხლეს. ის ცდილობს იცხოვროს ისე ღირსეულად, როგორც ცხოვრობდნენ მისი დიდი წინაპრები, მეფეები და გმირები და ა. შ.

ადრეული პერიოდის ჩინეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში ყველაფერი ნათელი არ არის. მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ქრისტეს შობამდე მეათე საუკუნეში ჩინეთში არსებობდა იმპერატორ მიეს კოდექსი, რომელიც თითქოს სამი ათას მუხლს შეიცავდა და ძირითადად წარმოადგენდა სისხლის სამართლებრივ სჯულდებას. არსებობს ჩინელ მეცნიერთა მოსაზრება, რომ ეს სჯულდება ერთმანეთისაგან განასხვავებდა განზრახვასა და გაუფრთხილებლობას.

ქრისტეს შობამდე XI-III საუკუნეები ჩინეთის ისტორიაში ჯოუს პერიოდად ითვლება. თვით ჯოუს სახელმწიფო დაშლილია VII–VI საუკუნეებში რამოდენიმე დამოუკიდებელ სამეფოდ. განათლებული და პატრიოტი ჩინელებისათვის ცხადი იყო, რომ სამეფო-სამთავროებად დაშლილი ჩინეთი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების გზაზე დიდ წარმატებებს ვერ მიაღწევდა... და დაიწყო ფარული თუ აშკარა ბრძოლა ჩინეთის ხელახალი გაერთიანებისათვის, რაც საბოლოოდ ქრისტეს შობამდე III საუკუნეში ცინის გაერთიანებული იმპერიის შექმნით დამთავრდა. ამ ხანებში ჩაეყარა საფუძველი მსოფლიო მნიშვნელობის ჩინურ კულტურას.

ი. ნიდჰემის (Niedham) აზრით ჩინური ცივილიზაცია III-XIII საუკუნეებში თავისი განვითარების დონით, დაგროვილი გამოცდილების და ცოდნის ისტორიული სიმაღლით დასავლურ მასშტაბებს აჭარბებდა.

ვ. მ. შტეინი თავის მხრივ აღნიშნავდა, რომ მართალია არავის მოუვა აზრად ამტკიცოს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის წარმოებით ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებები და ხალხის კულტურული მიღწევა ისტორიის არენაზე ყოველთვის ერთმანეთს სავსებით შეესატყვისებოდეს, მაგრამ უდავოა, რომ მოწინავე კულტურა ყოველთვის აჩქარებს, ყოველთვის ხელს უმართავს ეკონომიკის განვითარებას და ჩვენი მხრით დავძენდით, პოლიტიკური აზრის განვითარებასაც.

ჩინური და მსოფლიო პოლიტიკური აზრის ისტორიაში კონფუციმ იგივე კუნ-ფუ-ძიმ (ქრისტეს შობამდე 551-479 წ.წ.) რომ დიდი როლი ითამაშა, ეს საყოველთაოდ ცნობილია.

ის დაიბადა გაღარიბებული დიდგვარიანის ოჯახში, ლუს სამეფო'ში (თანამედროვე პროვინცია შანდუნი, ძიუიფუს მაზრა). ახალგაზრდობაში ის წერილი სამეურნეო და სახელმწიფო მოხელე იყო. მოგვიანებით მან ჩინეთ'ში დააარსა პირველი კერძო სასწავლებელი, სადაც ღებულობდნენ არა მხოლოდ მდიდარი და წარჩინებული ოჯახის შვილებს, არამედ ყველას, მდაბიო პირთა შვილებსაც. ამით გაკეთდა მნიშვნელოვანი საქმე. მდიდართა მონოპოლიას უმაღლეს განათლებაზე საფუძველი ეცლებოდა, თანაც თუ აქამდე უმაღლეს განათლებას სამხედრო-ადმინისტრაციული მიმართულება ჰქონდა, ამიერიდან ის უფრო ერცელ სფეროს მოიცავდა. მისი მოწაფეები სწავლობდნენ ჩინური პოეზიის უძველეს ძეგლს — „სიმღერების წიგნს", ისტორიულ საბუთებს, მუსიკას. მას თვით რელიგიაშიც კი მისი რიტუალური მხარე აინტერესებდა უპირატესად. განათლების უმთავრეს ამოცანად მას მიაჩნდა მოსწავლეებისათვის მაღალი ზნეობრივი თვისებების გამომუშავება, მათთვის ჰუმანიზმის და სამართლიანობის გრძნობის გამომუშავება. და რადგანაც ჰუმანურობისა და სამართლიანობის იდეალს ის წარსულში ხედავდა, კონფუცის მიმდევრებს ახასიათებდათ წინაპართა მიმართ პოეტური, ღრმა მოწიწების გრძნობა — ძველი ჩვეულებებისა და მამა-პაპური წესების მიმართ... ამ მხრივ, ალბათ, დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მხოლოდ ჩინეთია ის ქვეყანა, სადაც შეიძლება იცოდნენ თავიანთი შორეული წინაპრის ვინაობა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კუნძულ ტაივანზე ცხოვრობდა კონფუცის პირდაპირი შთამომავალი კუნ დე ჩენი, ის კონფუცის შემდეგ 77-ე თაობას განეკუთვნებოდა. ჩინელი ისტორიკოსების ნაწილი ირწმუნება, რომ იციან კონფუცის წინაპრები ქრისტეს შობამდე XI საუკუნემდე.[10]

---

[10]. „Ученые записки Института Востоковедения", XXV, 1960.

იხ. ვ.შ. შტეინის სტატია „აღმოსავლეთის ხალხების წელილი მსოფლიო კულტურის ისტორიაში", გვ. 323.

კონფუცის მოძღვრების უმთავრესი ცნებაა ჰუმანურობა (ჟენი), რომელიც უმაღლეს მორალურ კატეგორიად მოიაზრებოდა. ჰუმანურობიდან კონფუცის გამოჰყავდა „ლი“-ს ანუ თანაცხოვრების ნორმის ცნება. ძნელი დასადგენია. მის მოძღვრებას რაიმე კავშირი ჰქონდა თუ არა XII-VI საუკუნეების ჩინურ პოლიტიკურ მოძღვრებასთან.

მისი მოძღვრება ძირითადად ორიენტირებული იყო წარსულისაკენ. მისთვის დამახასიათებელია უკიდურესი ტრადიციონალიზმი, სოციალური იდეალების წარსულში ძებნა. შეიძლება ითქვას, რომ მისი მოძღვრება აიდეალებდა ადრეკლასობრივ საზოგადოებას, პატრიარქალურ ხანას, საგვარეულო არისტოკრატიის ძლიერების ხანას. მას თავი იმით მოჰქონდა, რომ ის შთამომავლობას გადასცემდა იმას, რაც წინათ არსებობდა და ახალს არაფერს არ იგონებდა. კონფუცამდელი ხანის ჩინეთში არსებობდნენ წვრილი, ჯუჯა ქალაქ-სახელმწიფოები, სადაც რამოდენიმე ასეული, იშვიათად რამოდენიმე ათასი კომლი ცხოვრობდა გლეხებისა, ხელოსნებისა და ვაჭრებისა. მათ „გო“-ს ეძახდნენ. გაჩნდა სიტყვაც „გოძია“ – სახელმწიფო-ოჯახი. არ არის გასაკვირი, რომ კონფუცისათვის მეფე, ხელმწიფე არ არის სახელმწიფოს მამა. მეფეს ისეთივე ფუნქციები გააჩნია სახელმწიფოში, როგორც ოჯახის მეთაურს დიდ ოჯახში.

ქალაქ-სახელმწიფოში ხალხი გაცილებით უფრო აქტიურ როლს თამაშობდა, ვიდრე დიდ სახელმწიფოებსა და იმპერიებში.[11]

სინოლოგების მართებული მოსაზრებით კონფუცისათვის სახელმწიფო, როგორც ასეთი ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ ხელმწიფესთან და ის კონკრეტული მეფის გარეშე ვერ წარმოიდგინება. ამ მხრივ კონფუცის მოძღვრება ვერ ამაღლდა ევროპულ სიმაღლემდე, აღნიშნავს მკვლევარი ვ. ს. პოტტი (Pott) 1925 წელს ნიუიორკში ინგლისურ ენაზე გამოცემულ წიგნში „ჩინური პოლიტიკური ფილოსოფია“. კონფუცის მოძღვრების მიხედ-

[11] В. А. Рубин, «Идеология и культура древнего Китая», Москва, «Наука», 1970, стр. 7.

ვით მეფე ღმერთის ნებით მართავს სახელმწიფოს, მეფე კი ვალდებულია იცავდეს ეთიკისა და რიტუალის ნორმებს. მისი ყოველი ქცევა, ნაბიჯი, სეირნობა და ა. შ. მკაცრ ცერემონიას უნდა დამორჩილებოდა. იმ შემთხვევაში, თუ მეფე ქცევის სავალდებულო ნორმებს დაარღვევს და შეეცდება თვითნებურად მართოს სახელმწიფო და არა კონფუცის მოძღვრების მიმდევარი მინისტრის მეშვეობით, მაშინ ღმერთი მეფეს თავის ღვთაებრივ მანდატს წაართმევს და მას დასჯის.

კონფუცის მოძღვრების მიხედვით, ღმერთი ძალაუფლებას ჩამოართმევს უღირსებს, გარყვნილებს, ამორალურ მმართველებს.

ეს მოტივი ცნობილი იყო ძველ შუმერში, ძველ ბაბილონში, მაგრამ ის იქ ბედის შეცვლასთან იყო დაკავშირებული. ამ მოტივს ვხვდებით „ბიბლიაშიც“, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“. ამის შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა ძველი ბაბილონის პოლიტიკურ მოძღვრებასთან დაკავშირებით.

მაშასადამე, კონფუცის მოძღვრებაშიც იყო შედარებით პროგრესული, ჰუმანისტური ნაკადი. „შუძინ"-ში, კონფუცის მოძღვრების შემცველ ამ მთავარ თხზულებაში, საუბარი იყო იმის თაობაზე, რომ „ციური", ღვთაებრივი განკარგულების თანახმად, სახელმწიფოს მართვის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მმართველებს, როძლებიც ხალხზე ზრუნავენ.

ჩინეთისათვის ქრისტეს შობამდე V-IV საუკუნეები იყო წარსულის, აწყმოს და მომავლის ერთ ნაკადად შეფასების ხანა. წარსულში კი ჩინეთს ცენტრალიზებული სახელმწიფო გააჩნდა. ამ მხრივ წარსული არა აწმყოსკენ, არამედ მომავლისკენ იმზირებოდა.

ძვ. წ. 492 წლიდან 484 წლამდე კონფუცი და მისი უახლოესი მოწაფეები მოგზაურობენ ჩინურ სამეფოსამთავროებში, მაგრამ ამაოდ. არავის არ სურდა კონფუცის მოძღვრების მიხედვით მოეწყო სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. კონფუცი ისევ ბრუნდება თავის მშობლიურ ლუს სამეფოში. ქრისტეს შობამდე 479 წელს კონფუ-

ცი გარდაიცვალა. მისმა მოძღვრებამ. მისი მოწაფეების ხელში გარკვეული ცვლილებები განიცადა. გავა არც თუ მცირე დრო და კონფუცის იდეები სახელმწიფო მოძღვრებად გამოცხადდება. კონფუცის მოძღვრებას მისი მიმდევრების აზრით, „ათი ათასი თაობა“ გამოიყენებდა. ქრისტეს შობამდე 136 წელს კონფუცის პოლიტიკური მოძღვრება ცხადდება სახელმწიფო იდეოლოგიად. ამ მოძღვრებით სარგებლობდა ოფიციალური ჩინეთი ახ. წელთაღრიცხვის 1911-1913 წლამდე, როდესაც ჩინეთში გაიმარჯვა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ. კონფუცის მოწაფეები ოცნებობდნენ „დიდი ერთობის“ საზოგადოებაზე, სადაც ქვეშევრდომთა შორის არ იქნებოდა ქონებრივი უთანასწორობა და სადაც ადგილი არ ექნებოდა ომსა და ურთიერთდაპირისპირებას, სადაც შვილები ღრმა პატივისცემით და მოკრძალებით მიიღებდნენ მშობლების დარიგებას და შეგონებას.

კონფუცი ჩვეულებით სამართალს, დაუწერელ სამართალს ანიჭებდა უპირატესობას დაწერილი სამართლის წინაშე. იმდენად დიდი იყო კონფუცის ქედის მოხრა ძველი ჩვეულებებისა და ტრადიციების წინაშე, რომ დაწერილი კანონების კოდიფიკაციასაც კი უარყოფითად აფასებდა. როდესაც ძინის სამეფოში, ქრისტეს შობამდე 513 წელს, ვინმე ფან სიუან-ძიმ სპეციალურად დამზადებული სპილენძის დაფაზე ამოკვეთილი კანონების ტექსტი მიართვა მეფეს, კონფუციმ ასეთი საქციელი დაგმო იმ მოტივით, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა ძველ ტრადიციებს, ხოლო ძველ ჩვეულებებზე ხელის აღება კარგს არაფერს გვიქადისო.

კონფუცის აზრით, ახალი კანონების მიღებასა და პროპაგანდას ისა სჯობდა, რომ ტან შუს კანონები კარგად შეგვესწავლა და შემდეგ კი განუხრელად განგვეხორციელებინა.

კონფუცის მოძღვრებაში ეთიკას უფრო მაღალი ადგილი აქვს მიკუთვნებული, ვიდრე სამართალს.

კონფუცის მოძღვრება გულისხმობს ხანდაზმული ადამიანების პატივისცემას ახალგაზრდების მხრივ,

ქვეშევრდომთა მხრივ ხელმწიფის ერთგულებას, ხელმწიფისათვის თავდადებას. ხელმწიფემ ხალხი უნდა მართოს არა ძალის გამოყენებით, არამედ ზნეობრივად სრულყოფილი საქციელის მეშვეობით, არა კანონებისა და სასჯელების წინაშე შიშით, არამედ სათნოებით.

მეფეს არმია (ჯარი) უნდა ყავდეს კმაყოფილი, ხალხი მაძღარი და ხალხი კი უნდა ენდობოდეს მთავრობას. მეფემ ხალხი არ უნდა დაბეგროს მძიმე გადასახადებით, გლეხი არ უნდა მოაცდინოს თავის მეურნეობაში გაცხოველებული მუშაობის დროს.

კონფუცის გამოჩენილმა მოწაფემ, მენ-ძიმ (ქრისტეს შობამდე IV-III სს.) გამოთქვა მოსაზრება, რომ ხალხს აქვს უფლება აჯანყდეს სასტიკი და უსამართლო მეფის წინააღმდეგ და დაამხოს მისი ძალაუფლება.

ძვ. წ. 124 წელს ჩინეთში დაარსდება უმაღლესი სასწავლებელი კონფუცის მოძღვრების შესასწავლად. კონფუცის მოძღვრებამ ჩინეთში დადებითი როლიც ითამაშა და უარყოფითიც. ფრანგი სინოლოგი, მ. გრანე, კონფუცის მოძღვრებას ჰუმანისტურ იდეოლოგიად მიიჩნევდა.

ვ. ა. რუბინის ნაშრომში „სახალხო კრებები ძვ. წ. VII-V საუკუნეების ჩინეთში" („ვესტნიკ დრევნეი ისტორიი" 1960 №4) ნაჩვენებია, რომ ადრეული ხანის კონფუცის მოძღვრებაზე გარკვეული გაელენა იქონია ძველ ჩინეთში არსებულმა პრიმიტიულმა დემოკრატიამ, რომელიც შემორჩენილი იყო ჩინურ ქალაქ-სახელმწიფოებში ძვ. წ. მეექვსე საუკუნემდე და სადაც შეიარაღებულ ხალხს საშუალება ჰქონდა სახალხო კრებებზე განეხილათ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი საკითხები.

ფრანგი სინოლოგი ედუარდ შავანი წერდა, რომ ჩინეთის ისტორიის ღრმად შესწავლის გარეშე შეუძლებელია მსოფლიო ისტორიის გაგებაო, მაგრამ ის არ იყო ბოლომდე თანმიმდევრული, როცა აღნიშნავდა, რომ მწირ კონფუცისმიერ იდეებს არ შეეძლო არც ერთი სხვა ხალხის დაკმაყოფილება, გარდა ჩინელებისაო.

შავანის აზრით, ჩინელებს განსაკუთრებული მორალი სჭირდებოდათ. როგორც ჩანს, კონფუცის იდეების

ფორმალურ-გარეგნული სიმწირე და „პრიმიტივიზმი“ პირობითია. ის ასეთად ეჩვენებათ განსხვავებულ კულტურულ გარემოში აღზრდილებს... მწირი იდეებით ორი ათასზე მეტი წლის განმავლობაში ვერ იცხოვრებდა ისეთი დიდი კულტურის შემოქმედი ხალხი, როგორც ჩინელები იყვნენ. ჩინეთი იყო ქვეყანა, სადაც გამოიგონეს ქაღალდი, კომპასი, თავის წამალი, სეისმოგრაფი, წიგნის ბეჭდვა, ფაიფურის წარმოება, აბრეშუმი. აქვე შეიქმნა სასამართლო მედიცინა, როგორც მეცნიერება.

ალიშერ ნავოის, დიდ უზბეკ პოეტს და მოაზროვნეს, ეჩვენებოდა, რომ ჩინელებმა მიაღწიეს განვითარების ისეთ სიმაღლეს ყველა ხელოვნებაში, რომ სხვა ქვეყნებზე მაღლა დადგნენ.

კონფუცის იდეალი იყო „ძიუნ-ძი“ ანუ სრულყოფილი ადამიანი.

კონფუცის მიმდევართა შეხედულებით სახელმწიფოს განმტკიცება და სხვა ხალხის დამორჩილება შეიძლება საკუთარი სათნოების სრულყოფით და მეზობელ ხალხებზე და ქვეყნებზე მორალური ზემოქმედებით.

ქრისტეს შობამდე VI-III საუკუნეების ჩინეთი თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით მეზობელ ხალხებზე და სახელმწიფოებზე მაღლა იდგა. ჩინეთში ჩამოყალიბდება ე. წ. ეთნოცენტრიზმის იდეა, შეხედულება იმის შესახებ, რომ ჩინეთი მსოფლიო ცივილიზაციის ერთადერთი ცენტრია. ეს შეხედულება, ცხადია, გადაჭარბებულია, მაგრამ მან გარკვეული გავლენა იქონია ჩინური პოლიტიკური აზრის განვითარებაზე.

ჩინეთის პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს მო-ძის და მოიზმს. მო-ძის უნდა ეცხოვრა ქრისტეს შობამდე 479-381 წლებში.

მო-ძის წამოუყენებია იდეა „საყოველთაო სიყვარულისა“. ეს იდეა გულისხმობდა როგორც საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის ურთიერთპატივცემასა და სიყვარულს, ასევე სხვადასხვა ჩინურ სამეფო-სამთავროთა შორის მშვიდობიან ურთიერთობას. მო-ძის ცხოვრე-

ბის წლები დაემთხვა ჩინურ სამეფო-სამთავროთა შორის პირველობისათვის ბრძოლის ხანას, რომელმაც ის, როგორც მოაზროვნე დააფიქრა ისტორიის განვითარების კანონების შესახებ. კონფუცის მოწაფე მენ-ძი (372-289 წწ.) ამტკიცებდა, რომ მო-ძი ქადაგებდა რა საყოველთაო სიყვარულის იდეას, უარყოფდა ოჯახსო. ევროპელ სინოლოგთა ნაწილის აზრით, ეს თვალსაზრისი სწორია. საყოველთაო სიყვარულის იდეა ვერ შეეწყობოდა კონფუცის მხრივ ოჯახის და საოჯახო სიყვარულის კერძო იდეას. ზოგ ევროპელ მკვლევარს სოციალიზმის წინამორბედად მიაჩნია (ე. ფაბერი), ზოგი მას თვლის ღვთის მორწმუნედ და სამართლის და სამართლიანობის რაინდად. თუ კონფუცისთვის პოლიტიკა ეთიკის სფეროშია მოთავსებული, მო-ძის სიმძიმე სახელმწიფოზე გადააქვს. მაგრამ ეს სახელმწიფო იდეალური, უტოპიური სახელმწიფოა (ვ. რუბინი). მკვლევარები იმის შესახებაც მიუთითებენ, რომ ჩინური იდეალური სახელმწიფო წარსულში არსებულ ოქროს საუკუნესთანაა დაკავშირებული.

კონფუცის ფასეულობათა სისტემაში ოჯახი, საოჯახო ერთგულება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სახელმწიფოს წინაშე მოვალეობა. მო-ძისთან კი სახელმწიფოს ეძლევა უპირატესობა. თვით სახელმწიფო მო-ძისათვის პრიმიტიული, ერთნაირი ჭანჭიკებისაგან შედგენილი მანქანაა, რომლის ამოძრავებაც მეფის საქმეა. მო-ძისთვის მთავარია სახელმწიფოსთვის სარგებლიანობის მოტანა, რადგანაც სამკაულებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ ხალხისათვის და სახელმწიფოსთვის. ისინი უნდა ავკრძალოთ. არც მუსიკაა სარგებლობის მომტანი და ისიც ღირსია აკრძალვისა. მოიზმში კონფუციისათვის დამახასიათებელი კონსერვატიზმის წინააღმდეგ წამოყენებული იყო დებულება, რომ რაც კარგი იყო ძველად — მას შეიძლება მივსდიოთ, მაგრამ მთავარია შეექმნათ მართებული და კარგი აწმყოში. ამისკენ მიმავალი გზაა ახალი ადამიანების, ახალი მოხელეების დაწინაურება სახელმწიფო თანამდებობებზე. ამ „ახალ ადამიანებში“ იგულისხმებოდნენ არა ძველი საგვარეულო არისტოკრატი-

ის წარმომადგენლები, არამედ ნიჭისა და უნარის, კეთილსინდისიერების ნიშნით დაწინაურებულები, მიუხედავად მათი წარმოშობისა. როგორც კონფუცი, ასევე მო-ძი სახელმწიფო სათნოებად მიიჩნევდა ზომიერებას და ფუფუნებაზე უარის თქმას.

მო-ძის მოძღვრების შესახებ რუსულ ენაზე არსებობს მ. დ. ტიტარენკოს წიგნი „მოისტების ძველჩინური ფილოსოფიური სკოლა“ (მოსკოვი, 1965).

მო-ძის ადარებდნენ ეპიკურეს, ლუკრეციუსს, ლოკს, ჟან-ჟაკ რუსოს, მაგრამ ამ შედარებებში ბევრი რამ დასაზუსტებელია. თანაც მო-ძი წინააღმდეგობებით აღსავსე მოაზროვნეა. ის ძლიერი სახელმწიფოს მომხრეა, მაგრამ უფრო ნაკლებად თანმიმდევრულია ვიდრე შან იანი (იგივე გუნსუნ იანი).

შან იანმა ტოტალური სახელმწიფოს აპოლოგია უმაღლეს დონეზე აიყვანა.

ჩინეთისათვის არც ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეა და პრაქტიკა იყო უცხო. მხედველობაში გვაქვს პირველყოველისა ცინის სამეფოს ხელმწიფის, სიაო გუნის (ძვ. წ. 361-338 წ.წ.) მინისტრის, შან იანის ოძღვრება და მის მიერ ჩატარებული რეფორმები.

შან იანი კარგად იცნობდა კონფუცისა და მო-ძის მოძღვრებებს, მაგრამ მათ არ იზიარებდა.

შან იანის აზრით ადამიანი, როგორც ბოროტი არსება პირველყოველისა სასჯელის მეშვეობით შეიძლება ვიყოლიოთ მორჩილებაში და ვმართოთ. ის, რა თქმა უნდა, არც პირადი ინტერესების როლს ივიწყებდა და საჩუქრების და ჯილდოების მეშვეობით ხალხის მიმხრობას არ უარყოფდა, მაგრამ შიშის მეშვეობით, სასჯელის საფრთხის მეშვეობით ადამიანთა მართვას უფრო ეფექტურად თვლიდა. ნაპოლეონ ბონაპარტეს აზრითაც არის ორი ბერკეტი, რომლითაც შეიძლება ამოძრაო და მართო ადამიანები, შიში და პირადი ინტერესი. გამორიცხული არ არის, რომ საფრანგეთის იმპერატორს ცოდნოდა რაიმე შან იანის მოსაზრებათა შესახებ.

შან იანი ძველ წეს-ჩვეულებებს აშკარად არ ებრძოდა, მაგრამ შორს იყო მათი გაიდეალებისაგან. მისი აზრით, თავის დროზე ძველებმა „ამოსწურეს თავიანთი საქმე“ და დღეანდელობა მოითხოვს, რომ ახალი პირობების შესატყვისად ადამიანებმა ახალი გზებით იარონ.

შან იანის აზრით, სახელმწიფო მშენებლობის საფუძველთა საფუძველია მკაცრი წერილობითი კანონმდებლობა, როდესაც უფლებები და მოვალეობებები კანონმდებლობებით არის განმტკიცებული. შან იანისთვის მთავარია ის, რომ უმაღლეს ხელისუფლებას უფლება უნდა მიეცეს დაუბრკოლებლად გამოსცეს ისეთი კანონი, რომელიც მას საშუალებას მისცემს შექმნას ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო.

თუ მო-ძი სახელმწიფოს თვლიდა ისეთ მანქანად, რომელიც საყოველთაო სარგებლობისათვის უნდა გამოიყენოს მეფემ, შან იანი მიუთითებდა, რომ სახელმწიფო, პირველყოვლისა, არის მანქანა საკუთარი ხალხის დასამორჩილებლად, ხოლო შემდეგ შესაძლებლობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ცისქვეშეთის დასაპყრობად.

თუ მო-ძი მეფეს ურჩევდა ხელი აეღო აგრესიულ ომებზე, შან იანი პირიქით, მართებულად თვლიდა ომების გზით სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოებას. მისი აზრით, პოლიტიკოსი, სახელმწიფოს მეთაური თავისუფალია მორალური ნორმების დაცვისაგან – მიზანი ამართლებს საშუალებას.

მეფეს, რომელიც თავის ხალხს ომში ჩააბამს, მამაცი ქვეშევრდომები ეყოლება, ხოლო იმ ხელმწიფეს, ვინც ასე არ მოიქცევა, ხელში ლაჩარი, ქალაჩუნა ხალხი რჩება. დიდი სახელმწიფო მიზნის მისაღწევად ის მკვლელო-

---

* რუსულ ენაზე ითარგმნა შან იანის თხზულება „შანის ოლქის მმართველის წიგნი“, რომლის თარგმანიც ლ. ს. პერელომოვს ეკუთვნის. წიგნი გამოიცა მოსკოვში, 1968 წელს. სტუდენტებს, რომელთაც რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურით სარგებლობა შეუძლიათ, ეს თხზულება კარგ სამსახურს გაუწევს.

ბასაც კი დასაშვებად თვლის. სახელმწიფო უფლებამოსილია ნებისმიერად მოექცეს ქვეშევრდომს, თუ ეს სახელმწიფოს გაძლიერებას გამოიწვევს. ძლიერ საგარეო მტერს მხოლოდ ის დაამარცხებს, ვინც თავის საკუთარ ხალხს მოერევა. ის მეფე, რომელიც ხალხს ომს შეაყვარებს, ძლიერ სახელმწიფოს შექმნის.

შან იანმა ჩამოაყალიბა ე.წ. „ტილის თეორია". სახელმწიფოსათვის ტილია ყველა ის ქვეშევრდომი, ვინც ხელს არ უწყობს ტირანული სახელმწიფო მანქანის ნორმალურ მუშაობას. ასეთი ტილებისაგან კი სახელმწიფო უნდა განთავისუფლდეს.

შან იანის აზრით, სახელმწიფოსათვის ტილია ყველა, ვინც პოეზიას, ისტორიას ან მუსიკას სწავლობს.

შან იანს მიაჩნია, რომ მეფემ უნდა გამოსცეს ისეთი კანონი, რომლის თანახმადაც ადამიანები ვალდებულები იქნებიან თვალყური ადევნონ ერთმანეთს. სახელმწიფოში ისეთი წესრიგი უნდა დამყარდეს, რომ შეუძლებელი გახდეს ჯგუფური დანაშაულის ჩადენა. სახელმწიფოში შემოღებული უნდა იქნეს ურთიერთობის სისტემა გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს შორის.

შან იანის წინადადებით ცინის სამეფოში სასოფლო და საქალაქო თემის შიგნით, ხუთ-ხუთი (ზოგან ათ-ათი) ოჯახი ერთმანეთთან დააკავშირეს ურთიერთთავდებობით. ეს ოჯახები ერთმანეთს ადევნებენ თვალყურს, ვინმე ხომ არ ჩადიოდა სახელმწიფო დანაშაულს. ამასთან დანაშაულის დაფარვისათვის სიკვდილით სჯიდნენ, ხოლო დამსმენებს აჯილდოვებდნენ ისე, როგორც ჯარისკაცს, რომელმაც ომში მტერს მოკვეთა თავი. ურთიერთთავდებობა შემოიღეს არმიაშიც. თუ ერთი ჯარისკაცი უღალატებდა სახელმწიფოს, ურთიერთთავდებობით დაკავშირებული ხუთეულის ოთხი სხვა უდანაშაულო წევრიც სიკვდილით ისჯებოდა.

შან იანის აზრით, თუ მეფე მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სასტიკად დასჯის დამნაშავეს და მსუბუქი დანაშაულის ჩამდენს კი მსუბუქად, ამით ის დანასაულობას ვერ აღმოფხვრის. ის იძლევა რჩევას: სულ მცირე

დანაშაულის ჩამდენიც კი სასტიკად დაისაჯოს. მხოლოდ ასე შეიძლება წესრიგის დამყარება სახელმწიფოში.

სახელმწიფოში დასჯილთა რიცხვი გაცილებით უნდა სჭარბობდეს დაჯილდოებულებს. შორსმსედველმა მეფემ არ უნდა შეიწყალოს სიკვდილმისჯილი.

ხელმწიფის მოხელე, რომელიც თათბირზე დაიგვიანებს, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. შან იანმა, პირველმა ჩინეთის ისტორიაში, წინადადება მისცა მეფეს გაენადგურებინა სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული სამეცნიერო და სხვა ხასიათის ლიტერატურა. თუ კონფუცი კერძო სკოლებს აარსებდა და სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი განათლების მომხრე იყო, შან იანი სხვაგვარად ფიქრობდა. ის უარყოფდა პოლიტიკური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სასწავლებლის აუცილებლობას.

ძნელია აზროვნების ისტორიაში შან იანის ორეულის დაძებნა.

ძველი ჩინეთის სამი ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური მოძღვრებიდან — კონფუცის მიმდევარ ტრადიციონალისტებიდან, ლეგისტებიდან და დაოსიზმის მქადაგებელთაგან სოციალურ პრაქტიკასთან მჭიდრო კონტაქტში ლეგისტები აღმოჩნდნენ. ამას თავისი მძიმე შედეგებიც ჰქონდა. შან იანი მისი მფარველი მეფის გარდაცვალებისთანავე კარისკაცებმა მხეცურად გამოასალმეს სიცოცხლეს. შან იანის მიმდევარი ცნობილი ლეგისტი ხან ფეი-ძი ციხეში დაიღუპა თავისი კოლეგა-მეტოქის დასმენის შედეგად.

მოისტები (მო-ძის მოძღვრების მომხრეები), რომელთა პროგრამაც სახალხო აჯანყების მონაწილეთა მოწონებით სარგებლობდა, როგორც იტყვიან „სისხლში აბანავეს“.

დაოსიზმი კი მისტიკურ ჭაობში ჩაეფლო, მაგრამ მისი იდეები მაინც ასე თუ ისე, თითქმის მეოცე საუკუნემდე ახდენდნენ ზეგავლენას ჩინეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე.

შან იანის ანრდილი კელავ ბორგავდა ქრისტეს შობამდე მესამე საუკუნის ჩინეთში. მოხერხდა ჩინელთა შუიდი სამეფოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება. ცინ ში-ხუანდიმ (258-210 წ.წ. ქრისტეს შობამდე), რომელიც 48 წლის ასაკში გარდაიცვალა და თითქმის 36 წელი იმეფა, შესძლო ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. ის იყო მეტის-მეტად სასტიკი, ცბიერი და ხერხიანი პოლიტიკოსი. ხსენებულმა მეფემ 460 კონფუცის მოძღვრების მიმდევარი მხეცურად დახოცა – მიწაში ცოცხლად დაამარხვინა. ის იზიარებდა შან იანის შეხედულებას, რომ ძლიერი სახელმწიფოს მიზანი ომია. თუ სახელმწიფო არ ომობს, ფიქრობდა ის, ქვეყნის შიგნით მომრავლდებიან ე. წ. „სოციალური ტილები"– ხალხის და სახელმწიფოს მტრები, რომელთა შხამიც მოწამლავს ქვეყნის მოსახლეობას. თუ სახელმწიფო ომობს, ის ჯანსაღდება, შხამისაგან თავისუფლდება, მტრები კი იშხამებიან.

მოკლედ შევჩერდეთ დაოსიზმზე.

დაოსიზმი იყო ფილოსოფიური მოძღვრება ძველ ჩინეთში. მის ფუძემდებლად ითვლება ლეგენდარული ბრძენი ლაო-ძი, რომელიც თითქოს კონფუცის თანამედროვე იყო. ხსენებული ფილოსოფოსის მოძღვრება გადმოცემულია „დაო დე-ძინ"-ში. *

მოძღვრების მთავარი ცნებაა დაო – სამყაროს პირველმიზეზი, მისი უხილავი შემოქმედი.

ერთ-ერთი მკვლევარის, რელიგიის ისტორიკოსის აზრით ლაო-ძის მოძღვრებაში ბუნებისა და საზოგადოე-

---

* იგი რუსულიდან ქართულად არის თარგმნილი. გამოიცა 1983 და 1990 წლებში. მთარგმნელია ლერი ალიმონაკი. მასვე ეკუთვნის შესავალი და შენიშვნებიც.

რუსულ ენაზე არსებობს ვ. პ. ვასილევის „აღმოსავლეთის რელიგიები: კონფუციანელობა, ბუდიზმი და დაოსიზმი". ასევე მნიშვნელოვანია მეორე ნაშრომი, ლ. ს. ვასილევის „კულტები,რელიგიები და ტრადიციები ჩინეთში". სტუდენტებისათვის შედარებით ხელმისაწვდომი იქნება ვ. მ. ალექსეევის „ჩინური ლიტერატურა" (მოსკოვი, 1978). ასევე ვ. ს. პოლიკარპოვის "რელიგიის ისტორია".

ბის, მთელი სამყაროს საფუძველთა საფუძველია „დიდი დაო“, რომელიც შეიძლება გავიგოთ როგორც „გზა“, ჭეშმარიტება, წესრიგი.

დაო ყველაფერია და არაფერი. დაო არავისგან შექმნილი არ არის, მაგრამ ყველაფერი მისგან არის და მასვე უბრუნდება.

მოძღვრების მიზანია ადამიანს გააგებინოს სამყაროს აგებულების საიდუმლო, სიკეთილისა და სიცოცხლის აზრი და მნიშვნელობა. მისთვის უცხო არაა ლოზუნგი – უკან, წარსულში არსებული ოქროს საუკუნისაკენ. მაგრამ მათ აინტერესებდათ არა ძველისძველი გმირების და სახელმწიფოს მესვეურების დიდი ისტორიული მნიშვნელობის საქმეები, მათი სამართლიანი მოქმედებანი, არამედ უბრალოება, ყოველგვარი კულტურით განპირობებული ზედმეტობის ნამოცილება. ადამიანმა უნდა იცხოვროს აუცილებლის მინიმუმით (აქ შეიძლება მოგვაგონდეს ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე).

დაოისტები ესწრაფოდნენ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ზოგიერთი ცნობით უკვდავებასაც კი.

თუ ჯუან-ძის (ძვ. წ. 369-286 წ.წ.) მაგალითით ვიმსჯელებთ, დაოს მოძღვრების მიმდევრებს არ იზიდავდა სახელმწიფო თანამდებობათა დაკავება და ცოდნა. ეს უკანასკნელი მას მიაჩნდა საქვეყნო არეულობის ხელშემწყობ ფაქტორად.

მაგრამ არსებობს შეხედულებაც, რომელიც დაოს ცნებას უკავშირებს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ძირითად კანონებს, მათი განვითარების ძირითად კანონზომიერებებს.

დაო-ძის მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ მისი პოლიტიკური იდეალი იყო პატარა სახელმწიფო, არა ხალხმრავალი, მაგრამ თანასწორობაზე დამყარებული. ასეთი სახელმწიფო შორს უნდა იდგეს ცივილიზაციის უკანსკნელი მიღწევებისაგან.

„ოდეს ხალხმა მრავალ უწყის და არ ფლობს უბრალოებას ძნელია უხელმწიფო მას.

ძველად, ვინც დაოს მორჩილებით ხელმწიფებდა
ხალხს უმოქმედობასა და უბრალოებას აუფლებდა."[12]

კონფუცი,მო-ძი, ლაო-ძი ნაკლებცივილიზებული წარსულისკენ იცქირებიან. და ეს დამახასიათებელია ქრისტეს შობამდე VI-IV საუკუნეების ჩინეთისათვის.

დიდ მიღწევებთან ერთად, როგორც ჩანს, დიდ ნაკლოვანებებსაც ჰქონდა ადგილი, რაც მოაზროვნეებს წარსულისკენ ექაჩებოდა. აკი XVIII საუკუნის დასაველეთ ევროპაში ერთმა დიდმა მოაზროვნემ მოიწონა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დაწვა და თურქეთის ერთ-ერთი სულთნის, ახმატის მიერ წიგნის ბეჭდვის აკრძალვა.

ჩინეთისათვის დამახასიათებელია სამი რელიგიის, სამი დიდი მოძღვრების ერთმანეთთან შერწყმა – კონფუციანელობის, ბუდიზმისა და დაოსიზმის.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ კონფუცის მოძღვრება, კონფუციანელობა შორს დგას რელიგიისაგან, მაგრამ თუ მას რელიგიად ჩავთვლით, მაშინ ჩინეთში საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელსაც რელიგიური სინკრეტიზმი ეწოდება.

ბუდიზმმა ჩინეთში ინდოეთიდან შემოაღწია და როგორც ღრმა ფილოსოფიურმა მოძღვრებამ, მოწონება დაიმსახურა. თანდათან იგი ჩინეთის პირობებს შეეგუა, ხალხურ მეტაფიზიკად – რელიგიად ჩამოყალიბდა. ლაო-ძის მიმდევრები ხან მშვიდად უცქერდნენ ამ პროცესს, ხანაც მას ებრძოდნენ, ხოლო კონფუცის მიმდევრებს თავი არ გამოუჩენიათ მასთან შებრძოლებით.

საუკუნეების განმავლობაში კონფუციზმი, ბუდიზმი და დაოსიზმი ერთმანეთზე ზემოქმედებდნენ, იხვეწებოდნენ, გარკვეულწილად იცვლებოდნენ კიდეც. კონფუცის მოძღვრების მიმდევართა რაციონალიზმი და ბუდისტებისა და დაოსისტების მისტიკა გარკვევით ჩანს ჩინეთის კულტურის ისტორიაში.

ვ.ს. პოლიკარპოვი მართებულად მიუთითებდა, რომ "შვილის დაბადებას ჩინეთში დაოსიზმის მიმდევარი ბერი და ქურუმი აკურთხებდა. ქორწინების ცერემონიალს კონ-

[12] ლაო-ძი, „დაო დე ძინი", თბილისი, 1990, გვ. 132.

ფუცის მიმდევართა ეტიკეტით ასრულებდნენ, ხოლო გარდაცვალებულთა გაპატიოსნებისას ბუდისტი ბერები ასრულებდნენ მთავარ როლს. ასეთ მოვლენას ჩინელი ხალხი ბუნებრივად მიიჩნევდა და ხალხურ ანდაზებშიც ასახავდა მას „სამი რელიგია არსებითად ერთი რელიგიაა“.

ჩან ბუდიზმმა მკვლევართა აზრით, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მ. ჰაიდეგგერზე, ჟ.პ. სარტრზე, ა. კამიუზე, ზ. ფრეიდზე, კ. იუნგზე, ა. შვეიცერზე, მწერლებზე ჰესსეზე, სელინჯერზე და ა.შ. ჩან ბუდიზმის ზეგავლენას ამჩნევს ე. პოლიკარპოვი მხატვრების ვინსენტ ვან გოგისა და ანრი მატისის შემოქმედებაშიც.

ცხადია, ზემოხსენებულ რელიგიებს დიდი გავლენა ჰქონდათ ჩინეთის და რიგი სხვა ქვეყნების პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებებზეც. ჩინეთში „ლი“ – მორალური ნორმები, დიდ ზეგავლენას ახდენდა სამართალზე, უფრო სწრაფად სასჯელებზე – „სინ“-ზე, ხოლო მორალურ ნორმებზე თავის მხრივ, რელიგიები ზემოქმედებდნენ.

კონფუცი და შან იანი

შან იანს, იგივე გუნსენ იანს (ძვ. წ. 390-338 წ.წ.) ძველი ჩინეთისა და მსოფლიო პოლიტიკური აზრის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დამსახურებული და სამართლიანადაც.

ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძვ. წ. IV საუკუნეში ძველი ჩინეთის ტერიტორიაზე მდებარე შვიდ სამეფოთაგან ერთ-ერთში — ცინის სამეფოში. ის იყო ცინის ხელმწიფის — სიაო გუნის (361-338 წ.წ.) მინისტრი. ცინის სამეფოშიეე შან იანმა ჩაატარა საკუთარი მოძღვრების საფუძველზე შემუშავებული მნიშვნელოვანი სახელმწიფო რეფორმები.

მკითხველმა რომ უკეთ წარმოიდგინოს და გაიაზროს შან იანის ადგილი ჩინეთის პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში, ამისათვის ძალიან მოკლედ უნდა შეეხოთ ჩინეთის ძველი ისტორიის ზოგიერთ მხარეს და ჩინეთში პოლიტიკური აზრის, პოლიტიკური ფილოსოფიის მთავარ მომენტებს.

შან იანის დაბადებამდე — ძვ. წ. 390 წლამდე ჩინეთმა გაიარა მოვლენებით მდიდარი ისტორია. ჩინეთში მწარმოებლური მეურნეობის მაღალმა დონემ ხელი გაუმართა სახელმწიფოებრიობის წარმოშობას და უკვე ძვ. წ. XVI-XIV საუკუნეებში ჩამოყალიბდება ადრეკლასობრივი და საგულვებელია ამავე დროს ადრემონათმფლობელური ინის სახელმწიფო. ხსენებულმა სახელმწიფომ იარსება ძვ. წ. XVI-XI საუკუნეებში. სახელმწიფო და მისი დედაქალაქი პროვინცია ხენანისა და მის მახლობელ ადგილებში მდებარეობდა. ამ დროს უკვე არსებობდა იეროგლიფური დამწერლობა. უძველესი იეროგლიფური დამწერლობის ფრაგმენტებმა ე. წ. სამკითხაო ჩანაწერებმა ძვლებსა და სხვა მაგარ მასალებზე ჩვენამდე საკმაოდ მოაღწია. მათი რაოდენობა ათასზე მეტია. მათი გაშიფვრა არა ნაკლები მნიშვნელობის მეცნიერული გმირობაა, ვიდრე ვთქვათ ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობისა.

ინის სახელმწიფოს უკანასკნელი დედაქალაქი მდებარეობდა თანამედროვე ქ. ანიანის ახლოს. ინის სახელმწიფოში ძვ. წ. XI საუკუნეში ადგილი ჰქონია მწვავე პოლიტიკურ ბრძოლებსა და გათიშულობას, რითაც უსარგებლნია ჯოუს ტომს და ხსენებული სამეფო მოუსპია. XI-III საუკუნეები ჩინეთის ისტორიაში ჯოუს პერიოდად ითვლება. თვით ჯოუს სახელმწიფოც დაიშალა ძვ. წ. VII–VI საუკუნეებში რამოდენიმე დამოუკიდებელ სამეფოდ. მალე ჩინელი განათლებული ფენებისათვის სავსებით ცხადი გახდა, რომ სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული, აგრეთვე პოლიტიკური განვითარების გზაზე დიდ წარმატებებს ვერ მიაღწევდა. დაიწყო ფარული და აშკარა ბრძოლა ჩინეთის ხელახალი გაერთიანებისათვის, რაც საბოლოოდ ძვ. წ. III საუკუნეში ცინის ცენტრალიზებული იმპერიის შექმნით დამთავრდა. ამ ხანებში ჩაეყარა საფუძველი მსოფლიო მნიშვნელობის ჩინურ კულტურას.

ი. ნიდჰემის (Nicdham) აზრით, ჩინური ცივილიზაცია III-XIII საუკუნეებში თავისი განვითარების დონით, დაგროვილი გამოცდილების და ცოდნის ისტორიული სიმაღლით დასავლურ მასშტაბებს აჭარბებდა. ვ. მ. შტეინი თავის მხრივ აღნიშნავდა, რომ მართალია არავის მოუვა აზრად ამტკიცოს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის წარმოებით ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებები და ხალხის კულტურული მიღწევა ისტორიის არენაზე ყოველთვის ერთმანეთს სავსებით შეესატყვისებოდეს, მაგრამ უდავაოა, რომ მოწინავე კულტურა ყოველთვის აჩქარებს, ყოველთვის ხელს უშართავს ეკონომიკის განვითარებას და ჩვენის აზრით დავძენდით, პოლიტიკური აზრის განვითარებასაც.[13]

ჩინური პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში რომ კონფუციმ იგივე კუნ ფუ-ძიმ (551-479 წ.წ. ძვ.წ.) დიდი როლი ითამაშა, ეს საყოველთაოდ ცნობილია.

---

[13] „Ученые записки института Востоковедения", XXV. M., 1960, იხ. ვ. მ. შტეინის სტატია, „აღმოსავლეთის ხალხების წვლილი მსოფლიო კულტურის ისტორიაში", გვ. 323.

კონფუციმ, როგორც მოაზროვნემ, პედაგოგმა და სახელმწიფო მოღვაწემ ახალი სიტყვა და ახალი საქმე შემოიტანა ჩინეთის ისტორიაში. ის დაიბადა გაღარიბებული დიდგვაროვანის ოჯახში ლუს სამეფოში (თანამედროვე პროვინცია შანდუნი, ძიუიფუს მაზრა). ახალგაზრდობაში ის წვრილი სამეურნეო და სახელმწიფო მოსელე იყო, მაგრამ მოგვიანებით მან ჩინეთში დაარსა პირველი კერძო სასაწავლებელი, სადაც ღებულობდნენ არა მხოლოდ წარჩინებული და მდიდარი ოჯახების შვილებს, არამედ ყველას, მათ შორის მდაბიო ხალხის შვილებსაც და ამით გაკეთდა მნიშვნელოვანი საქმე. არისტოკრატიის მონოპოლიას უმაღლეს განათლებაზე საფუძველი ეცლებოდა. კონფუციის ხელმძღვანელობით მისი მოწაფეები სწავლობდნენ ჩინური პოეზიის უძველეს ძეგლს ე. წ. „სიმღერების წიგნს“ („შიძინ“), შემორჩენილ ისტორიულ საბუთებს, მუსიკას. კონფუცი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა საზოგადოებაში ქცევის წესებისა და რიტუალების შესწავლას. მას თვით რელიგიაშიც კი უპირატესად მისი რიტუალური მხარე აინტერესებდა.

განათლების უმთავრეს ამოცანად მას მიაჩნდა მოსწავლეებისათვის მაღალი სნეობრივი თვისებების გამომუშავება — ჰუმანურობისა და სამართლიანობის გრძნობის გამომუშავება. და რადგანაც ჰუმანურობისა და სამართლიანობის იდეალს ის წარსულში პოულობდა, კონფუციის მიმდევრებს ახასიათებდათ წინაპართა მიმართ პიეტეტი, ღრმა მოწიწების გრძნობა ძველი ჩვეულებების და მამა-პაპური წესების მიმართ. ამ მხრივ კონფუციმ გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. კონფუციის ყველა მიმდევარი ცდილობდა შეენახა თავისი წინაპრის ხსოვნა. ამ მხრივ ალბათ სიმპტომატურია ის გარემოებაც, რომ მხოლოდ ჩინეთი იყო და არის ის ქვეყანა, სადაც კაცმა შეიძლება იცოდეს თავისი საკმაოდ შორეული წინაპრის ვინაობა. ამ ცოტა ხნის წინათ კუნძულ ტაივანზე ცხ-

ოვრობდა კონფუცის პირდაპირი შთამომავალი – კუნ დე ჩენი. ის 77-ე თაობა იყო კონფუციისა, თუ პირველ თაობად თვით კონფუცის ჩავთვლით.

ჩინელი ისტორიკოსები ირწმუნებიან, რომ იციან კონფუცის წინაპრების ვინაობა ვიდრე ძვ. წ. XI საუკუნემდე.

კონფუცის მოძღვრების უმთავრესი ცნებაა ჰუმანურობა (ჟენი), რომელიც უმაღლეს მორალურ კატეგორიად ითელებოდა. ჰუმანურობიდან კონფუცის გამოყავდა ლის, ანუ თანაცხოვრების ნორმის ცნება. შესაძლებელია, რომ კონფუცის მოძღვრებას რაღაც საერთო ჰქონდეს უფრო ადრინდელი ხანის მკითხავების და მწერალთა სკოლასთან. კონფუცის მოძღვრების ძირითადი პრინციპი იყო წარსულისკენ ორიენტირება. მისთვის დამახასიათებელი იყო უკიდურესი ტრადიციონალიზმი, წარსულში ძებნა სოციალური იდეალების. გარკვეულად მისი მოძღვრება აიდეალებდა ადრეკლასობრივ და საგვარეულო არისტოკრატიის ბატონყმობის ხანას. მას თავი იმით მოჰქონდა, რომ ის შთამომავლობას გადასცემდა იმას, რაც წინათ არსებობდა და ახალს არაფერს არ იგონებდა. კონფუციისთვის მეფე, ხელმწიფე ეს არის სახელმწიფოს მამა. მეფეს ისეთივე ფუნქციები გააჩნია სახელმწიფოში, როგორც ოჯახის მეთაურს, სახლის უფალს პატრიარქალურ ოჯახში.

კონფუცის მოძღვრებაში, როგორც ეს შემჩნეულია ჩინეთის პოლიტიკური ფილოსოფიის შესახებ ნაშრომში, არ ჩანს იდეა სახელმწიფოს შესახებ, სახელმწიფო როგორც აბსტრაქცია; სახელმწიფო ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ ხელმწიფესთან და კონკრეტული მეფის გარეშე ის ვერ წარმოიდგინება. ამ მხრივ კონფუცის მოძღვრება ვერ ამაღლდა ევროპულ სიმაღლემდე.[14]

---

[14] იხ. ე. ს. პოტტი (Pott) „ჩინური პოლიტიკური ფილოსოფია", ნიუიორკი. 1925 (ინგლ). Chinese Political Philosophy.

კონფუცის მოძღვრების თანასმად პრინციპში მეფე ღმერთის ნებით მართავს სახელმწიფოს. პატრიარქალური ოჯახის, „სახლის უფალი“, მეფე უნდა იცავდეს ეთიკისა და რიტუალის ნორმებს. მისი ყოველი ქცევა, ნაბიჯი, ეტლებით სეირნობა, ჰარამხანა და ა. შ. მკაცრ ცერემონიას უნდა დამორჩილებოდა.

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მეფე მიუხედავად ყველაფრისა საკალდებულო ცერემონიებს არ დაიცავს და შეეცდება თვითნებურად მართოს სახელმწიფო და არა მინისტრი კონფუცისტის მეშვეობით, მაშინ ღმერთი თავის ღვთაებრივ, ციურ მანდატს შეცვლის... ცისქვეშეთის მართვის უფლებას ღმერთი („ზეცა“), კონფუცის მოძღვრების მიხედვით, აძლევს მხოლოდ მაღალი მორალური თვისებებით აღჭურვილ პიროვნებას, სათნო მმართველს, და თუ ხელმწიფე არ არის სათნო, მას ჩამოართმევს სამეფოს. ღმერთი ძალაუფლებას ჩამოართმევს უღირსებს, გარყვნილებს, ამორალურ მმართველებს.

ეს მოტივი – მოტივი უჯერო, უსამართლო მეფისათვის ღმერთის მიერ ძალაუფლების წართმევისა, კონფუცის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე ცნობილი იყო ძველ აღმოსავლეთში, მაგ., ძველ შუმერში, ძველ ბაბილონში, მაგრამ ის იქ ბედის შეცვლასთან იყო დაკავშირებული. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ნაწილში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ღმერთს ხელეწიფება ადამიანს ჯერ კეთილი ბედი დაუწეროს, მაგრამ მას, უმაღლეს არსებას, იმის უფლებაც აქვს, თუ საჭიროდ დაინახავს, ეს კეთილი ბედი ცუდით შეუცვალოს. ამიტომ ადამიანები ჩვეულებრივ ღმერთს ევედრებოდნენ, მათთვის კეთილი ბედი ცუდით არ შეეცვალათ. აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ერთ ძველ ბაბილონურ პოლიტიკურ თხზულებაში, რომელიც შედგენილი იყო ძვ. წ. VIII–VII საუკუნეებში, ნათქვამია, რომ „თუ მეფე პატივს არ სცემს სამართალს, მისი ხალხი აჯანყდება, ქვეყანა კი დაცარიელდება“. თუ თავის ქვეყნის სამართალს მეფე უპატივცემუ-

ლოდ ექცევა, ეა – ბედის მეუფე, მას ბედს გამოუცვლის და სხვა უარეს ბედს დაუნიშნავს: „თუ მეფე თავის მრჩეველ ბრძენს უპატივცემულოდ მოექცევა, მისი (მეფის) სიცოცხლე მოკლე იქნება. სამართლიან მეფეს კი დიდი ღმერთები კეთილ ბედს დაუნიშნავს. თუ მეფე მართალს შეავიწროვებს და სასამართლო დავას მტყუანის სასარგებლოდ გადაწყვეტს, ღმერთი შამასი და მიწის მსაჯული, მას სამეფოს წაართმევს და მის ქვეყანაში სხვას გაამეფებს“.

მაშასადამე, ძველი ბაბილონის პოლიტიკური ტრაქტატის ავტორის მიხედვით,[15] მართალია მეფის ბედი ზოგადად წინასწარ არის განსაზღვრული ბედის მეუფის – ეას მიერ, მაგრამ თუ ხელმწიფე უსამართლო იქნება, თავისი ქვეყნის სამართალს დაარღვევს, ღმერთი მას ბედს გამოუცვლის.

ბედის შეცვლის იდეა გვხვდება რუსთაველთანაც:[16] ავთანდილი ევედრება ღმერთს „ბედსა ნუ მიქცევ“-ო, ე. ი. ბედს ნუ „გამიცვლიო“ (სტრ. 233).

როგორც ვნახეთ, კონფუცის მოძღვრებაშიც იყო შედარებით პროგრესული, ჰუმანისტური ნაკადი, რომელსაც აუცილებლად მიეკუთვნებოდა სწავლება უსამართლო მეფისთვის ციური, ღვთაებრივი მფარველობის აღკვეთის შესახებ. „შუძინ“-ში, კონფუცის მოძღვრების შემცველ ამ მთავარ თხზულებაში საუბარი იყო იმის თაობაზე, რომ „ციური“, ღვთაებრივი განკარგულების თანახმად, სახელმწიფოს მართვის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მმართველებს, რომლებიც ხალხზე ზრუნავენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თვით კონფუცის ბედი არც სწამდა. „ჩვენ არ ვიცით რა არის სიცოცხლე, საიდან უნდა ვიცოდეთ რა არის სიკვდილი?“ ამბობდა იგი.

---

[15] ი. დიაკონოვი, „ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეების ბაბილონური პოლიტიკური თხზულება“, იხ. „ვესტნიკ დრევნეი ისტორიის“ №4, 1946, გვ. 44.

[16] გ. ნადარეიშვილი. „გამოთქმა „ბედსა ნუ მიქცევ“ ვეფხისტყაოსანში“, იხ. ქართული მწერლობა, №3, 1990, გვ. 115-119.

კონფუცის დროს ჯოუს იმპერია, წარმოშობილი ძვ. წ. 1027 წელს, უკვე კარგა ხანია დაშლილი იყო და წარმოებდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ცენტრისკენულ და ცენტრიდანულ ძალებს შორის. ისტორიული აუცილებლობა ცენტრისკენული ძალებისაკენ იხრებოდა. ჩინეთისათვის ძვ.წ. V-IV საუკუნეები იყო წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთ ნაკადად შედარების ხანა. წარსულში კი ჩინეთს ცენტრალიზებული სახელმწიფო გააჩნდა. ამ მხრივ წარსული არა აწმყოსაკენ, არამედ მომავლისაკენ იმზირებოდა.

კონფუცის სურდა, რომ რომელიმეს მრავალრიცხოვან სამეფოთაგან კონფუცი მიეწვია მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე და მისთვის ჩაებარებინა სახელმწიფოს მართვა ან თუნდაც მისი რჩევები მიეღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობასთან დაკავშირებით. ძვ. წ. 492 წლიდან 424 წლამდე კონფუცი და მისი უახლოესი მოწაფეები მოგზაურობდნენ სხვადასხვა ჩინურ სამეფოებში, მაგრამ ამაოდ. არავის არ სურდა კონფუცის მოძღვრება'ზე დაეყარებინა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. კონფუცი ისევ ბრუნდება თავის მშობლიურ ლუს სამეფოში და ვერ მოესწრება თავისი იდეების განხორციელებას.

კონფუცის გარდაცვალების შემდეგ (ძვ. წ. 479 წ.) მისმა მოძღვრებამ მისივე მოწაფეების ხელში გარკვეული ცვლილებები განიცადა. გავა არც თუ მცირე დრო და კონფუცის იდეები ამაღლდებიან სახელმწიფო დოქტრინის დონემდე, და ისინი გამოცხადდებიან „ათი ათასი თაობის" სახელმძღვანელო მოძღვრებად. ეს მოხდება ძვ. წ. 136 წელს და ვიდრე 1911 წლამდე, ჩინეთში კონფუცის მოძღვრება ოფიციალურად იყო აღიარებული, როგორც სახელმწიფო იდეოლოგია.

კონფუცის მოწაფეებმა მენ-ძიმ და სიუნ-ძიმ განავითარეს და რამდენადაც შეეძლოთ ჩამოაყალიბეს და განმარტეს მისი მოძღვრება.

ადრინდელი კონფუციანელებისათვის დამახასიათებელი იყო პატრიარქალურ-თემური ურთიერთობების გარკვეული ზეგავლენა. ამ დროს კონფუცის მიმდევრები ოცნებობდნენ „დიადი ერთობის“ საზოგადოების – „და ტუნ“-ის შექმნაზე, სადაც არ იქნებოდა ქვეშევრდომთა შორის ქონებრივი უთანასწორობა და სადაც აღგილი არ ექნებოდა ომსა და ურთიერთდაპირისპირებას, სადაც შვილები ღრმა პატივისცემით და მოკრძალებით მიიღებდნენ მშობლების დარიგებას და შეგონებას და სადაც მეფე ისევე იზრუნებდა თავის ქვეშევრდომებზე, როგორც პატრიარქალური ოჯახის თავი – „სახლის უფალი” ზრუნავს ოჯახის წევრთა კეთილდღეობაზე.

კონფუცის ეპოქამდე, კონფუცის წინარე ეპოქაში ძველ ჩინეთში არსებულან ქალაქი-სახელმწიფოები („გო“). ისინი ჯუჯა სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. მხოლოდ უდიდეს ქალაქ-სახელმწიფოში თუ ცხოვრობდა რამოდენიმე ათასი კომლი. ამ სახელმწიფოში ყველანი ერთმანეთს იცნობდნენ. აქედან წარმოიშვა შეხედულება სახელმწიფოზე, როგორც პატრიარქალურ მრავალწევროვან ოჯახზე. ამ გარემოებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ძველ ჩინურ ენაში, სადაც სახელმწიფოს ცნების გამომხატველი ტერმინი – „ზოძია“ ნიშნავდა ოჯახსაც და სახელმწიფოსაც, უფრო სწორად „ოჯახ-სახელმწიფოს“.

ძველი ჩვეულებისადმი მოწიწებითი დამოკიდებულება აისახა კონფუცის და მისი მიმდევრების შეხედულებებში. კონფუცი ჩვეულებით, დაუწერელ სამართალს უპირატესობას ანიჭებდა დაწერილი ჩვეულებებისა და ტრადიციების წინაშე, ის კანონმდებლობის კოდიფიკაციასაც კი უარყოფითად აფასებდა. როდესაც ძინის სამეფოში ძვ. წ. 513 წ. ვინმე ფან სიუან-ძიმ სპეციალურად დამზადებული სპილენძის დაფაზე ამოკვეთილი კანონების ტექსტი მიართვა მეფეს, კონფუციმ ასეთი საქციელი დაგმო იმ მოტივით, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა ძველ ტრადიციებს, ხოლო წეს-ჩვეულებებზე ხელის აღება კარგს

არაფერს გვიქადისო. კონფუცის აზრით, ახალი კანონების მიღებასა და პროპაგანდას ისა სჯობდა, რომ ცინის დინასტიის დამაარსებლის – ტან შუს კანონები კარგად შეგვესწავლა და შემდეგ კი განუხრელად განგვეხორციელებინაო.

კონფუცის მოძღვრებაში ეთიკას უფრო მაღალი ადგილი უჭირავს, ვიდრე სამართალს. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, კონფუცის ეთიკის საფუძველი იყო „ადამიანების", ჰუმანურობის („ჟენ") ცნება. ეს უკანასკნელი უნდა დადებოდა საფუძვლად ადამიანთა ურთიერთობას როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებასა და სახელმწიფოშიაც. ადამიანთა შორის ურთიერთობა ამასთან ერთად უნდა ეფუძნებოდეს წინაპართაგან ნაანდერძევ საოჯახო და საზოგადოებრივ იერარქიას. ამ ურთიერთობის მოწესრიგებაში ადამიანებმა უნდა იხელმძღვანელონ ქცევის წესით („ლი"), რომელიც გულისხმობს ხანდაზმულთა პატივისცემას ახალგაზრდების მხრივ, ხელმწიფის ერთგულებასა და ხელმწიფისათვის თავდადებას. კონფუცი ამბობდა: „ხელმწიფე უნდა იყოს ხელმწიფე, ქვეშევრდომი უნდა იყოს ქვეშევრდომი. მამა უნდა იყოს მამა, ხოლო შვილი უნდა იყოს შვილი".

ხელმწიფემ ხალხი უნდა მართოს არა უხეში ძალის გამოყენებით, არამედ ზნეობრივად სრულყოფილი საქციელის მეშვეობით, არა კანონებისა და სასჯელების წინაშე შიშით, არამედ სათნოებისმიერად. კონფუცის მოძღვრებაში მეფის მიმართ ვსვდებით მოწოდებას – ალხს ნუ დაბეგრავ მძიმე გადასახადებით, გლეხებს ნუ მოაცდენ თავიანთ მეურნეობაში გაცხოველებული მუშაობის დროს.

კონფუცის მიმდევრებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ სოციალურ პრაქტიკაში ასეთი იდეალური მეფე გამონაკლისებს წარმოადგენს და ამიტომ მათ იფიქრეს იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა მოიქცეს ხალხი მაშინ, თუ მეფე თავის მდგომარეობას ბოროტად იყენებს.

კონფუცის გამოჩენილმა მოწაფემ, ენ-ძიმ (ძვ. წ. IV-III სს.) გამოთქვა მოსაზრება, რომ ხალხს აქვს უფლება აჯანყდეს სასტიკი და უსამართლო მეფის წინააღმდეგ და დაამხოს მისი ძალაუფლება.

მართალია, კონფუცის ძველი ტრადიციები და ძველი სოციალური წყობილება, აგრეთვე „ცის ნაბოძები" მეფე მისაღებად მიაჩნდა, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა ზოგიერთი მეფის პოლიტიკა მიუღებლად ჩაეთვალა. ის წარსულში ეძებდა იდეალურ და სათნოებით აღსავსე მეფეებს და ასეთებად მიაჩნდა იაო, შუნი, ვენ–ვანი და უ-ვანი; ფაქტობრივად ადრეკლასობრივი საზოგადოების ბელადები და მთავრები.

ადრინდელმა კონფუციანობამ ასე თუ ისე დადებითი როლი ითამაშა ჩინეთის ისტორიაში. ის ხელს უმართავდა ხალხის და არა რომელიმე წოდების მიერ განათლების მიღებას. აგროვებდა სალხური შემოქმედების ნიმუშებს, ისტორიულ საბუთებსა და ქრონიკებს. კონფუცის მიმდევრებმა ჩაუყარეს საფუძველი ჩინურ ისტორიოგრაფიას. თვით კონფუცი და მისი მიმდევრები ისტორიას იყენებდნენ, როგორც ხალხის პატრიოტულად აღზრდის საშუალებას.

მაგრამ თანდათან ძვ. წ. მეორე საუკუნისათვის კონფუცის მოძღვრება მიესადაგა არსებულ სოციალურ პრაქტიკას და გახდა სახელმწიფოსათვის მისაღები იდეოლოგია.[17]

ძვ. წ. 124 წლის ჩინეთში დაარსდება უმაღლესი სკოლა კონფუცის მოძღვრების შესასწავლად. კონფუცის მოძღვრებამ ჩინეთში დადებითი როლიც ითამაშა და უარყოფითიც, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მისი დადებითი როლი მეტისმეტად პირობითია. ფრანგი სინოლოგი მ.

---

[17] H. Maspero, L. Chine antique, P. 1955.
H.G.. Creel, Confucius, the man and the myth, L., 1951.
O.Franke, Geklichte des chinesialen Reiches. Bd. 1. B. 1930.
M. Granet La pensee chinoise. P. 1934.
М. Рейснер, «Идеология Востока». М.. 1927.

გრანე კონფუცის მოძღვრებას ჰუმანისტურ იდეოლოგიად მიიჩნევს. ადრეულ პერიოდში კონფუცის მოძღვრების მეტნაკლებად დემოკრატიულ ხასიათს თავისი მისეზებიც გააჩნდა.

ვ. ა. რუბინის ნაშრომში „სახალხო კრებები ძვ. წ. VII-V საუკუნეების ჩინეთში" („ვესტნიკ დრევნეი ისტორიი", 1960 №4) ნათქვამია, რომ ადრეული ხანის კონფუცის მოძღვრებაზე გარკვეული ზეგავლენა იქონია ძვ. ჩინურმა პრიმიტიულმა დემოკრატიამ, რომელიც შემონახული იყო ჩინურ ქალაქ-სახელმწიფოში ძვ. წ. მეექვსე საუკუნემდე და სადაც შეიარაღებულ ხალხს საშუალება ჰქონდა სახალხო კრებაზე განეხილათ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი საკითხები.

კონფუცი წინააღმდეგობრივად მოაზროვნე იყო. ის კონსერვატორიც იყო და პროგრესისტიც.

მის მოძღვრებაში ადრეული ჯოუს ეპოქის დროინდელი სოციალური წყობილების და ზნეობრივი ნორმების აღდგენა გულისხმობდა პროგრესული სოციალური გარდაქმნების შესაძლებლობასაც, მაგრამ სოციალურმა პრაქტიკამ თანდათანობით ამ მოძღვრების უმწეობა წარმოაჩინა. ის უფრო მეტად მიესადაგა საზოგადოების განვითარებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორებს.

ჩინეთის ისტორია კაცობრიობის ისტორიის ნაწილია, ასევე ჩინური პოლიტიკური აზრის ისტორიაც კაცობრიობის პოლიტიკური აზრის ისტორიის ორგანული ნაწილია. ჩინური პოლიტიკური ფილოსოფიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის განვითარების პროცესის კანონზომიერებათა გასათვალისწინებლად. მართებულად მიუთითებდა ფრანგი სინოლოგი ედუარდ შავანი, რომ ჩინეთის ისტორიის ღრმად შესწაელის გარეშე შეუძლებელია მსოფლიო ისტორიის გაგებაო, მაგრამ ის არ იყო ბოლომდე თანამიმდევრული, როდესაც წერდა, რომ მწირ კონფუცისმიერ იდეებს არ შეეძლოთ არც ერთი სხვა ხალხის დაკმაყოფილება გარდა ჩინელებისაო, რომლებსაც განსაკუთრებული მორალი სჭირდებოდათ. როგორც ჩანს, კონ-

ფუცის მოძღვრების ფორმალურ-გარეგნული სიმწირე და პრიმიტივიზმი პირობითია. ის ასეთად ეჩვენება დიამეტრალურად განსხვავებულ კულტურულ გარემოში აღსრდილებს... მწირი იდეებით თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში ვერ იცხოვრებდა ისეთი დიდი კულტურის შემოქმედი ხალხი, როგორც ჩინელები იყვნენ.

კონფუცის ხანაში ჩინეთში ადამიანებს ჩვეულებრივად კეთილებად და ბოროტებად ყოფდნენ. კონფუცის და მისი მოწაფეების მოძღვრების მიხედვით ადამიანი თავისი ბუნებით კეთილია და ყოველი ადამიანი ვალდებულია სამართლიანი და კაცთმოყვარე იყოს. სამართლიანობა და ჰუმანიზმი მათ უმაღლეს მორალურ კატეგორიებად მიაჩნდათ. სამართლიანობისა და ჰუმანიზმის კერძო გამოხატულებად ითვლებოდა სახელმწიფოთა შორის დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა.

კონფუცის იდეალი იყო „ძიუნ-ძი" ანუ სრულყოფილი ადამიანი; ასეთი ადამიანი გამსჭვალული უნდა იყოს მორალური მოვალეობის გრძნობით. მოვალეობას კი ყოველი ადამიანი თითონვე აკისრებს თავის თავს. კეთილშობილი ადამიანი უპირისპირდება ანგარებიანს. კეთილშობილი მოვალეობის გრძნობით ხელმძღვანელობს, არაკეთილშობილი კი მხოლოდ თავისი საკუთარი ინტერესებით, ანგარებითი მოსაზრებებით. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონფუცი ადამიანებს ყოფს კეთილშობილებად და არაკეთილშობილებად. არა დიდგვაროვნობის, არა ქონების, არა დაკავებული თანამდებობათა მიხედვით, არამედ განათლების დონის, სიბრძნის, ჰუმანურობისა და ზნეობრივი სრულყოფილების სფეროში მიღწეული შედეგების მიხედვით.

კონფუცის მიმდევართა შეხედულებით სახელმწიფოს განმტკიცება და სხვა ხალხების დამორჩილება შეიძლება საკუთარი სათნოების სრულყოფით და მეზობელ ხალხებზე და ქვეყნებზე მორალური ზემოქმედებით.

ძვ. წ. VI-III საუკუნეების ჩინეთი თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით მეზობელ ხალხებსა და სახელმწიფოებზე მაღლა იდგა. თანდათან ჩინელთა წრეში ჩამოყალიბდება ეთნოცენტრიზმის იდეა, შეხედულება იმის შესახებ, რომ ჩინეთი მსოფლიო ცივილიზაციის ერთადერთი ცენტრია. ჩინეთი როგორც გეოგრაფიულად, ასევე კულტურულად მსოფლიოს ცენტრია, რომ ჩინელები გარემომცველ ბარბაროსებთან შედარებით მთელი თავით მაღლა დგანან. ამიტომაც ჩინელების ისტორიული გამოცდილების მნიშვნელობა აბსოლუტურია.

ჩინელი ისტორიკოსების ნაწილის მტკიცებით, ჩინეთი უძველესი დროიდან იყო განუმეორებელი და უძლიერესი კერა დიდი კულტურისა, წყარო უმნიშვნელოვანესი კულტურული რადიაციისა და რომ ჩინეთი ამ მხრივ არავისგან არაფრით არ არის დავალებული. ჩინური კულტურის აბსოლუტური ავტოქტონობის იდეა, ცხადია, მთლად ზუსტი არ არის.[18] ჩინური კულტურა და ცივილიზაცია, ისევე როგორც სხვა ცივილიზაციები, ნაყოფი იყო მუდმივი ეკონომიკურ-კულტურული კონტაქტებისა, ურთიერთზემოქმედებებისა და ა. შ. სხვა საქმეა, რომ რიგი საუკუნეების განმავლობაში ჩინეთი გარშემორტყმული იყო ისეთი ხალხებითა და სახელმწიფოებით, რომლებიც ჩინეთზე დაბლა იდგნენ საერთო განვითარების დონით. მაგრამ სასარგებლო კონტაქტებს მაინც ჰქონდათ ადგილი. ცნობილია, რომ სპარსეთსა და ჩინეთს შორის დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ურთიერთსასარგებლო კონტაქტები. მაგალითად, შვიდდღიანი კვირა ჩინეთში სპარსეთიდან ჩანს შესული. ჩინურად ლომს „ში“-ს ეძახიან, წარმოშობილია სპარსული "შრი“-დან. ჩინურ ცერემონიაში „ლომების ცეკვის“ სცენა სპარსულიდან ნასესხებად ითვლება. ამასთან, თვით ჩინეთმაც მოახდინა ზეგავლენა სპარსეთზე, მის ხელოვნებასა და მხატვრულ შემოქმედებაზე, მრეწველობაზე. აკად. ფ. ი. შმი-

---

[18] ვ. ა. რუბინი, „ძველი ჩინეთის იდეოლოგია და კულტურა“ (ოთხი სილუეტი). მოსკოვი. 1970 (რუსულ ენაზე).

ტის აზრით, X საუკუნეში ირანი თამაშობდა (შუა აზიელი თურქების მეშვეობით) შუამავლის როლს შორეული აღმოსავლეთისა და შუა საუკუნეების ევროპის კულტურათა შორის.

ვფიქრობთ, ახლა ჩვენ უფლება გვაქვს დავუბრუნდეთ ცინის მეფის – სიაო გუნის (ძვ. წ. 361-338 წ.წ.) მინისტრის, შან იანის მოძღვრებას და მის მიერ ჩატარებულ რეფორმებს.

შან იანი კარგად იცნობდა კონფუციისა და მო ძის (ძვ. წ. V–IV ს.ს.) მოძღვრებებს, მაგრამ მათ არ იზიარებდა და სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის საზიანოდაც კი თვლიდა.

კონფუციისა და მისი მიმდევრის - მენ ძის (ძვ.წ. 372–288 წ.წ.) მოძღვრებათა მიხედვით, ადამიანში კეთილი საწყისი ჭარბობს, ადამიანი კეთილია. კონფუცის სწავლებაში დიდი ადგილი ქონდა დათმობილი სინიდისს და კაცთმოყვარეობას, რომლებიც ლამპარივით უნდა უნათებდნენ ადამიანებს ცხოვრების გზას. შან იანს კი სინიდისი, როგორც ასეთი, საერთოდ არ აინტერესებდა. შან იანის აზრით, ადამიანი ბოროტი, ეგოისტი და ანგარებით სავსე არსებაა. ის თავისი საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს. იგი ფიქრობს, რომ ადამიანი, ბოროტი არსება, პირველყოვლისა მორჩილებაში შეიძლება ვიყოლიოთ სასჯელის მეშვეობით, სასჯელის შიშით. შან იანი, რა თქმა უნდა, არც ადამიანთა პირადი ინტერესების როლს ივიწყებდა და საჩუქრებისა და ჯილდოების მეშვეობით ხალხის მიმხრობას არ უარყოფდა, მაგრამ შიშის მეშვეობით ადამიანთა მართვას უფრო ეფექტურად თვლიდა. ასე რომ, ჯერ შიში და შემდეგ პირადი ინტერესი. აი, ადამიანთა მართვის საშუალებანი, აი ის ბერკეტები, რომლებითაც შეიძლება ადამიანები აიძულო ემსახურონ სახელმწიფოს.

სოციალურ-პოლიტიკური მოძღვრებანი ძველ ინდოეთსა და ძველ ჩინეთში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ინდოეთში დიდ პატივში იყო ირელიგიური კონცეფციები, ხოლო ჩინეთში სოციალურ-უტოპიური. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მეტ-ნაკლებად თითქმის შეთანხმე-

ბული იყო ერთმანეთთან რელიგიური და უტოპიური შეხედულებები.

თუ კონფუციისა და მენ-ძის მიხედვით, ადამიანებმა არ უნდა დაივიწყონ წარსულში არსებული ხანა და სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა ისეთ მაღალ მორალურ პრინციპებზე უნდა დააფუძნონ, როგორიცაა კაცთთმოყვარეობა და სამართლიანობა, შან იანის აზრით, ხსენებული პრინციპებით სარგებლობა და მით უფრო ხელმძღვანელობა, სახელმწიფოს დაღუპავდა.

შან იანი წარსული დროიდან მოღწეულ წეს-ჩვეულებებს აშკარად არ ებრძოდა, მათ არ განაქიქებდა, მაგრამ შორს იყო მათი გაიდეალებისაგან. მისი აზრით, თავის დროს, ძველებმა „ამოსწურეს თავიანთი გზა“ და დღევანდელობა მოითხოვს, რომ ახალი პირობების შესატყვისად ადამიანებმა ახალი გზით იარონ. სახელმწიფოებრივი მშენებლობის საფუძველთა საფუძველია მკაცრი წერილობითი კანონმდებლობა; როდესაც უფლებები და მოვალეობები კანონმდებლობით არის განმტკიცებული, მაშინ თვით ცბიერები და ქვეგამსედვარებიც კი ერთგულნი და პატიოსნები ხდებიან. ადამიანები ერთმანეთს პატივისაცემით ექცევიან, გულწრფელნი ხდებიან და თითოეული თავის თავს მართავს.[19]

რა თქმა უნდა, წერილობით განმტკიცებულ საკანონმდებლო ნორმებს ასეთი სასწაულმოქმედი ძალა არ გააჩნია, მაგრამ შან იანისთვის მთავარია ის, რომ მეფეს, როგორც უმაღლეს ხელისუფალს, უფლება უნდა ჰქონდეს დაუბრკოლებლად გამოსცეს ისეთი კანონი, რომელიც მას საშუალებას მისცემს შექმნას ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო...

თუ კონფუცი და მისი მიმდევრები წარსულში ხედავენ „ოქროს ხანას“ და წარსულს, ძველ დროს აიდეალებდნენ, მათი მოწინააღმდეგე ბანაკის გამოჩენილი წარმომადგენელი, მო-ძი (ძვ. წ. 479–400 წ.წ.) ფიქრობდა, რომ

---

[19] იხ. „შანის ოლქის მმართველის წიგნი“, ლ.ს. პერელომოვის თარგმანი (რუსულად), მოსკოვი, 1968, თავები 2, 13, 22.

უკეთესი მომავლის სახე წარსულში კი არ უნდა ეძებოთ, არამედ გონებისა და სიბრძნის საშუალებით ეს მომავალი თვითონ უნდა შეექმნათ.

მოიზმში კონფუციანელური კონსერვატიზმის წინააღმდეგ წამოყენებული იყო დებულება, რომ რაც კარგი იყო ძველად მას შეიძლება მივსდიოთ, მაგრამ მთავარია შეექმნათ მართებული და კარგი აწმყოში. ამისკენ მიმავალი გზაა ახალი ადამიანების, ახალი მოხელეების დაწინაურება სახელმწიფო თანამდებობებზე. ამ „ახალ" ადამიანებში იგულისხმებოდნენ არა ძველი საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენლები, არამედ თავისი ნიჭისა და უნარის, კეთილსინდისიერების მიხედვით დაწინაურებულები, მიუხედავად მათი გვაროვნობისა. როგორც კონფუციანელ, ასევე მო-ძისაც სახელმწიფო სათნოებად მიაჩნიათ ზომიერება, ფუფუნებაზე უარის თქმა და ა.შ.

მო-ძის ადარებდნენ ეპიკურეს, ლუკრეციუსს, ლოკს, ჟან-ჟაკ რუსოს და ა.შ. მაგრამ ამ შედარებებში მხოლოდ ჭეშმარიტების მარცელებია და არა მთელი ჭეშმარიტება. მო-ძი წინააღმდეგობებით აღსავსე მოაზროვნეა[20] და „ახალი" არისტოკრატიის, ძლიერი სახელმწიფოებრიობის და ცენტრალიზებული მონარქიის შექმნის გზებზე ის მერყეობს და ამ მხრივ უთუოდ ნაკლებად თანმიმდევრულია, ვიდრე შემდგომი იაობის წარმომადგენელი შან იანი, რომლის თხზულებაში ტოტალური სახელმწიფოს აპოლოგია უმაღლეს დონეზეა აყვანილი. მისთვის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოა უმაღლესი ფასეულობა.

შან იანმა საზიგადოების იდეალური ორგანიზაციის კონცეფცია ჩამოაყალიბა თავის ნაშრომში – „შანის ოლქის მმართველის წიგნი." შან იანის აზრით, მეფემ უნდა შემოიღოს სახელმწიფო მონოპოლია პურით ვაჭრობაზე, არმიის მომარაგებაზე, მარილისა და რკინის მოპოვე-

---

[20] იხ. მ. ლ. ტიტარენკო. „მოისტების ძველჩინური ფილოსოფიური სკოლა და მისი მოძღვრება". მოსკოვი. 1965. გვ 19-22 (რუს.)

ბაზე. შან იანი მეფეს წინადადებას აძლევდა, რომ პურზე მაღალი ფასების დაწესების მეშვეობით შეიძლებოდა სოფლის მეურნეობაში დაუსაქმებელი მოსახლეობის შემცირება. სახელმწიფოს შეუძლია ათჯერ გაზარდოს გადასახადები ღვინოზე და ხორცზე. სახელმწიფომ უნდა შემოიღოს საგზაო ბეგარა, აკრძალოს თვითნებური გადასახლება ერთი პროვინციიდან მეორეში. ის წინადადებას იძლეოდა აეკრძალათ ძვირფასი ტანსაცმლის ტარება, რაც შეიძლებოდა გაედიდებინათ დამუშავებული მიწის ფართობი. შემოღოთ უმკაცრესი სასჯელები და ამით დაემყარებინათ წესრიგი. თანაც მთელ სახელმწიფოში უნდა მოქმედებდეს უნიფიცირებული კანონმდებლობა. მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული სახელმწიფო მოხელეების საქმიანობა.

შან იანმა წამოაყენა იდეა, რომ მეფე აბსოლუტური ძალაუფლებით იყოს აღჭურვილი. მისი აზრით, ხელმწიფის, მეფის, იმპერატორის შეუზღუდველი ხელისუფლება საზოგადოების არსებობის უმაღლესი მიზანია. შან იანის მოძღვრებისათვის დამახასიათებელია ძლიერი, შეუზღუდველი სახელმწიფო ხელისუფლების თვითმიზნური გაფეტიშება, მისი თავისებური კულტი.

თუ მო-ძი სახელმწიფოს თვლიდა ისეთ მანქანად, რომელიც საყოველთაო სარგებლობისათვის უნდა გამოიყენოს სახელმწიფოს მესვეურმა, შან იანი პირდაპირ მიუთითებდა, რომ სახელმწიფო პირველყოვლისა არის მანქანა საკუთარი ხალხის დასამონებლად და დასამორჩილებლად, ხოლო შემდეგ. შესაძლებლობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ცისქვეშეთის დასაპყრობად. თუ მო-ძი მეფეს ურჩევდა ხელი აეღო აგრესიულ ომებზე და საერთოდ, თავიდან აეცილებინა ომი, შან იანი პირიქით, სამეფოს გაფართოებას ომების გზით მართებულად მიიჩნევდა. შან იანის კონცეფციის თანახმად, სახელმწიფო კი არ არსებობს ხალხისათვის, არამედ პირიქით, ხალხი არსებობს სახელმწიფოსათვის. სახელმწიფოს და ხალხს

შორის ანტაგონისტური, შეურიგებელი წინააღმდეგობაა. სახელმწიფოს მიზანია ხალხის მოთოკვა და მოქანცვა მძიმე ვალდებულებებითა და ბეგარით. სახელმწიფომ რაც შეიძლება მეტი უნდა მოსთხოვოს თავის ქვეშევრდომებს. „თუ სახელმწიფო ძალიან მცირეს მოსთხოვს ადამიანებს, ისინი არ მოისურვებენ არც ამ ძალიან მცირე ბეგარის შესრულებას“.[21] შან იანი ვერ ითმენდა განათლებულ ადამიანებს. ის მათ განიხილავდა, როგორც ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთ: თუკი, ამბობდა იგი, ყოველ ათას მეომარზე და მიწათმოქმედზე მოდის თუნდაც ერთი ჭკვიანი ორატორი, რომელმაც კარგად იცის „შინ ძინ“ და „შუ ძინ“, ხსენებული ათასი მიწათმოქმედი გაზარმაცდება, ხვნა-თესვას დაზარდება, ხოლო მეომარი გალაჩრდება...

შან იანი სახელმწიფოს მეთაურისთვის აღიარებდა თავდაპირველი მოქმედების პრინციპს. მისი კონცეფციით პოლიტიკური მოღვაწე თავისუფალია მორალური ნორმების დაცვისაგან. მიზანი ამართლებს საშუალებას. დიდი სახელმწიფოებრივი მიზნის მისაღწევად დასაშვებია მკვლელობაც კი. აქ უნდა მოვიგონოთ ერთი ადგილი შან იანის თხზულებიდან: „შენ ნუნის სახელი დიდებით არის შემოსილი ჩინეთში იმიტომ, რომ ის მოქმედებდა დროის სულის, დროის მოთხოვნილების შესაბამისად.“ შენ ნუნი იყო ლეგენდარული მმართველი ძველი ჩინეთისა, რომელიც გადმოცემის თანახმად, თითქოს მეფობდა ძვ. წ. 2737-2697 წლებში. შენ ნუნს თვლიდნენ ჩინეთში მიწათმოქმედების და აღებ-მიცემობის დამფუძნებლად. შან იანის აზრით, ადამიანმა უნდა გაიგოს დროის სული, დროის მოთხოვნილება. თუ ომის საშუალებით შეიძლება ომის მოსპობა, უნდა იომო. თუ მკვლელობის საშუალებით შეიძლება აღმოფხვრა მკვლელობა, უნდა გახდე მკვლელი და დასაშვებია ადამიანზე ხელის აღმართვა. თუ სასჯე-

---

[21] „შანის ოლქის მმართველის წიგნი“, 1968, (რუს.) გვ.172, 90, 211. „Книга правителя области Шан.“

ლის მეშვეობით შეიძლება დანაშაულობანი მოსპო, დასაშვებია სასტიკი სასჯელების გამოყენება.

სახელმწიფო უფლებამოსილია ნებისმიერად მოექცეს ქვეშევრდომთ, თუ ამის შედეგად ქვეყანა გაძლიერდება. ძლიერ მტერს მხოლოდ ის დაამარცხებს, ვინც პირველყოველისა, თავის საკუთარ ხალხს მოერევა. ამიტომაც მეფემ ხალხის დამორჩილების მიზნით პირველყოველისა წესრიგი უნდა დაამყაროს სახელმწიფოში. კარგი ლითონის მისაღებად კარგი მადანია საჭირო, რიგიანი მეთუნეობისათვის – კარგი თიხა. ქმედუნარიანი სახელმწიფოსათვის პირველყოველისა სასტიკი კანონია საჭირო – „ადამიანების საფუძველი არის კანონი“, ამიტომაც თუ საქმიანი ხელმწიფე კანონის საშუალებით ადამიანებს დაიცავს გადაცდომებისაგან, ის დიდებით შეიმოსება და მისი სახელმწიფო გაფართოვდება.

იმ მეფეს, ვინც თავისი ხალხის გულზრახვას და მისწრაფებას ომისაკენ წარმართავს, ხალხი ამაყი ეყოლება, ხოლო იმ ხელმწიფეს, ვინც ასე არ მოიქცევა, ხელში ლაჩარი, ქალაჩუნა ხალხი შერჩება. სახელმწიფოს ბრძენ მმართველს უნდა ესმოდეს, რომ მეომრის მეშვეობით მაინც არ შეიძლება ყველაფრის მიღწევა. მეფემ მთელი ხალხი უნდა გადააქციოს ჯარისკაცებად. არმიაში მთელმა ხალხმა უნდა იმსახუროს. თუ ადამიანები, ქვეშევრდომები ომს ისე უყურებენ, როგორც შემოსავლის წყაროს, როგორც მგლები – ხორცს, მაშინ სახელმწიფოს საქმე კარგად მიდის. ჩვეულებრივ ხალხს ომი არ მოსწონს, მაგრამ ის მეფე, რომელიც ხალხს ომს შეაყვარებს, შექმნის ძლიერ სახელმწიფოს.

შან იანის მოძღვრებაში მოცემულია უკვე დასრულებული მოდელი დესპოტური სახელმწიფოსი.

არსად, არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია არ იცნობს შან იანის ორეულს, რომელსაც ასე აშკარად ხალხის საწინააღმდეგოდ დაემოძღვროს სახელმწიფოს მეთური. შან იანის მოძღვრე-

ბიდან გამომდინარეობდა, რომ ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება ძლიერი ხალხისა და ძლიერი სახელმწიფოს არსებობა. ხალხი მხოლოდ ნედლი მასალაა ხელმწიფის ხელში და მეფეს უფლება აქვს ნებისმიერად მოექცეს ამ ნედლ მასალას. როგორც მექოთნე თიხისაგან ძერწავს ქოთანს, ასევე ხელმწიფეც სასურველ ფორმას აძლევს ხალხს.

შან იანმა თავისი წინამორბედისაგან შეითვისა შეხედულება, რომ ინდივიდი, ქვეშევრდომი, არის მხოლოდ სახელმწიფო მანქანის ჭანჭიკი. თვით სახელმწიფო მანქანა მას წარმოუდგენია, როგორც რაღაც სამხედრო-ბიუროკრატიული წარმონაქმნი.

შან იანის მოძღვრებამ სახელმწიფოს სამხედრო ფუნქციების შესახებ შემდგომი განვითარება ჰპოვა შუა საუკუნეების ჩინეთის ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსის, ლი გოუს (1009-1049 წ.წ.) ცნობილ ტრაქტატში – „სახელმწიფოს გამდიდრება, არმიის გაძლიერება, ხალხის დამშვიდება“, რომელიც ხსენებულმა პირმა ოცდაათი წლის ასაკში დაწერა. ლი გოუს აზრით, სახელმწიფოს ძლიერი შეიარაღებული ძალები ისევე სჭირდება, როგორც ბრჭყალები და ეშვები ვეფხვსა და ლეოპარდს. თუ ვეფხვს ბრჭყალები და ეშვები წამახული არა აქვს, ის ხორცის საკვებს ვერ იშოვის. თუ არმია არ არის ძლიერი, მეფე უბრალო ხალხის მართვასა და დაწყნარებას ვერ შეძლებს. იყენებდა რა ჩინური ფილოსოფიისათვის ტრადიციულ ფორმულას მთავარისა და მცირეხარისხოვანის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ლი გოუ ფიქრობდა, რომ არმია ქვეყნის პოლიტიკური მართვა-გამგეობის ზოგად პრინციპებს უნდა მიესადაგოს. არმია ქვეყნის პოლიტიკური წყობილების პროდუქტია. ლი გოუს[22] აზრით, „ჰუმანიზმი და სამართლიანობა სამხედრო საქმის ღერძია, ხოლო ძალა და სამხედრო ხერხი, სამხედრო ხრიკი მისი შტოებია. თუ მთავარსა და მეორეხარისხო-

---

[22] ზ. ვ. ლაპინა, „ჩინეთის ტრადიციული პოლიტიკური დოქტრინები და შუა საუკუნეების სამხედრო აზრი“. იხ. კრებული „ჩინეთი“. მოსკოვი. 1977. გვ 63-64 (რუს.)

ვანს ერთმანეთს შევუხამებთ და გამოვიყენებთ, მაშინ ჩვენ მტრები არ გვეყოლება“... როგორც ვხედავთ, ლი ბოუს შეხედულება უკვე კონფუცის მოძღვრების საბურველშია გახვეული. ავტორი ხარკს უხდის კონფუცის იდეას სამართლიანობისა და ჰუმანურობის შესახებ, თუმცა არსებითად ლეგიზმის მომხრედ ჩანს. კონფუცის მოძღვრებისა და ლეგიზმის სინთეზი უკვე ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეშივე ჩანდა. ცნობილი ფილოსოფოსი ვან ჩუნი (27-100 წ.წ.) მართებულად აღნიშნავდა, რომ მის დროს უკვე ძნელი შესამჩნევი იყო რაიმე არსებითი განსხვავება კონფუციანობასა და ლეგისტებს შორის.

საოცარია, მაგრამ ფაქტიაო, აღნიშნავენ სინოლოგები, რომ შან იანის მოძღვრებამ ითამაშა დიდი როლი ორთოდოქსული კონფუციანობის ჩამოყალიბებაში; გახდა რა მისი ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, გაამდიდრა კონფუცის მოძღვრება. თვით შან იანის მოძღვრება არ გაუჩინარებულა. ჩინელი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე ვან ან-ში (1021-1085 წ.წ.) არა თუ კარგად იცნობდა შან იანის მოძღვრებას, არამედ ცდილობდა კიდევაც ამ მოძღვრების ცალკეული დებულებების ცხოვრებაში გატარებას. კერძოდ, ვან ან-შიმ იმპერატორს ურჩია მიეღო ლეგისტების აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა სასტიკი სასჯელებით ვიბრძოლოთ სულ მცირე დანაშაულობის და გადაცდომის ჩამდენთა წინააღმდეგაც კი.

შუა საუკუნეების ჩინელ იურისტებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა შან იანის თხზულება. XIII საუკუნეში იმ პირს, რომელსაც რაიმე სახელმწიფო თანამდებობის დაკავების პრეტენზია ჰქონდა, შან იანის ნაწერები კარგად უნდა სცოდნოდა. შან იანის აჩრდილი დასტრიალებდა ჩინეთის სახელმწიფოსა და საზოგადოებას მთელი 2300 წლის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით ჩინელი მარქსისტები იგონებდნენ კიდევაც კარლ მარქსის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ყველა მკვდარ

თაობათა ტრადიცია კოშმარად აწევს ცოცხალთა ტვინს: „და რიდესაც ადამიანები თითქოს იმით არიან გართულნი, რომ თავისი თავი და საგნები გარდაქმნან, ჯერ არ არსებული შექმნან, რევოლუციური კრიზისის სწორედ ასეთ ეპოქებში ისინი მოკრძალებით იწვევენ დახმარებისათვის წარსულის სულებს, გადმოიღებენ მათ სახელებს, საბრძოლო ლოზუნგებს, ტანსაცმელს, რათა ძველ საპატიო სამოსელში და ამ ნასესხებ ენაზე მსოფლიო ისტორიის ახალი სცენა დადგან“... მაგრამ უნდა ითქვას, რომ შან იანის აჩრდილი დასტრიალებდა და დასტრიალებს ჩინეთს არა მარტო ე.წ. რევოლუციური კრიზისის ეპოქებში, არამედ უფრო ხშირად, უფრო მუდმივად, როდესაც კი სახელმწიფოს ეფექტური მართვის ამოცანები თავს იჩენდა... შან იანი და ლეგიზმი ყოველთვის იმათ მხარეზე დგებოდა, რომელთათვისაც სახელმწიფო იდგა საზოგადოებაზე და პიროვნებაზე მაღლა. ლეგისტებისათვის ხომ ინდივიდს, როგორც სახელმწიფოს „ჭანჭიკს“ იმდენად ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც ის დესპოტური სახელმწიფო მანქანის ნორმალურ მუშაობას უწყობდა ხელს.

შან იანის ტრაქტატის IV თავში მითითებულია, რომ თუ სახელმწიფოს კეთილშობილური სათნოების მეთოდებით მართავენ, ქვეყნად დამნაშავეების რიცხვი მასობრივად გაიზრდება. მდიდარი სახელმწიფო მეფემ ისე უნდა მართოს, თითქოს იგი ღარიბი იყოს. ეს ხალხს ასუსტებს და სახელმწიფოს აძლიერებს.

შან იანის აზრით, ბრძენმა ხელმწიფემ უნდა იცოდეს, რა არის აუცილებელი სახელმწიფოსათვის და ხალხი ამ აუცილებლობას დაუმორჩილოს. ხელმწიფე არ უნდა იყოს კაცთმოყვარე. ეს სათნოება სახელმწიფოს მეთურს არ სჭირდება. კაცთმოყვარე შეიძლება კაცთმოყვარედ დარჩეს სხვა ადამიანის მიმართ, მაგრამ არ შეუძლია აიძულოს სხვები, რომ მის მიმართ იყვნენ კაცთმოყვარე. ასევე კაცი სამართლიანი შეიძლება იყოს სხვების მიმართ, მაგრამ ის ამ სხვებს ვერ აიძულებს პირადად მის მიმართ იყვნენ სა-

მართლიანნი. კაცობრიულობით და სამართლიანობით სახელმწიფოს იდეალურად ვერ მოვაწყობთ. სახელმწიფოს სჭირდება ძლიერი და ნებისყოფიანი ხელმწიფე, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებით იხელმძღვანელებს.

შან იანის და მისი მიმდევრების აზრით, ხალხმა არ უნდა იცოდეს სახელმწიფოს მართვის მეთოდები და ტექნიკა. მეფემ აშკარად არ უნდა გამოაცხადოს რა უყვარს ან რა სძულს, რომ ამით უკეთ შესძლოს მოხელეთა ბუნების გამოცნობა...

შან იანის მიერ შემუშავებული კანონის მიხედვით ის, ვინც მტერს ტყვედ ჩაბარდებოდა, სიკვდილით უნდა დასჯილიყო, ხოლო მისი ოჯახის წევრები მონებად უნდა გაეხადათ. დასახული მიზნების განსახორციელებლად საჭიროა ქვეშევრდომთა აზროვნების უნიფიკაცია. არ არის სასურველი, როდესაც ყველა ადამიანს წარმოდგენა აქვს მოვალეობის შესახებ. ასეთ ქვეყანაში აუცილებლად მოხდება არეულობა და არმია დაკარგავს ბრძოლისუნარიანობას. ასეთი რამ რომ არ მოხდეს, მოლაყბეებისაგან უნდა გაწმინდოთ საზოგადოება.

შან იანის აზრით, მეფემ უნდა შემოიღოს კანონი, რომლის თანახმადაც ადამიანები ვალდებული იქნებიან თვალყური ადევნონ ერთმანეთს და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად ერთმანეთი გამოასწორონ. სახელმწიფოში ისეთი წესრიგი უნდა დამყარდეს, რომ შეუძლებელი გახდეს ჯგუფური დანაშაულის ჩადენა. სახელმწიფოში შემოღებული უნდა იქნას ურთიერთთავდებობის სისტემა გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს შორის. შან იანის წინადადებით, ცინის სამეფოში სასოფლო და საქალაქო თემის შიგნით ხუთ-ხუთი (ზოგან ათ-ათი) ოჯახი ერთმანეთთან დააკავშირეს ურთიერთთავდებობით. ეს ოჯახები ერთმანეთს ადევნებდნენ თვალყურს, ვინმე ხომ არ ჩადიოდა სახელმწიფო დანაშაულს. ამასთან, დანაშაულის დაფარვისათვის სიკვდილით სჯიდნენ, ხოლო დამსმენებს აჯილდოვებდნენ ისე, როგორც ჯარისკაცს,

რომელმაც მტერს მოკვეთა თავი. ურთიერთთავდებობის პრინციპი შან იანის წინადადებით გატარებულ იქნა არმიაშიც. თუ ერთ-ერთი ჯარისკაცი უღალატებდა სახელმწიფოს, ურთიერთთავდებობით დაკავშირებული ხუთეულის ოთხი სხვა უდანაშაულო წევრიც სიკვდილით ისჯებოდა.

შან იანმა, პირველმა ჩინეთის ისტორიაში, წინადადება მისცა მეფეს დაეწვათ სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ მიმართული სამეცნიერო ლიტერატურა. ეს იქნებოდა მისი აზრით, ეფექტური საშუალება ე. წ. „ტილებთან" ე. ი. იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლისა.

თუ კონფუცი კერძო სკოლებს აარსებდა და სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი განათლების მომხრე იყო, შან იანი ამ მხრივ უფრო რეაქციულ პოზიციებზე იდგა და უარყოფდა პოლიტიკური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სკოლის მიზანშეწონილობას.

ძველი ჩინეთის სამი ძირითადი სოციალუ-პოლიტიკური მოძღვრებიდან — კონფუცის მიმდევარ ტრადიციონალისტებიდან, ლეგისტებიდან და დაოსიზმის მქადაგებელთაგან სოციალურ პრაქტიკასთან მჭიდრო კონტაქტში პირველად ლეგისტები აღმოჩნდნენ. შან იანი მისი მფარველი მეფის გარდაცვალებისთანავე მხეცურად მოკლეს კარისკაცებმა. შან იანის მიმდევარი ცნობილი ლეგისტი ხან ფეი-ძი ციხეში დაიღუპა თავისივე კოლეგა-მეტოქის დასმენის შედეგად. მოისტები, რომელთა პროგრამაც სახალხო აჯანყების მონაწილეთა მოწონებით სარგებლობდა, სისხლში აბანავეს. დაოსიზმი კი მისტიკურ ჭაობში ჩაეფლო, მაგრამ მისი სოციალური იდეები მაინც ახდენდნენ ზეგავლენას ჩინეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან ვიდრე მეოცე საუკუნემდე.

თავის დროზე შან იანის მოძღვრების მიხედვით რეფორმების ჩატარებამ ჩინეთის შვიდი სამეფოდან ერთ-

ერთს საშუალება მისცა დაეპყრო მეზობელი სამეფოები და ქვეყანა ერთი მეფის განუსაზღვრელი ძალაუფლების ქვეშ გაეერთიანებინა. ამ მხრივ ჩინეთის ისტორიაში ცნობილია იმპერატორი ცინ ში-ხუანდი (259-210 წ.წ. ქრისტეს დაბადებამდე), რომელიც 48 წლის ასაკში გარდაიცვალა, მეფობდა 36 წლის განმავლობაში, იყო მეტისმეტად სასტიკი, ცბიერი და ხერხიანი პოლიტიკოსი.

ეს ის ცინ ში-ხუანდია, რომელმაც 460 კონფუცის მოძღვრების მიმდევარი განათლებული ჩინელი, ჩინური კულტურის საამაყო წარმომადგენლები ცოცხლად დაამარხვინა მიწაში.

ცინ ში-ხუანდი ცნობილი იყო იმითაც,რომ ის ლეგიზმის მომხრე იყო და ამდენად ის იზიარებდა შან იანის შეხედულებას, რომ ძლიერი სახელმწიფოს მიზანი ომია. თუ სახელმწიფო არ ომობს, ქვეყნის შიგნით მომრავლდებიან ე. წ. „სოციალური ტილები“ – ხალხისა და სახელმწიფოს მტრები, რომელთა შხამიც მოწამლავს ქვეყნის მოსახლეობას. თუ სახელმწიფო ომობს, ის ჯანსაღდება, შხამისაგან თავისუფლდება, მტრები კი იშხამებიან.

ძველი საბერძნეთის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები

ძველ საბერძნეთს პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი.

მართებულად აღნიშნავდა ერთი მკვლევარი:

„ჩვენ იძულებული ვართ ფილოსოფიაში, ისევე როგორც მრავალ სხვა დარგში, მუდამაც დავუბრუნდეთ იმ პატარა ხალხის მიღწევებს, რომელსაც უნივერსალურმა ნიჭმა და მოღვაწეობამ ისეთი აღგილი დაუმკვიდრა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, რომელსაც ვერც ერთი სხვა ხალხი ვერ დაიჩემებს.

ხოლო მეორე მიზეზი ისაა, რომ ბერძნული ფილოსოფიის მრავალრიცხოვან ფორმებში უკვე მოიპოვება ჩანასახში, წარმოშობის პროცესში თითქმის ყველა შემდგომი დროის მსოფლმხედველობათა სახეები“.

ძველი ბერძნების ღვაწლი პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებაია ისტორიაში რომ სათანადო დონეზე გამოვარკვიოთ, ამისთვის საჭირო იქნება დადგენა იმ სააზროვნო მასალისა, რაც მათ მზამზარეულად დახვდათ და აგრეთვე ჩვენება იმ სოციალური და პოლიტიკური მოვლენებისა, რომელთა წიაღშიც მათ უხდებოდათ ცხოვრება.

ძველ ბერძენ მოაზროვნეებს დახვდა აღმოსავლეთის ხალხთა კულტურული მიღწევები და ჰომეროსის პოემები „ილიადა“ და „ოდესეა“.

ჰომეროსმა დაამუშავა ზეპირი გადმოცემები ტროადის ომის შესახებ, რომელიც უნდა მომხდარიყო ქრისტეს შობამდე XIII საუკუნეში. თვით დიდ პოეტს უნდა ეცხოვრა ქრისტეს შობამდე მეცხრე თუ მერვე საუკუნეში. ფრანც დილმაგერის აზრით „ილიადას“ ოცდამეორე სიმღერის სახით ჩვენ ხელთა გვაქვს ევროპული ეთიკის უძველესი დოკუმენტი.

მაგრამ ევროპული ეთიკა აქილევსის კეთილშობილური ქცევით, რომელზეც ხსენებულ სიმღერაში ჰომეროსი მოგვითხრობს, არ შეიძლება შემოვფარგლოთ.

ოდისევსის საქციელიც „ევროპული ეთიკის“ კუთვნილებაა.

ჰომეროსი დიდი სიყვარულით აღწერს ბერძენ გმირთა სახეებს, მაგრამ ის შორსაა ა'ბრისაგან, რომ მისი გმირები ოქროს საუკუნე'ში ცხოვრობდნენ.

საომრად წასული ოდისევსი ოცი წლის შემდეგ ბრუნდება შინ. კუნძულ ითაკაზე საშინელი უწესრიგობაა. არ ჩანს, რომ ბა'ბილევსის არ ყოფნის დროს ვინმეს აქ დაემყარებინოს წესრიგი. სასიძოები თავაშვებულად იქცევიან. შურისძიებაც არსებობს და სისხლის საფასურის გადახდის ინსტიტუტიც. ამ უკანასკნელის შესახებ შეგვიძლია მსჯელობა ფარზე გამოსახული სცენის მიხედვით.

თვით ოდისევსი „გამჭრიახობით ზევსის დარი,“ მორალურად მისაბაძი ბა'ბილევსი არ არის. მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მას ყველა საშუალება მისაღებად მიაჩნია. საომრად მიმავალი ოდისევსი სწრაფმავალი ხომალდით შეივლის ეფირ'ში „რათა მერმეროსის ძის, ილოსისათვის ისრისპირების ამოსაწები შხამი ეთხოვა. გულთამხილავი ღმერთების ში'შით ილოსმა უარით გამოისტუმრა იგი“ („ოდისეა“. I. გვ. 259-263).

ჰომეროსის ეპოქაში საბერძნეთში არსებობდა მონობა. ამ სოციალურ მოვლენას ჯერ კიდევ თავისი თავი არ ამოეწურა. მას უარყოფითთან ერთად დადებითი მნიშვნელობაც გააჩნდა. მონობის გარეშე ბერძნული და რომაული კულტურა თავისი დიდი მიღწევებით, ვერ შეიქმნებოდა.

ჰომეროსს შემჩნეული აქვს მონობის უარყოფითი მხარე. მონა არ არის დაინტერესებული თავის შრომის შედეგებით და ამიტომ ის „საქმეს არ დაგიდევს.“

ამასთან, მონობა ადამიანის ფსიქიკას ცვლის. გულადი ადამიანი ლაჩრად გადაიქცევა.

„ოდისეა“-ში ვკითხულობთ:

„მონა საქმეს არ დაგიდევს. თუ ბატონი იმას მკაცრად არ უბრძანებს იმ'უშაოს, ის საქმეს ხელს არ მოჰკიდებს. ზევსმა მონის მწარე ხვედრი თუ არგუნა ადამიანს, მაშინ იგი გულადობას სანახევროდ მოსპობს მასში“... პოემის ზოგიერთ ხელნაწერში უკანასკნელი სტრო-

ფი განსხვაეებულად იკითხება: „ზევსმა მონის მწარე ხვედრი თუ არგუნა ადამიანს, მაშინ იგი ჭკუა-გონებას მას სანახევროდ წაართმევს“-ო. ერთი სიტყვით, ჩვენთვის ცხადია, რომ ჰომეროსისათვის მონობა თითქოს მიუღებელი სოციალური ინსტიტუტია, ან უმცირესი ბოროტებაა, ვინაიდან მონების გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია.

მონას აქ, თავის მხრივ, შეიძლება საკუთარი მონაც ჰყავდეს. მონა შეიძლება იყოს დამსახურებული და პატივცემულ ბატონის წინაშე – „ღვთაებრივი“.

მართებული ჩანს დიდი მეცნიერის, ა. ფ. ლოსევის თვალსაზრისი: „ჰომეროსი – ეს მთელი ენციკლოპედიაა თემურ-გვაროვნული წყობილებისა, დაწყებული მისი ყველაზე ველური ხანიდან და ძალიან ძლიერი, ძალიან მტკიცე შეფასებაა მომავალი ცივილიზაციის, საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლებისა“...

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰომეროსი ხედავს ძველი საბერძნეთის მიერ გადადგმულ დიდ ისტორიულ ნაბიჯს კლასობრივი, ცივილიზებული საზოგადოების მიმართულებით, მაგრამ ამჩნევს იმასაც, რომ ეს პროგრესი ნაწილობრივ რეგრესსაც – უკანდახევას ნიშნავს. ჰომეროსთან ჯერ კიდევ არ ჩანს სახელმწიფო, მაგრამ მისი აუცილებლობა იგრძნობა. ბერძენ ტომთა ლაშქარს ალყაშემორტყმული ტროას წინააღმდეგ სჭირდება ერთი ბასილევსის ძალაუფლება, ერთმმართველობა. ასეთ დროს სხვაგვარად არ შეიძლება.

ძველ საქართველოში არ ჩანს ჰომეროსის პოემების თარგმანი, მაგრამ „ილიადას“ ის ადგილი, სადაც ერთმმართველობის უპირატესობაზეა საუბარი, თარგმნილი იყო. ევსევი კესარიელის თხზულების, „წმინდა მოწამე პროკოპის წამების“ ქართულ თარგმანში, რომელიც VII საუკუნეს განეკუთვნება, ეხედებით ციტატას „ილიადიდან“ (III, 204-205) „არა კეთილ არს მრავალუფლებათა – ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფე“.

მოხეტიალის სახით მოელენილი ოდისევსი პენელოპას ეუბნება: „სადაც პატიოსანი, ღვთისმოშიში ბასილევსი სამართლიანად იქცევა, იქ კარგი მმართველობის შედე-

გად შავი მიწა უხვად იძლევა პურსა და ქერს, ხეები იხრება ნაყოფის სიმძიმით, წვრილი საქონელი მრავლდება, ზღვა მდიდარი იქნება თევზით და ხალხიც მისი მმართველობის ქვეშ ბედნიერად იცხოვრებს“ („ოდისეა“, XIX, 109-114).

ჰომეროსთან არ იხსენიება „ნომის“ (კანონი), მაგრამ იხსენიება „დიკე“ – ჩვეულება, სამართლიანობა. ღირებულების საზომად უმთავრესად იხსენიება ხარი და ცხვარი, სპილენძის, ვერცხლის თუ ოქროს ნაჯერი, თასი და ა. შ. სპილენძის სამფეხი ღირს 12 ხარი, მონა-ქალი– 4 ხარი, ზოგიერთი დახელოვნებული მონა ქალი შეიძლება ღირდეს 20 ხარი და ა. შ.

ქრისტეს შობამდე IX-VI საუკუნეებში ძველმა საბერძნეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ ეკონომიკის, კულტურისა და აზროვნების განვითარებაში. მიმდინარეობს სახელმწიფოებრიობის ქმნადობის პროცესი.

შეიქმნა ანბანური დამწერლობა. დაიწერა ჰესიოდეს „სამუშაოები და დღეები“. ავტორს არ მოსწონს პატრიარქალური ურთიერთობის რღვევის პროცესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქრისტეს შობამდე VIII-VII საუკუნეების საბერძნეთში. ჰესიოდესთვის „ოქროს საუკუნე“ შორეულ წარსულში არსებობდა... სამართლიანობა არ არსებობს. ძლიერი ჩაგრავს სუსტს. იმედად რჩება ზეგსის მართლმსაჯულება და შურისძიება.

ხსნებულ ეპოქაში ერთ-ერთმა შვიდ ბერძენთაგან, სოლონმა იხსნა ათენი სამოქალაქო ომისაგან. სოლონი (ძვ. წ. 638-559 წ.წ.) შეებრძოლება სავალო მონობას და სპობს მას. შეარიგებს მებრძოლ მხარეებს. მოქალაქეთა ქონებრივ მდგომარეობას დაუკავშირებს მათსავე პოლიტიკურ უფლებებს: ხელს უწყობს ხელოსნობის განვითარებას... კანონით მემკვიდრეობის გვერდით აწესებს ანდერძით მემდკვიდრეობას. მისი იდეალია ისეთი დემოკრატიული წყობილება, სადაც მოსახლეობის საშუალო ფენები ითამაშებენ გადამწყვეტ როლს, ხოლო მდაბიოებს ექნებათ უფლება აირჩიონ მაღალი თანამდებობის პირები და თვალყური ადევნონ მათ საქმიანობას.

პითაგორა

პითაგორა (ბერძნულად „პითაგორას“) ცხოვრობდა ქრისტეს შობამდე 580-500 წლებში.

პითაგორა იყო დიდი ფილოსოფოსიც და დიდი მათემატიკოსიც. საშუალო სკოლიდან ყველა მოწაფემ იცის პითაგორას თეორემა, რომელიც დაიწერა 2500 წლის წინათ. პითაგორას ღვაწლად ითვლება პლანიმეტრიის ჩამოყალიბება, რომელიც სწავლობს სიბრტყეზე მდებარე ფიგურების თვისებებს. მას სხვა მრავალი დამსახურებაც აქვს მეცნიერების წინაშე. თუ არ ვცდები, ცნობილი ბერნარდ შოუ მას სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერად თვლიდა. არის სხვა მოსაზრებაც: ვალენტინ ფერდინანდის ძე ასმუსი თავის ცნობილ ნაშრომში „ანტიკური ფილოსოფია“ (მოსკოვი, 1976), მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს პითაგორა არსიტოკრატიული რესპუბლიკის მომხრე იყო და დემოკრატიას ებრძოდა, უარყოფს. არა და მრავალ სახელმძღვანელოში და მონოგრაფიაში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია გამოთქმული.

ბიოგრაფიული ცნობები ასეთია: პითაგორა დაიბადა კუნძულ სამოსზე, აღმოსავლეთ საბერძნეთში. ქრისტეს შობამდე დაახლოებით 532 წელს ის გადასახლდა სამხრეთ იტალიაში. პითაგორას არ მოეწონა ტირან პოლიკრატეს ხელში გადასვლა ძალაუფლებისა კუნძულ სამოსზე. პითაგორამ სამხრეთ იტალიაში დააარსა რელიგიური თემი. ამ თემის წევრთა შორის ჩამოყალიბდება შეხედულება ადამიანის სულის შესახებ, რომელიც სხეულის, როგორც ციხის ტყვეობაში იმყოფება. სული კეთილი საწყისია ადამიანში.

ასმუსის მართებული მოსაზრებით, არ არსებობს სანდო მტკიცებულება იმ მოსაზრების სასრგებლოდ, რომ პითაგორას მიერ დაარსებული საზოგადოება იყო წმინდა პოლიტიკური კავშირი და რომ ეს კავშირი პოლიტიკურ ბრძოლაში არისტოკრატების მხარეზე გამოდიოდა.

როდესაც პითაგორას მიერ დაარსებულ საზოგადოებას ქ. კროტონში მცირე დროით ხელთ ეპყრა ძალაუ-

ფლება, პითაგორელთა წინააღმდეგ გაილაშქრეს არა დემოკრატებმა, არამედ სწორედ არისტოკრატებმა, კილონმა და სხვა მდიდარმა მოქალაქეებმა. პითაგორელები დამარცხდნენ და იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ დემოკრატიული მმართველობის ქვეშ მყოფ ქალაქში – ტარენტში. როგორც ჩანს, პითაგორამ სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა მეტაპონტში. იქვე გარდაიცვალა.

პითაგორას აზრით, ადამიანებს ღმერთებისაგან ებოძათ ორი უმშვენიერესი ძღვენი: სიმართლის თქმისა და სიკეთის ქმნის ნიჭი. ერთიც და მეორეც უკვდავთა ბუნებას ანათესავებს მათ.

პითაგორას ნაწერებს თავისი პირველადი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი გარდაცვალების შემდეგ მის მიმდევართა ხელში მისი მოძღვრება მეტ-ნაკლებად გადასხვაფერდა, მან გარკვეული ევოლუცია განიცადა.[23]

ვარაუდობენ, რომ პითაგორას სწამდა, რომ ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი სული სხვა არსებაში გადასახლდებოდა.

ქრისტეს შობამდე V-IV საუკუნეებში, ბერძნული კულტურის აყვავების ხანაში პითაგორას მიმდევრები დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ეს ჩანს არისტოტელეს ცნობებიდანაც. ისინი ძირითადად მათემატიკით იყვნენ დაინტერესებულები.

არსიტოტელეს ცნობით, პითაგორელებს რიცხვებამდე დაყავდათ სამართლიანობა, სული, გონება, საქმისთვის ხელსაყრელი დრო და ა. შ.

დაყავდათ რა საგნები რიცხვებამდე, პითაგორელები ეძებდნენ სამყაროს კანონზომიერებას და ამ კანონზომიერების გამოხატულებად რიცხვები მიაჩნდათ.

პითაგორელთა შორის გაჩნდა შეხედულება დედამიწის სფეროსებური ფორმის შესახებ. ეს იყო ახალი ნაბიჯი მეცნიერებაში.

---

[23] В.Ф. Асмус, „Античная философия". М., 1976, стр. 28-29. 134.

ქრისტეს შობამდე V საუკუნეში პითაგორას მიმდევრებმა წამოაყენეს ანტიკური ხანის მეცნიერების კორიფე მედიცინაში – ალკმეონი.

ალკმეონს ეკუთვნის აღმოჩენა, რომ ადამიანის სულიერების და აზროვნების პროცესების ორგანოა არა გული, არამედ ტვინი. მანამდე ასეთ ორგანოდ გული მიიჩნეოდა.

ალკმეონმაავე დაადგინა განსხვავება ცხოველებისთვის დამახასიათებელ აღქმასა და აზროვნების უნარს შორის, რომელიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს. მანვე აჩვენა, რომ შეგრძნებანი ტვინამდე აღწევენ განსაკუთრებული გზებით, რომლებიც გრძნობის ორგანოებს ტვინთან აერთებენ. ვ. ფ. ასმუსის მართებული მოსაზრებით ალკმეონსავე ეკუთვნის მცდელობა თვალისმიერი გრძნობითი აღქმის ახსნისა. გაგვაჩნია ინფორმაცია, რომ ნეოპითაგორელები ქრისტეს შობამდე პირველ საუკუნეებშიც განაგრძობდნენ მოღვაწეობას.

იცნობდნენ თუ არა პითაგორას ძველ საქართველოში, კერძოდ იცნობდა თუ არა მას ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი?

1955 წელს მაშინ ახალგაზრდა მკვლევარმა, ამჟამად აკადემიკოსმა, გურამ თევზაძემ გამოსთქვა სავსებით დასაბუთებული მოსაზრება ამის შესახებ და აჩვენა, რომ იოანე პეტრიწი კარგად იცნობდა პითაგორას ფილოსოფიას.[24]

გ. თევზაძის მართებული მოსაზრებით, ი. პეტრიწი ცდილობდა რიცხვთა პითაგორულ-ნეოპლატონური კომბინაციებით დაესაბუთებინა სამების ძალა.

პითაგორელთა შეხედულებით, ერთი არც კენტია და არც ლუწი. ხოლო კენტ რიცხვს აქვს უპირატესობა ლუწის წინაშე.

იოანე პეტრიწის აზრით, შეიდი განსაკუთრებული თვისებებითაა დაჯილდოებული, რადგან იგი არა მარტო

---

[24] გ. თევზაძე, „პეტრიწის „ბოლო -სიტყვაის“ ერთი ადგილის გაგებისათვის.“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI, №9, 1955, გვ. 739-744.

კენტი რიცხვია, არამედ მესამე კენტი რიცხვიცაა (3,5,7) და მასში სამების ძალაა.

ამიტომაც შვიდი თვის შემდეგ დაბადებული ბავშვი გადარჩება, იცოცხლებს.

საკვარაუდოა, რომ შვიდის (7-ის) ღვთაებრივი მნიშვნელობა პითაგორას და მის მიმდევრებს შეთვისებული ჰქონდათ მითოლოგიისაგან.. გავიხსენოთ, რომ საქართველოშიც „შვიდი“ ბედნიერ რიცხვად ითვლებოდა. საქართველო შვიდ სამეფოდ იხსენიებოდა წყაროებში, თუმცა სინამდვილეში ის არ შედგებოდა შვიდი სამეფოსაგან. ძველ საბერძნეთში არსებობდა წიგნი „რიცხვ შვიდის შესახებ“, რომელსაც ჰიპოკრატეს მიაწერდნენ, მაგრამ შესაძლოა იგი იონელი ფილოსოფოსების სკოლიდან მომდინარეობდა.

პროფ. გ. თევზაძის აზრით, იოანე პეტრიწი, პითაგორას იტალიელ ფილოსოფოსად მოიხსენიებს, ისევე როგორც არისტოტელე თავის „მეტაფიზიკაში“.

ავტორი პეტრიწის აზრს ასე გადმოსცემს: „ბუნების მიმართ ისილე მოქმედება კენტი რიცხვისა, რომელიც არის სამი. თუ დედის საშოში პირველ სრულქმნისა, ბავშვს ცხრა თვეს დააკლდეს და რვა თვის დაიბადოს, არ გადარჩება. ხოლო 7 თვის რომ დაიბადოს, გადარჩება. ეს იმიტომ ხდება, რომ იმ პირველი სამისაგან შვიდი მესამედ მოდის, რადგან პირველი კენტი რიცხვი არის სამი, მეორე – ხუთი, მესამე კი ის ყოველად განთქმული შვიდი, რომელიც არცა შობს და არც იშობება და რომელსაც იტალიელთა (პითაგორელთა) მთელმა მოძღვრებამ როგორც ქალწულს პატივი სცა და მიემსახურა.

პეტრიწის აზრით, რიცხვთა თეორია ეთანხმებოდა ქრისტიანობას და განამტკიცებდა სამებისადმი რწმენას.

ჰერაკლიტეს პოლიტიკური შეხედულებანი

ჰერაკლიტეს დაბადების წელი სადაოა: ქრისტეს შობამდე 544 თუ 540. ის გარდაიცვალა 480 წ. დაბადებულია ეფესოში, არისტოკრატულ ოჯახში. ის ითვლებოდა თავისი ეპოქის ერთ-ერთ დიდ მოაზროვნედ, ადრეული ხანის ცნობილ ფილოსოფოსად და დიალექტიკოსად, დიალექტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ჩვენამდე ჰერაკლიტეს ნაშრომები მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის მოღწეული. ამიტომაც ძნელია მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე მსჯელობა. სულ მოღწეულია 130 ფრაგმენტი. თუ ერთ-ერთი ფრაგმენტის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჰერაკლიტეს აზრით ძალაუფლება სახელმწიფოში ხელთ უნდა ეპყრას არა ხალხის უმრავლესობას, არამედ „საუკეთესოებს" უმცირესობის წრიდან. როდესაც მის მშობლიურ ქალაქში გვაროვნულმა არისტოკრატიამ ძალაუფლება დაკარგა და ხელისუფლების სათავეში მდაბიოები მოვიდნენ, ფილოსოფოსს ეს არ მოეწონა და ბრბოს ბატონობად აღიქვა ეს გარემოება. მისი აზრით, დემოსის მასწავლებელი ბრბოა– ხალხის უმრავლესობა სიმპატიას არ იმსახურებს, ცუდია და ისინი მხოლოდ თავის მუცლის ამოყორვაზე ფიქრობენ ცხოველების მსგავსად.

ფილოსოფიის ისტორიკოსთა ნაწილის აზრით, ჰერაკლიტეს ახასიათებდა არა მარტო სულიერი, არამედ პოლიტიკური არისტოკრატიზმი. მას სასტიკად არ მოსწონდა თავისი თანაქალაქელების, ეფესოელების საქციელი და ერთ-ერთ (121) ფრაგმენტში ნათქვამია, რომ ეფესოელები იმის ღირსნიც კი არიან, რომ უფროსმა თაობამ ერთმანეთი ამოწყვიტოს და გზა დაუთმოს არასრულწლოვანებს. ეს იმიტომ, რომ მათ თავიანთი საუკეთესო ადამიანი, გერმოდორი გააძევეს და თქვეს: დაე ჩვენ შორის ნურავინ იქნება საუკეთესო. და რადგან ასეთი გამოჩნდა, დაე მან იცხოვროს სხვაგან და სხვებთან. ცხადია საზოგადოება, რომელიც თავის საუკეთესო შვილებს თავიდან იშორებს, მიუღებელია მოაზროვნისათვის.

თეითონ ჰერაკლიტე თავს არიდებდა პოლიტიკურ მოღვაწეობას ალბათ იმიტომ, რომ მისი იდეები არ გაიზიარა მისმა სამშობლო ქალაქმა. ის განმარტოებულა და დაუწერია ნაშრომი „ბუნების შესახებ“, რომლის მეორე ნაწილში საუბარი ყოფილა სახელმწიფოს შესახებ, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია. ზოგიერთ მკვლევარს (მაგ., პოლ ტანნერის) მიაჩნია, რომ ჰერაკლიტე იმდენად „ფიზიკოსი“ კი არ იყო, რამდენად „ღვთისმეტყველი“. ასე თუ ისე, მისი საბუნებისმეტყველო ნაშრომების ფრაგმენტები ცოტაა მოღწეული და რაც მოღწეულია, მათ ამსგავსებენ ეგვიპტელ და ბაბილონელ მოაზროვნეთა ნაშრომებს. ჰერაკლიტეს თვლიდნენ ღრმა, მაგრამ „ბნელ“ მოაზროვნედ, ისეთ ფილოსოფოსად, რომლის გაგებაც ძნელია.

ჰერაკლიტეს აზრით, სამყაროს (კოსმოსის) სახეა „მარად ცოცხალი ცეცხლი, ზომის თანახმად აგიზგიზებული და ზომის თანახმად ჩამქრალი“.

ეს ცეცხლი მისი აზრით, არ შეუქმნია არავის, არც ღმერთთაგან და არც კაცთაგან. იგი მუდამ იყო, არის და იქნება... ჰერაკლიტეს ღმერთები სამყაროს შემქნელები არ არიან.

ჰერაკლიტეს ფილოსოფიის სამი ძირითადი ფილოსოფემა, ანუ სიტყვა–ცნება იყო „ბრძოლა“, „დრო“ და „ლოგოსი“.

ბერძნული „ლოგოს“ ნიშნავდა სიტყვას, გონებას, ცნებას. შეიძლება ითქვას, რომ ჰერაკლიტეს ლოგოსის ქვეშ ესმოდა სამყაროს განვითარების კანონზომიერება, სამყაროს გონებრივი საფუძველი.

„ბრძოლის“ ქვეშ იგულისხმებოდა დაპირისპირებულ არსთა ერთობლიობა და ამით განპირობებული ჰარმონია, ხოლო „დრო“ ფილოსოფიის ისტორიკოსთა აზრით უნდა ნიშნავდეს სამყაროს ქმნადობის პროცესის წინასწარ განუპირებლობას.

ჰერაკლიტეს, სავარაუდოა, სამართალი არ მიაჩნდა ღვთაებრივი წარმოშობის სოციალურ ფენომენად. სამართლებრივი და პოლიტიკური შეხედულებები უნდა ეთანხმე-

ბოდნენ ლოგოსს, სამყაროს განვითარების საერთო კანონზომიერებას. ადამიანებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაში. ხალხმა ისე უნდა დაიცვას საკუთარი კანონები, როგორც სამშობლო, როგორც ქალაქის კედლები.

„კრატილუს"-ში პლატონი გადმოგვცემს ჰერაკლიტეს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ სამყაროში ყველაფერი მოძრაობს და არაფერი რჩება უძრავი, ამიტომ შეუძლებელია ორჯერ შევიდეთ ერთსა და იმავე მდინარეში. მას მიეწერება გამოთქმა „პანტა რეი" – ყველაფერი მიედინება. მისი ყველაფერი მოძრაობს და ყველაფერი იცვლება. ცვლილებები და მოძრაობა ჰერაკლიტეს დიალექტიკურად ესმის. ეს ერთი და იგივე ნივთი კიდეც არსებობს და არც არსებობს.

რა თქმა უნდა, ჰერაკლიტეს თვით კანონზომიერების ცნება ისე არ ესმოდა, როგორც იგი ახალი და უახლესი დროის დიდ მოაზროვნეებს ესმით. ძნელია ვამტკიცოთ ჰერაკლიტეს მატერიალისტობა, თუ გონებრივი საფუძველი აქვს სამყაროს. ვ. ფ. ასმუსი ფიქრობდა და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ ჰერაკლიტე კანონზომიერების ცნებამდე არა ბუნებაზე დაკვირვებიდან მოვიდა, არამედ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების მოვლენების ანალიზის შედეგად და აქედან ის გადაიტანა ბუნებაზე.

ჰერაკლიტესთვის კანონი იყო ერთის ნებისადმი დამორჩილება მრავალთა მხრივ.

ჰერაკლიტე არ იყო თავისუფალი მითოლოგიური ცნებების და წარმოდგენებისაგან. მისი აზრით, მზემ რომ თავის მოძრაობის გზას გადაუხვიოს, მას ერინიები – სამართლის დამცველები დასჯიან.

ჰერაკლიტეს აზრით, არაფერს არა აქვს აბსოლუტური ღირებულება: ვირს ჩალა ურჩევნია ოქროს, ხოლო ადამიანების თვალში ოქრო სჯობს ჩალას, ადამიანები ბანაობენ სუფთა წყალში, ხოლო ღორები ტალახს ამჯობინებენ მას.

ჰერაკლიტეს აზრით ბუნების კანონთა შეცნობა ძნელი საქმეა. „ბუნებას... დამალვა (გაუჩინარება) უყვარს".

როგორც ჩანს, ჰერაკლიტე ძალიან მაღალი შეხედულების იყო ჰომეროსზე. ის მას თელიდა ერთად აღებულ ყველა ელინზე უფრო ბრძენად.

დიდი გერმანელი ფილოსოფოსის, ჰეგელის აზრით, ჰერაკლიტეს ფილოსოფიაში არ არის არც ერთი დებულება, რომლის გაზიარებაც მას არ შეეძლოს, რომლის მითვისებაც მას არ უნდოდეს საკუთარ ფილოსოფიაში.

ფერდინანდ ლასსალმა დაწერა დიდი მონოგრაფია ჰერაკლიტეზე, სადაც ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჰერაკლიტე იყო ძველი სამყაროს ჰეგელი. ეს აზრი უთუოდ გადაჭარბებულია და მცდარი.

დემოკრიტეს პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები

დემოკრიტეს (ძვ. წ. 460-370 წ.წ.) სახელგანთქმულ ფილოსოფოსად თვლიდნენ უკვე ანტიკურ ხანაში. ბერძნულად მისი სახელი გამოითქმის როგორც „დემოკრატოს“.

მეცხრამეტე საუკუნეში დემოკრიტეს ფილოსოფიით დაინტერესდება კარლ მარქსი, რომლის სადოქტორო ნაშრომის თემაც იყო „განსხვავება დემოკრიტესა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“.

დემოკრიტეთი დაინტერესდება ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი სერგი დანელიაც ნაშრომში „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში (დემოკრიტე)“.[25] დიდია დემოკრიტეს ფილოსოფიისადმი ინტერესი საერთოდ ფილოსოფოსთა შორის. არისტოტელე ხაზს უსვამდა დემოკრიტეს უნივერსალურ ცოდნას და აღნიშნავდა: „დემოკრიტე ყველაფერზე აზროვნებდა“, ხოლო კარლ მარქსს ის მიაჩნდა ყველაზე დიდ ენციკლოპედურ გონებად.

ს. დანელია სვამდა კითხვას: ვინ იყო ის ბრწყინვალე გენიოსი, რომელმაც ასეთი ამაგი დასდო მთელ კაცობრიობას ატომისტური ფილოსოფიის შექმნით? — ცხადია, ეს გენიოსი იყო დემოკრიტე; თუმცა არიან ისეთი ფილოსოფიის ისტორიკოსებიც, რომლებიც ლევკიპეს ასახელებენ, თუმც ამას საკმაოდ ვერ ასაბუთებენ.

ს. დანელია მართებულად აღნიშნავდა: „ვინც ფილოსოფიას კარგად დაჰკვირვებია, ის უეჭველად შეამჩნევდა, რომ საკაცობრიო აზროვნების ვითარება სოციალურად განსაზღვრულს კამათს ან დიალოგს წარმოადგენს. ორი უდიდესი მოკამათე ამ საისტორიო პროცესში არის მატერიალიზმი და იდეალიზმი, რომელნიც ერთმანეთთან შეჯახებაში ვითარდებიან“...

დემოკრიტე უნდა ვივარაუდოთ სოფისტების უფროსი თაობის ცნობილი წარმომადგენლის, პროტაგორას თანამედროვედ. ზოგი მკვლევარი არც თუ უსაფუძვლოდ

---

[25] ს. დანელია, „ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978, გვ. 13-60.

თვლის, რომ დემოკრიტეს სურვილი და ამოცანა იყო დაპირისპირებოდა სოფისტების სკეპტიკურ შემეცნების თეორიას და უარეყო იგი. დემოკრიტეს აზრით მეცნიერება სანდოა, მეცნიერული ცოდნა ფასეულია.

დემოკრიტეს უმოგზაურია ბაბილონში, ეგვიპტეში, სპარსეთში, ინდოეთში.

მის მშობლიურ აბდერას (თრაკია) კაცობრიობისთვის მიუცია დემოკრატეს გარდა პროტაგორა და ჰიპოკრატეც. ფიქრობენ, რომ ლეგენდარული ლევკიპეც, დემოკრიტეს მასწავლებელი, აქ ცხოვრობდა.

დემოკრიტეს დაუწერია სამოცდაათი ნაშრომი, მაგრამ არც ერთ მათგანს სრული სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენს ხელთაა მხოლოდ სამასამდე ფრაგმენტი მისი შრომიდან და ციტატები.

ბერძნული სიტყვა „ატომოს" განუყოფელს, ნაწილებად დაუშლელს ნიშნავს. მისი მოძღვრების უმთავრესი ცნებებია ატომი და სიცარიელე.

სამყაროს სუბსტანცია, პირველადი საფუძველია სწორედ ეს უმცირესი უსასრულოდ მრავალი ნაწილაკები, რომლებიც სიცარიელეში მოძრაობენ. მათი მოძრაობის მიზანი არავისგან წინაწარ განსაზღვრული არ არის. ცალკეული ატომები ერთმანეთს ეჯახებიან, რაც იწვევს მოძრაობას დემოკრიტეს აზრით. როგორც ერთი მკვლევარი წერდა, „ბუნება შედგენილია მატერიალურად გაუყოფელი ნაწილაკებისაგან, სიცარიელეში მოძრავი უსიცოცხლო ატომებისაგან. სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის აღნიშ ული, რომ „დემოკრიტემ ატომების მექანიკური მოძრაობა მკაცრ მიზეზობრივ კავშირამდე დაიყვანა და ამის საფუძველზე უარყო შემთხვევითობა და თავისუფლება, გააბსოლუტა აუცილებლობა, რომელიც შეცდომით გააიგივა მიზეზობრიობასთან".[26] დემოკრიტეს ედავებიან და მიუთითებენ, რომ შემთხვევითობაც მიზეზს გულისხმობს, ის მიზეზობრიობის სფეროდან არ გადის.

---

[26] იხ. ქსე, ტ. 3, გვ. 466.

დემოკრიტეს შეხედულება ოჯახის შესახებ მიუღებელია. ბრძენი კაცი ოჯახს არ მოეკიდება. „ჩემი აზრით“, ამბობდა დემოკრიტე, „ადამიანმა ხელი უნდა აიღოს შთამომავლობაზე, ვინაიდან შვილების ყოლაში ხიფათი და უსიამოვნება ბევრია, ბედნიერი შედეგი კი სამაგიეროდ იშვიათია“... ბრძენ კაცს ქალი სიმშვიდეს ურღვევს. ცნობილია, რომ საბერძნეთში ქალი უფრო დაჩაგრული იყო, ვიდრე რომში. ეს ჩანს დემოკრიტესთანაც. მისი აზრით, ქალისათვის დაჯერება მამაკაცისათვის უკიდურესი სირცხვილია.

დემოკრიტეს აზრით, ტირანია მიუღებელია და დემოკრატიული სახელმწიფო წყობილება უმჯობესია საზოგადოებისათვის. მისთვის მიუღებელია სამოქალაქო ომი. „სამოქალაქო ომი ორივე მონაწილე მხარისათვის უბედურებაა, ვინაიდან გამარჯვებულიც და დამარცხებულიც ერთნაირად აგებს.“

მისთვის კანონის უზენაესობა, კანონიერების დაცვა პრინციპულად დადებითი საქმეა, ყველასათვის სასარგებლოა. „კანონის, მთავრობის და უფრო ჭკვიანი ადამიანების წინაშე ქედის მოხრა ზრდილობას ამტკიცებს.“

დემოკრიტეს აზრით, ადამიანისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია აღზრდას და განათლებას, ცოდნას. ყველაფერი კარგი, რასაც ადამიანი აღწევს მოწიფულობის ხანაში დამოკიდებულია არა მის „ბუნებაზე“, არა მის წარმომავლობაზე, არამედ მის აღზრდაზე. პოლიტიკური საქმიანობა გულისხმობს, რომ ადამიანი თავის „ბუნებას“ რაღაცას უმატებს. აღზრდამ, მოძღვრებამ შეიძლება ადამიანი გარდაქმნას და მას მეორე ბუნება შესძინოს.

ადამიანის ცხოვრების მიზნად დემოკრიტე თვლის კარგ სულიერ განწყობილებას — „ევთიუმია“-ს. ბოროტების და სიკეთის ცნება არსებობს ობიექტურად და ის საერთოა ყველასათვის. მისი აზრით ადამიანები იმიტომ უშვებენ შეცდომებს, რომ „უკეთესის ცოდნა“ აკლიათ.

ადამიანთა ცხოვრებაში არ არსებობს ისეთი ნაკლოვანებანი, რომელთა დაძლევა და აღმოფხვრა არ შეიძლებოდეს შეძენილი ცოდნის მეშვეობით. ადამიანს ეკუთვ-

ნის მთელი სამყარო და მისი სრულყოფილების შესაძლებლობა უსაზღვროა. ადამიანი უნდა იყოს მშვიდი, აღუშფოთებელი და ბრძენი.

დემოკრიტე მტკიცედ იდგა დემოკრატიული წყობილების ნიადაგზე და მმართველობის საუკეთესო ფორმას ხედავდა მასში. ის იბრძოდა მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს სრულყოფისათვის. მმართველობა ხელოვნებაა. სახელმწიფოს მართვა უმაღლესი ხელოვნებაა ყველა სხვა ხელოვნებათა შორის.

დემოკრიტეს აზრით, თავისუფალი ბრძენი არ არის იზოლირებული ქალაქ-სახელმწიფოსაგან. ის პოლისის ღვიძლი შვილია და სახელმწიფო არის ქვეყნის, საზოგადოების უდიდესი საყრდენი და მასშია განთავსებული ყველა სიკეთე. თუ სახელმწიფო არსებობს, ყველაფერი კარგადაა, თუ სახელმწიფო იღუპება, მასთან ერთად ყველაფერი ნადგურდება. ამიტომაც სახელმწიფოს ინტერესი ყველა სხვა ინტერესზე მაღლა უნდა დავაყენოთ და უნდა ვიზრუნოთ იმის თაობაზე, რომ ის კარგად იმართებოდეს.[27] სახელმწიფოს მტერი უნდა განადგურდეს.

დემოკრიტეს მიხედვით, სახელმწიფოს დემოკრატიულ წყობას დიდი უპირატესობა აქვს, რომ სჯობია დემოკრატიულ პოლისში იყო ღარიბი, ვიდრე მდიდარი მონარქიულ სახელმწიფოში.

ამასთან ერთად, დემოკრიტეს ესმის, რომ არ არსებობს იმის აბსოლუტური გარანტია, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს სათავეში ყოველთვის საუკეთესო მოქალაქეები იქნებიან. გარდა ამისა, დემოკრატიული წყობილების დროს სახელმწიფოს ყოფილი ხელმძღვანელები შეიძლება გახდნენ დამნაშავეთა მხრივ ხელყოფილნი, რამდენადაც ისინი კანონის სახელით დევნიდნენ და სჯიდნენ მათ.

სახელმწიფო ისე ძლიერი და მტკიცე უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს ყოფილი დემოკრატიული მმართველების უშიშროება და დაიცვან დემოკრატიული კანონიერება.

---

[27] ვ. ს. ასმუსი „ანტიკური ფილოსოფია", მოსკოვი 1976, გვ. 170-171 (რუსულად).

პლუტარქოსის გადმოცემით, დემოკრიტეს გამოუთქვამს მოსაზრება, რომ ადამიანებმა ცხოველების მიბაძვით ბევრი რამ ისწავლეს – ობობასაგან ქსოვა და ჭრაკერვის ხელობა, მერცხლებისაგან საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, ხოლო მგალობელი ფრინველებისაგან – ბულბულისა და გედისაგან – სიმღერა.

ციცერონის და ჰორაციუსის ცნობით დემოკრიტეს მიაჩნდა, რომ მხატვრული ზეშთაგონება არის ღვთაებრივი ზემოქმედება ადამიანზე და გარკვეულად უგუნურებაც კი. ზოგი მკვლევარი დემოკრიტეს ამ მოსაზრებაში ხედავდა ფილოსოფოსის მხრივ „ნატურალური მაგიის“ არსებობის აღიარებას.

სოფისტების პოლიტიკურ-სამართლებრივი მოძღვრებანი

ბერძნული „სოფისტეს“ ნიშნავდა თავდაპირველად ბრძენს, მოგვიანებით ცრუბრძენს. სოფისტი დღეს იხმარება გვიანდელი მნიშვნელობით. სოფისტი კამათში მოწინააღმდეგის დასამარცხებლად მიმართავდა უპატიოსნო ხერხს, ხრიკს, ტერმინებს განსხვავებული მნიშვნელობით იყენებდა. წინამძღვრებს აბუნდოვნებდა. გვიანდელი ხანის სოფისტებისათვის მნიშვნელოვანი იყო არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ კამათი კამათისათვის, ზოგჯერ ანგარებაც. სოფისტების „მოჩვენებით სიბრძნეს“ ებრძოდა არისტოტელე და მრავალი სხვა.

ადრინდელი ხანის სოფისტებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ ფიზიკური აზროვნებიდან ფილოსოფიური აზროვნებისაკენ. მათი სახელებია პროტაგორა, გორგია. პროდიკე ჰიპიასი.

ქრისტეს შობამდე V-IV საუკუნეები იყო ბერძნული კულტურის ოქროს ხანა. სწორედ ამ დროს მოღვაწეობდნენ უფროსი თაობის სოფისტები. გვაქვს ინფორმაცია, რომ პროტაგორა იყო დემოკრიტეს მოწაფე.

ს. დანელია[28] მართებულად აღნიშნავდა: „თუ ფიზიკოსთა კვლევა-ძიების ცენტრში ბუნების მოვლენები იყო მოქცეული, ხოლო ადამიანის და საზოგადოებრივი კულტურის პრობლემებს ნაკლებად იკვლევდნენ, სოფისტებმა ყურადღების ცენტრში სწორედ ადამიანი და მისი კულტურა მოაქციეს. „ვაღიარებ რომ სოფისტი ვარ და ეზრდი ადამიანებს“ - ამბობდა თავისი საქმის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეგნებით ამაყი პროტაგორა.“

სოფისტების ყურადღების საგანი იყო გრამატიკა, რელიგია, ფილოსოფია, ლოგიკა, რიტორიკა, სამართალი და ა.შ.

უფროსი თაობის სოფისტების დამსახურება სწორედ ეს იყო. მათ ყურადღება გაამახვილეს ადამიანური პრობ-

---

[28] ს. დანელია, „ნარკვევები ანტიკური და ახალი დროის ისტორიაში“, 1978, გვ. 72.

ლემების კვლევა-ძიებაზე, თუმცა არც ბუნების კვლევის სფერო იყო მათთვის უცხო, მაგრამ აქ ისინი უფრო დილეტანტების როლში ჩანან. მართალია, ჰიპიას ელიდელი, საკმაოდ ნიჭიერი სოფისტი, იჩემებდა, რომ მან ყველაფერი იცის, რაც კი სამყაროში (ბუნებაში) ხდება, მაგრამ მის სიტყვებში ფრაზა სჭარბობდა შინაარსს. საერთოდ სოფისტებმა მიუხედავად მრავალი უარყოფითი მხარისა, ხელი გაუმართეს ბრწყინვალე ბერძნული ლიტერატურის განვითარებასაც. ამის შესახებ აღნიშნული აქვს თავის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში" დიდ ელინისტს გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს.

სოფისტების აზრით, ჭეშმარიტება შეფარდებითია, რელატურია. რამდენიც ადამიანია, იმდენი სამართალია, იმდენი ზნეობაა. „ამრიგად ყველასათვის სავალდებულო სამართალი, ზნეობა და ჭეშმარიტება სოფისტებმა უარყვეს" — მართებულად აღნიშნავდა ერთი ქართველი მკვლევარი.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ სოფისტები იყვნენ ძველი საბერძნეთის „განმანათლებლები" და ამაში იყო მათი ღირსებაც და ნაკლოვანებაც. ისინი მეტ-ნაკლებად იყვნენ ანალიზისა და აბსტრაქციის ოსტატები, ხელს უმართავდნენ არსებული წყობილების რღვევას, მაგრამ „სინთეზის ნიჭს" იყვნენ მოკლებულნი და ცხოვრების ახალი ფორმების შესაძლებლობას და პრინციპებს არ ქადაგებდნენ.

პროტაგორა აბდერელის ცხოვრების წლები მიახლოებითაა ცნობილი. მას უნდა ეცხოვრა ქრისტეს შობამდე დაახლოებით 480-410 წლებში. როგორც ვთქვით, ის უფროსი თაობის სოფისტი იყო. სავარ'ედოა, რომ მან განიცადა ჰერაკლიტესა და დემოკრიტეს გაკვლენა. მისი წიგნებიდან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ფრაგმენტები. მართალია, ძველ საბერძნეთში მეტ-ნაკლებად არსებობდა თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლება, მაგრამ ხალხის უმრავლესობა მორწმუნე იყო და არაიშვიათად ათეისტად მიჩნეულ მოაზროვნეს დევნიდნენ.

პროტაგორას თავის ნაშრომში წამოუყენებია დებულება: „ღმერთების შესახებ მე არ შემიძლია რაიმე

ვიცოდე, არც ის, რომ ისინი არსებობენ, არც ის, რომ ისინი არ არსებობენ, რადგან ამის გაგებას ბევრი რამ უშლის ხელს: საკითხის გაურკვეველობა და ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობა". ასეთი ეჭვის გამოთქმის გამო პროტაგორას წიგნები დაუწვავთ.

პროტაგორა ათენიდან გაქცეულა. როგორც ჩანს, მას არ აპატიეს ეჭვის შეტანა ღმერთების არსებობაში. პროტაგორას დაუწერია კანონები, რომელსაც სამხრეთ იტალიის ბერძნულ კოლონიაში მისი აზრით უნდა უზრუნველეყო მოქალაქეთა თანასწორობა.

პროტაგორას მოძღვრების დედაარსად თვლიან მის შემდეგ დებულებას: „ადამიანია საზომი ყველა საგანთა, - არსებულთა, რომ ისინი არიან და არ არსებულთა, რომ ისინი არ არიან".

ამ დებულებიდან გამომდინარეობდა ადამიანის ღირებულების იდეა იმ დროინდელ საბერძნეთში, რომ სახელმწიფო და სამართალი არსებობს ადამიანისათვის. მაგრამ დროთა ვითარებაში ხსენებული დებულებიდან გამოიძერწა შეხედულება: ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა ადამიანისათვის. სასარგებლოა ის, რაც დადგენილია დემოკრატიული სახელმწიფოს კანონების მიერ.

მისი აზრით, შეხედულება სიკეთესა და ბოროტებაზე, მართებული და არამართებული საქციელის შესახებ, შეფარდებითია. ომის დროს სამართლიანად ითვლება მტრის განადგურება. მშვიდობიანობის დროს უდანაშაულო ადამიანის მკვლელობა აკრძალულია, დასჯადია.

ის რაც აკრძალულია ერთი სახელმწიფოს კანონით, მეორე სახელმწიფოში ნებადართულია.

ბ. ჩერნიშევს თავის ნაშრომში („სოფისტები", მოსკოვი, 1929 წ.) მოაქვს ერთი უცნობი სოფისტის გამონათქვამი: „თესალიელისათვის მშვენიერებაა, როდესაც ჯოგიდან ცხენს თვით გამოიყვანს და მორთავს, ხარს თვით დაკლავს და შეწვავს, სიცილიელის შეხედულებით ეს მონის საქმეა, მაკედონელისათვის საქებია, როდესაც ახალგაზრდა გოგონები ქორწინებამდე სქესობრივ კავშირს იჭერენ მამაკაცებთან, ხოლო ქორწინების შემდეგ

ეს სამარცხვინოა. სპარსეთში მამაკაცები და ქალები ერთგვარად იცვამენ. სიცილიელი ქალი'შვილები როსკიპობით აგროვებენ ფულს და შემდეგ თხოვდებიან."

აქედან ჩანს, რომ სოფისტებს გააანალიზებათ მდიდარი ინფორმაცია მეზობელ ქვეყნებში არსებული ვითარების შესახებ. ეს კი მათ მსოფლმხედველობრივ ჰორიზონტს აფართოებდა.

ადარებდნენ რა სხვადასხვა ხალხის ცხოვრების წესებსა და წეს-ჩვეულებებს, ცხადია, ისინი აკეთებდნენ დასკვნას, რომ ცხოვრების ნორმები შეფარდებითია, სხვადასხვა ისტორიული პირობებითაა გამოწვეული. რელიგიური შეხედულებები, წეს-ჩვეულებები მარადიულნი და უცვლელნი არ არიან.

პროტაგორა და გორგია (ბერძნულად „გორგიას"), აგრეთვე ზოგიერთი მათი თანამოსაგრე, თავისუფალი აზრის რაინდები იყვნენ. მათთვის არ არსებობდა ბრმა რწმენა. ადამიანებს უბრალოდ კი არ უნდა სწამდეთ, არამედ უნდა იკვლევდნენ. სოფისტების ეს ნაკადი მეამბოხეები არიან. ისინი, როგორც გ. ჰეგელი[29] იტყოდა „თავდაყირა აყენებენ ყოველგვარ წესებსა და კანონებს", მართალია, ისინი ძველი დრომოჭმული ცხოვრების მოწინააღმდეგები არიან, მაგრამ ჯერ კიდევ არ იციან, თუ როგორ უნდა იცხოვრონ მაშინ, როდესაც ძველი წესრიგი აღარ იქნება.

გორგიას მოწაფე იყო ალკიდამ ელველი, რომელიც ქრისტეშობამდე მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა. მისი აზრით, პოლისში მცხოვრები ყველა ადამიანები, მათ შორის მონებიც თავისუფალნი არიან. ღმერთმა ყველა ადამიანი თავისუფალი დაბადა. ბუნებას არავინ შეუქმნია მონად.

სოფისტი ლიკოფრონი იზიარებდა სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულებით თეორიას. მისი აზრით, სახელმწიფოებრივი ურთიერთობა არის შედეგი ადამიანთა შეთანხმებისა. კანონიც უბრალო ხელშეკრულებითი ურთიერთობის შედეგია და პირადი უფლებების დაცვის გარანტიაა.

---

[29] გ. ჰეგელი, თხზ. ტ. X, მოსკოვი, 1932, გვ. 5 (რუსულად)

სოფისტებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ერთიმეორეს უპირისპირებდნენ ბუნებით და პოზიტიურ კანონებს (მაგ. კალიკლე). სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები დადგენილი არიან სუსტების მიერ საკუთარი სარგებლობისათვის, სუსტები უმრავლესობას შეადგენენ. ბუნებამ კი ძლიერები შექმნა იმიტომ, რომ მათ სუსტებზე იბატონონ. და ეს სამართლიანია. ადამიანები არ არიან თანასწორნი და ამიტომ დემოკრატიული წესწყობილებაც მისთვის მიუღებელია.

უმცროსი თაობის სოფისტები იყვნენ კრიტონი, კალიკლე, თრასიმაქე, ევთიდემე. უმცროსი თაობის სოფისტი ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც რიტორიკის მასწავლებელი. ის გასამრჯელოს იღებდა მოსწავლეებისაგან, ასწავლიდა რა მოსწავლეებს როგორ მოეგოთ საქმე სასამართლოში. ისინი არაიშვიათად ასწავლიდნენ, თუ როგორ გამოეყენებინათ „სასამართლო ხრიკები" და უპატიოსნო ხერხების გამოყენებით მოეგოთ საქმე. ბერძნული „სოფიზმა" ღებულობს ხრიკის, თავსატეხისა და გამონაგონის მნიშვნელობას... ქრისტეს შობამდე IV საუკუნიდან უმცროსი თაობის სოფისტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაიწყო „ფულის კეთება" და ხელი აიღო ჭეშმარიტების ძიებაზე.

სოფისტი ტერმინს მნიშვნელობას უცვლის, არღვევს ლოგიკის კანონებს, ცვლის თეზისს და ა.შ. თვითნებურად აგებს ალტერნატივას. მაგ.: რაც არ დაგიკარგავს, გაქვს. რქები არ დაგიკარგავს, მაშასადამე რქები გაქვს.

გადმოგვცემენ, რომ ერთმა სოფისტმა იმ პირობით მოამზადა სასამართლო ორატორად ახალგაზრდა, რომ იგი მას გასამრჯელოს გადაუხდიდა იმით, რომ პირველი მოგებული საქმიდან აღებულ ფულს მასწავლებელს მოართმევდა. მოსწავლემ პირობა არ შეასრულა. მასწავლებელი სოფისტი მას სასამართლოში ჩიეილით დაემუქრა. მაშინ ყოფილმა მოსწავლემ უპასუხა:

— თუ თქვენ სასამართლო პროცესის მეშვეობით მე გამამტყუნებთ, მაშასადამე მე პროცესი წავაგე და არაფერს გადაგიხდით. და თუ მე მოვიგებ საქმეს სასამართლოში,

არაფერს გადაგიხდით იმიტომ, რომ მე სასამართლოში საქმე მოგიგეთ და სასამართლო გადაწყვეტილებას შეეასრულებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სოფისტებმა შეამჩნიეს ცნებათა ყოველმხრივი უნივერსალური მოქნილობა, რომელიც წინააღმდეგობათა იგივეობამდე დადის. ამ მოქნილობის სუბიექტურად და ბოროტად გამოყენებას მივყავართ არასასურველ შედეგებამდე – „სოფისტებამდე". სოფისტებმა შეამზადეს არა მარტო დიალექტიკა, არამედ ამ დიალექტიკის უპრინციპოდ გამოყენებაც. მათი რელატივიზმი და სკეპტიციზმი ზომიერებას მოკლებული იყო.

სოკრატეს პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები

სოკრატე (ქრისტეს შობამდე 469-399 წ.წ.) იყო გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი, მეორე დიდი მოაზროვნის – პლატონის მასწავლებელი.

სოკრატესა და მისი ფილოსოფიური მოძღვრების შესახებ სხვადასხვა ენებზე უამრავი ნაშრომია გამოქვეყნებული. ქართულ ენაზე დაწერილ ნაშრომთა შორის გამოირჩევა პროფ. სერგი დანელიას ნაშრომი „სოკრატეს ფილოსოფია".[30]

თითქოს საოცარია, რომ ამ დიდი ნიჭის ადამიანს, რომელიც ცხოვრობდა ბერძნული კულტურის აყვავების ხანაში, არ დაუწერია არც ერთი ფილოსოფიური ნაშრომი. შეიძლება ეს გარემოება იმით იყოს განპირობებული, რომ „სოკრატესათვის ფილოსოფია იყო აზროვნების ცოცხალი პროცესი და არა წიგნებში დაგროვილი მკვდარი სიბრძნე" (ს. დანელია).

სოკრატეს ცხოვრების წლების მნიშვნელოვანი ნაწილი დაემთხვა ათენის ისტორიის ოქროს ხანას. ათენის ყველა მოქალაქემ იცოდა, რომ მას გარკვეული მოვალეობებიც აკისრია სახელმწიფოს წინაშე. მას უნდა დაეცვა იგი მტრებისაგან. სხვებთან ერთად სოკრატემაც დადო სავალდებულო სამოქალაქო ფიცი: „მე არ შევარცხვენ წმინდა იარაღს და იმ ამხანაგს არ მივატოვებ, რომელთან ერთადაც ვიქნები მწყობრში. დავიცავ ტაძრებს და წმინდა ადგილებს მარტოც და სხვებთან ერთადაც. სამშობლოს დავტოვებ ჩემს შემდეგ არა დაკნინებულს, არამედ უფრო. განდიდებულსა და უკეთესს, ვიდრე ის .მემკვიდრეობით მივიღე". ყველა ათენელი მეომარი ფიცულობდა, რომ ის დაემორჩილებოდა კანონებსა და სახელმწიფო ხელისუფლებას.

სოკრატეც ასე აღიზარდა კანონების პატივისცემისა და სახელმწიფოს ერთგულების გარემოში.

---

[30] ს. დანელია, „სოკრატეს ფილოსოფია", იხ. მისი „ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში", თბ., 1979, გვ. 61-159.

სოკრატეს ცხოვრებისა და მოძღვრების შესახებ. ჩვენამდე მრავალი ცნობაა მოღწეული, მაგრამ მათ შორის ყველაზე სანდოდ არის მიჩნეული სოკრატეს თანამედროვეების, ქსენოფონტესა და პლატონის მიერ მოწოდებული ცნობები. თუმცა მათი ინფორმაცია სოკრატეს შესახებ ზოგ რამეში ერთმანეთს არ ემთხვევა.

ქსენაფონტე არ იყო ფილოსოფოსი და მას სრულიად არ ესმოდა მის მიერ მოწოდებული ცნობების მნიშვნელობა. „ის ხედავს სოკრატეს მოძღვრების მძივებს, მაგრამ ვერ ამჩნევს კარგად იმ ძაფს, რომელზეც ეს მძივები იყო აცმული“ (ს. დანელია). პლატონმა კი სოკრატე ზეცამდე აიყვანა „რადგან თვითონ პლატონი არ ეტეოდა სოკრატეს ფილოსოფიური პიროვნების ფარგლებში“.

მართებულად აღნიშნავდა პროფ. ს. დანელია, რომ აზროვნების ისტორია არ იცნობს მასწავლებლისადმი ღრმა პატივისცემისა და უანგარო სიყვარულის ისეთ მაგალითს, როგორსაც იჩენს პლატონი სოკრატეს მიმართ. ერთმა დიდმა ფილოსოფოსმა მეცხრამეტე საუკუნეში სოკრატეს მართებულად უწოდა „ხორცშესხმული ფილოსოფიის განსახიერება“.

სოკრატე იყო პროფესიით სკულპტორი, გამორჩეული ფილოსოფიის ნიჭით. პელეპონესის ომში ათენი მარცხდებოდა. სპარტა იმარჯვებდა. საჭირო იყო მიმდინარე პროცესების გააზრება. სოკრატემდე ბერძნულ ფოლოსოფიას გარკვეული ისტორიული გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი.

სოკრატეს აღმოაჩნდა ინტელექტუალური ხიბლი, რომ თავის ირგვლივ შემოეკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა და მოეხდინა მათზე ზეგავლენა. ამ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი წლების შემდეგ ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის მტრების რიგებში აღმოჩნდა. თვით სოკრატეც აკრიტიკებდა ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის „უკიდურესობებს“.

როგორც ნამდვილ ფილოსოფოსს, სოკრატეს ახასიათებდა რელიგიური საკითხების შესახებ თავისუფალი მსჯელობა. მას დააბრალეს ძველი, მამაპაპური ღმეროე-

ბის უარყოფა და ახალი ღმერთების აღიარება. ამასთან ერთად სოკრატეს დააბრალეს ახალგაზრდების გარყვნაც. ბრალდება არსებითად პოლიტიკური ხასიათის იყო. სოკრატე თავის თავს თელიდა ღმერთ აპოლონის მსახურად.

წლების განმავლობაში ის არსებითად ერთსა და იმავე სიზმარს ხედავდა: სოკრატე, იშრომე და იღვაწე (იმოქმედე) მუზების სარბიელზე.

მისი დემონი და მბრძანებელი იყო სინდისი, იგივე მისი შინაგანი ღმერთი.

სასამართლომ სოკრატეს სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. თუმცა ათენიდან გაქცევა შეეძლო, მან ამ შესაძლებლობით არ ისარგებლა და ქრისტეს შობამდე 399 წლის მაისის თვეში თავი მოიწამლა.

ჰეგელის[31] აზრით, სოკრატე იყო ის გმირი, რომელმაც ნაცვლად დელფოს ღმერთის ჩვენებისა, დაადგინა პრინციპი: ადამიანმა თავის თავში უნდა ჩაიხედოს, რომ იცოდეს თუ რა არის ჭეშმარიტება. რადგანაც ეს თქმა თვით ღმერთ პითიას ეკუთვნის, ეს ნიშნავს გადატრიელებას საბერძნეთის სულში. გადატრიალებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ორაკულის ადგილი ახლა თითოეული მოაზროვნე ადამიანის საკუთარმა თვითშემეცნებამ დაიჭირა: „მაგრამ ეს შინაგანი უიჭვობა და დარწმუნება არის ყოველ შემთხვევაში სხვა ახალი ღმერთი და არა ათენელთა წინანდელი ღმერთი; ამგვარად, სოკრატეს წინააღმდეგ მიმართული საბრალდებო მსჯავრი საესებით მართალია“.

სოკრატეს სახელმწიფო რელიგიის ხელყოფა არ აპატიეს.

სოკრატეს მოწინააღმდეგეები ჰყავდა განათლებულ ადამიანთა შორისაც. დიდმა ბერძენმა დრამატურგმა, არისტოფანემ კომედია „ღრუბლებში“ სოკრატე უარყოფითად დაახასიათა.

---

[31] ს. დანელია, „სოკრატეს ფილოსოფია“, იხ. მისი „ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში“, თბ., 1979, გვ. 61-159.

არისტოფანესათვის სოკრატე ის „სოფისტია“, რომელიც ცუდ ზემოქმდებას ახდენს ახალგაზრდებზე. სოკრატეს სკოლაში პიესის გმირი ფიდიპიდე ზნეობრივად მახინჯდება, შინ დაბრუნებული მამას სცემს და აპირებს დედასაც მიაყენოს ფიზიკური შეურაცხყოფა.

სოკრატე ნამდვილად არ იმსახურებდა არისტოფანესაგან ასეთ შეფასებას. მაგრამ როგორც ჩანს, ძნელია ცხარე ბრძოლაში ზომიერების დაცვა.

სოკრატე მკაცრად ეკამათებოდა სოფისტებს, უარყოფდა მათ სუბიექტივიზმს, მაგრამ ამავე დროს მათი იდეების არსენალიდან ზოგი რამ მისაღებად მიაჩნდა. მაგრამ ძირითადში სოკრატე მაინც იყო, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, „ფილოსოფიის თვითმწარმოებელი“. როგორც ციცერონი იტყოდა, სოკრატემ ფილოსოფია ზეციდან მიწაზე ჩამოიყვანა.

სოკრატეს არ უცდია პოლიტიკოსობა. მას ფილოსოფიის გარეშე თავი ვერ წარმოედგინა და როდესაც მას ასამართლებდნენ, ჰელისტების წინაშე აღიარა, რომ მას უხილავმა ძალამ აუკრძალა პოლიტიკოსობა. მიუხედავად ამისა, სოკრატე სახელმწიფოსა და პოზიტიურ სამართალს დადებით სოციალურ მოვლენებად თვლიდა. მისი აზრით მოქალაქეები ერთგულად უნდა ემსახურონ სახელმწიფოს და ახალგაზრდები უნდა აღიზარდონ პოლიტიკური მოვალეობისადმი ერთგულების გრძნობით.

თავისი მოღვაწეობაც კი სოკრატეს მიაჩნდა ათენის სახელმწიფოს წინაშე გაწეულ გარკვეულ სამსახურად.

სოკრატეს აზრით, სამართლიანი და კანონიერი ერთი და იგივეა.

რა თქმა უნდა, სამართლიანობა და სამართალი ერთი და იგივე არ არის, არაიშვიათად ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან და ამ დაპირისპირებაში ვლინდება იურიდიული იდეების ბრძოლა. მაგრამ, როგორც ჩანს, სოკრატეს სურდა მათი დაახლოება და სამართალი სურდა გაეჯერებინა სამართლიანი ნორმებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში დაობენ სოკრატეს პოლიტიკური იდეალის შესახებ. სავარაუდოა, რომ ეს

იდეალი მისი ცხოვრების მანძილზე დიდ ცვლილებებს მაინცდამაინც არ განიცდიდა. სოკრატეს მოსწონდა კეთილ-მოწყობილი ქვეყანა, სადაც უკიდურესი დემოკრატია არ ბატონობდა. მას მოსწონდა არისტოკრატიული სპარტა და კუნძული კრეტა. სპარტაში კი სახელმწიფო საკუთრება უფრო მეტ როლს თამაშობდა, ვიდრე ათენში. უკიდურესი დემოკრატიის ნაკლია ის, რომ მმართველები აქ არაიშვიათად უვიცი და შემთხვევითი პირები ხდებიან, მაშინ როდესაც სახელმწიფოს ბრძენი და გამოცდილი ადამიანები უნდა მართავდნენ.

სოკრატე ებრძოდა ძველ ზნეობას და ახალ ზნეობას ქადაგებდა. მისთვის სარწმუნოება იყო ზნეობაზე დამოკიდებული და არა პირიქით, როგორც ამას ქსენოფანე ფიქრობდა.

სოკრატე ფიქრობდა, რომ ძველი ზნეობა ინსტიქტსა და ჩვეულებას ეყრდნობოდა, ხოლო ახალი უნდა დაეყრდნოს ცოდნას. „ყოველი სათნოება არის ცოდნა". მისთვის სიკეთის ცოდნას პირდაპირი კავშირი აქვს კეთილ საქმესთან.

ფილოსოფიის ისტორიაში სოკრატეს დამსახურებად ითვლება სოფისტების სკეპტიციზმისა და აგნოსტიციზმის დაძლევა, ცნების ზოგადი განსაზღვრების დადგენა, წამოყენებულ დებულებათა ლოგიკური დასაბუთება.

სოკრატემ წამოაყენა დებულება: მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი. ამით ის პირველყოვლისა დაუპირისპირდა იმ მოაზროვნეებს, რომელთაც თავი მოჰქონდათ როგორც ყველაფრის მცოდნეებს. გარდა ამისა, თუ მე ვიცი რომ არაფერი არ ვიცი, მაშასადამე მე ცოდნის შეძენის სურვილი შეიძლება მქონდეს, მე შეიძლება ვიყო სიბრძნის მაძიებელი. ადამიანური ცოდნა შეფარდებითია, მაგრამ ის ყველასათვის ერთია. მხოლოდ ღმერთია ყველაფრის მცოდნე. თუ არაფერი ვიცი, ესე იგი ვიცი საკუთარი ნაკლი და ვცდილობ მის გამოსწორებას. თვითშემეცნების პროცესი უსასრულოა. მე თუ არაფერი ვიცი" და ჩემს ცოდნას მკაცრად ვაფასებ, ეს მშველის თვითშეცნებაში.

ამ მიზნითაა წამოყენებული ლოზუნგი: „შეიცან თავი შენი“.

ვინც თავის თავს შეიცნობს, ის შეიცნობს ღმერთებსა და სამყაროსაც.

ბოროტება სოკრატეს აზრით უცოდინარობის გამოხდება. ცოდნა გვიხსნის ბოროტებისაგან.

„მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი,“ არსებითად ნიშნავდა იმას, რომ მე ცოტა ვიცი, მაგრამ მივაღწევ იმას, რომ ბევრი მეცოდინება, შემეცნების დაუსრულებელი წინსელა კი აუცილებელია.

.პლატონის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

სოკრატეს ერთგული მოწაფე, პლატონი ცხოვრობდა ქრისტეს შობამდე 427-347 წლებში. ის ითვლება ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს ფილოსოფოსად, ობიექტური იდეალიზმის კლასიკოსად.

ის დაიბადა არისტოკრატულ ოჯახში. დედის მხრით ის ენათესაებოდა ცნობილ სოლონს, დიდ სახელმწიფო მოღვაწესა და საბერძნეთის შვიდ ბრძენთაგან ერთ-ერთს. ათენის უკანასკნელი მონარქი (მეფე), კორდი, პლატონის მამის წინაპარი იყო. ის დაიბადა კუნძულ ეგინაზე, ათენის მახლობლად.

პლატონი სოკრატეს მოწაფეთა წრეში უნდა შეეყვანა მის დედის ნათესავს – კრიტიას, მოგვიანებით ერთ-ერთ „ტირანს" (ოცდაათ ტირანთაგან ერთ-ერთს).

ქრისტეს შობამდე 399 წელს, სოკრატეს გარდაცვალების შემდეგ პლატონი თორმეტი წლით ტოვებს ათენს. მას უმოგზაურია ეგვიპტეში, სიცილიაში, სამხრეთ იტალიაში. მოგზაურობის დროს გადაურჩა მონობას და ორმოცი წლის ასაკში დაბრძენებული დაბრუნდა ათენში. ეს მოხდა ქრისტეს შობამდე 387 წელს. პლატონმა აქ დააარსა აკადემია, რომელსაც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა. აკადემიამ პლატონის გარდაცვალების შემდეგ ცხრა საუკუნე იარსება და ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარებასაც ხელი გაუმართა.

პლატონის ნამდვილი სახელი იყო არისტოკლე.[32] მშობლებმა მას პაპის სახელი დაარქვეს. ვარაუდობენ, რომ სახელი პლატონი მას სოკრატემ შეარქვა. პლატონი ყოფილა მაღალი, ძლიერი აგებულების მოჭიდავე და კარგი მხედარი, ორჯერ დაუმსახურებია პირველი პრემია სპორტულ შეჯიბრებებზე. „პლატოს" ბერძნულად ნიშნავს ფართოს, განიერს. როგორც ჩანს, პლატონი გამოირჩეოდა

---

[32] პლატონი. „თხზულებანი", სამ ტომად. ტომი პირველი, მოსკოვი, 1968. ა. ფ. ლოსევის და ვ. ფ. ასმუსის რედაქციით,გვ. 6-7 (რუს. ენაზე).

გულ-მკერდის სიგანით და ღონით. ის იყო დიდი ფიზიკური შეძლების და ამოუწურავი ნიჭიერების ადამიანი. ვილამოვიც-მელლენდორფს დაწერილი აქვს პლატონის ბიოგრაფია ორ ტომად. ა. ფ. ლოსევი, პლატონის ფილოსოფიის დიდი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს არ იქნება მისი ბოლო ბიოგრაფია, საჭიროა მრავალი ფსევდოპლატონური ნაშრომის და პლატონის ნამდვილი ნაწერების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. სავარაუდოა, რომ ეს მოხერხდება. დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ პლატონის ხელიდანაა გამოსული „სოკრატეს აპოლოგია“ და 35 დიალოგი. ფილოსოფიის ისტორიკოსებს პლატონისად მიაჩნიათ აგრეთვე 13 წერილი და 25 ეპიგრამა.

პლატონი წერდა ხუთი ათეული წლის მანძილზე და ზოგჯერ იცვლიდა კიდეც აზრებს. ჩვენ პირველყოველისა გვაინტერესებს მისი სიმწიფის პერიოდის ნაშრომები.

სიმწიფის პერიოდშია დაწერილი „სახელმწიფო“-ს რამდენიმე წიგნი და „ტიმეოსი“, გვიან პერიოდში დაწერილად ითვლება „კანონები“ და მეექვსე, მეშვიდე და მერვე წერილი.

მოხუცებულმა პლატონმა გადასინჯა თავისი უფრო ადრე გამოთქმული შეხედულება სახელმწიფოსა და საზოგადოების შესახებ და როგორც ჩანს უფრო დაუახლოვა რეალურ ცხოვრებას.

„სახელმწიფო“ („პოლიტეია“) დაწერილია უფრო ადრე, ვიდრე „კანონები“.

პლატონის შეხედულებით სახელმწიფო, თუმცა არა ყოველნაირი, ხალხისათვის, ქვეყნისათვის აუცილებელი და დადებითი მოვლენაა. არ არსებობს სხვა საშუალება, გარდა სახელმწიფოსი, რომ საზოგადოებაში სათნოება და წესრიგი გააბატონოს.

„სახელმწიფო“–ში, პლატონი ეყრდნობა რა თავისსავე იდეებსა და პრინციპებს, მეტისმეტად მკაცრი ჩანს, ხოლო „კანონებ“–ში უფრო რეალისტი, დათმობის და კომპრომისის უნარის მქონე. პლატონი ეძება სახელმწიფოებრივი მმართველობის უკეთეს ფორმას.

„სახელმწიფო“-ში ერთგან პლატონი გადმოსცემს სოფისტის შეხედულებას სამართლიანობის შესახებ: „ყოველ სახელმწიფოში განა ის არ არის ძლიერი, ვინც მართავს? ყოველი ხელისუფლება ისეთ კანონებს გამოსცემს, რომლებიც მის სარგებლიანობას შეეფერება: სახალხო ხელისუფლება ხალხურ კანონებს, ტირანული ხელისუფლება ტირანულს და ასე სხვები. ხელისუფლება გამოსცემს რა თავისთვის სასარგებლო კანონებს, ქვეშევრდომთათვის მათ აცხადებს სამართლიანობად და ამ კანონების დამრღვევთ, როგორც უკანონოდ მომქმედსა და სამართლის მოწინააღმდეგეებს სჯის... ყოველ სახელმწიფოში სამართლიანობად ისაა მიჩნეული, რაც დამყარებული ხელისუფლებისათვის სასარგებლოა. უძლიერესის სარგებლიანობაა ყველგან სამართლიანობა...“

პლატონი ასეთ მოსაზრებას ეწინააღმდეგება. მისი აზრით სახელმწიფო მთელი ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და არა მხოლოდ მმართველი ფენისას. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ხალხის საერთო ნება.

პლატონი სახელმწიფოს მმართველობის ხუთ ფორმას განიხილავს. ესენია: 1) დემოკრატია; 2) ტირანია; 3) ტიმოკრატია; 4) ოლიგარქია; 5) არისტოკრატული რესპუბლიკა და არისტოკრატული მონარქია.

სახელმწიფოს მართვის პირველი ოთხი ფორმა მას მიუღებლად მიაჩნია. მისაღებია არისტოკრატული რესპუბლიკა და არისტოკრატული მონარქია. მაგრამ არსებობს საფრთხე, რომ არისტოკრატული რესპუბლიკა გადაგვარდეს ტირანიად, ტიმოკრატიად, ოლიგარქიად ან დემოკრატიად. პლატონისათვის მიუღებელია მართვა-გამგეობის ტირანული ფორმა. მისი აზრით, „ტირანი, თუმცა ამას არ დაიჯერებენ — არსებითად მონაა — მას ყველასი ეშინია და იძულებულია ხალხის წინაშე პირმოთნე და მატყუარა იყოს“.

დემოკრატიის ერთ-ერთი ნაკლი ისიც არის, რომ ის შეიძლება თანდათან ტირანიად გადაიქცეს. დემოკრატიას

ახასიათებს „გაუმაძღარი წყურვილი სიმდიდრისადმი და სხვა ყოველივესი უგულებელყოფა“.

დემოკრატიისათვის დამახასიათებელია „ზედმეტი თავისუფლება“. პლატონი, როგორც ჩანს, ათენის სახელმწიფოს მაგალითით სარგებლობს. „ზედმეტმა თავისუფლებამ ბუნებრივია, როგორც კერძო ადამიანი, ისე სახელმწიფო მონობაში უნდა გადაიყვანოს“. მეტისმეტ თავისუფლებას მონობა მოაქვს. ყველაფერს მეტისმეტად გაკეთებულს შედეგად მოჰყვება დიდი ცვლილებები სულ საწინააღმდეგო მიმართულებით. დემოკრატიულ სახელმწიფოში თავისუფლების ღვინო იმდენად ათრობს ადამიანებს, რომ ისინი ვერაფითარ „მერიქიფეებს“ ვერ ითმენენ. ე. ი. სახელმწიფოს მმართველებს ვერ იტანენ. ასეთ სახელმწიფოში ხელისუფლება ისეა დასუსტებული, რომ ის იძულებულია ბრბოს სურვილები აღასრულოს...

თვით არისტოკრატიული სახელმწიფო მმართველობა თანდათან შეიძლება დაიშალოს და ტიმოკრატიაში გადაიზარდოს. ასეთ, ტიმოკრატიულ სახელმწიფოში სიბრძნის ნაცვლად პატივმოყვარეობა იბატონებს. პატივმოყვარეობას თან ახლავს ფულის მოყვარეობაც. ტიმოკრატიულ სახელმწიფოში პატივში არ იქნება ფილოსოფია და „გინასტიკას დააყენებენ მუსიკაზე მაღლა“. ტიმოკრატია ოლიგარქიად გადაიქცევა. ოლიგარქიული წყობილების დროს სახელმწიფოს მდიდრები მართავენ, ხოლო ღარიბები ჩამოცილებულნი არიან სახელმწიფოს მართვა-გამგებლობას. პლატონს არ მოსწონს ის გარემოება, რომ აქ პატიეს სცემენ მდიდარს და ამცირებენ ღარიბს. „ვისაც სიმდიდრე არ აქვს, ის ხელისუფალი ვერ გახდება, რადგან არჩევნები ცენზიანია.“ პლატონი სვამს კითხვას: „ვინმემ რომ გემის მართვა ცენზს დაუქვემდებაროს და ღარიბს, რაგინდ დახელოვნებული არ იყოს ნაოსნობაში ეს საქმე არ მიანდოს, როგორ იქნებოდა? „ხომ ცუდი იქნებოდა ეს? ასევეა ყოველი საქმის შესახებ,“ ასკვნის პლატონი. „სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს არის ოლიგარქიის ნაკლი“, წერდა ფილოსოფოსი.

ოლიგარქიულ სახელმწიფოში, ფილოსოფოსის აზრით, არსებითად ორი სახელმწიფოა – მდიდრების სახელმწიფო და ღარიბების სახელმწიფო. „და ორთავე ისინი, ცხოვრობენ რა ერთსა და იმავე ადგილზე, ურთიერთისადმი ბოროტად განწყობილნი არიან. ოლიგარქიულ სახელმწიფოს თავისი შინაგანი სისუსტის გამო ომის წარმოება არ შეუძლია. ასეთ სახელმწიფოში ადამიანები „უსაქმო ფუტკრებსა გვანან". ასეთ სახელმწიფოში ერთ მხარეზე გროვდება სიმდიდრე, ხოლო მეორეზე – სიღარიბე. მათ შორის დაიწყება ბრძოლა და თანდათან დამყარდება დემოკრატიული წყობილება... თავისი უარყოფითი მხარეებით. ღარიბები ითამაშებენ აქ მთავარ როლს: ზოგს მოკლავენ და ზოგსაც გააძევებენ. ასეთ სახელმწიფოში იბატონებს ღარიბი უმრავლესობა.

დემოკრატია თანდათან გადაიზრდება ტირანიაში, როგორც ამის შესახებ უკვე გექონდა საუბარი.

რას წარმოადგენდა პლატონის იდეალური სახელმწიფო?

ეს ისეთი სახელმწიფოა, რომელსაც ერთეულები, მაგრამ საქმის მცოდნე და უნარიანი ადამიანები მართავენ. ასეთ სახელმწიფოში, პლატონის აზრით, დამყარდება სამართლიანობა.

პლატონი თავის უტოპიურ სახელმწიფოში ზოგიერთ წოდებას უსღუდავს კერძო საკუთრების უფლებას.

პლატონის სახელმწიფოში ერთმანეთისაგან უნდა იყოს გამიჯნული სულის ძირითად უნართა გათვალისწინებით სამი წოდებრივი ფენა: 1) მმართველები; 2) მხედრები ანუ სახელმწიფოს დამცველები; 3) მიწათმოქმედები და ხელოსნები.

სახელმწიფოს უნდა მართავდნენ მართვის მცოდნე ადამიანები, რომელთაც ექნებათ უნარი – მართონ სახელმწიფო. ესენი იქნებიან ფილოსოფოსები.

მეორე სოციალური ფენა იქნება სამხედრო ადამიანები, სახელმწიფოს დამცველები შინაური და გარეშე მტრებისაგან.

ხოლო ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენა იქნებოდა მიწათმოქმედები და ხელოსნები, ასე ვთქვათ სოციალური პირამიდის ფუძე. ამ სამივე წოდების ერთობლიობას უნდა უზრუნველეყო ჰარმონიული სახელმწიფოს არსებობა.

პლატონის აზრით, „მცველებს ბინა და სხვა ნივთები ისეთი უნდა ჰქონდეთ, რომლებიც ხელს არ შეუშლიდა თავიანთი მოვალეობის შესრულებაში“.

„არც ერთ მათგანს არ უნდა ჰქონდეს არავითარი საკუთრება, გარდა სავსებით აუცილებელისა“. მხედრებს არ უნდა ჰქონდეთ ოქრო და ვერცხლი. მაგრამ მათ სულში ყოველთვის იქნება „ღვთაებრივი ოქრო ღმერთებისაგან ნაბოძები“... მხედრებს, სახელმწიფოს დამცველებს არც ოჯახი უნდა ჰქონდეთ.

პლატონის იდეალურ სახელმწიფოში ბერძნები არ არიან მონებად, მაგრამ უცხოელი მონები უთუოდ არსებობენ. ასე თუ ისე, პლატონი მაინც თავისი დროისა და ეპოქის შვილი იყო და მას ბერძნული ქედმაღლობა არ აკლდა. მისი აზრით, იდეალური სახელმწიფო მხოლოდ საბერძნეთში და ბერძენთათვის შეიძლება არსებობდეს. ბარბაროსები — არაბერძნები, გონებაზე დამყარებული წყობილების ღირსნი არ არიან. ბერძნებსა და ბარბაროსებს შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ პლატონი სხვადასხვა ტერმინს იყენებს ელინთა შორის შიდა ბრძოლის გამოსახატავად და ელინებს და ბარბაროსებს შორის ომის აღსანიშნავად. როდესაც ელინები ერთმანეთს ებრძვიან, დაცული უნდა იქნას გარკვეული ნორმები. არ უნდა იქნას დაეწყებული კაცთმოყვარეობა, იკრძალება ტყვეების მონად გაყიდვა. ხოლო თუ ბერძნები ბარბაროსებთან აწარმოებენ ომს, დასაშვებია ტყვედ აყვანა, მონად გაყიდვა. თუ ელინებს ერთმანეთთან აქვთ კონფლიქტი ესაა „სტასის“ — შინაურთა დავა, ხოლო თუ ელინები ბარბაროსებს ეომებიან, ეს იქნება ომი „პოლემიას“.

პლატონი მხარს უჭერს აღზრდის სახელმწიფოებრივ სისტემას. აღზრდის პროცესში გაირკვევა ვინ რა ცხოვ-

რებისთვისაა გაჩენილი. პლატონი ხომ საზოგადოების მაღალ ფენებში ოჯახსა და კერძო საკუთრებას ებრძვის. ასეთ ვითარებაში ობიექტურობის დაცვა იმის გარკვევაში, თუ ვინ რა საქმისთვისაა გაჩენილი, უფრო ადვილად გადაწყდება; ხოლო საზოგადოების დაბალი ფენები საკუთრებას კი ფლობენ, მაგრამ პოლიტიკურ უფლებებს არიან მოკლებულნი.

ყველა ბავშვმა ოცი წლის ასაკამდე ერთნაირი განათლება უნდა მიიღოს და ვისაც შემდეგში სწავლის ნიჭი და უნარი არ აღმოაჩნდება, მწარმოებელთა ფენას შეავსებს.

მხედართა (მეომართა) ფენაც ათწლიანი სწავლის შემდეგ გამოიკვეთება.

35 წლის ასაკში ნიჭიერ ახალგაზრდებს სახელმწიფო მოხელეებად გამოიყენებენ და კიდევ 15 წლის განმავლობაში დააკვირდებიან მათ ნიჭსა და უნარს. უკვე 50 წლის ასაკში ექნებათ უნარი „თავად სიკეთე ჭვრიტონ". ასეთი ადამიანები შეიძლებოდა გამხდარიყვნენ სახელმწიფოს სათავეში მდგომ ფილოსოფოსებად.

კარლ მარქსი „კაპიტალის" პირველ ტომში აღნიშნავდა, რომ პლატონი შრომის დანაწილებას თვლიდა საზოგადოების წოდებად დაყოფის საფუძვლად.

პლატონის რესპუბლიკაში შრომის დანაწილება სახელმწიფოებრივი აღმშენელობის პრინციპად არის აღიარებული.

ავტორის აზრით, შრომის დანაწილება საზოგადოებაში პლატონს გამოჰყავს მოთხოვნილებათა მრავალმხრივობისა და ინდივიდუმის ნიჭის ცალმხრივობიდან. პლატონის მთავარი თვალსაზრისით მუშა უნდა მიჰყვებოდეს საქმეს და არა საქმე მუშას. ეს უკანასკნელი კი აუცილებელია, როდესაც იგი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს, ე.ი. როდესაც ესა თუ ის საქმე მისთვის მეორეხარისხოვანია. „ვინაიდან საქმე მწარმოებელს კი არ უნდა ელოდეს, არამედ მწარმოებელი საქმეს ბეჯითად უნდა ასრულებდეს და არა სხვათაშორის..."

კ. მარქსი იმოწმებდა პლატონის „სახელმწიფოს“ მეორე წიგნიდან სათანადო ადგილს: როდესაც ადამიანი მხოლოდ ერთ საქმეს აკეთებს, რომელიც მის ნიჭს შეეფერება, ამასთანავე თავის დროზე, რომ სხვა სამუშაო ხელს არ უშლის, მაშინ ყველაფერი უფრო ადვილად, უხვად და კარგად მზადდება“. „საქმემ რომ მწარმოებელს უცადოს,“ ამბობს პლატონი, „მაშინ ხშირად წარმოების კრიტიკული მომენტი გამოგვრჩება და ნაწარმოებიც გაფუჭდება.“[33]

პლატონის უტოპიურ სახელმწიფოში სწორედ წოდებათა შორის შრომის დანაწილება იეარაუდება. თითოეული მათგანი ვალდებულია თავისი საქმე აკეთოს.

სამხედრო წოდებამ, მხედრობამ თვალყური უნდა ადევნოს სახელმწიფოში ფუფუნება და სიზარმაცე არ დამკვიდრდეს, წესრიგი არ მოიშალოს. მიწათმოქმედებმა და ხელოსნებმა უმდა იზრუნონ მატერიალური დოვლათის მოპოვებაზე, ხოლო მმართველმა წოდებამ მართვა-გამგეობის საკითხზე. „მთელი სახელმწიფო ბრძნული შეიძლება იყოს მმართველი და სახელმწიფო წოდების მეოხებით“ („სახელმწიფო“ IV). ეს წოდება კი უმცირესობას შეადგენს საზოგადოებაში. პლატონი ამბობს: „სანამ სახელმწიფოში ფილოსოფოსები არ იმეფებენ, ან ახლანდელი მეფენი და ხელისუფალნი გულწრფელად და დამაკმაყოფილებლად არ იფილოსოფოსებენ, სანამ სახელმწიფოებრივი ძალა და ფილოსოფია ურთიერთს არ დაემთხვევიან“ მანამდე ნურც კაცობრიობა და ნურც ცალკეული სახელმწიფოები „ნუ უცდიან ბოროტების დასასრულს,“ ნათქვამია „სახელმწიფოს“ მეხუთე წიგნში.

თუ საზოგადოებაში ყველა თავის საქმეს აკეთებს, ეს იქნება სამართლიანობა.

ხელოსნებმა და მიწათმოქმედებმა ზომიერება უნდა გამოიჩინონ. ზომიერება კი სიამოვნებისა და სურვილებისაგან თავშეკავებაა.

პლატონი ამბობდა: „ჩვენ რომ მიწათმოქმედნი ძვირფას ქსოვილებში გამოვაწყოთ, წელზე ოქროს ქამარი

---

[33] იხ. კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, პირველი გამოცემა, გვ. 318-319.

შევარტყათ, და შემდეგ ვუბრძანოთ სიამოვნებისათვის მიწა დაამუშაონ, ან მექოთნეები... ღვინით დავათროთ და ამავე დროს ვაიძულოთ ქოთნები აკეთონ" – არ იქნებოდა მართებული. თუ ასე მოვიქცეოდით, მაშინ მიწათმოქმედი მიწას არ დაამუშავებდა და მექოთნე ქოთნის გაკეთებას არ მოისურვებდა.

პლატონის აზრით, „სახელმწიფოს საქმეებიდან ყოველმა მოქალაქემ ის უნდა გააკეთოს, რაც მისი ბუნების უნარს უფრო შეეფერება, ხოლო იმის გაკეთება, რაც ამა თუ იმ პირის უნარიანობას შეეფერება და ბევრი საქმის კეთებისათვის თავის მინებებაა სწორედ სამართლიანობა... თავისი საქმის კეთება არის სამართლიანობა".

ვ.ფ. ასმუსი სამართლიანად ფიქრობდა, რომ შრომის დანაწილებაში პლატონი ხედავდა მისი თანამედროვე საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების საფუძველს.

XIX საუკუნის ცნობილი მოაზროვნე, კარლ მარქსი მაღალ შეფასებას აძლევდა შრომის დანაწილების პლატონისეულ ანალიზს. მისი აზრით, თავისი დროისათვის „გენიალური იყო პლატონის მიერ აღწერილი შრომის დანაწილება, როგორც ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს ბუნებრივი საფუძველი."[34]

შესაძლებელია, რომ მმართველობის უნარით ან ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი ყავდეს მიწათმოქმედს, ხელოსანს ან მხედარს, ან ასეთი უნარის და ნიჭის არ მქონე შვილი ყავდეს მმართველს და ფილოსოფოსს, მაგრამ საზოგადოებამ და სახელმწიფომ უნდა შეძლოს მათი თავიანთ ადგილზე გამწესება. პლატონს მიაჩნდა, რომ შესაძლებელია, სამივე ფენა (წოდება) ერთნაირად არის საჭირო სახელმწიფოსათვის. როდესაც „კაპიტალის" პირველ ტომში კ. მარქსი წერდა, რომ „პლატონის რესპუბლიკა, რამდენადაც მასში შრომის დანაწილება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პრინციპად არის აღი-

[34] იხ. ვ.ფ. ასმუსი „ანტიკური ფილოსოფია", მოსკოვი 1976, გვ. 239 (რუსულად) შდრ. ფრ. ენგელსი. „ანტი-დიურინგი," თავი X, „კრიტიკული ისტორიიდან".

არებული, მხოლოდ ეგვიპტის საკადრო წყობილების ათენური იდეალიზაცია

აკი რუსთაველიც ამბობდა:

მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისგან სწავ-
ლა-თქმულსა

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულ-
სა!

მართალია, პლატონის ნაწერებში ასეთი სენტენცია ვერ მოინახა, მაგრამ შუა საუკუნეებში ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნ ფილოსოფოსთა სიბრძნეში ნამდვილად იკითხება ასეთი მოსაზრება.

პლატონი იმდენად დიდ ფილოსოფოსად იყო მიჩნეული, რომ ზოგჯერ მას მიაწერდნენ სულ სხვა ავტორის მიერ გამოთქმულ სიბრძნესაც.

არისტოტელეს პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები

არისტოტელეს (384-322 წ.წ. ქრისტეს შობამდე) სახელი დიდი პატივისცემით სარგებლობდა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში. XIX საუკუნეში კი მეცნიერების განვითარებასთან ერთად მას ახსენებდნენ, როგორც ძველი სამყაროს მოაზროვნედს, ბერძნული ფილოსოფიის ალექსანდრე მაკედონელს, ანტიკური ქვეყნის ჰეგელს და ა.შ.

ძველმა ბერძნულმა ფილოსოფიამ არისტოტელეს ეპოქაში მიაღწია განვითარების უმაღლეს საფეხურს.

არისტოტელე უთუოდ იყო უნიჭიერესი პლატონის უშუალო მოწაფეთა შორის.

დაიბადა ის ქრისტეს შობამდე 384 წელს ქ. სტაგირაში, თრაკიაში. მამამისი ცნობილი პიროვნება იყო მაკედონიის მეფის კარზე. ფიქრობდნენ, რომ არისტოტელეს მამას, ნიკომახეს მნიშვნელოვანი ნაშრომი ჰქონდა დაწერილი მედიცინის სფეროში და არისტოტელემაც ბევრი რამ ისწავლა მამისაგან. 17 წლის არისტოტელე ჩამოდის ათენში და ხდება პლატონის მოწაფე. ოცი წელიწადი ის უსმენდა პლატონს და ყალიბდებოდა როგორც ფილოსოფოსი და მეცნიერი.

343 წელს 41 წლის არისტოტელე მაკედონიის მეფე ფილიპემ მიიწვია მემკვიდრის – 13 წლის ალექსანდრეს აღმზრდელად. არისტოტელე და მისი აღზრდილი ალექსანდრე მაკედონელი ისტორიაში შევიდნენ, როგორც დიდი ადამიანები. სავარაუდოა, რომ არისტოტელე სულ სამი წლის განმავლობაში იყო ალექსანდრეს აღმზრდელი, მაგრამ მან დიდი გავლენა იქონია აღსაზრდელზე. აქ გამოიკვეთა არისტოტელეს, როგორც აღმზრდელის გენიალობა. 50 წლის არისტოტელე ბრუნდება ათენში და დააარსებს აპოლონის ტაძრის მახლობლად საკუთარ სკოლას, პერიპატეტიკების („მოსეირნეთა“) სახელით რომ შევიდა ისტორიაში. სკოლაში ისწავლებოდა რიტორიკა, მეტაფიზიკა, დიალექტიკა და ფიზიკა. ამ უკანასკნელ სამ

საგანს მხოლოდ კარგად მომზადებულებს ასწავლიდნენ. 323 წელს, ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ, მოსალოდნელი იყო არისტოტელეს დევნა. არისტოტელე ტოვებს ათენს და 322 წელს დევნილი გამოესალმება სიცოცხლეს ქალკიდაში. შემორჩენილია მისი ანდერძიც, სადაც მას ერთგული მონებიც კი არ დაუტოვებია უყურადღებოდ. არისტოტელეს საქმე გააგრძელა მისმა მოწაფემ თეოფრასტემ.

არისტოტელეს მოწაფეები ცდილობდნენ შთამომავლობისთვის შეენახათ დიდი მოაზროვნის ნაშრომები. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ნაშრომი ჩვენამდე არ არის მოღწეული.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში შედგენილ არისტოტელეს ნაშრომთა სიაში 146 დასახელების ნაშრომია დაფიქსირებული, მაგრამ არ ჩანდა რიგი მისი მთავარი ნაშრომები (ტრაქტატები), რომლებიც შემდეგ აღმოჩნილ იქნა რომში. 1890 წელს ეგვიპტეში გათხრების დროს აღმოჩნდა არისტოტელეს „ათენის პოლიტიის" კარგად შემონახული ხელნაწერი. იგი თარგმნილია ქართულად პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ.

რა გენიოსი და დიდი მოაზროვნეც არ უნდა ყოფილიყო არისტოტელე, ის მაინც მეტ-ნაკლებად თავისი დროისა და ეპოქის შვილი იყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ ის მონობის წინააღმდეგ არ გამოდიოდა. თანაც მონობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ამოწურული თავისი ისტორიული დანიშნულება — ხელი გაემართა დიდი კულტურისათვის საბერძნეთში და სხვა ქვეყნებშიც. თვით არისტოტელეს ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა მონებისა და მონური შრომის გამოყენების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. არისტოტელეს აზრით „ბარბაროსები" თავისი ბუნებით მონობისთვის არიან დაბადებულნი. ბერძენი კი არ უნდა იყოს მონა, ბერძენსა და „ბარბაროსს" შორის ისეთი განსხვავება არსებობს, როგორც ცხოველსა და ადამიანს შორის. მონობას არისტოტელე აუცილებელ მოვლენად თვლის. მონა ცოცხალი იარაღია, ხოლო იარაღი - უსულო მონაა. მონა ნივთია, მაგრამ ადამიანის სხეულით და სულით.

არისტოტელეს აზრით, ადამიანი პოლიტიკური არსებაა „პოლიტიკური ცხოველია“. მას სახელმწიფოს გარეშე არსებობა არ შეუძლია. „საერთო სარგებლობის შეგნება“ და მისწრაფება უკეთესად ცხოვრებისა ადამიანური თავისებურებაა.

არისტოტელე ადამიანური ფაქტებით ხსნის სახელმწიფოს წარმოშობას. ჯერ წარმოიშობა ოჯახი, ოჯახებიდან სოფელი, დაბა, ხოლო მათი გაერთიანებით სახელმწიფო.

სახელმწიფო, არისტოტელეს აზრით, არ არის არც ტოპოგრაფიული ერთობა, არც სამეურნეო–გაცვლითი ურთიერთობა, არც უსამართლობათაგან დაცვის კავშირი. ყველაფერი ეს საჭიროა და აუცილებელია რომ სახელმწიფო წარმოიქმნას, მაგრამ თუ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ურთიერთობები არსებობს, სახელმწიფო არ წარმოიშობა. სახელმწიფო წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანები ამყარებენ ურთიერთობას კარგი ცხოვრებისათვის ოჯახებსა და გვარებს შორის, საკუთარი სრულყოფილი და შეძლებული ცხოვრებისათვის („პოლიტიკა“ III).

ადამიანს არ შეუძლია სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება. ის ვისაც კი შეუძლია ან ადამიანზე უფრო მაღალი არსება იქნება, ან ზნეობრივად ადამიანზე დაბალი, ან ღმერთი იქნება, ან ცხოველი.

არისტოტელეს ეს შეხედულება კარგად ესადაგება ათენში გაბატონებულ შეხედულებას ხსენებულ საკითხზე; როგორც ვილამოვიც-მელლენდორფი აღნიშნავდა, მოქალაქის სრულყოფილება განპირობებული იყო საზოგადოების თვისებით, იმ პოლისის რაობით, რომელშიაც ის ცხოვრობდა და რომელსაც ის ეკუთვნოდა. მაშასადამე, ვისაც სურდა სრულყოფილი ადამიანების ყოლა, მას უნდა ჰყოლოდა სრულყოფილი მოქალაქეები, ან ვისაც სურდა სრულყოფილი მოქალაქის ყოლა, მას უნდა შეექმნა სრულყოფილი სახელმწიფო.[35]

---

[35] იხ. ასმუსი, „ანტიკური ფილოსოფია“. გვ. 378-379. (რუს.ენაზე)

საქმე ბოლოსდაბოლოს კვლავ სახელმწიფომდე მიდიოდა.

მიწათმფლობელურ ათენის სახელმწიფოში კი მონები მოქალაქეები ვერ იქნებოდნენ და არც ითვლებოდნენ შემადგენელ ნაწილად. პოლისში შედიოდნენ „ოიკასები“ (ოჯახები), სოფლები, ცალკეული პირები, მაგრამ არა მონები. ასე ფიქრობდა არისტოტელეც.

ზოგიერთ სოფისტს მონობა უსამართლობად მიაჩნდა, მაგრამ არისტოტელე სხვაგვარად ფიქრობდა.

ბერძნულ „ოიკოსებს“- ოჯახებს იმ ხანებში მონების გარეშე არსებობა ძალიან გაუჭირდებოდათ. საზოგადოების ყველა ელემენტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ერთნი მოწოდებულნი არიან მბრძანებლობისათვის, მეორენი – მორჩილებისათვის. ეს ბუნების ზოგადი კანონია და მას, როგორც ასეთს უნდა ემორჩილებოდნენ სულიერი არსებები. ვინც ბუნებით თავის თავს არ ეკუთვნის და ეკუთვნის სხვას, მაგრამ მაინც ადამიანია, ის თავისი ბუნებით მონაა. თავისუფალ ადამიანებს მძიმე ფიზიკური შრომა არ ძალუძთ, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრებისათვის ვარგისნი არიან.

არისტოტელე სახელმწიფოსა და სამართალს ერთმანეთთან აკავშირებს და ამას იმიტომ აკეთებს, რომ მისი აზრით სამართალი ეს არის მხოლოდ პოლიტიკური სამართლიანობა, მაგრამ თუ სახელმწიფო საზოგადოების საერთო ინტერესებს განასახიერებს, სამართალიც ასევე ემსახურება საერთო სარგებლობას.

მაგრამ არისტოტელეს აზრით, თუ უმართებულო სახელმწიფოს ფორმასთან გვექნება საქმე, სამართალი შეიძლება იქცეს ძლიერთა ინტერესების დამცველად.

სამართალი საერთოდ არ შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც ქვეყენას დესპოტი მართავს, სადაც ტირანის ხელისუფლება არაფრით არ არის შეზღუდული.

დაუწერელი კანონები, ჩვეულებითი სამართლის ნორმები ეს ბუნებითი სამართლის გამოხატულებაა. თვით დაწერილი კანონიც კი შეიძლება წარმოადგენდეს ბუნებითი სამართლის ცალკეულ ფრაგმენტს, მის კონკრეტიზაციას.

არისტოტელემ კარგად იცოდა, რომ ომის წარმოება ეწინააღმდეგება სამართლის იდეას, რომ ძალა და უფლება სხვადასხვაა. რომ შეიძლება მაღალი წარმოშობის და დიდი ჭკუის ადამიანი ტყვედ ჩავარდეს და მონად იქცეს. ამიტომ წარმოიშვა იდეა, რომ ბერძენი არ შეიძლება იყოს მონა, ბარბაროსი — კი. ზოგი ადამიანისთვის მონობა სასარგებლოც არის, სამართლიანიც.

არისტოტელე ინდივიდუალური კერძო საკუთრების აშკარა მომხრეა და ამით ის განსხვავდება პლატონისაგან. „ძნელია გამოთქვა სიტყვებით" — წერდა არისტოტელე — „რამდენი სიტკბოებაა შეგნებაში, რომ რაღაც შენ გეკუთვნის." თუმცა სასიამოვნოა, რომ დაეხმარო მეგობრებს, ამხანაგებს, ნაცნობებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა გაგაჩნია პირადი საკუთრება.

თავის ნაშრომში „პოლიტიკა" არისტოტელე აღნიშნავს, რომ ბუნებამ თითოეულ ადამიანში ჩააქსოვა საკუთარი თავისადმი სიყვარულის გრძნობა. არისტოტელე ასეთ სიყვარულს თავის თავისადმი ეგოიზმად არ თვლის. ეგოიზმია საკუთარი თავისადმი მეტისმეტი და გადაჭარბებული სიყვარული.

კერძო საკუთრების ქება-დიდებით არისტოტელე უფრო ახლოს დგას ათენში არსებულ ვითარებასთან, ვიდრე პლატონი. არისტოტელე არ უარყოფს საერთო საკუთრების არსებობის საჭიროებას, მაგრამ უპირატესობას ანიჭებს კერძო საკუთრებას. თუ ძველ ბაბილონში, ხამურაბის ეპოქაში სახელმწიფო საკუთრება იყო საკუთრების მთავარი, გაბატონებული სახეობა, ათენში პირიქით, კერძო საკუთრება იდგა პირველ ადგილზე.

არისტოტელე წინააღმდეგი იყო მიწის, ადგილ-მამულის თანაბარი განაწილებისა. მისი აზრით, ასეთი განაწილება ვერ მიაღწევს ქონებრივ გათანაბრებას, რადგანაც მიწის გარდა არსებობს არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობები: ფული, ჯოგი, ნაგებობები და მრავალი სხვა.

იდეალური სახელმწიფოს აშენებისათვის საჭირო არ არის ძველის ძირფესვიანი ნგრევა. საჭიროა მხოლოდ

გავაუმჯობესოთ არსებული სახელმწიფო წყობილება. ადამიანებიც ჩვენ უნდა ჩავთვალოთ ისეთებად, როგორადაც ისინი შექმნა ბუნებამ.

არისტოტელესთან დიდი მნიშვნელობა აქვს მოცალეობის – თავისუფალი დროის ცნებას. მდიდარი ბერძენი, მიწათმფლობელი თავისუფალია ფიზიკური შრომისაგან, მწარმოებლური საქმიანობისაგან. მმართველი კლასის წარმომადგენელი მოცალეობით განსხვავდება საზოგადოების სხვა ფენებისაგან. „მოცალეობა“ არის საფუძველი ბედნიერებისა და ნეტარებისა.

„მოცალეობას“ ვხვდებით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“, ის მიჯნურის ერთ-ერთი თვისებათაგანია.

“მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მათ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა“ (23 სტრ.)

„მოცალეობა“ აქ თავისუფალი დროის ქონას აღნიშნავს.

მოცალეობა არისტოტელესთან მმართველი ფენის უცილობელი უფლებაა.

რუსთაველთანაც მიჯნური მდიდარია, უხვია, ბრძენია და თავისუფალი დროის მქონეა. ფიზიკური შრომისაგან თავისუფალი დრო გამოიყენებოდა სწავლა-განათლების მისაღებად, მართვა-გამგეობის ხელოვნების ასათვისებლად.

როგორც უკვე ვთქვით, არისტოტელესათვის სახელმწიფო არის ადამიანთა კავშირი. იმისათვის, რომ მათ რამდენადაც შესაძლებელია უკეთ იცხოვრონ („პოლიტიკა“ III). სახელმწიფო ადამიანს აძლევს სრულყოფილი ცხოვრების შესაძლებლობას და მათ შორის თავისუფალ დროსაც – მოცალეობას. სახელმწიფო თავისუფალ ადამიანთა კავშირია, მაგრამ სახელმწიფოს მონებიც სჭირდება, თუმცა მონები და ხელოსნები არისტოტელეს სახელმწიფო ურთიერთობის სფეროს გარეთ გაჰყავს.

სახელმწიფო მოწყობის ორი მთავარი ფორმა არსებობს: დემოკრატია და ოლიგარქია. სახელმწიფო დემოკრატიულია, თუ მასში უმაღლესი ძალაუფლება უმრავლესობის ხელშია, ხოლო ოლიგარქიაა – თუ უმაღლესი ძალაუფლება უმცირესობის ხელთაა. მაგრამ როგორც წესი,

მდიდრები ცოტანი არიან, ღარიბები კი უმრაველესობას შეადგენენ. ამიტომ სჯობს განეასხვაეოთ ხელისუფლება იმის მიხედვით, მდიდრების ინტერესებს იცავს ის თუ ღარიბებისას.

მაგრამ არც დემოკრატია და არც ოლიგარგია არ იცავს საერთო ინტერესებს, მოელი ხალხის ინტერესებს. ღარიბები და მდიდრები სახელმწიფოში ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ელემენტებია.

მაგრამ ღარიბებისა და მდიდრების გარდა არსებობენ მოსახლეობის „საშუალო ელემენტები".

საუკეთესო იქნება ის სახელმწიფო წყობა, სადაც ეს საშუალო ფენა იქნება უმაღლესი ძალაუფლების მპყრობელი. მით უფრო სასურველია, რომ სახელმწიფოში ეს „საშუალო ელემენტი" ერთმანეთთან დაპირისპირებულ ღარიბებთან და მდიდრებთან შედარებით მრავალრიცხოვანი იყოს.

როდესაც არისტოტელე საუბრობს „საშუალო ელემენტზე", როგორც საზოგადოების საუკეთესო ფენაზე, მას მხედველობაში აქვს საშუალო შეძლების მონათმფლობელები და არა ხელოსნები და მიწათმოქმედები. არისტოტელეს სამართლიანად მიაჩნია ის, რომ ხელოსნებს არ გააჩნდეთ პოლიტიკური უფლებები. „რიტორიკა" -ში საუბარია იმის შესახებ, რომ ყოველ სახელმწიფოში ჩვენ ვხედებით მოქალაქეთა სამ ფენას: ძალიან მდიდრებს, უკიდურესად ღარიბებს და საშუალო შეძლების ადამიანებს. და იმ სახელმწიფოს, რომელიც საშუალო ფენისაგან შედგება, საუკეთესო სახელმწიფო წყობილება ექნება.

იმის მიხედვით, თუ რა საზოგადოებრივი სარგებლობა მოაქვს ამა თუ იმ სახელმწიფო მმართველობის ფორმას, უნდა გადაწყდეს მისი „სისწორე", მისი მართებულობა.

მართებულობის სწორი ფორმები საერთო სარგებლობის მომტანი ფორმებია.

ასეთებია: 1) მონარქია (ერის მმართველობა) 2) არისტოკრატია, სადაც სახელმწიფოს მართავს ერთზე მეტი, მაგრამ არა ძალიან ბევრი. 3) პოლიტია – უმრაველესობის მართვა.

არისტოტელეს სიმპატიები პოლიტიისკენ იხრება. პოლიტიის დროს მეტი შესაძლებლობა არსებობს „საშუალო ელემენტმა“ ითამაშოს ქვეყნის ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი და საზოგადოებასა და სახელმწიფოს მეტი სარგებლობა მოუტანოს. თუმცა, როგორც ვთქვით, მას მონარქიაც და არისტოკრატიაც მეტ-ნაკლებად მმართველობის მისაღებ ფორმად მიაჩნია.

მისი აზრით, სახელმწიფოს მოსახლეობა და ტერიტორია არც ძალიან დიდი უნდა იყოს და არც ძალიან პატარა. უნდა შეიძლებოდეს სახელმწიფოს მართვა, მასში არსებულ ვითარებაში გარკვევა. სახელმწიფოში სასურველია იყოს კარგი კლიმატური პირობები. არც დიდი სიცივე და არც დიდი სიცხე სასურველი არ არის. არისტოტელეს იდეალურ სახელმწიფოში მმართველობაში რიგრიგობის წესით მონაწილეობს ყველა მოქალაქე. ხელოსნობასა და მიწათმოქმედებას მოქალაქეები არ ეწევიან.

არისტოტელე ბერძენ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის დადებითად იხსენებს სოლონს და საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებს სპარტის ოლიგარქიულ წყობილებას, მათი აღზრდის სისტემას, სპარტელთა „სამხედრო სულს“ და ილატებისადმი არაადამიანურ მოპყრობას. მას არ მოსწონდა ისეთი დიდი სახელმწიფო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ პერიკლე და თემისტოკლე. არისტოტელე თელიდა, რომ ძვ. წ. V საუკუნის ათენში „უკიდურესი“ დემოკრატია სუფევდა.

ძველ საბერძნეთში ეთიკის, ფილოსოფიის, სამართლის ძირითადი ცნებების გამომუშავებას მოჰყვა მათი სისტემატიზაციის პროცესიც, რომელიც ძირითადად არისტოტელეს სახელს უკავშირდება. ვ. ა. რუბინის აზრით, ძველ ჩინეთში ამის მიღწევა ვერ შესძლეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში მრავალ აღმოჩენასა და ტექნიკურ მიღწევას ჰქონდა ადგილი. მეცნიერება, როგორც ბუნების და საზოგადოების მოვლენათა შესახებ ცნებათა სისტემა, ვერ წარმოიშვა.

როგორც ერთი ცნობილი ფილოსოფოსი ამბობდა, არისტოტელეს პოლიტიკურ მოძღვრებას განსაკუთრებით

დიდი თეორიული და უფრო დიდი ისტორიული ღირებულება აქვს.

არისტოტელე დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოშიაც. მისი გავლენის შესახებ ინფორმაცია გაგვაჩნია III-XII საუკუნეებში. ქართულად თარგმნიდნენ როგორც არისტოტელეს, ასევე მის განმარტებებს. კრიტიკულად სწავლობდა არისტოტელეს იოანე პეტრიწი, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი.

პოლიბიოსის პოლიტიკური შეხედულებები

პოლიბიოსი დაბადებული უნდა იყოს ქრისტეს შობამდე დაახლოებით 200 წელს მეგაპოლისში, არკადიაში და იქვე გარდაცვლილა 120 წელს ქრისტეს შობამდე.

ეს არის რომის სახელმწიფოს ძლიერების ხანა, რომაელთა ოქროს საუკუნე.

რომი ხდება მსოფლიოს ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს ყველაფერი მომავალი დიდი ისტორიკოსის თვალწინ ხდება. პოლიბიოსი ყოფილა აქაველთა კავშირის სტრატეგორის ძე და ცხენოსანთა ნაწილის მეთაური. ძ.წ. 168 წელს რომაელებმა დაამარცხეს მაკედონელები; სხვა მძეულებთან ერთად პოლიბიოსი რომში გაგზავნეს. რომში პოლიბიოსმა 16 წელი გაატარა და დაამუშაა დიდი ისტორიული მასალა. დაწერა ისტორია ორმოც წიგნად. ჩვენამდე სრული სახით ცოტაა მოღწეული, სულ ხუთი წიგნი.

მისი შეხედულებით ისტორიის განვითარება ციკლურია.

ესა თუ ის ქვეყანა და მისი კულტურა ვითარდება, წინსვლას აქვს ადგილი, მაგრამ გარკვეულ დონემდე. ამ გარკვეული ისტორიული სიმაღლის მიღწევის შემდეგ წინსვლა შეჩერდება და ყველაფერი თავიდან იწყება. ეს ეხება სახელმწიფოს ფორმებსაც. სახელმწიფოს მმართველობის ფორმებიც იცვლებიან, გადიან განვითარების რამოდენიმე სტადიას ადრეულ, მომწიფების და დაცემის ხანას და შემდეგ ყველაფერი ისევ თავიდან იწყება.

ადრეულ ხანაში არსებობდა მონარქია, რომლის მართვა-გამგეობაც ეყრდნობოდა სამართალს. მონარქია გადაგვარდება ტირანიად, რომელიც ეყრდნობა არა სამართალს, არამედ ძალას. ტირანია თანდათან გაქრება და წარმოიშობა არისტოკრატია და ყალიბდება აყვავებული სახელმწიფო, მაგრამ თანდათანობით ზნეობა დაქვეითდება, ფუჭდება. არისტოკრატია გადაგვარდება ოლიგარქიად. კერძო ცხოვრებაში გაბატონდება ფუფუნება. მოქალაქეები სამართლიანობას ხელყოფენ. იბრძოლებენ

თანამდებობებისათვის. ოლიგარქია გადაგვარდება დემოკრატიად და განვითარების ციკლიც აქ მთავრდება. დემოკრატიის დამყარებას მოსდევს ძალადობა, მკვლელობები, მიწების გადანაწილება. თავდაპირველი თავისუფლება გაქრება და დემოკრატია გარდაიქმნება ტირანიად. სახელმწიფო ფორმების განვითარების ციკლი ისევ თავიდან იწყება.

1965 წელს ნ.ი. კონრადი[36] აქვეყნებს რუსულ ენაზე მნიშვნელოვან ნაშრომს „პოლიბიოსი და სიმა ციანი". პოლიბიოსი იყო ბერძნულ-რომაული სამყაროს დიდი ისტორიკოსი. ასევე სიმა ციანი (ქრისტეს შობამდე 145–86 წ.წ.) აღიარებულია ჩინეთის უდიდეს ისტორიკოსად. ერთიც და მეორეც არა მარტო ისტორიული მოვლენების შესახებ მოგვითხრობენ, არა მარტო მემატიანე-მთხრობელები არიან, არამედ ისტორიის ფილოსოფოსები, უფრო ზუსტად პოლიტიკური ისტორიის ფილოსოფოსები. ერთიც და მეორეც ცდილობს ჩაწვდეს ისტორიულ კანონზომიერებას, ისტორიულ აუცილებლობას. რა ხასიათი აქვს პოლიტიკური ფორმების წრებრუნვას? ნ. კონრადის მართებული მოსაზრებით, პოლიბიოსის შეხედულებით ძველი პოლიტიკური ფორმა ახალ ვითარებაში განმეორდება, მაგრამ ის თავიდან ბოლომდე ძველი კი არ არის, არამედ რაღაც ახალსაც შეიცავს. ამაში ის ხედავს პოლიბიოსის მიერ დიალექტური მეთოდის გამოყენებას.

შეისწავლა რა ელინების ისტორია საფუძვლიანად. პოლიბიოსმა შეამჩნია, რომ საბერძნეთში სახელმწიფო ხელისუფლების სამი ფორმა მონაცვლეობდა: სამეფო (ბაზილეია), არისტოკრატია და დემოკრატია. პოლიბიოსის აზრით, არა ყოველნაირი ერთმმართველობა, არა ყოველგვარი ერთხელისუფლებიანობა შეიძლება ჩავთვალოთ სამეფოდ, არამედ მხოლოდ ისეთი, სადაც ხელქვეითნი კეთილი ნებით უთმობენ ძალაუფლებას (მეფეს) და ამდენად სადაც ბატონობს არა შიში და ძალა, არამედ გონება.

---

[36] Н.И. Конрад, „Запад и Восток", Москва., 1979, стр. 47-76.

არისტოკრატული სახელმწიფოც შეიძლება ვაღიარ-ოთ არა ყოველგვარი ბატონობა მოსახლეობის უმცირეს-ობის, არამედ მხოლოდ ისეთი, როცა მართვა-გამგეობა უკეთესი ადამიანების, სამართლიანებისა და გონიერების ხელშია. დემოკრატიად არ შეიძლება ვცნოთ ისეთი ვი-თარება, როდესაც ხალხის მასას მიაჩნია, რომ მას ყვე-ლაფრის გაკეთების უფლება აქვს, რაც არ უნდა მოისურ-ვოს.

პოლიბიოსი სხვა ტერმინებსაც ხმარობს: მონარქიას, ოლიგარქიას და ოხლოკრატიას (ბრბოს ბატონობა, ხალხის ძალაუფლება). მისი აზრით მონარქი შეიძლება იყოს უზურპატორი. ოლიგარქიის დროს ოლიგარქები შეიძლე-ბა იყვნენ უღირსი ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ თავიანთი პირადი ინტერესები ამოძრავებთ. ოხლოკრატიის დროს ხალხი შეიძლება მოქმედებდეს სტიქიურად, როგორც ბრბო, სახელმწიფოს საზიანოდ.

მაშასადამე, ხელისუფლების სამ დადებით ფორმას პოლიბიოსი უპირისპირებს სამ უარყოფითს, თუმცა გარ-ეგნულად ისინი ანალოგიურნი არიან. ხელისუფლების უარყოფითი ფორმები ასე თუ ისე დაკავშირებულნი არი-ან დადებით ფორმებთან. თითოეული დადებითი ფორმა ხელისუფლებისა გარდაიქმნება უარყოფითად: მონარქია წარმოიშობა სამეფოს გადაგვარების შედეგად, ოლიგარ-ქია არისტოკრატიის გარდაქმნის შედეგად წარმოიშობა, ხოლო ოხლოკრატიის წარმოქმნა ხდება დემოკრატიის თანდათანობით გაფუჭებით. სახელმწიფოს ფორმების მონაცვლეობა პოლიბიოსისათვის ისტორიული კანონზომ-იერებაა „ბუნების წესია, მაგრამ ისტორიულ პროცესში ელინდება შემთხვევითობაც“.

„პოლიბიოსისათვის ისტორიის წრებრუნვა ერთი და იგივე პოლიტიკური ფორმების განმეორება კი არ არის, არამედ მათი დიალექტიკური განახლებაა ისტორიული განვითარების პროცესში, ე.ი. თითოეულ შეთხვევაში ახა-ლი შინაარსით“.[37]

---

[37] ნ.ი. კონრადი, ცად. თხზ გვ.52
Полибий, „Всеобщая история в сорока книгах“,т. II. М..1855.

პოლიბიოსი. თვითმხილველი იყო რომაელთა გამარ-ჯვებისა მაკედონიაში. ის თვითონ ესწრებოდა სციპიონ ემელიანეს მიერ კართაგენის აღებას. უნახავს მას რომაელთა მიერ დანგრეული კორინთოც... როგორც მოაზროვნე, ის დაფიქრდება რომაელთა გამარჯვების მიზეზებზე. რამ შეუწყო ხელი იმ გარემოებას, რომ რომმა სულ რაღაც 53 წლის განმავლობაში თითქმის მთელი მაშინდელი მსოფლიო დაიპყრო? რა იყო რომის სახელმწიფოს ასეთი ძლიერების მიზეზი?

რომის სახელმწიფოში ჯერ კიდევ რესპუბლიკური წყობილებაა. მაგრამ კონსულის ძალაუფლებაში პოლიბიოსი ხედავს იმ პრინციპის განხორციელებას, რომელიც დამახასიათებელი იყო სამეფოსათვის, სენატი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც არისტოკრატიული მართვა-გამგებლობის, საუკეთესო ადამიანთა მხრივ მართვის განსახიერებაა. კომიციები კი უთუოდ დემოკრატიული წყობილების ინსტიტუტებია. და მათ შორის ისე კარგად და თანაბრად არის განაწილებული ძალაუფლება, რომ რომის არც ერთ მოქალაქეს არ შეუძლია თქვას, თუ მათთან როგორი მართვა-გამგებლობის წესია: მონარქიული, არისტოკრატიული თუ დემოკრატიული.

რომში ეს სამი ძალაუფლება ერთმანეთს ზღუდავს და იცავს წონასწორობას მათ შორის.

ამაშია საიდუმლოება რომაელთა წარმატებისა მსოფლიო ასპარეზზე.

როგორც პოლიბიოსს, ასევე ციცერონსაც მიაჩნდა, რომ რომის რესპუბლიკაში განხორციელებული იყო შერეული სახელმწიფო წყობილების იდეალი, ისეთი წყობილებისა, სადაც ერთმანეთთან ჰარმონიულად იყო შეხამებული მონარქიის, არისტოკრატიისა და დემოკრატიის ელემენტები.[38] თუმცა ზოგი ავტორი თვლის, რომ რომში ამ ხანებში სენატი იყო ყველაფრის თავი და თავი.

მაშასადამე, პოლიბიოსის აზრით არისტროკრატიის, დემოკრატიის და სამეფოს ურთიერთმონაცვლეობა ყოველ-

---

[38] Всемирная история, т.II, Москва, 1956, стр. 289.

თვის საეალდებულო არ არის. შეიძლება მათი ერთმანეთთან ინტეგრაციაც.

პოლიბიოსისათვის პოლიტიკურ ფორმათა ურთიერთმონაცვლეობა ფაქტია, მაგრამ ამაში ის ხედავს არა მხოლოდ ისტორიულ კანონზომიერებას, არამედ ბუნების საერთო კანონს,

„ყოველივე არსებული იცვლება და ფუჭდება. ამაში ჩვენ გვარწმუნებს ბუნების დაუძლეველი ძალა“ — წერდა პოლიბიოსი.

სიმა ციანსაც დაახლოებით მსგავსი აზრები აქვს გამოთქმული ძველ ჩინეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. ნ.ი. კონრადი მათ თვლის ისტორიის ფილოსოფიის პირველ ფუძემდებლად და სამართლიანადაც.

ხსენებულმა ისტორიკოსებმა შეამჩნიეს, რომ ამიერიდან საზოგადოების წინსვლას, კულტურულ პროგრესს ხელს ვერ გაუმართავდა ვერც ბერძნული „პოლისი“, ვერც რომაული „ცივიტას“ და ვერც ჩინური „გო“. ქალაქ-სახელმწიფოთა უპოქამ დრო მოჭამა. ისტორიამ კაცობრიობა უფრო დიდი სახელმწიფოებრივი ერთეულების წარმოშობის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ეს აუცილებლობა დაინახა პოლიბიოსმაც და სიმა ციანმაც.

შემთხვევით არ წარმოშობილა არც ალექსანდრე მაკედონელის იმპერია, არც რომის იმპერია, არც ცინის იმპერია და არც ხანის იმპერია სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში.

პოლიბიოსი აქედან გამომდინარე, თავის თანამოძმე ბერძნებს ურჩევდა: სჯობს რომაელების ძალაუფლება მიეიღოთო.

პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი ძველ რომში

ძველი რომი მსოფლიო სახელმწიფოდ გადაიქცა ქრისტეს შობამდე მეორე– პირველ საუკუნეებში. სწორედ ამ ეპოქიდან შემოგვრჩა რამდენადმე ჩამოყალიბებული შეხედულებები სახელწიფოსა და სამართლის შესახებ.

გაძნელდა უზარმაზარი სახელმწიფოს იმავე მეთოდებით მართვა, როგორადაც ის იმართებოდა მაშინ, როდესაც რომი ჩვეულებრივი ანტიკური ქალაქ-სახელმწიფო იყო. დემოკრატიული ინსტიტუტების მეშვეობით ადრე, რესპუბლიკის ხანაში რომის მართვა მაინცდამაინც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ სახელმწიფოს გაფართოებასთან ერთად ვითარება გართულდა. რომაელები მათ მიერ დაპყრობილი ხალხების მიმართ ეწეოდნენ „დაჭყავი და იბატონეს" პოლიტიკას. ამ სფეროში divide et impere-ს პრინციპი თითქოს ამართლებდა.

რაც შეეხება საშინაო პოლიტიკის საკითხებს, აქ საქმე უფრო რთულად იყო. რომის სახელმწიფოს საფუძველები აშკარად ირყეოდა. ქრისტეს შობამდე 138-132 წლებში სიცილიაში მონები აჯანყდნენ და სცადეს სახელმწიფოს შექმნა. აჯანყებული მონების ბელადმა მოინდომა სირიაში პოპულარული მეფის, ანტიოქის სახელის მითვისება. ვერ შეძლო მონობის გაუქმება და მოქმედებდა, როგორც ელინისტური სახელმწიფოს მონარქი.

დიოდორე სიცილიელის ცნობით, მინტურნში 450 მონა გააკრეს ჯვარზე. სინუესში კვინტუს მეტელიუსმა და გნეუს სერვილიუსმა დაამარცხეს და ჩააქრეს ოთხ ათასამდე მონის აჯანყება. აჯანყდნენ მონები ათენში, დელოსზე. სიცილიაში გაულიტეს რვა ათასი მონა. ვინც ცოცხლად იგდეს ხელთ, ჯვარზე გააკრეს. კონსულმა რუტილიუსმა თავის მხრივ მოაშთობინა 20 ათასი მონა.

ქრისტეს შობამდე 134-124 წლებში ძმებმა გრაკხუსებმა ვერ შესძლეს რომში წერილი და საშუალო მიწათმფლობელობის აღდგენა. მსხვილმა მიწათმფლობელებმა და მევახშეებმა სახელმწიფოს მხარდაჭერით

დაამარცხეს ძმები გრაკხუსების უტოპიური, მაგრამ კეთილშობილური მცდელობა. გრაკხუსების მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობს აპიანე თავის „სამოქალაქო ომებში."

აპიანე წერს: „მდიდრები მუშახელად იყენებდნენ ნაყიდ მონებს, ამუშავებდნენ რა მათ მიწის მუშებად და მწყემსებად იმ მიზნით, რომ არ გაეცდინათ სამიწათმოქმედო სამუშაოებზე თავისუფლად დაბადებულნი, რომელნიც სამხედრო საქმეში იყენენ საჭირო, ამასთანავე მონების ყოლას მდიდართათვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა: სამხედრო სამსახურებისაგან თავისუფალ მონათა შთამომაყლობა დაუბრკოლებრივ მრავლდებოდა. ყველაფერი ეს იწვევდა შეძლებულთა უზომო გამდიდრებას და მასთან ერთად სახელმწიფოში მონათა რიცხვის გაზრდას."[29]

გაჩაღებულ სამოქალაქო დაპირისპირებაში მდიდრებმა გაიმარჯვეს. ტრაგიკულად დაიღუპნენ ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსი და მისი ძმა — გაიუსი, კორნელიუს პუბლუს ემელიანუს სციპიონ უმცროსი,აფრიკელად წოდებული, დიდი რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი. ეს მოხდა ქრისტეს შობამდე 129 წელს. დაიხოცა მრავალი სხვაც. საქმე ძალადობამდე მიდიოდა.

კანონმორჩილი რომაელები კანონს აშკარად ხელყოფდნენ.

სციპიონი არ გახდა იმის ღირსი, რომ სახელმწიფო ხარჯზე დასაფლავებულიყო.

ტიბერიუს გრაკხუსის მიმართ აპიანე შენიშნავს: იგი შეეწირა თავის შესანიშნავ გეგმას იმიტომ, რომ მან მის განსახორციელებლად ძალდატანებით საშუალებებს მიმართაო.

ხახალხო ტრიბუნად ახლად არჩეულმა მეორე ძმამ, გაიუს გრაკხუსმა გაატარა დადგენილება — საზოგადოებრივი თანხებიდან ყოველი პლებეისათვის ყოველთვიურად სასურსათო ფულის მიცემის შესახებ. „არაფერი ამის მსგავსი არასოდეს არ ყოფილაო"- აღნიშნავს აპიანე.

---

[29] ძველი ისტორიის ქრესტომათია. გ. გოზალიშვილის რედ. 1951. გვ 119

ტრიბუნი ოპოზიციაში ჩაუდგა სენატს. საბოლოოდ გაიუს გრაკხუსს თავი მოკვეთეს და მიუტანეს კონსულ ოპიმიუსს. ამ უკანასკნელმა გაიუსის თავის მომტანს მისცა იმდენი ოქრო, რამდენსაც თავი იწონიდა.

მსოფლიო სახელმწიფო, რომი დიდი განსაცდელის წინაშე იდგა. სახელმწიფოს გადაარჩენდა მისი დიდი მოქალაქის მხრივ გამოჩენილი „გენიალური პატრიოტიზმი". ეს სიტყვები თეოდორ მომზენს ეკუთვნის, დიდ მეცნიერს და ნობელის პრემიის ლაურეატს. მართალია, თ. მომზენი მაღალ შეფასებას არ აძლევდა მარკუს ტულიუს ციცერონს, მაგრამ სრული უფლება გვაქვს მას ამაში არ დავეთანხმოთ.

აპიანეს სიტყვით, მას აკვირვებს შემდეგი გარემოება: რამდენჯერ ასეთ სახიფათო შემთხვევაში სენატს უხსნია სახელმწიფო იმით, რომ გადაუცია დიქტატორული უფლებები ერთი პირისთვის. მას ეს დიდი ხნის წინათ გამოგონილი საშუალება დიდად სასარგებლოდ მიაჩნდა.

თუ რა იხსნიდა რომის სახელმწიფოს კრიზისიდან, ამის შესახებ მრავალი რომაელი სახელმწიფო მოღვაწე დაფიქრებულა. მათ შორის ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება იყო ციცერონი.

ციცერონის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

მარკუს ტულიუს ციცერონი (ქრისტეს შობამდე 106-43 წ.წ.) იყო სახელგანთქმული იურისტი, ბრწყინვალე ორატორი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. ი. მ ტრონსკი[40] ციცერონს თვლიდა რომის რესპუბლიკური წყობილების უკანასკნელ მნიშვნელოვან იდეოლოგად. ციცერონი კარგად იცნობდა ძველ ბერძნულ პოლიტიკურ თეორიებს და თავისი მოსაზრებების დასასაბუთებლად მათ ხშირად მიმართავდა.

ჩვენამდე მოღწეულია ციცერონის 58 სიტყვა, ტრაქტატების მთელი სერია ფილოსოფიასა და რიტორიკაში და 864 წერილი, აქედან 90 წერილი მისადმია მოწერილი. ანტიკურ ხანაში კი ცნობილი იყო 150 სიტყვა აწ დაკარგული ფილოსოფიურ–პოლიტიკური ნაწერები. ციცერონს მიიჩნევენ ლათინური პროზის დიდოსტატად და ალბათ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ ჩვენამდე მისი ნაწერები საკმაოდ არის მოღწეული.

მას ეკუთვნის 3 წიგნი ორატორული ხელოვნების შესახებ. მისი ტრაქტატებია: „ტუსკულუმის საუბრები", „ღმერთების ბუნების შესახებ", „სიკეთისა და ბოროტების ზღვარის შესახებ", „მოვალეობის შესახებ" და სხვა.

ციცერონი დაიბადა ძვ. წ. 106 წლის 3 იანვარს არპინუმში. იყო მხედართა წრიდან.

მშობლებს სურდათ შვილებისათვის – მარკუსისა და კვინტუსისათვის მიეცათ კარგი განათლება. მოემზადებინათ ისინი სახელმწიფო სამსახურისათვის. ციცერონის მშობლების მეგობრები იყვნენ ოპტიმატები, ცნობილი ორატორები კრასუსი და მარკუს ანტონიუსი. ციცერონმა კარგად შეისწავლა დედაენასთან ერთად ძველი ბერძნულიც, გაეცნო ბერძნულ ლიტერატურასა და ბერძნულ ფილოსოფიას, ბერძენ ისტორიკოსებს. მას ბერძენი მას-

---

[40] იხ. ი.მ. ტრონსკი „ანტიკური ლიტერატურის ისტორია", ლენინგრადი. 1951. გვ. 399 (რუსულად).

წაელებელი ასწაელიდა ბერძნულს. მშობლები რომში დასახლდნენ და ციცერონს მიეცა შესაძლებლობა რომის ფორუმზე მოესმინა ცნობილი ორატორებისა და იურისტებისათვის და გაეღრმავებინა სკოლაში მიღებული ცოდნა. სკოლაში კი, როგორც ჩანს კარგად იყო დაყენებული იურიდიული საგნების სწავლება. თვით ციცერონის სიტყვით, მას აქ შეასწავლეს თორმეტი ტაბულის კანონები, როგორც „აუცილებელი სიმღერა". ფორუმზე იურიდიული კონსულტაციებიც ტარდებოდა. ის უსმენდა ე. წ. სციპიონის წრის ერთ-ერთ ხელმძღვანელს — მოხუც სცევოლას, რომლის გარდაცვალების შემდეგაც მისი პედაგოგი იყო გარდაცელილი სცევოლას ძმისშვილი, თავისი დროის დიდი იურისტი ახალგაზრდა სცევოლა.

ორივე სცევოლა განიცდიდა ბერძნული ფილოსოფიის ზეგავლენას.

რიგი ბერძენი ფილოსოფოსებისა რომაული სახელმწიფო წყობილების ქება-დიდებას ეწეოდა. ამართლებდნენ ძმები გრაკხუსების მოწინააღმდეგეებს და ა. შ. ციცერონს ჰქონდა შესაძლებლობა მოესმინა ფილონისათვის, „ახალი აკადემიის" თავკაცისათვის. ფილოსოფიაში ციცერონს აინტერესებდა ეთიკა და დიალექტიკა, დავის და მტკიცების ხელოვნება. ციცერონი ბერძნულად და ლათინურად წერდა სადამცველო და საბრალმდებლო სიტყვებს, ეარჯიშობდა ფიქტიური „საქმეების" განხილვა-გარჩევაში.

სამოქალაქო ომის წლებში ბევრი ნიჭიერი იურისტი დაიღუპა. ასეთ ვითარებაში ციცერონის წინ დიდი ასპარეზი გადაიშალა. მისი მოწინააღმდეგე იურისტი გორტენზიუსი მხოლოდ 8 წლით იყო მასზე უფროსი. სასამართლო პროცესზე ადვოკატ ციცერონს საშუალება ეძლეოდა გაეკრიტიკებინა ნობილიტეტი და დემოკრატების ყურადღება დაემსახურებინა. არისტოკრატები 'მხედრებს" ავიწროებდნენ. ციცერონი კი „მხედართა" წრიდან იყო.

ციცერონმა სახელი გაითქვა სექსტუს როსციუსის დაცვითი სიტყვით ძე. წ. 80 წელს. სულას დიქტატურის წლებში მოკლეს მდიდარი მოქალაქე როსციუსი.

მოკლულის ბოროტმოქმედმა ნათესაებმა სულას ფავორიტ ქრისოგანის მეშვეობით მოახერხეს უკანა რიცხვით მოკლული შეეტანათ უკანონოდ გამოცხადებულთა სიაში, რათა როსციუსის ქონებას დაუფლებოდნენ. ქრისოგანის შიშით საქმეს ხელს არავინ კიდებდა. ციცერონმა გამოიჩინა გამბედაობა და შესძლო დაემტკიცებინა, რომ მკვლელობის მოტივი ანგარება იყო. ამ პროცესმა მას დიდი სახელი მოუტანა.

ამის შემდგომ ციცერონმა იმოგზაურა ათენსა და მცირე აზიაში. ათენში ის უსმენდა „ახალი აკადემიის" თავკაცს, ფილონის მემკვიდრეს, ანტიოქ ასკალონელს.

კუნძულ როდოსზე ის უსმენდა მჭერმეტყველების მასწავლებელს – აპოლონს.

როდოსზე არსებობდა პოლიტიკური მჭერმეტყველების საუკეთესო სკოლა.

მისი ისტორიული მანერა აქ ახალ სახეს შეიძენს. მან ბევრი რამე ისწავლა და 79 წელს რომში დაბრუნდა სრულიად სხვა კაცად.

76 წელს ციცერონი აირჩიეს ქვესტორად. მას საფინანსო უწყებისათვის უნდა ეხელმძღვანელა. მისმა უანგარობამ და პატიოსნებამ დიდი პატივისცემა მოუტანა მას.

სიცილიელებმა უჩიელეს პროვინციის მმართველს ვერრესს. ბრალმდებლად აირჩიეს ციცერონი. მისი სიტყვები ვერრესის წინააღმდეგ ისე ძლიერი იყო მტკიცებულებებით, რომ პროცესის დასასრულამდე ვერრესმა ისარგებლა რომის მოქალაქის უფლებით და ნებაყოფლობით ექსორიაში წავიდა. ციცერონი გახრწნილ ნობილიტეტს უპირისპირებდა პატიოსან და უანგარო „ახალ ადამიანებს".

მისი სურვილი იყო ორ წოდებას შორის, სენატსა და მხედრებს შორის თანხმობისათვის მიეღწია. ქრისტეს შობამდე 63 წელს ციცერონი აირჩიეს კონსულად. ის გამოდიოდა ამ ხანებში „კატილინას შეთქმულების" წინააღმდეგ. მისი ავტორიტეტი იზრდება და მას უკვე მოიხსენიებენ, როგორც სამშობლოს მამას, მცირე ხნის განმავლობაში ის ხდება რომის სახელმწიფოს ერთ-ერთი

ყველაზე გაელენიანი პირი. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. რომის მსოფლიო სახელმწიფო დიდი ცელილებების ზღურბლთან იდგა.

პომპეუსი, ცეზარი და კრასუსი ჰქმნიან „ტრიუმვირატს". ციცერონს საფრთხე ემუქრება მათგან. კატილინას მომხრეთაგან ზოგიერთი სიკვდილითაც კი დასაჯეს ციცერონის კონსულობის დროს. იწყება მითქმა-მოთქმა, რომ ეს მოხდა უსამართლოდ. ციცერონი 58 წელს ტოვებს რომს, მაგრამ 57 წელს კვლავ ბრუნდება იქ. ტრიუმვირებმა მას წაუყენეს მოთხოვნა, რომ არ გაუწიოს წინააღმდეგობა მათ საქმიანობას.

56 წლის დასაწყისში ციცერონი თავის ერთ-ერთ სიტყვაში გადმოსცემს საკუთარ პოლიტიკურ მრწამსს. ეს სიტყვა ითვლება მის პოლიტიკურ მანიფესტად: ციცერონი ავლენს თავის სიმპატიებს ოპტიმატების იმ ნაწილის მიმართ, რომლებსაც ის ზომიერებად თვლიდა. ემხრობოდა ტრადიციულ რესპუბლიკურ სახელმწიფო წყობილებას. ამ სიტყვამ ტრიუმვირები ვერ დააკმაყოფილა.

ციცერონის პირადი წერილებიდან ჩანს, რომ მისი პოლიტიკური გეგმები ხელყოფილი და გაცამტვერებულია. ერთ ხანს ის ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა და ცდილობს დაივიწყოს პოლიტიკა, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება, ის კვლავ იწყებს წერას პოლიტიკურ საკითხებზე.

55 და 54 წლებში იწერება ორი ნაშრომი „ორატორის შესახებ" და „სახელმწიფოს შესახებ".

ნაშრომში „სახელმწიფოს შესახებ" რომის სახელმწიფო წყობილება, როგორც ასეთი, იდეალურადაა წარმოდგენილი. და ამ წყობილების დაცემა-დაკნინებას ციცერონი ხსნის წარჩინებულთა მორალური გახრწნილებით. აქვე მოცემულია არისტოკრატული რესპუბლიკის იდეალური მოღვაწის სახეც. შეიძლება აქ ციცერონი მეტნაკლებად საკუთარ პოლიტიკურ ავტოპორტრეტსაც კი გვაძლევს.

ხსენებული ნაშრომი საჯაროდ ქვეყნდება 51 წელს. ამაკვე წელს ციცერონი გააგზავნეს პროკონსულად კილ-

იკიაში, მცირე აზიაში. ისევე როგორც სიცილიაში, აქაც ციცერონმა თავი გამოიჩინა, როგორც პატიოსანმა სახელმწიფო მოღვაწემ. წარმატებას მიაღწია სამხედრო საქმეშიც და ჯარისკაცებმა ის გამოაცხადეს „იმპერატორად“. ეს წოდება ჩვეულებრივ დიდი სამხედრო გამარჯვების შემდეგ ენიჭებოდათ მხედარმთავრებს. იტალიაში ციცერონი დაბრუნდება 50 წელს.

რთული ურთიერთობა ჰქონდა მას ცეზართან. ციცერონის მეგობარი იყო ბრუტუსი, შემდგომში ცეზარის მკვლელი. ძვ. წ. 44 წლის 15 მარტს ცეზარი მოკლეს. ასეთ ვითარებაში ციცერონი სათავეში ჩაუდგება სენატის პარტიას და უპირისპირდება ცეზარის თანამოსაგრეს, მარკუს ანტონიუსს. ანტონიუსის წინააღმდეგ მას წარმოთქმული აქვს 14 ბრწყინვალე სიტყვა.

მაგრამ ციცერონი დამარცხდა ამ ბრძოლაში და მარკუს ანტონიუსის მომხრეებმა მას თავი მოკვეთეს 43 წლის 7 დეკემბერს... მისი მოკვეთილი თავი ანტონიუსის ბრძანებით გამოფინეს ფორუმის საორატორო ტრიბუნაზე. ამით ანტონიუსმა თავი შეირცხვინა ისტორიის წინაშე. ერთ დროს სამშობლოს მამად აღიარებული ადამიანის, ბრწყინვალე მოაზროვნის და მწერლის თავი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა შესაშინებლად გამოიყენეს.

ისტორიაში ეს ზოგჯერ ხდება. ხალხის საუკეთესო შვილებს სიკვდილით სჯიან.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ციცერონის გაიდეალება. მას ღირსებებიც გააჩნდა და ნაკლოვანებებიც.

მართალია ის იყო თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი, მაგრამ მას არ თვლიან დამოუკიდებელ მოაზროვნედ. დიდი გავლენა ჰქონდა ციცერონზე _პლატონს, არისტოტელეს, პოლიბიოსს და სხვა ბერძენ მოაზროვნეებს.

როგორც ვიცით, პოლიბიოსი რომის სახელმწიფო წყობილებაში ხედავდა მონარქიის, დემოკრატიისა და არისტოკრატიის გონივრულ შეხამებას. კონსული, სახალხო კრება და სენატი ერთმანეთს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ხელს კი არ უშლიან, არამედ ხელს უმარ-

თავენ. თუ ცალკე აღებული დემოკრატია შეიძლება გადაგვარდეს მონარქიად, ხოლო მონარქია არისტოკრატიად, მათი ერთმანეთთან გონივრული შეხამება-შეთანწყობა სახელმწიფოებრიობისათვის ხელსაყრელია, მყარი საფუძველია წარმატებებისათვის.

ციცერონი პოლიბიოსის მოსაზრებას ეთანხმება, მაგრამ ამჩნევს მის თანამედროვე რომში ზნეობრივ დაცემას და ზრუნავს საზოგადოების მორალური გაჯანსაღებისათვის.

ციცერონი ოპტიმისტად შეიძლება ჩაეთვალოთ. ადამიანის „ბუნება“ ისეთია, რომ შესაძლებელია ინდივიდის ყოველმხრივი განვითარება, რაც კეთილისმყოფელია საზოგადოებისათვის.

ციცერონს აინტერესებდა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობაც.

მისი აზრით, ანტიკური პოლისი არ თრგუნავს პიროვნებას და მოქალაქის ფართე დამოუკიდებლობასთან შეთავსებადია. ამ შემთხვევაში ციცერონი თავის ეპოქას წინ უსწრებს და მომავლისკენ იხედება. რენესანსისა და ადრეული კაპიტალიზმის ხანაში ციცერონის შეხედულებების ეს მხარე დიდ დაინტერესებას იწვევდა.

ციცერონი იცავდა ნების თავისუფლების პრინციპს და ადამიანს სრულ პასუხისმგებლობას აკისრებდა ჩადენილი ქმედებისათვის.

ციცერონის აზრით, სახელმწიფო იმიტომ არსებობს და იმიტომ არის დაფუძნებული, რომ დაიცვას კერძო საკუთრება. მიწის გადანაწილებამ და ვალების გაუქმებამ შეიძლება შეარყიოს სახელმწიფოებრიობის საფუძვლები.

მიუხედავად ამისა, მისთვის სახელმწიფო „რესპუბლიკა“-ა, სახალხო საქმეა.

სახელმწიფოს პირდაპირი კავშირი აქვს სამართლიანობასთან. იქ სადაც ძალადობა ბატონობს, სახელმწიფო არ არსებობს.

სახელმწიფოს მართვა ციცერონს მიაჩნია ერთსა და იმავე დროს მეცნიერებისა და ხელოვნების საერთო

საქმედ. სახელმწიფოს მმართველს ცოდნაც უნდა ჰქონდეს და სათნოებაც. უნდა შეეძლოს ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებაც. პირი, ვინც სახელმწიფო საქმეებს განაგებს, უნდა იყოს ბრძენი, სამართლიანი, თავშეკავებული. მას გარდა ამისა, სახელმწიფო მოღვაწისათვის აუცილებლად მიანდა ყოფილიყო მჭერმეტყველი, ორატორი, რომელიც კარგად იცნობს ფილოსოფიასაც. სახელმწიფოს მმართველმა კარგად უნდა იცოდეს სამართალიც, სხვაგვარად ის ვერ იქნება სამართლიანი. ციცერონისათვის კაცობრიობა სახელმწიფოსთან ერთობაა, ადამიანებისა და ღმერთების ერთობლიობაა. რა თქმა უნდა, ციცერონი ერთმანეთისაგან ანსხვავებდა სამართლიან და უსამართლო ომებს. ამასთან ომის სამართლიანობა იმით უნდა განსაზღვრულიყო, არსებობდა თუ არა ომისათვის სათანადო საბაბი – „ინიურია“ და საფუძველი. იყო თუ არა იგი წინასწარ გამოცხადებული და ა. შ.

რომაელთა შეხედულებით, თუნდაც მტრისათვის მიცემული სიტყვა უნდა შესრულებულიყო. თვით საერთაშორისო სამართლის ცნება, „ius gencium“ რომიდან მომდინარეობს.

ძველ სამყაროში კრეტა და თესალია ითვლებოდნენ საერთაშორისო შეთანხმებათა დამრღვევებად. რომაელთა აზრით, დადებული ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

ციცერონმა დაამკვიდრა წესი, რომ გამოძიების ოქმის შედგენის დროს აუცილებლად უნდა გაცემულიყო პასუხი შვიდ კითხვაზე: 1) ვინ? (ვინ ჩაიდინა ბოროტმოქმედება, ვინაა დამნაშავე); 2) რა დანაშაულია ჩადენილი? (კითხვა რა?); 3) როდის? (დროის აღნიშვნა იყო აუცილებელი); 4) სად? (ადგილის მითითება); 5) რატომ? (ე. ი. დამნაშავეს რა მიზანი, რა განზრახვა ამოძრავებდა); 6) ვისი დახმარებით? ჰყავდა თუ არა თანამონაწილენი? 7) როგორ? ე. ი. რა საშუალება და იარაღი იყო გამოყენებული... ეს ფორმულა–მოთხოვნა გაზიარებულია თანამედროვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.

ციცერონი თარგმნიდა ბერძნულიდან ლათინურად ეკონომიკური შინაარსის წიგნებსაც (მაგ. ქსენოფონტეს). ის ტრიალებდა რომაელი არენდატორებისა და ბანკირების წრეში, იცავდა რომაელ საქმოსანთა კომერციულ ინტერესებს და დადებითად აფასებდა მათ საქმიანობას. პროფ. ვიპპერი აღნიშნავდა ამასთან დაკავშირებით, რომ ძნელია სადმე ლიტერატურაში მონახო ასეთი გულმხურვალე მაქებელი კაპიტალის წარმომადგენლებისა, ასეთი სენტიმენტალური წარმოსახვა მათი საშინელი საქმიანობისა, როგორც ამას ციცერონთან ვხედებით.

ერთ-ერთ სიტყვაში ციცერონი ამბობდა: „ამ შემსყიდველთა კორპორაციაში ვლინდება რომაელ მხედართა საუკეთესო ნაწილი, სახელმწიფოს დიდება, ისინი წარმოადგენენ რესპუბლიკის დედაბოძს“.

პლატონი, ქსენოფონტე, არისტოტელე ასეთ მოსაზრებას არ გამოთქვამდნენ.

ძველ რომში გავრცელებული ყოფილა ლოზუნგი: „მოქალაქენო, გამდიდრდდით: ჯერ ფული და სათნოება შემდეგ“.

ციცერონი, როგორც ჩანს, მოვლენებს იხილავდა არა მორალურობის თვალით, არამედ სოციალურ–ეკონომიკური პერსპექტივის თვალსაზრისით. მორალურად მევახშეობა და სპეკულაცია დაგმობილი იყო ცნობნილი მწერლების მიერ რომში.

საინტერესოა ერთი გარემოებაც, ციცერონს უთარგმნია ბერძნულიდან ლათინურად ანტიკური ხანის ერთი ასტრონომიის თხზულება, რომლის ავტორიც საუბრობდა მოსაზრების შესახებ, რომლის მიხედვითაც დედამიწა უძრავი კი არ არის, არამედ მოძრაობს სამყაროს სივრცეში. თვით კოპერნიკის აღიარებით, ციცერონის თარგმანმა მას ხელი შეუწყო თავისი თეორიის ჩამოყალიბებაში.

ციცერონის მიერ ერთი ასტრონომიული თხზულების თარგმანიც კი ჩვენ გვიჩვენებს, რომ მას დიდი მეცნიერული ჰორიზონტი და ინტერესები გააჩნდა.

გაიუს სალუსტიუს კრისპუსი

(ქრისტეს შობამდე 86-35 წ.წ..)

სალუსტიუსი წარმოშობით მდაბიოთაგანი იყო. ის ე.წ. „სახალხო პარტიის“ რიგებში იწყებს თავის კარიერას და შეძლებისამებრ ეწინააღმდეგება ციცერონსა და სენატის არისტოკრატიას. მან მიაღწია სენატორობას, მაგრამ სენატიდან გამოაძევეს, თითქოს უღირსი ცხოვრებისათვის. ცნობილია, რომ ამის შემდეგ მან დაწერა „წერილი ცეზარს სახელმწიფოს შესახებ“. სალუსტიუსი ისევ იყო არჩეული სენატორად და ღებულობს პრეტორის თანამდებობას. ძვ. წ. 46 წელს ის პროვინცია აფრიკის მმართველია. გაერცელებული იყო აზრი, რომ სალუსტიუსი ამ თანამდებობაზე ყოფნისას ბოროტად სარგებლობდა თავისი უფლებით და გამდიდრდა. ცეზარის მოკვლის შემდეგ ის თანდათან ჩამოშორდება პოლიტიკას.

ის იწყებს ისტორიკოსობას. მისი ისტორიული ნაშრომებია: „კატილინას შეთქმულება“, „ომი ნუმიდიის მეფის იუგურთას წინააღმდეგ“, ანუ „იუგურთას ომი“. გარდა ამისა, მას ეკუთვნის „ისტორია“, სადაც გადმოცემული იყო მოსაზრებები სულას გარდაცვალებიდან (78 Წ.) რომში მომხდარი ამბების შესახებ.

ანტიკური ხანის სპეციალისტი ისტორიკოსები სალუსტიუსის ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევენ. ის ითვლება ნიჭიერ და დამოუკიდებელ ისტორიკოსად, რომელიც ცდილობს გაერკვეს ისტორიულ მოვლენებში.

სალუსტიუსი ცეზარს მოუწოდებდა სათავეში ჩადგომოდა ნობილიტეტის ხროვის წინააღმდეგ ბრძოლას, რათა გაეთავისუფლებინა პლებეები მძიმე მონობისაგან.

მისი აზრით, სენატი კი არ უნდა დაიშალოს, არამედ მისი სოციალური ბაზა უნდა გაფართოვდეს. მოსახლეობის საშუალო ფენები უნდა იყვნენ წარმოდგენილნი სენატში და დანიშნულნი მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე. მას ეშინია დეკლასირებული პლებეებისა, უსაქმურობით გარყვნილი ადამიანებისა... ის ერთმანეთს უპირი-

სპირებს „ანგარებასა“ და „მამაცობას“. აქ შესაძლოა ის განიცდიდეს პლატონის ზეგავლენას, მარადიული დუალიზმი არსებობს სხეულსა და სულს შორის. სახელმწიფო დადგეს „მამაცების“ მხარეზე. ქონების შეძენა შეიძლება მამაცობით. და ასეთი გზით გამდიდრებული ადამიანი დადებითად უნდა შეფასდეს. ნეიტრალიზებული უნდა იქნას პროლეტარიატი (ლუმპენპროლეტარიატი) და ისინი უნდა ჩამოვაშოროთ პოლიტიკურ ბრძოლას.

სალუსტიუსის აზრით, კატილინა იყო რომის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის გახრწნის პროდუქტი.

თავის ისტორიული ხასიათის ნაშრომებში, როგორც ფიქრობენ, ის სარგებლობს პლატონის თეორიით სრულყოფილი სახელმწიფოს თანდათანობითი გადაგვარების შესახებ. რომის სახელმწიფოს იდეალური წყობილება მისი აზრით რომის კართაგენზე გამარჯვების შემდეგ ფუჭდება. ამ გამარჯვებამ გამოიწვია ამპარტავნობა და ანგარება რომაელებს შორის, რის შედეგადაც მივიღეთ კატილინა, რომელიც ტირანის მონაცემებითაა წარმოდგენილი.

ის წარმოადგენს ცეზარს და კატონ უმცროსს, როგორც მამაც ადამიანებს. კატონი რესპუბლიკელია, ხოლო ცეზარი მონარქისტი. ავტორის აზრები გადმოცემულია კატონის პირით. ერთის ღირსება მეორეს აკლია. ცეზარი ორგანიზატორია, დიდი ბელადია, მაგრამ მორალურად ისე ურყევი არ არის როგორც კატონი.

ერთ-ერთ თავის ბოლო ნაშრომში სალუსტიუსი ერთ წარჩინებულ რომაელს ათქმევინებს: ნუ ავიღებთ და ნუ გავანადგურებთ კართაგენს. შევინარჩუნოთ ის, როგორც საფრთხობელა კლასობრივი ბრძოლის შესაკავებლად რომში, პატრიციებსა და პლებეებს შორის კომპრომისის მისაღწევად. საგარეო საფრთხის შეგნება რომაელთა შორის მშვიდობის საწინდარადაა დასახული.

სტოიციზმი – სენეკა, ეპიქტეტე, მარკუს ავრელიუსი

სახელწოდება „სტოიციზმი“ უკავშირდება სტოას, ათენის იმ პორტიკს, სადაც სკოლა იყო მოთავსებული. ეს იყო ელინისტური და რომაული ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმდინარეობა.

ჩვენ გვაინტერესებს ე.წ. რომაული სტოას (ახ. წ. 65 წ.) მთავარი წარმომადგენლები – სენეკა, ეპიქტეტე და მარკუს ავრელიუს ანტონიუსი.

ლუციუს ანეუს სენეკა (ქრისტეს შობამდე 4 ახ.წ. 65 წ.წ.) იყო შვილი სენეკა უფროსისა, დიდი მახსოვრობის მქონე პიროვნებისა და დეკლამატორისა.

სენეკა ისტორიაში შევიდა, როგორც რომაელი ფილოსოფოსი, დრამატურგი და პოლიტიკოსი.

სენეკა დაიბადა ესპანეთში, ქ. კორდუბაში (ახლანდელი კორდოვა). ვიცით, რომ ის გაიზარდა რომში და მიიღო კარგი განათლება. მისი მასწავლებლები ყოფილან პითაგორას მიმდევარი სოტიონი, სტოელი ატტალი – ვეგეტარიანობის მქადაგებელი და სხვები. ვეგეტარიანობას თურმე უარყოფითად აფასებდნენ, როგორც უცხოურ ცრუმორწმუნეობას და ახალგაზრდა სენეკას მამამ ხელი ააღებინა მასზე.

ახალი წელთაღრიცხვის ოცდაათიან წლებში სენეკას ვხედავთ ადვოკატად, კვესტორად, სენატორადაც. მან სახელი გაითქვა, როგორც ბრწყინვალე სასამართლო ორატორმა.

სენეკას წარმატებამ განარისხა რომის იმპერატორი გაიუს იულიუს ცეზარ კალიგულა (12-41 წ.წ.), რომელიც სხვის დიდებას და ნიჭიერებას ვერ იტანდა.

კალიგულას სენეკას მოკვლაც კი უნდოდა, მაგრამ აღმოჩნდნენ კეთილი მრჩევლები, რომლებმაც კალიგულა დაარწმუნეს, სენეკა ავადმყოფი კაცია, მას დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიაო.

კლავდიუსის მმართველობის დასაწყის'ში იმპერატორის პირველი ცოლის ინტრიგების წყალობით სენე-

კას გადაასახლებენ მაშინ ნაკლებად აღიარებულ კუნძულ კორსიკაზე. ეს მოხდა 41 წელს.

ამ გადასახლებაში სენეკას გაუტარებია რვა წელი, რომელიც მან ლიტერატურულ საქმიანობას მოახმარა. კლავდიუსის მეორე ცოლმა,აგრიპინამ წყალობის თვალით შეხედა სენეკას და 49 წელს ქრისტეს შობის შემდეგ მან პრეტორის თანამდებობა მიიღო.

ამასთან ერთად აგრიპინამ სენეკას დაავალა მისი პირველი ქორწინებიდან შეძენილი ვაჟიშვილის – მომავალი იმპერატორის, ნერონის აღზრდა. ახალი წელთაღრიცხვის 54 წელს ნერონი გახდა იმპერატორი. მისი ზეობა გაგრძელდება 68 წლამდე.

ლუციუს კლავდიუს დრუზუს გერმანიკუს ცეზარ ნერონი (ნერო) თვითონ იყო იმპერიის (სახელმწიფოს) მერყეობისა და უგუნურების ფსიქოლოგიური სახე. მაგრამ ეს შედარებით გვიან გაირკვევა. ახალგაზრდა ნერონს იმპერატორობის პირველი ხუთი წლის განმავლობაში სენეკასთვის დაუნებებია სახელმწიფოს მართვა. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება გამოთქმა ნერონის „ბედნიერი ხუთწლედი“.

როდესაც ახ. წ. 54 წელს იმპერატორი კლავდიუსი გარდაიცვალა, ის გააღმერთეს; ამასთან დაკავშირებით სენეკას დაუწერია: „კლავდიუსის აპოთეოზი“, სატირული ნაწარმოები, რომლის ერთ-ერთ ხელნაწერში კლავდიუსის გაღმერთება შეფასებულია ბრიყვულ საქციელად, კლავდიუსი კი ბრიყვად, რომელიც სასამართლოზე მხოლოდ ბრალმდებელ მხარეს უსმენს.

56 წელს სენეკას დაწერილი აქვს ტრაქტატი – „გულკეთილობა“. ის ხდება კონსული. მაგრამ სენეკას მტრებსაც არ ეძინათ. მას აბრალებენ დიდი ქონების შეძენას. ლაპარაკია სამას მილიონ სესტერციუმზე. სენეკას ბრალდება მეეახშეობაც.

მტრების საპასუხოდ სენეკა წერს ტრაქტატს „ბედნიერი ცხოვრების შესახებ“. ეს არის დაახლოებით 58-59 წლები ქრისტეს აქეთ. ხსენებულ ტრაქტატში გარჩეულია საკითხი: როგორ უნდა შეაფასოს ფილოსოფოსმა სიმდი-

დრე. ამ საკითხს სენეკა უბრუნდება სხვა ნაშრომებში „სიკეთის შესახებ.“

სენეკა განზე ვერ გაუდგებოდა სასახლის ინტრიგებსაც. ნერონმა გასწირა საკუთარი დედა აგრიპინა და ის მოაკვლევინა. 59 წელს სენეკას დაუწერია იმპერატორის სახელით სენატისადმი მიმართვა, სადაც მოკლულის მიმართ ბრალდებები ყოფილა წამოყენებული. პრეტორიანელთა გვარდიის თავკაცის, სენეკას მეგობრის, ბურის გარდაცვალების შემდეგ სენეკას გავლენა იმპერატორზე შემცირდა. იყო ქრისტეს აქეთ 62 წელი. სენეკა ჩამოშორდება სასახლეს და ჩაეფლობა ლიტერატურულ საქმიანობაში.

ნერონი სულ უფრო აუტანელი ხდებოდა რომის არისტოკრატიისათვის. იქცეოდა როგორც შეურაცხადი. ნერონმა თითქოს მიიღო ინფორმაცია, რომ მის წინააღმდეგ ეწყობოდა შეთქმულება და მასში სენეკაც მონაწილეობდა. ნერონმა სენეკას უბრძანა თავი მოეკლა.

ტაციტუსის ცნობით, სენეკამ ეს ბრძანება შეასრულა მაღალი სიმტკიცით, სულიერებით და დიდი ღირსებით.

მარკუს ანეუს ლუკანუსი (39-65 წ.წ.) სენეკას ძმისწული და ცნობილი რომაელი პოეტია. ის სენეკას უფროსი ძმის ვაჟიშვილი იყო. მას დაბრალდა ნერონის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა და როგორც სენეკამ, მანაც თავი მოიკლა.

მკვლევარები დაობენ იმის შესახებ, თუ რამდენად შეესატყვისებოდა სენეკას ცხოვრების წესი მის მოძღვრებას.

სენეკა იყო თავისი დროის შვილი და გააჩნდა ღირსებებიც და ნაკლოვანებებიც.

ფრიდრიხ ენგელსს დაწერილი აქვს ნაშრომი – „ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა“, სადაც ის სენეკას მკაცრად, და ჩვენი აზრით, უსამართლოდ ლანძღავს და განაქიქებს.

ის სენეკას ნერონის კარზე „პირველ ინტრიგანად“ თვლის. სენეკას, ისევე, როგორც ფრ. ენგელსს, საკმაოდ

გააჩნდა ნაკლოვანებები, მაგრამ მან თავისი დიდებული სიკვდილით მოიპოვა უფლება პატიებაზე. მასში დადებითი გაცილებით სჭარბობდა უარყოფითს. სენეკა თვითონვე დაისაჯა საკუთარი აღზრდილის წინაშე დაშვებული შეცდომებისათვის. იქნებ შეუძლებელიც იყო ნერონისაგან ნორმალური სახელმწიფო მოღვაწის გამოყვანა. როგორც ქართველი პოეტი იტყოდა: „მაგრამ წრთვნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“.

სენეკას მორალურ მოძღვრებას დიდი გავლენა მოუხდენია გვიანდელ ანტიკურობაზე.

ქრისტიანობამ ნაწილობრივ გაიზიარა სენეკას ეთიკა. მეოთხე საუკუნეში უცნობმა ავტორმა შეთხზა კიდეც სენეკას მიმოწერა პავლე მოციქულთან. სენეკას მორალურ მოძღვრებას მაღალ შეფასებას აძლევდა ცნობილი ფილოსოფოსი დენი დიდრო.

სენეკას ძმისშვილი და ცნობილი პოეტი მარკუს ანეუს ლუკანუსი, მასავით ტრაგიკულად აღსრულებული, ფიქრობდა: იდეალური რომი, რომელმაც მსოფლიო დაიპყრო თავის მოქალაქეთა გმირობით, წარსულს ჩაბარდა. მაშინ რომი ამაყობდა თავისუფლებით და კანონიერებით... ახლა ის იღუპება სამოქალაქო ომის ქარცეცხლში... სენეკაც დაეთანხმებოდა ძმისწულს ამ შეფასებაში.

სენეკა იცავდა ადამიანის სულიერი თავისუფლების იდეას. მონა, ნახევრად თავისუფალი, თუ თავისუფალი ყველა ადამიანი მიუხედავად მისი საზოგადიოებრივი მდგომარეობისა, სულიერად თავისუფალია. დამონებული შეიძლება იყოს მხოლოდ ხორცი.

სენეკას აზრით, „ის, ვინც ფიქრობს, რომ მონობა ვრცელდება ადამიანის მთელ პიროვნებაზე, ცდება: მისი საუკეთესო ნაწილი თავისუფალია მონობისაგან. მხოლოდ სხეული ეკუთვნის და ემორჩილება ბატონს, სული კი თავის თავის ბატონია“.

სენეკას თანამედროვე რომის სახელმწიფოში მონების ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმე იყო. ფილოსოფოსის აზრით კი ნასყიდობის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის სხეული და არა სული.

მონობის ყველაზე უარესი სახეობაა ნებაყოფლობითი მონობა. ზოგი ამპარტავნობის მონაა, ზოგიც ანგარებისა და ა.შ. სენეკა იყო მონობის პრინციპული მოწინააღმდეგე. რომში ზნეობრივ დაცემას აქვს ადგილი. პოლიტიკური იდეალები შერყვნილია. ძველი ფასეულობები დაკარგულია. რომის სახელმწიფო კარგავს ყოფილ დიდებას და მიმზიდველობას.

სენეკა გვთავაზობს ახალ ფასეულობებს. სათნოება ყველას თანაბრად ძალუძს, „ყველას თანაბრად ხელეწიფება. ყველა შეიძლება იყოს სათნო – მონა, მდაბიო, თავისუფალი, მეფე და ქვეშევრდომი. ბრძენი შეიძლება იყოს მონა, გააზატებული თავისუფალი, მეფე კი ლტოლვილი, გაძევებული."

სენეკას მიერ გამოთქმული პრინციპები პიროვნების მნიშვნელობის შესახებ და კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის იდეა, უთუოდ დიდი მნიშვნელობის იყო თავისი დროისათვის და მან უთუოდ მოახდინა ზემოქმედება ახალი დროის პოლიტიკურ მოძღვრებებზე.

ამავე პირველ საუკუნეში პავლე მოციქული წერდა: „უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი და არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველა ერთი ხართ იესო ქრისტეში" (გალატელთა, III, 28).

საერთო თავისუფლების იდეით იყო გაჟღენთილი ეპოქა. ჩიტი ბუდიდან ახალაფრენილი იყო. საკითხი პრაქტიკულად ასე იდგა: შეეძლო კი ბუდიდან ამ ახლად აფრენილ ჩიტს ფრთების თავისუფლად მოხმარება თუ არა.

ქრისტეს აქეთ პირველი საუკუნის შუა წლებში სტოელთა წარმომადგენელი ეპიქტეტე (ეპიკტეტოს) ბევრ რამეში კვლავ უბრუნდება ძველი ხანის სტოელთა შეხედულებებს. ის ყოფილი მონაა და მონობის დიდი მოწინააღმდეგეა. ადამიანი აქტიორია, რომელიც ცხოვრების სცენაზე რაღაც მისთვის განკუთვნილ როლს ასრულებს. ის ასრულებს მისთვის უცნობი რეჟისორის განკარგულებებს. ეს რეჟისორი ბედია.

ბლეზ პასკალს, ცნობილ ფრანგ მოაზროვნეს მოჰყავდა ეპიქტეტეს სიტყვები: „ნუ დაივიწყებ, რომ შენ აქ ხარ როგორც მსახიობი და რომ თამაშობ კომედიას, იმ გმირის როლს, რომელსაც გაძლევს შენი პრეტორი. თუ ის გაძლევს მოკლე როლს, ითამაშე მოკლე, თუ გაძლევს გრძელ როლს, ითამაშე გრძელი, თუ მას სურს რომ შეასრულო გლახაკის როლი, გახდი გლახაკი და ასე შემდეგ. შენი საქმეა კარგად შეასრულო როლი, რომელსაც ის გაძლევს, ხოლო რაც შეეხება როლის არჩევას, ეს უკვე სხვისი საქმეა და არა შენი".

ეპიქტეტეტეს აზრით, მონობა პირველყოველისა უზნეობაა. რაც საკუთარი თავისთვის არ გინდა, ის არ უნდა ისურვო სხვებისათვის. შენ არ გსურს იყო მონა, ნურც სხვას გაიხდი მონად. თუ შენ არ შეგიძლია მონის მომსახურების გარეშე არსებობა, მაშინ შენ თვითონ ხარ პირველყოველისა მონა., რადგანაც ერთმანეთის გვერდით ვერ იარსებებს სათნოება და ბიწიერება, თავისუფლება და მონობა.

მთელი დედამიწაა ადამიანის სამშობლო, „სადაც უნდა მიედიოდე, ყველგანაა მზე და ყველგან მთვარე, ვარსკვლავები და კეთილი სიზმრები ძილში. ყველგანაა ჩიტები და ნეტარი ღმერთები", წერდა ეპიქტეტე.

ეპიქტეტეს უნდა ეცხოვრა დაახლოებით 50-130 წლებში. ის წარმოშობით ყოფილა ფრიგიიდან. ყოფილა მონა, რომელიც გაუაზატებიათ. თვით ეპიქტეტეს ნაწერები არ ჩანს. ფიქრობენ, რომ მას არაფერი დაუწერია, მაგრამ მისი აზრები გადმოცემული აქვს ისტორიკოს ფლავიუს არიანეს ნაშრომში „მოგონებები ეპიქტეტეზე" (დაწერილია ბერძნულად).

სტოიციზმი იყო უკანასკნელი დიდი მოძღვრება ანტიკური საზოგადოებისა. ამ მოძღვრების მიმდევრებიდან რომის იმპერატორი გახდა მარკუს აერელიუს ანტონიუსი (121-180 წ.წ.). ის რომის იმპერატორი იყო 161 წლიდან. მის გამეფებამდე რომის უზარმაზარ სახელმწიფოს მართავდა ანტონიუს პიუსი (138-161 წ.წ.). იგი გამოირჩეოდა თავისი მშვიდობიანი ხასიათით, კეთილი ნებით. ამ

უზარმაზარი სახელმწიფოს მესვეურს თავისი ზეობის წლებში, როგორც ეს აღნიშნულია საისტორიო ლიტერატურაში, სისხლი საერთოდ არ დაუღვრია. სწორედ ანტონიუს პიუსმა იშვილა მარკუს ავრელიუსი. 161 წლიდან 169 წლამდე მარკუს ავრელიუსი სახელმწიფოს მართავდა ლუციუს ვერუსთან ერთად.

40 წლისა იყო მარკუს ავრელიუს ანტონიუსი, როდესაც ის რომის იმპერატორი გახდა. მას მიღებული ჰქონდა კარგი და საფუძვლიანი განათლება. გააჩნდა მოვლენების ფილოსოფიურად შეფასების უნარი. იყო ნამდვილი ფილოსოფოსიც და სახელმწიფოს მეთაურიც. დღესაც ინტერესით იკითხება მისი „ფიქრები" (თარგმნილია ქართულად).[41] მარკუს ავრელიუსისათვის იმპერატორობა, სახელმწიფოს გაძღოლა იყო სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე თავისი მძიმე მოვალეობის შესრულება, ხალხის სამსახური. მისი ზეობის წლებში იზრდება კიდეც სენატის როლი ქვეყნის ცხოვრებაში, თუმცა სენატის გადაწყვეტილებით მას მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი ძალაუფლება.

მარკუს ავრელიუსს მრავალი ბრძოლის გადატანა მოუხდა საგარეო მტრების წინააღმდეგ. საკმაოდ წარმატებით გაართვა თავი პართიასთან ომს, რომელიც ოთხ წელიწადს გაგრძელდა და რიგ სხვა ომებს.

გაატარა ადმინისტრაციული რეფორმა. უმაღლეს თანამდებობებზე დაინიშნენ ღირსეული ადამიანები და არა მაინცდამაინც არისტოკრატიული წრიდან გამოსულები. თუ წინათ კონსულად უპირატესად წარჩინებული გვარის წარმომადგენლები ხდებოდნენ, ახლა მას ინტელექტუალური არისტოკრატია ცვლის.

თითქოს დადგა ფილოსოფოსთა მეფობის ხანა. ე. რენანი აღნიშნავდა: „პლატონის იდეალი განხორციელდა: სამყაროს ფილოსოფოსები მართავენ. ყველაფერი, რაც მშვენიერი ფრაზის სახით ცოცხლობდა სენეკას დიად სულში, სინამდვილედ იქცა".[42]

---

[41] მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები". ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ. 1972, გვ. 334.

[42] იქვე. გვ. 17.

აიკრძალა მონის მოკვლა, წამება და დასახიჩრება. მონას ეძლეოა სასამართლოში ჩივილის უფლება. ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა აიკრძალა. სტოელთა ფილოსოფია სასიკეთო ზეგავლენას ახდენდა რომაულ კანონმდებლობაზე.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეორე საუკუნის იმპერატორებს და III საუკუნის იურიკონსულტებს დიდი დამსახურება აქვთ რომის სამართლის ჰუმანიზაციაში.

მარკუს ავრელიუსის სურვილი იყო საყოველთაო თანასწორობასა და თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული სახელმწიფო „რომელიც მოქალაქეთა თავისუფლებას მიიჩნევდა თავის უმაღლეს მიზნად" („ფიქრები", I, 14).

რომაელი სტოიკოსები არ იყვნენ დაინტერესებულნი ბუნების შესწავლით, არც ლოგიკისა და შემეცნების თეორიის საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი. მათ უპირატესად ეთიკის საკითხები აინტერესებდათ. ყოველი ადამიანი ვალდებულია ესწრაფოდეს საკუთარ სრულყოფილებას. ამ სფეროში მის წინაშე დიდი შესაძლებლობებია. თუ ყველა ადამიანი უკეთესი გახდება, უფრო სრულყოფილი იქნება ვიდრე იყო, საზოგადოებაც და სახელმწიფოც უკეთესი იქნება, მაგრამ წინააღმდეგობრივია მოსაზრება, რომ ყოველივე ახალი მოჩვენებითია, გვეჩვენება ახლად, სინამდვილეში კი ის ძველის განმეორებაა.

ბერძენი და რომაელი სტოელების შეხედულებებმა გარკვეული ზეგავლენა იქონიეს რომაელი იურისტების მოღვაწეობაზე.

რომაელი იურისტების შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ

ძველ რომში „რექსების“ (მეფეების) ხანაში საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდ ზეგავლენას ახდენდნენ სასულიერო პირები.

სასულიერო პირს უნდა ემცნო ხალხისთვის ღმერთების ნება-სურვილი. არსებობდა ქურუმთა კოლეგია ავგურებისა. ლათინურად „ავის“ ნიშნავს ფრინველს,აქედან წარმოიშვა „აუგურ“ ტერმინი. ისინი ფრინველების საქციელის მიხედვით ამცნობდნენ ხალხს „ღმერთების ნებას“.

დროთა ვითარებაში ავგურების მიმართ ნდობა დაეცა. რომაელებს ჰქონდათ ანდაზა, რომელიც მიანიშნებდა ავგურთადმი უნდობლობას.

გარდა მკითხაობისა, ქურუმები მნიშვნელოვან საქმეებსაც განაგებდნენ.

ლათინურად „პონტიფიცეს“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ხიდების მშენებელს. როგორც ჩანს, პონტიფიკებს ერთ დროს ხელი მიუწვდებოდათ რთული ტექნიკური ნაგებობების მშენებლობაზე. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ქურუმებს ეკითხებოდათ არა მარტო რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე ზედამხედველობა, არამედ სამართლებრივი ნორმების შედგენა თუ ჩვეულებითი სამართლის კომენტირება. ქურუმებს ეკალებოდათ კალენდრის შედგენა და ქრონოლოგიური ჩანაწერების გაკეთებაც.

საჭირო იყო ერთმანეთისაგან განესხვავებინათ რელიგიური მცნება და სამართლებრივი ნორმა. დროთა ვითარებაში ასეც მოხდა. „ფას“ და „იუს“ – სარწმუნოება და სამართალი ერომანეთისაგან გამიჯნეს. „იუს დივინუმ“ და „იუს ჰუმანუმ“ ერთმანეთისაგან განასხვავეს.

რომის სამართლის ისტორიკოსები აღნიშნავდნენ, რომ საკმაოდ დიდხანს გაჭირდა საკრალურ და საერო სამართალს შორის მიჯნის გავლება. საერო სისხლის სამართლის გვერდით არსებულა საკრალური სისხლის სამართალიც. რელიგია დიდხანს ბატონობდა საოჯახო

და მემკვიდრეობითი სამართლის სფეროშიც. ქურუმები ადგენდნენ „დიეს ნეფასტი“-ს, დღეებს, როცა იკრძალებოდა სამოქალაქო და საჯარო აქტების შესრულება. ქურუმები ინახავენ „იუს პონტიფიციუმს“ – საკრალური სამართლის ნორმებს და მათი გამოყენების წესებს. ასე თუ ისე, ქურუმები იყვნენ პირველი რომაელი იურისტები, რომელთაც რომის სამოქალაქო სამართლის განვითარებას ჩაუყარეს საფუძველი.

ქურუმებს საჯარო სამართალზეც მიუწვდებოდათ ხელი. ქურუმის გარეშე ვერ ჩატარდებოდა რელიგიური მკითხაობა „აუსპიცია“, რომელიც ავგურების კოლეგიის კომპეტენციაში შედიოდა.

პონტიფიკების და ავგურების კოლეგიის გვერდით არსებობდა მესამე – ფეციალების კოლეგია ქურუმებისა. მათ კომპეტენციაში შედიოდა საერთაშორისო ურთიერთობა, მტერთან ზავის დადებისას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა ფიცის მეშვეობით.

ისტორიული წყაროები სხვა კოლეგიების არსებობაზეც იძლევიან ინფორმაციას, მაგრამ მათ, ამ კოლეგიებს მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშიათ რომის ისტორიაში.

რომის ისტორიის რესპუბლიკურ პერიოდში ერთმანეთისაგან მკვეთრად განასხვავეს ქურუმების თანამდებობანი საერო მაგისტრატურისაგან. ეს იყო მნიშვნელოვანი რეფორმა. რომმა აიცდინა თეოკრატიული გზა განვითარებისა.

თეოდორ მომზენის აზრით, ამან საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფო ხელისუფლების უპირატესობას სასულიერო სთან შედარებით და ანტიკურ ცივილიზაციაში რომის მომავალ ჰეგემონობასაც.

საერო სამართალმცოდნეობის განვითარებას უკავშირებენ გნეიუს ფლავიუსის სახელს. გადმოცემის მიხედვით ფლავიუსმა ქრისტეს შობამდე დაახლოებით 300 წელს ქურუმებს მოსტაცა და გამოაქვეყნა წიგნი სარჩელების და სასარჩელო ფორმულების შესახებ, რომელმაც შემდგომ „იუს ფლავიანუმ“-ის სახელწოდებაც კი მიიღო.

ქურუმები თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას სხვებს არ უზიარებდნენ. ეს მათი შემოსავლის წყაროც იყო. და თუ მხედველობაში მივიღებთ ადრინდელი რომაული სამართლის მკაცრ ფორმალიზმს, ცხადია, სამართალი ნელ-ნელა უნდა გათავისუფლებილიყო ამ ბორკილებისაგან.

ფლავიუსმა გამოაქვეყნა კალენდარიც, სადაც აღნიშნული იყო თუ რომელ დღეებში იყო ნებადართული სამოქალაქო აქტების დადება და ა.შ. ერთი სიტყვით, ქურუმების იურიდიულ მონოპოლიას ასე თუ ისე ბოლო მოეღო. ქურუმები იყვნენ პირველი იურისტებიც და სამართლის ნორმების პირველი კომენტატორებიც. ამიერიდან ამ საქმეში ჩაერთვებოდნენ საერო პირებიც.

რესპუბლიკის ხანაში კანონმდებლობის მოძალებასთან გვაქვს საქმე. მრავალი კანონი გამოდის, თუმცა უმეტესობას საჯარო სამართლის ძეგლები წარმოადგენენ.

კანონს გამოსცემდა სახალხო კრება. კანონს ერქვა „ლექს“ (lex).

კანონის მიღების წამომწყები იყო მაგისტრატი, რომელსაც გააჩნდა უფლება საკანონმდებლო ინიციატივისა („იუს კუმ პოპულო აგენდი“).

რესპუბლიკის პერიოდის მეორე ნახევარში სამართალგანვითარებამ ფრთები გაშალა.

ქრისტეს შობამდე 253 წელს პლებეების წრიდან გამოსულმა მთავარმა ქურუმმა („პონტი ფექს მაქსიმუს“) მოდავე მხარეებს ღიად გაუწია კონსულტაცია. ეს პირი გახლდათ ტიბერიუს კორუნკანიუსი. სამართალმა მოიშორა საიდუმლოების საბურველი.

თანდათან გამოელინდება რომაელთა განსაკუთრებული ნიჭიერება სამართალმცოდნეობაში. თუ არ ვცდები, ერთმა მკვლევარმა მათ „იურისტების რასაც“ კი უწოდა.

რომის სამართლის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვით განათლებულ იურისტებს, რომლებიც სამართალგანვითარებას აჩქარებენ თავიანთი გონივრული კომენტარებით.

ყველა თავისუფალი ადამიანი მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სამართლის ნორმების

გარკვეულ დონეზე ცოდნაც აუცილებელი იყო. ამასთან სამართლის ნორმების მკაცრი ფორმალიზმი სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეთაგან დიდ სიფრთხილეს, სამართლებრივ ნორმათა სერიოზულ ცოდნას მოითხოვდა.

არსებობდა იურიდიული სკოლები. ამასთან ერთად საერთო ხასიათის სკოლებშიც ასწავლიდნენ რომის სამართლის საწყისებს. ციცერონი გვამცნობს, რომ მან თორმეტი ტაბულის კანონები თითქმის ზეპირად იცოდა. რომ მას ეს კანონები შეასწავლეს, როგორც „აუცილებელი სიმღერა“.

იურისტების საქმიანობა ვლინდებოდა სამი ფორმით: 1) „კავერე“; 2) „რესპონდერე“ და 3) „აგერე“.

„კავერე“-ში იგულისხმებოდა სხვადასხვა იურიდიული აქტებისათვის საუკეთესო, შეუდავებელი ფორმულების გამომუშავება, კერძო პირებისათვის დახმარების გაწევა ანდერძის, ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტების შედგენაში.

„რესპონდერე“ — კერძო პირების კითხვებზე და თხოვნაზე პასუხის გაცემა (როდესაც სამართლებრივად საეჭვო საკითხების წინაშე იდგა მთხოვნელი).

„აგერე“ — რჩევა-დარიგების მიცემა სარჩელის წაყენებისა და საქმის საპროცესო წარმოებასთან დაკავშირებით. რომში საპროცესო წარმომადგენლობა ძალიან შეზღუდული იყო.

ქრისტეს შობამდე პირველი საუკუნიდან რომის სამართლებრივ ყოფა-ცხოვრებაზე გავლენას ახდენს ბერძნული ფილოსოფია. ყურადღება ექცევა თეორიულ საკითხებსაც. დროთა ვითარებაში აღმოსავლეთის ხალხთა წარმომადგენლებიც იწყებენ რომის სამართლის სფეროში მოღვაწეობას.

დროთა ვითარებაში „იუს ფლავიანუმ“ მოძველდა. წარმოიშვნენ ახალი სარჩელები და საჭირო გახდა ახალი სასარჩელო ფორმულების შედგენაც. ეს ამოცანა გადაუწყვეტია პეტუსს (Paetus).

კვინტუს მუციუს სცეეოლას უკვე ეტყობა ბერძნული ფილოსოფიის ზეგავლენა. ის თეორიული საკითხებითაც ინტერესდება. მას ეკუთვნის ცივილური სამართლის სისტემური გადმოცემა 18 წიგნად. დიდი იურისტები არც თუ იშვიათად ხდებიან კონსულები, პრეტორები, ედილები, ცენზორები და ა. შ.

პეტუსი, მაგალითად, 200 წელს ქრისტეს შობამდე ედილი იყო, 198 წელს კონსული, 190 წელს — ცენზორი. სისხლის სამართლის საქმეს მაგისტრატი იხილავს. თუ ეჭვმიტანილს ის არ გაამართლებს, საქმე ამით მთავრდება. მაგრამ თუ ის ბრალდებულს დიდ ჯარიმას ან სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტს, საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცემა სახალხო კრებას.

სახალხო კრება თავის გადაწყვეტილ;ებას იღებს არა საკანონმდებლო ნორმებზე დაყრდნობით, არამედ თავისი თავისუფალი მიხედულებით (მოსაზრებით); ი. პოკროესკი ამას უწოდებს მაგისტრატის თვითნებობის ნაცვლად ხალხის თვითნებობის დაკანონებას.

ხოლო თ. მომზენს ეს მიაჩნია „რომაული სამოქალაქო თავისუფლების უძლიერეს მანიფესტაციად“.

გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსის (ქრ. შობამდე 63 ახ.წ. 14 წ.წ.) ხანაში იზრდება იურისტების გავლენა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და სამართალგანვითარებაზე. ავგუსტუსიდან მოყოლებული, იმპერატორები რამოდენიმე ყველაზე ცნობილ იურისტს აძლევენ „იუს რესპოდენდის“ უფლებას. ეს იყო განსაკუთრებული მოვლენაც და განსაკუთრებული პრივილეგიაც.

იურისტს ეძლეოდა უფლება მოდავე მხარეებისათვის მიეცა თავისი გადაწყვეტილება, თავისი მოსაზრება იმპერატორის სახელით. იურისტის ამ გადაწყვეტილება-მოსაზრებას მოსამართლისათვის კანონის ძალა ჰქონდა. ასეთი „რესპონსა“ სამართალგანვითარების მნიშვნელოვანი წყარო იყო.

მართალია, მხოლოდ ზოგიერთი იურისტის „რესპონსა“ იყო მოსამართლეებისათვის სავალდებულო, მაგრამ საერთოდ იურისტების მოსაზრებებსა და კონსულტაციე-

ბს, თუ ისინი საკანონმდებლო ნორმების ცოდნას ემყარებოდა, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა.

რომის სამართლის მნიშვნელოვან მიღწევად თვლიან სამართლის დაყოფას საჯარო და კერძო სამართლად. ეს გარემოება უკავშირდება ერთი დიდი რომაელი იურისტის ღვაწლს.

III საუკუნის მეორე ნახევრიდან დადგინდა, რომ კლასიკოსი იურისტების ცალკეულ დებულებებს კანონის ძალა ენიჭებოდა. ხუთი იურისტის მოსაზრებას უდიდეს ავტორიტეტს ანიჭებდნენ. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ავგუსტუსის ზეობის წლებში იურისპრუდენციის ცაზე გამოჩნდა ორი დიდი „ვარსკვლავი“ – მარკუს ლაბეო (ლაბეონი) და გნეიუს კაპიტო (კაპიტონი). ლაბეონს დაწერილი აქვს ოთხასამდე წიგნი (მაშინდელი წიგნი შეიცავდა დაახლოებით ორმოცამდე გვერდს). ლაბეონი უნდა გარდაცვლილიყო ქრისტეს აქეთ დაახლოებით 22 წელს. ლაბეონი პრეტორად ნამყოფია. ძველი რესპუბლიკური წყობილების მომხრედ მოჩანს. წარმოშობით ყოფილა არისტოკრატი.

კაპიტო მდაბიო წრიდან იყო. ქრისტეს აქეთ 5 წელს იყო კონსული და შემდეგ კი „პონტიფექს მაქსიმუს“. ახალი სახელმწიფო რეჟიმის მომხრე ყოფილა. ისინი, ლაბეონი და კაპიტო, სხვადასხვა მიმართულების იურისტები იყვნენ. ლაბეონის მოწაფეებმა მიიღეს პროკულიანელების სახელწოდება, ხოლო კაპიტონის მიმდევრები საბინიანელებად იხსენიებიან.

ლაბეონი ყოფილა სამართალმცოდნეობის სფეროში ნოვატორი, ხოლო კაპიტონი უფრო კონსერვატორი, ძველის პატივისმცემელი. მათი შეფასების ირგვლივ დავა საბოლოოდ გადაწყვეტილი არც არის. პროკულიანელ ცელსუსს შეუდგენია „დიგესტა“ 39 წიგნად. ის ითვლებოდა ზოგიერთი ახალი იდეის შემოქმედად. ცელსუსი ყოფილა პრეტორიც და ორგზის კონსულიც. უკანასკნელად 129 წელს ქრისტეს აქეთ.

სალვიუს იულიანუსი ითვლება დიდ იურისტად. მას დაუწერია „დიგესტა“ 90 წიგნად. გარდაიცვალა დაახლოებით 129 წელს (ახ. წ.)

ომა. ჭეშმარიტება და ხმათა უმრავლესობა, უმრავლესობის აზრი ერთი და იგივე არ არის. უკვე რესპუბლიკის პერიოდში რომის სამართალი აღწევს მაღალ იურიდიულ ტექნიკას. ძველ რომში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა სამართლის ნორმის ახსნა-განმარტებას.

პომპონიუსის ინფორმაციით, რომის სახელმწიფოში მართლმსაჯულება ეყრდნობოდა ან სამართალს (დაწერილ კანონებს), ან სამართალმცოდნეთა მხრივ სამართლის ახსნა-განმარტებას. სამართლის ახსნა-განმარტება სამართალ-განვითარების ერთ-ერთი ხერხი იყო. სამართლის ისტორიკოსებს შენიშნული აქვთ, რომ XII ტაბულის კანონების ახსნა-განმარტების მეშვეობით გამომუშავდა მამის ძალაუფლებიდან შვილების ემანსიპაციის ინსტიტუტი, კანონით მემკვიდრეობა და ა. შ. კანონის ახსნა-განმარტების გზით განვითარდა ცივილური სამართლის უმეტესი ნაწილი.[44] კანონის გრამატიკული ახსნა-განმარტების გვერდით გზას იკვლევდა მისი არსებითი ახსნა-განმარტება, კანონმდებლობის ნების გაშიფრვა. ამის შესახებ მიუთითებდა იურისტი ცელსუსი, „დიგესტები" (32, 25.1).

529 წლის 7 აპრილს კონსტანტინეპოლში გამოქვეყნდა იუსტინიანეს კოდექსი.

534 წელს დამთავრდა სხვა ნაწილების შედგენაც.

საბოლოოდ „სამოქალაქო სამართლის კორპუსი" შედგებოდა „ინსტიტუციების", „დიგესტების" და „კოდექსისაგან". ბოლოს მას დაემატა „ნოველები" – ახალი კანონები (სულ 168 „ნოველა").

რომის სამართალს საერთოდ, და განსაკუთრებით კი რომის კერძო სამართალს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებისათვის, მათ შორის საბჭოთა სამართლის განვითარებისთვისაც. მიუხედავად ამისა, პროფ. ი.ს. პერეტერსკი იძულებული იყო, რომ 1948 წელს განეცხადებინა: „საბჭოთა იურისტისათვის რომის კერძო სამართალს არა აქვს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა"-ო. ახლა ეს არანორმალური ვითარება არ არსებობს.

---

[44] «Римское частное право».1948 стр. 34-35.

ავგუსტინე ავრელიუსი (354-430 წ.წ.)
(Augustinus Sanctus)

IV-V საუკუნეები რომის მსოფლიო სახელმწიფოს რღვევის და დაცემის ხანაა.

ავგუსტუსის პრინციპატი, წარმოშობილი ქრისტემდე პირველ საუკუნეში, თანდათან გადაიქცევა რომის იმპერიად. სახელმწიფო, ამ ხანიდან მოყოლებული ეყრდნობოდა არმიას, საზოგადოება კი პასიურად იყო განწყობილი სახელმწიფო ინტერესებისადმი.

ახ. წ. პირველ საუკუნეში რომის საზოგადოების სოციალური შემადგენლობა იცვლება. სენატის ძველი შემადგენლობა თანდათან კარგავს მნიშვნელობას. სენატში წარმოდგენილნი არიან პროვინციების წარჩინებული ადამიანები და იტალიის ქალაქები. სენატის ოპოზიცია და სხვა წარჩინებული რომაელები სტოიციზმში და აქტიური პოლიტიკური ცხოვრებიდან განზე დგომაში ეძებენ ხსნას. განათლებული რომაელების ნაწილი სტოიციზმს ეპიკურელთა მოძღვრებას უკავშირებდა და უარს არ ამბობდა სიამოვნებით ტკბობაზე და განცხრომით ცხოვრებაზე.

თვით სენეკას ბრალდება კომპრომისი: ბრძენი არ მიისწრაფვის სიმდიდრისაკენ, სულს არ გაყიდის მისთვის, მაგრამ უარს არ იტყვის სიმდიდრეზე და შეძლებულობას ამჯობინებს სიღარიბეს („ბედნიერი ცხოვრების შესახებ“). სენეკასვე ბრალდებოდა 300 მილიონი სესტერციის (150 მილიონი ოქროს მანეთი) მოხვეჭა... აწმყოთი შეშფოთებული ადამიანები რელიგიაში და კერძო ოჯახურ ცხოვრებაში ეძებენ ხსნას. დიადი წარსული ვერ დაბრუნდება, მომავალი არ ჩანს და ბურუსითაა მოცული. სენეკას აზრით, გარდაცვლილი იმპერატორების ღმერთად გამოცხადებაც სასაცილოა. ტირანი კლავდიუსი ღმერთად კი არ გადაიქცევა, არამედ გოგრად, რომელიც სიმბოლურად სიბრიყვეს გამოხატავდა. არაგონივრულ, ბრიყვულ ცხოვრებას ისევე გონივრული რელიგია სჯობს.

ჰაერში ქრისტიანული იდეები დაფრინავს, რომელიც არა მარტო ქრისტიანთა შორის, არამედ სენეკასთანაც კი ჩანს. მარქსიზმის ერთ-ერთი კლასიკოსი, ფ. ენგელსი სენეკას „ქრისტიანთა ბიძასაც“ კი ეძახის.

ანტიკური ფილოსოფია ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მძიმე კრიზისში იმყოფება. ფილოსოფოსებს იმედი არა აქვთ, რომ ჭეშმარიტებას მიაგნებენ. ეჭვებითა და ეკლექტიზმით დაავადებული ფილოსოფია თვითონ მიმართავს რელიგიას. ფილონ ალექსანდრიელი ცდილობს ანტიკური ფილოსოფია და ძველებრაული, იუდაისტური რელიგია ერთმანეთთან შეათანხმოს. რელიგია მეტი პატივით სარგებლობს, ვიდრე ფილოსოფია.

ახ. წ. II და III საუკუნეებში, ჯერ კიდევ ძლიერი რომის სახელმწიფოს წიაღში. ღრმავდებოდა ისეთი კრიზისული მოვლენები, რომელთა დაძლევაც მსოფლიოზე ბატონობის მოსურნე და მონობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას არ შეეძლო. თუ რელიგიას „ხალხურ მეტაფიზიკად“ თვლის ზოგიერთი მკვლევარი, ეს „რომაული მეტაფიზიკაც“ არ ამართლებდა. საყოველთაო უიმედობა და უზნეობა ღრღნიდა თითქმის მთელ საზოგადოებას. თანდათან რომის პანთეონში ეგვიპტური, სირიული და სხვა ქვეყნების ღმერთები იკავებდნენ თავიანთ ადგილს. მონები, ღარიბები, მდაბიო ხალხი და განათლებული ფენები ახალი რელიგიის, ქრისტიანობის მონოთეიზმს, კოსმოპოლიტიზმს, ჰუმანიზმს, შემწყნარებლობას აძლევდნენ უპირატესობას რომაელთა მრავალღმერთიანობისა და ზნეობრივ დაცემულობას შეგუებული რელიგიის წინაშე.

IV საუკუნის პირველ ათეულში ქრისტიანობამ იმდენად მოიკრიბა ძალა, რომ მას უკვე ანგარიშს უწევდნენ რომის სახელმწიფოს მესვეურები.

313 წელს მედიოლანში (მილანი) გამოიცა კანონი, რომლის მიხედვითაც ქრისტიანობა ნებადართულ რელიგიად გამოცხადდა. რა თქმა უნდა, დრო სჭირდებოდა ქრისტიანული რელიგიის საბოლოო გამარჯვებას.

რომის იმპერიაში მრავლად იყვნენ ოჯახები, სადაც მეუღლეები სხვადასხვა რელიგიას აღიარებდნენ.

ავგუსტინე ავრელიუსი. დაიბადა აფრიკაში — ნუმიდიაში, დღევანდელი ალჟირის ტერიტორიაზე, პატარა ქალაქ თაგასტაში. ვიცით, რომ მისი მამა არ იყო ქრისტიანი, ხოლო დედა, მონიკა, ქრისტიანი იყო.

ავგუსტინე ავრელიუსს აფრიკაში, კართაგენში მიუღია იურიდიული განათლება.

ერთ ხანს მას რომსა და მილანშიც უცხოვრია. საფუძვლიანად ეცნობა ციცერონის ნაშრომებს, სტოიციზმის მიმდევართა შეხედულებებს, „ახალი აკადემიის" სკეპტიციზმს.

კითხულობს სხვადასხვა მიმართულების ფილოსოფოსთა ნაშრომებს, მათ შორის ნეოპლატონიკოსებსაც.

მისი პირველი ნაშრომები დაიწერა მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანი. ამ ხანებში მას აინტერესებდა რიტორიკისა და ეთიკის საკითხები.

ქრისტიანად მოქცევის შემდეგ დგება მისი ცხოვრების ახალი პერიოდი. ფილოსოფოსობის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ცდილობს გაერკვეს საკითხში: რა მიმართებაშია ფილოსოფია ქრისტიანულ რელიგიასთან. ერთ ხანს, 9 წლის განმავლობაში იგი მანიქეველი იყო. ეს მოძღვრება წარმოიშვა სპარსეთში, მესამე საუკუნეში. მისი ფუძემდებელი იყო მანი (216-277 წ.წ.) და წარმოადგენდა ქრისტიანობის და ზოროასტრიზმის გარკვეულ სინთეზს.

ქრისტიანად მოქცევის შემდეგ მას დაუწერია ნაშრომები: „კანონზომიერების შესახებ", „ნეტარი ცხოვრების შესახებ", „სულის უკვდავების შესახებ". ტოვებს რა მანიქეველობას, ის წერს ნაშრომს მანიქეველთა წინააღმდეგ, „ამორჩევის თავისუფლების შესახებ". ავგუსტინე ფართე ენციკლოპედიური ცოდნის მქონე პიროვნებაა. ნაშრომებს წერს მათემატიკის საკითხებზე, დიალექტიკაზე, გრამატიკაზე.

400 წელს ქრისტეს აქეთ აფრიკაში, ჰიპონიაში ის სასულიერო თანამდებობაზეა და დაინტერესებულია ქრისტიანული დოგმატიკის საკითხებით. ის იბრძვის დონატისტების წინააღმდეგ. აფრიკის ქრისტიანულ ეკლესიაში ეპისკოპოსი დონატი იბრძოდა ოფიციალური ეკლესი-

ის წინააღმდეგ. დონატისტებმა ცალკე ეკლესიაც კი ჩამოაყალიბეს. 411 წელს კართაგენის საეკლესიო კრებამ სიკვდილით დასჯის მუქარით აკრძალა დონატისტობა. ავგუსტინე ებრძვის აგრეთვე პელაგიანელებს, რომლებიც ასკეტიზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ანტიკური ფილოსოფიისაკენ მიილტვოდნენ.

ქრისტიანული სარწმუნოების გამარჯვების პირველ ხანებში გარკვეული დაბნეულობა სუფევდა იმასთან დაკავშირებით, გაეწიათ თუ არა წინააღმდეგობა ძალის გამოყენებით მტრებისათვის. მათეს სახარებაში ამოკითხული ადგილი „წინ ნუ აღუდგებით ბოროტს: არამედ თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგაწნას,მეორე ლოყაც მიუშვირე“ (5,39) ისე იქნა გაგებული, რომ ქალაქი მტრებისაგან არ უნდა დაეცვათ. ავგუსტინემ ამ შემთხვევაში მებრძოლური პოზიცია დაიჭირა და ურჩია ქალაქელებს: მტკიცედ ებრძოლათ მტრების წინააღმდეგ. ვინ აუკრძალა ქრისტიანთა ძროხებს, რქებით მოიგერიონ მგლები?

მტერი, რომელიც თავს გესხმის და რომელსაც „მეორე ლოყასაც“ მიუშვერ და ისევ სილას გაგაწნავს, წინააღმდეგობის გაწევის ღირსია.

400–426 წლებში იწერება მისი მთავარი ნაშრომები „აღსარება“, „სამება“ და „ღვთის ქალაქი“.

ფილოსოფიის ისტორიკოსები ავგუსტინეს მოძღვრებას დროის შესახებ დიდ ყურადღებას უთმობენ. მისთვის „სამყაროს შექმნის დასაწყისი დროის დასაწყისია. დრო ცვლილებების, მოძრაობის საზომია და იგი უპირისპირდება მარადიულობას, დროში გაშლილი უპირისპირდება ღვთაებრივ სრულყოფილებას“.[45]

ავგუსტინეს აზრით, ღმერთმა სამყარო და დრო ერთად შექმნა.

---

[45] „ბუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის საკითხები“, ნაწილი I, თბილისი, 1981, გვ. 24-25.

ავერელიუს ავგუსტინე, „აღსარება“. სანკტ-პეტერბურგი 1999, გვ. 392 (რუსულად).

ავგუსტინე. რჩეული თხზულებანი, მოსკოვი, 1986 (რუსულად).

აკაკი გაწერელია, „ფაიდას გამოცხადება“. თბილისი, „მერანი“, 1988. გვ. 96.

„აღსარების“ მიხედვით, ავგუსტინეს ცოდვად მიაჩნია თეატრით და რიტორიკით გატაცება და თვით ქორწინებაც კი. ავგუსტინეს ბავშვობაში ასწავლიდნენ ბერძნულს და ლათინურს. მისთვის მძიმე იყო ბერძნულის სწავლა, რომელიც დაკავშირებული ჰქონდათ მასწავლებლებს „მრისხანე აუცილებლობასთან“ (I, XIV), ინანიებს ხილის ქურდობას ბავშვობაში (II, 6) და ა. შ.

ადამიანში თითქოს ორი ნებაა: ერთი ღვთაებრივი ნების განხორციელება, ხოლო მეორე ცოდვილი ადამიანის ნება. ღვთაებრივმა უნდა დაძლიოს მიწიერი.

„ღვთის ქალაქში“, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში,ჩამოყალიბებულია და განხილულია როგორც ფილოსოფიის, ისტორიის, ასევე ისტორიის ფილოსოფიის საკითხები.

ის საკმაოდ დაწვრილებით იხილავს ფილოსოფიის ისტორიას. შედარებით ვრცლად იხილავს პლატონის ფილოსოფიას და მას აკავშირებს თეოლოგიასთან. ბრძენი არა მარტო შეიმეცნებს ღმერთს, არამედ ის მიმბაძველი და მოყვარეა ღვთისა.

ავგუსტინესათვის „ღვთის ქალაქი“ ქრისტიანობაა, ხოლო „მიწის ქალაქი“ – ანტიკური სიბრძნე. ადამიანი ღმერთმა შექმნა ღვთაებრივი „ქალაქისათვის“, მაგრამ ცოდვის ჩადენის შემდეგ ის „მიწის ქალაქის“ მცხოვრებად გადაიქცა.

კაცობრიობამ თავისი განვითარების ექვსი პერიოდი გაიარა.

თავდაპირველად კანონები არც იყო საჭირო... კაცობრიობის ისტორიის პირველი პერიოდი მისი ბავშვობის ხანაა (ადამიდან ნოემდე). კაენი და აბელი ავგუსტინესეული ორი სახელმწიფოს პირველი წარმომადგენლებია. ძმის მკვლელი კაენი განასახიერებს მიწიერ სახელმწიფოს, აბელი – ღვთაებრივს. კაცობრიობის ისტორიის მეორე პერიოდია ხანა ნოედან აბრამამდე. ავგუსტინეს მიაჩნია, რომ ეს იყო კაცობრიობის ყრმობის პერიოდი.

კაცობრიობის განვითარების შემდგომი, III ხანაა აბრამიდან დავითამდე – ჭაბუკობის პერიოდი. ამ დროს დგინდება კანონებიც.

ის წინააღმდეგ. დონატისტებმა ცალკე ეკლესიაც კი ჩამოაყალიბეს. 411 წელს კართაგენის საეკლესიო კრებამ სიკვდილით დასჯის მუქარით აკრძალა დონატისტობა. ავგუსტინე ებრძვის აგრეთვე პელაგიანელებს, რომლებიც ასკეტიზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ანტიკური ფილოსოფიისაკენ მიიღტეოდნენ.

ქრისტიანული სარწმუნოების გამარჯვების პირველ ხანებში გარკვეული დაბნეულობა სუფევდა იმასთან დაკავშირებით, გაეწიათ თუ არა წინააღმდეგობა ძალის გამოყენებით მტრებისათვის. მათეს სახარებაში ამოკითხული ადგილი „წინ ნუ აღუდგებით ბოროტს: არამედ თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგაწნას,მეორე ლოყაც მიუშვირე“ (5,39) ისე იქნა გაგებული, რომ ქალაქი მტრებისაგან არ უნდა დაეცვათ. ავგუსტინემ ამ შემთხვევაში მებრძოლური პოზიცია დაიჭირა და ურჩია ქალაქელებს: მტკიცედ ებრძოლათ მტრების წინააღმდეგ. ვინ აუკრძალა ქრისტიანთა ძროხებს, რქებით მოიგერიონ მგლები?

მტერი, რომელიც თავს გესხმის და რომელსაც „მეორე ლოყასაც“ მიუშვერ და ისევ სილას გაგაწნავს, წინააღმდეგობის გაწევის ღირსია.

400–426 წლებში იწერება მისი მთავარი ნაშრომები „აღსარება“, „სამება“ და „ღვთის ქალაქი“.

ფილოსოფიის ისტორიკოსები ავგუსტინეს მოძღვრებას დროის შესახებ დიდ ყურადღებას უთმობენ. მისთვის „სამყაროს შექმნის დასაწყისი დროის დასაწყისია. დრო ცვლილებების, მოძრაობის საზომია და იგი უპირისპირდება მარადიულობას, დროში გაშლილი უპირისპირდება ღვთაებრივ სრულყოფილებას“.[45]

ავგუსტინეს აზრით, ღმერთმა სამყარო და დრო ერთად შექმნა.

---

[45] „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის საკითხები“, ნაწილი I, თბილისი, 1981, გვ. 24-25.

ავრელიუს ავგუსტინე, „აღსარება“. სანკტ-პეტერბურგი 1999, გვ. 392 (რუსულად).

ავგუსტინე. რჩეული თხზულებანი, მოსკოვი, 1986 (რუსულად).

აკაკი გაწერელია, „ფაიდას გამოცხადება“. თბილისი, „მერანი“, 1988. გვ. 96.

„აღსარების“ მიხედვით, ავგუსტინეს ცოდვად მიაჩნია თეატრით და რიტორიკით გატაცება და თვით ქორწინებაც კი. ავგუსტინეს ბავშვობაში ასწავლიდნენ ბერძნულს და ლათინურს. მისთვის მძიმე იყო ბერძნულის სწავლა, რომელიც დაკავშირებული ჰქონდათ მასწავლებლებს „მრისხანე აუცილებლობასთან“ (I, XIV), ინანიებს ხილის ქურდობას ბავშვობაში (II, 6) და ა. შ.

ადამიანში თითქოს ორი ნებაა: ერთი ღვთაებრივი ნების განხორციელება, ხოლო მეორე ცოდვილი ადამიანის ნება. ღვთაებრივმა უნდა დაძლიოს მიწიერი.

„ღვთის ქალაქში“, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში,ჩამოყალიბებულია და განხილულია როგორც ფილოსოფიის, ისტორიის, ასევე ისტორიის ფილოსოფიის საკითხები.

ის საკმაოდ დაწვრილებით იხილავს ფილოსოფიის ისტორიას. შედარებით ვრცლად იხილავს პლატონის ფილოსოფიას და მას აკავშირებს თეოლოგიასთან. ბრძენი არა მარტო შეიმეცნებს ღმერთს, არამედ ის მიმბაძველი და მოყვარეა ღვთისა.

ავგუსტინესათვის „ღვთის ქალაქი“ ქრისტიანობაა, ხოლო „მიწის ქალაქი“ – ანტიკური სიბრძნე. ადამიანი ღმერთმა შექმნა ღვთაებრივი „ქალაქისათვის“, მაგრამ ცოდვის ჩადენის შემდეგ ის „მიწის ქალაქის“ მცხოვრებად გადაიქცა.

კაცობრიობამ თავისი განვითარების ექვსი პერიოდი გაიარა.

თავდაპირველად კანონები არც იყო საჭირო... კაცობრიობის ისტორიის პირველი პერიოდი მისი ბავშვობის ხანაა (ადამიდან ნოემდე). კაენი და აბელი ავგუსტინესეული ორი სახელმწიფოს პირველი წარმომადგენლებია. ძმის მკვლელი კაენი განასახიერებს მიწიერ სახელმწიფოს, აბელი – ღვთაებრივს. კაცობრიობის ისტორიის მეორე პერიოდია ხანა ნოედან აბრამამდე. ავგუსტინეს მიაჩნია, რომ ეს იყო კაცობრიობის ყრმობის პერიოდი.

კაცობრიობის განვითარების შემდგომი, III ხანაა აბრამიდან დავითამდე – ჭაბუკობის პერიოდი. ამ დროს დგინდება კანონებიც.

კაცობრიობის განვითარების მეოთხე ეტაპია — მეფე დავითის ზეობის წლებიდან (ქრისტეს შობამდე მეთერთმეტე საუკუნის დასასრული — 950 წ.) ბაბილონელთა მიერ ებრაელების დატყვევებამდე (ქრისტეს შობამდე 597 წ.) ესაა კაცობრიობის დავაჟკაცების პერიოდი.

კაცობრიობის ისტორიის მეხუთე ეტაპია ბაბილონელთა მიერ ებრაელების დატყვევებიდან იესო ქრისტემდე.

ხოლო მეექვსე პერიოდი მსოფლიო ისტორიისა იწყება ქრისტედან და გრძელდება დღემდე (ავგუსტინეს ეპოქამდე). ავგუსტინე თვლიდა, რომ ეს უკანასკნელი არის ადამიანთა ტანჯვისა და იმედიანობის, ბრძოლისა და გამარჯვების პერიოდი.

ყოველ ქვეყანაში, განსაკუთრებით წარმართულში, ერთ მხარესაა ღვთის ქალაქი, თავისი ღვთისმოსავი ადამიანებით, წინასწარმეტყველებით და ღვთისმსახურებით, ხოლო მეორე მხარეს — ცოდვილი ადამიანები. ქრისტიანულმა ეკლესიამ უნდა გააერთიანოს და მართოს ეს ორი ქალაქი—სახელმწიფო. ეკლესიას ავგუსტინე თვლის ღვთის სახელმწიფოს (ქალაქის) ნაწილად, მის აჩრდილად მიწაზე.

ეკლესიის როლი ავგუსტინესთან ძალიან მნიშვნელოვანია. ის წარმოსახულია ისტორიის განვითარების მძლავრ ფაქტორად. საშუალო საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია მას პრაქტიკულად განახორციელებს კიდეც.

ავგუსტინეს მიერ წამოყენებულ ისტორიის ფილოსოფიაზე წერდა ნ. კონრადიც.

აღნიშნულია ამის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც:

„ავგუსტინემ პირველად შემოიტანა საზოგადოების ისტორიული საფეხურების იდეა და ეს საფეხურები ადამიანის ასაკობრივი განვითარების ანალოგიით წარმოიდგინა, რითაც ავგუსტინე ისტორიის ფილოსოფიის დამწყები გახდა.[46]

---

[46] ეს მოსაზრება სადავოა. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს პატიუ პოლიბიოსს და სიმა ციანს ეკუთვნის.

ღვთის ქალაქი და მიწიერი ქალაქი მანიქეველების ორ საწყისს – სინათლის და სიბნელის გამოხატულებას წარმოადგენენ. ავგუსტინემ ვერ შეძლო მანიქეველური დუალიზმის გადალახვა ისტორიის ფილოსოფიაში, ერთამანეთისაგან გათიშული დარჩა ეს ორი სამყარო – ღვთაებრივი და მიწიერი...“ ავგუსტინეს საბოლოოდ რჩება მხოლოდ ერთი გზა – ინდივიდის სულს უმაღლეს მიზნად მიუჩინოს ნეტარი სიმშვიდის მიღწევა ღვთაებრივი ჭეშმარიტების ჭვრეტაში და აქ იგულვოს ამ გაორების მოხსნა. ავგუსტინეს აქ დასჭირდა გამოეყენებინა არისტოტელეს სულის განვითარების თეორიაც და მხოლოდ მომავალ, მეშვიდე საფეხურად წარმოსახა ადამიანის მიერ ღმერთის მარადიული ჭვრეტის შესაძლებლობა.[47]

---

[47] იხ. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწ. I, თბ., 1981. გვ. 37-38.

თომა აკვინელი (თომა აკვინატი)

თომა აკვინელის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრება

თომა აკვინელი (1225-1274 წ.წ.) მეცამეტე საუკუნის ევროპაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი მეცამეტე საუკუნის დასავლეთ ევროპის ფილოსოფიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. იგი იყო ღვთისმეტყველიც და ფილოსოფოსიც, ორთოდოქსული სქოლასტიკის სისტემატიზატორი.

თ. აკვინელი დაბადებულა სამხრეთ იტალიაში.

როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპა გადაურჩა მონღოლების ბატონობას და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს გააჩნდათ ნორმალური განვითარების საშუალება. საუნივერსიტეტო განათლება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. შეძლებული ადამიანების შვილებს, თუ ისინი ლათინურს კარგად ფლობდნენ, შეეძლოთ იმდროინდელი გაგებით საფუძვლიანი განათლების მიღება. ვიცით, რომ თომა იყო ალბერტ დიდის მოწაფე, სწავლობდა ქ. კელნში.

ალბერტ დიდი, ალბერტ ფონ ბოდიშტედტი (1207-1280 წ.წ.) იყო გამოჩენილი გერმანელი თეოლოგი და ფილოსოფოსი. მისი აზრით, მეცნიერებას აქვს დამოუკიდებლად არსებობის უფლება. ის შეიძლება არსებობდეს თეოლოგიის გვერდით. ის არ უარყოფდა იმ გარემოებას, რომ ფილოსოფოსმა უნდა აწარმოოს მოვლენებზე დაკვირვება, ე. ი. არა მარტო ავტორიტეტის აზრი გაიმეოროს, არამედ თვითონაც ეცადოს რაღაც წვლილის შეტანას ცხოვრებაში.

ამ დროს გაბატონებულია სქოლასტიკა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რელიგიას დაშვებული ჰქონდა თავის დოგმათა თეორიული დასაბუთების შესაძლებლობა იმ დონეზე, რომ ფილოსოფიას მხოლოდ თეოლოგიის მორჩილი მსახურის როლი ეთამაშა. როგორც ერთი ფილოსოფოსი მართებულად აღნიშნავდა, „ფილოსოფია დასაბუთების საშუალებად იქცა, მაგრამ მას დასაბუთებულის შემოწ-

მების უფლება არა ჰქონდა. იგი აღარ იყო მსოფლმხედველობა". თავი მოსწონდათ იმით, რომ ავტორიტეტის პატივისმცემელნი არიან და ავტორიტეტის მოსაზრებისათვის არ გადაუხვევიათ. იოანე დამასკელი თავს იწონებდა იმით, რომ მას თავისი არაფერი მიუმატებია ავტორიტეტისათვის „ხოლო ჩემი ვთქუა არარაი". ე. ი. ერთგულია დოგმის. ანტიდოგმატურობა „დანაშაულად" ითვლებოდა. მაისტერ ეკჰარტს (1260-1327 წ.წ.) თურმე იმისთვის მისცეს გაფრთხილება, რომ მას „სურდა მეტი ცოდნოდა, ვიდრე საჭირო იყო". მაშასადამე, ზომიერება უნდა დაიცვა ცოდნის სურვილშიც.

აი, ასეთ ეპოქაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თომა აკვინელი.

ის ნეაპოლში, პარიზსა და რომში მოღვაწეობდა, ასწავლიდა უმაღლეს სასწავლებლებში.

ის მეტად ნაყოფიერი ფილოსოფოსი იყო. მიუხედავად იმისა, რომ თომა ორმოცდაათისაც არ იყო, როცა გარდაიცვალა, მან საკმაოდ დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, თვრამეტი დიდი მოცულობის ტომის სახით.

როგორც ერთი მკვლევარი სამართლიანად წერს „თომა აკვინელის მოძღვრება არა მარტო ქრისტიანული, არამედ საერთო რელიგიური აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო პროდუქტია. კათოლიკური ეკლესია თომა აკვინელს ქრისტიანული რელიგიისა და არისტოტელიზმის "გენიალურ გაერთიანებას" უმადლის. ეს ცოდნისა და რწმენის მორიგებას ნიშნავდა.[48]

ცოდნისა და რწმენის მორიგება კი იყო ის უდიდესი საქმე, რომელიც შუა საუკუნეებში მხოლოდ უდიდეს მოაზროვნეს შეეძლო.

თომა აკვინელის მოძღვრება თავდაპირველად ყველას ერთნაირად არ ესმოდა.

---

[48] გ. თევზაძე, „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია". თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1996, გვ. 283-284. იხ. აგრეთვე ნ. ნათაძე, „თომა აკვინელის ფილოსოფია", თბილისი, 1973. ა. გელაშვილი, „თანამადროვე რელიგია და ღმერთის არსებობის დასაბუთების საკითხი", თბ. 1972.

1277 წელს პარიზის ეპისკოპოსმა უარყოფითად შეაფასა თომას რამოდენიმე დებულება და ამასთან დაკავშირებით „დაწყეველა“ კიდეკაც ისინი.

სასულიერო პირებს აინტერესებდათ საკითხი, გონებას აძლევდა თომა უპირატესობას თუ რწმენას. თომა აკვინელის თანამებრძოლებმა და თვით ალბერტ დიდმა დიდი ბრძოლით მიაღწიეს იმას, რომ ოფიციალური ეკლესიის მესვეურები დაერწმუნებინათ ქრისტიანული ეკლესიისათვის თომა აკვინელის მოძღვრების დიდ ღირებულებაში.

თომას აზრით, არსებობს ორგვარი ჭეშმარიტება: გონებისა და რწმენის. გონების ჭეშმარიტება ხელს გაუმართავს რწმენას.

ცოდნასა და რწმენას შორის შეიძლება იყოს წინააღმდეგობა, მაგრამ მათ შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა არ არის.

თომა აკვინელის მთავარი ნაშრომებია: „თეოლოგიის მთლიანობა“, „გამოკვლევანი ჭეშმარიტებაზე“, „წარმართთა საწინააღმდეგო აზრების მთლიანობა“, „ხელისუფალთა მმართველობის შესახებ“, კომენტარები არისტოტელეს „პოლიტიკასა“ და „ეთიკაზე“ და ა. შ.

იმ ნაშრომებიდან, რომლებიც სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს ეხება, აშკარად ჩანს, რომ თომა კარგად იცნობს არისტოტელეს ნაშრომებს და კერძოდ მის „პოლიტიკას“. ცხადია, რომ მისი სურვილია მოარიგოს არისტოტელეს შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მის დროინდელ ქრისტიანულ მოძღვრებასთან.

დასავლეთ ევროპა არისტოტელეს ნაშრომების ლათინურ თარგმანს გაეცნო მეცამეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს. თომა აკვინელი ამ ხანებში საკმაოდ მომზადებული და ნაკითხი ფილოსოფოსი იყო.

როგორც ცნობილია, არისტოტელეს აზრით, ადამიანი პოლიტიკური ცხოველია, ადამიანი პოლიტიკური არსებაა და მას სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. ცალკე ადამიანს, საზოგადოებისა და სახელმიფოსაგან განცალკევებულს თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეუძლია. სახელმწიფოს მეშვეობით

. ადამიანები იკმაყოფილებენ თავიანთ . მოთხოვნილებას. თომა აკვინელი, რა თქმა უნდა იცნობდა ბიბლიას (ძველსა და ახალ აღთქმას) და მასში მოთავსებულ შეხედულებებს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ. ძველ აღთქმაში სახელმწიფო დადებითადაც არის წარმოდგენილი და ზოგან უარყოფითადაც. "მეფეთა წიგნის" მიხედვით ეგვიპტელების სახელმწიფოს სახე წარმოჩენილია, როგორც მკაცრი ბატონობა-მორჩილებითი ურთიერთობის მაჩვენებელი. მაგრამ ხალხი მაინც მსგავსი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მომხრეა იუდეასა და ისრაელში... მეფე ამყარებს სახელმწიფო წესრიგს და იცავს მოსახლეობის საერთო ინტერესებს. ერთგან, ერთ იგავში მეფე შედარებულია ეკალთან, რომელსაც რაიმე დადებითის გაკეთება არც ძალუძს.

არსიტოტელეს ნაშრომების მიხედვით, სახელმწიფოს ამკობს დადებითი ფუნქციები... მაგრამ ყველა ფორმა სახელმწიფოს მართვისა ერთნაირად მისაღები არ არის... თომა აკვინელი თავისი დროისა და ეპოქის შვილი იყო. XIII საუკუნის დასაველეთ ევროპაში დიდი ძალა გააჩნდა კათოლიკურ ეკლესიას და არაიშვიათად მას პრეტენზია ჰქონდა სახელმწიფოს მართვისა. არა და ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ფეოდალური შუღლი და სეპარატიზმი ისტორიის განვითარებას აფერხებდა. ასეთ ვითარებაში ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა ძლიერი ფეოდალური მონარქია, რომელიც წესრიგს დაამყარებდა ქვეყანაში და ხალხს ცხოვრების შედარებით ნორმალურ პირობებს შეუქმნიდა. ფეოდალურ ხანაში დასაველეთ ევროპაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ნორმალური ურთიერთობის გარეშე კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი წინსვლა შეუძლებელი იყო.

თუმცა ღმერთმა ადამიანები თავისუფალი შექმნა, მაგრამ მონობა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა შედეგად დამყარდა. როგორც ვიცით, არისტოტელე მონობისა და კერძო საკუთრების მომხრე იყო. ასევეა თომა აკვინელთან. მონობა, ქონებრივი უთანასწორობა, კერძო

საკუთრება, საშოხელეო იერარქიის არსებობა აუცილებელია. XIII საუკუნის დასავლეთ ევროპაში „მონობის“ ცნების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ყმობა, ფეოდალური ურთიერთობის დროს ბატონყმობამ შეცვალა მონობა. სახელმწიფომ და ეკლესიამ ერთობლივად უნდა იზრუნონ ადამიანთა ბედნიერი და ნეტარი ცხოვრებისათვის. თუმცა ერთია სოციალური სინამდვილე, სხვაა სოციალური იდეალი. ამ უკანასკნელის განხორციელება მოაზროვნეს იმ ქვეყნად გადააქვს.

ფეოდალური საზოგადოების პირობებში, XIII საუკუნეში თომა აკვინელს არ შეეძლო თუნდაც ამ საზოგადოების ფარგლებიდან გასვლა. ფეოდალიზმს ჯერ კიდევ ისტორიული აუცილებლობის დონეზე ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი.

ხელისუფლება და სახელმწიფო ისეთსავე ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, როგორც ღმერთი და სამყარო.

არსებობს ოთხი კატეგორიის კანონი.

1). მარადიული კანონი; 2) ბუნებითი კანონი; 3) ადამიანური კანონი; 4) ღვთაებრივი კანონი.

თ. აკვინელი ცდილობს ერთმანეთთან მოარიგოს სტოელთა ფილოსოფია, რომაელი იურისტების შეხედულებები და ქრისტიანული მოძღვრება რომის კათოლიკური ეკლესიის პრინციპულ დებულებათა სახით.

სამყაროს განაგებს ღვთაებრივი გონება და ეს უკანასკნელი უნდა ვიგულისხმოთ მარადიული კანონის ცნების ქვეშ. მარადიული კანონი ზოგადია და ის კონკრეტდება ბუნებით კანონში. ეს უკანასკნელი უდევს საფუძვლად პოზიტიურ (ადამიანურ) კანონებს. რაც შეეხება ღვთაებრივ კანონს, აქ იგულისხმებიან კანონები, რომელნიც ბიბლიიდან არიან აღებულნი და რომელთა წყაროსაც საღვთო წერილი წარმოადგენს.

ძველი აღთქმის წიგნებში გაბნეულ საკანონმდებლო ნაშრომებში ჯერ კიდევ მკვეთრად არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული სამართლებრივი ნორმა და რელიგიური მცნება, ხოლო რომის სამართლის ძეგლებში

ჩვენ ვხედებით ნამდვილ სამართლებრივ ნორმებს. ზოგჯერ ფეოდალური დასავლეთ ევროპის სამართლის ძეგლებიც XIII საუკუნეში და უფრო ადრე, მრავალ პრიმიტიულ ნორმას შეიცავდა. თომა აკვინელი იძულებული იყო ყოველივე ამისათვის გაეწია ანგარიში და ისინი ერთმანეთთან შეეთანხმებინა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ზოგჯერ თ. აკვინელთან ერთმანეთისგან არ იყოს მკვეთრად გამიჯნული რელიგიურ-მორალური ნორმა და კანონი.

თომას ნაწერებში ერთმანეთისაგან განსხვავებულია „ius gencium," „ხალხთა სამართალი" და ციერილური სამართალი. მაგრამ XIII საუკუნეში გარკვეული არ იყო, რომ უძველესი ხანის რომში ყველა გვარს, ცალკე აღებულს, თავისი წესჩვეულება, თავისი დაწერელი – ჩვეულებითი სამართალი გააჩნდა. დროთა ვითარებაში ამ გვაროვნული, განცალკევებული ჩვეულებითი სამართლის ნორმების ინტეგრაცია მოხდა და წარმოიშვა „ხალხთა სამართალი", რომელმაც მოგვიანებით საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობა მიიღო.

რამდენადაც შესაძლებელი იყო, თ. აკვინელი გამოცხადებასთან, ბიბლიურ სამართალთან ათანხმებს პოზიტიური სამართლის ნორმებს.

XIII საუკუნის დასავლეთ ევროპაში კათოლიკური ეკლესია ძლიერი იყო. ის მეტოქეობას უწევდა საერო ხელისუფლებას. ძლიერი იყო ის ეკონომიკურად, პოლიტიკურად და იდეოლოგიურად. რომის პაპი არაიშვიათად უპირისპირდებოდა მეფეებსა და იმპერატორებს და სახელმწიფო მოხელეებსა და ქვეშევრდომებს ათავისუფლებდა მეფისათვის მიცემული ფიცისაგან.

XIII საუკუნეშივე წარმოიშვა ინკვიზიცია, კათოლიკური ეკლესიის ტრიბუნალი ერესთან საბრძოლველად. თომა დომინიკანელი ბერი იყო და იცავდა რწმენის სიწმინდეს. მისი აზრით, ისევე როგორც ყალბი მონეტის დამამზადებელნი, სასტიკად უნდა დაისაჯონ ერეტიკოსები.

ზოგიერთი დომინიკანელი ბერი ამაყობდა კიდეეაც იმით, რომ პაპისა და ინკვიზიტორების ერთგული იყო და

თავის თავს მოიხსენიებდა, როგორც „დომინი კანეს“ (ღმერთის ძაღლს). აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ XX საუკუნის მოღვაწე პროლეტარიატის დიქტატურის ერთგული „ქოფაკი ძაღლებიც“.

XIII საუკუნეშივე მკვიდრდება ინდულგენციები, რომელიც დიდი შემოსავლის წყაროდ იქცა კათოლიკური ეკლესიისათვის.

სახელმწიფოს შესახებ უძველესი მოსაზრებანი გამოთქმული აქვთ არა იურისტებს, არამედ ფილოსოფოსებს. ფილოსოფოსთა ნაწილი ცდილობდა გარკვეულიყო სახელმწიფოს არსში იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენდა სახელმწიფოს მიზანს, ხოლო სხვები სწავლობდნენ მისი წარმოშობის პროცესს და ამის მეშვეობით სურდათ ამ რთულ პრობლემებში გარკვევა. პლატონი და არისტოტელე მიეკუთვნებოდნენ იმ მკვლევართა რიგს, რომლებიც სახელმწიფოს არსში გარკვევას მისი მიზნებიდან გამომდინარე ცდილობედნენ.

მათი აზრით, სახელმწიფოს მიზანია საზოგადოებაში ზნეობრივი კანონის გაბატონება.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, პაპებსა და იმპერატორებს შორის ბრძოლის პროცესში, სასულიერო და საერო ხელისუფალთა შორის კონფრონტაციის ვითარებაში სასულიერო პირები სახელმწიფოს ღვთაებრივი წარმოშობის იდეას უჭერდნენ ძხარს.

თომა აკვინელს ერთმანეთთან უნდა შეეთანხმებინა ორი თეზისი: 1) „ყოველგვარი ხელისუფლება ღვთისაგანაა“ და 2) ზოგიერთი ხელისუფალი, მეფე, მთავარი და ა. შ. თავისი ხელისუფლებით ბოროტად სარგებლობს და არ ემორჩილება ეკლესიას. ცხადია, სასულიერო ხელისუფლების პრეტენზიებს თომა უყურადღებოდ ვერ დატოვებდა. მისი აზრით, სახელმწიფო ხელისუფლება შედგება სამი ელემენტისაგან:

1. არსი
2. ფორმა (წარმოშობა)
3. გამოყენება

სახელმწიფო ხელისუფლების არსია ბატონობა-მორ-ჩილებითი ურთიერთობა. იერარქიის მაღალ საფეხურზე მყოფთ ემორჩილებიან მოსახლეობის დაბალი ფენები. ასეთია ღვთაებრივი ნება.

შესაძლებელია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხელში ჩაიგდოს მეფემ უკანონო გზით, უსამართლოდ, ან სახელმწიფო ხელისუფლება გამოიყენოს ბოროტად. ამ შემთხვევაში სახელმწიფო კარგავს ღვთაებრიობას. მეფე შეიძლება გადაგვარდეს ტირანად.

ტირანია სახელმწიფოს მართვის მიუღებელი ფორმაა. ტირანი არ ზრუნავს ხალხის ინტერესებზე. ამიტომ ხალხს აქვს უფლება ჩამოაგდოს იგი, ჩამოაშოროს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობას. ტირანის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა მოხდეს ეკლესიის მხარდაჭერით.

ტირანის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობას რომ უშვებს, ამით თომა აკვინელი, XIII საუკუნის ფილოსოფოსი და სასულიერო პირი, უთუოდ დასაფასებელია.

ის ერთმანეთისაგან ანსხვავებდა აბსოლუტურ მონარქიას და პოლიტიკურ მონარქიას და უპირატესობას ანიჭებდა უკანასკნელს პირველთან შედარებით. აბსოლუტური მონარქია ევროპაში XIII საუკუნეში ვერ წარმოიშობოდა, მაგრამ წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია უკვე XIV საუკუნიდან არსებობდა საფრანგეთში და უკვე მზადდებოდა მოსაზრებები მისი აუცილებლობის შესახებ XIII საუკუნეში.

XII-XIII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში აქტუალური იყო საკითხი მევახშეობის შესახებ. ქრისტიანული და აგრეთვე მუსლიმანური რელიგიების დებულებათა მიხედვით, მევახშეობა დაგმობილი იყო. მაგრამ ერთია მისი დაგმობა, ხოლო სხვა საკითხია მისი თავიდან მოშორება. საზოგადოების ერთ, მცირე ნაწილს დაუგროვდა ფული, ხოლო მეორეს – დიდი მოთხოვნილება გაუჩნდა ფულზე. ფულს სესხად იღებდნენ როგორც წერილი მწარმოებლები, გლეხები და ხელოსნები, ასევე ფეოდალების ნაწილიც. და რადგანაც მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა კაპიტალისტური წარმოების წესი, ნასესხები ფული

დებიტორების ხელში კაპიტალად ვერ გადაიქცეოდა, თანაც სასესხო პროცენტი მაღალი იყო. დებიტორს უჭირდა თავისა და პროცენტის ცალ-ცალკე გადახდა. მევახშეები, რა თქმა უნდა, ფულს გირაოს (წინდის) გარეშე არ გაასესხებდნენ და ღარიბი დებიტორები უმრავლეს შემთხვევებში დაგირავებულ ადგილ-მამულს თუ სხვა ქონებას კარგავდნენ. თვით ინგლისის მეფე ჰენრი III-ს (1207-1272 წ.წ.) საჭირო თანხა ვერ მიუღია მევახშისაგან საკუთარი ძვირფასი ნივთებისა და საპარადო სამოსის დაგირავების გარეშე.

XII-XIII საუკუნეებში, ჯვაროსნულ ლაშქრობათა ხანაში, იტალიელი მევახშეები ხელთ იგდებდნენ დიდძალ უძრავ ქონებას და ფულს სასესხო პროცენტის სახით.

ასეთ ვითარებაში მევახშეობა თავს იჩენდა თავისი უარყოფითი მხარით. მაღალი იყო სასესხო პროცენტი. წლიური სარგებლის ოდენობა მერყეობდა 21-დან 200 პროცენტამდე. ასეთ ვითარებაში თომა აკვინელი მევახშეობას, რა თქმა უნდა, გმობს. მევახშეს, ისევე როგორც ვაჭარს, ფეოდალურ საზოგადოებაში ორგვარი ფუნქცია აქვს, დადებითიც და უარყოფითიც. თომა ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ უარყოფითზე. მევახშეობა ვერ აღმოფხვრა ვერც ეკლესიამ. მხოლოდ მოხერხდა სარგებლის გარკვეული ნორმის დაწესება. თომა აკვინელის აზრით, ნასყიდობა მიზნად მყიდველის და გამყიდველის საერთო სარგებლობას ისახავს. მაგრამ ფასი სამართლიანი უნდა იყოს. თუ მყიდველმა დიდი სარგებელი ნახა ნაყიდი ნივთით, მაშინ წესიერების გრძნობა („ჰონესტას") მას ავალებს სარგებლის ნაწილი დაუთმოს გამყიდველს.

თ. აკვინელი კარგად იცნობდა რომის სამართლის ნორმებს, მაგრამ ისინი მას არ აკმაყოფილებს. ის ამ ნორმებში აძლიერებს ეთიკურ მოსაზრებებს.

თუ ვაჭარი სარგებლობს შემთხვევით და თავის საქონელს დღეს მაღალ ფასს უწესებს, მაგრამ იცის, რომ ჩქარა მისი ფასი უფრო დაბალი იქნება, არაფერს უსა-

მართლოს არ ჩადის, მაგრამ ის სანდო ადამიანად ჩაითვლება, თუ მყიდველებს დაუბრუნებს მოგების ნაწილს.

სამეურნეო ურთიერთობებს თ. აკვინელი აფასებს ქრისტიანული მორალის პოზიციებიდან.

ე.ფ. ლევიტსკი თავის „პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში" (ხარკოვი, 1914) აღნიშნავს, რომ თ. აკვინელი თავის ნაშრომებში რომაელი იურისტებისათვის შესაშური სინატიფით აანალიზებს რიგ კაზუსებს, რაც სინამდვილეს შეეფერება.

თ. აკვინელმა ადრინდელ ქრისტიან მოღვაწეებთან შედარებით გადადგა ნაბიჯი წინ სამეურნეო ყოფის განვითარების მიმართულებით. არისტოტელესთან ერთად ის ფიქრობდა, რომ კერძო საკუთრება უფრო პერსპექტიულია ისტორიული თვალსაზრისით, ვიდრე კოლექტიური. ის უფრო გაუმართავს ხელს წესრიგსა და მშვიდობას, ვიდრე საერთო საკუთრება.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ სესხი გაცემული იქნებოდა საწარმოო მიზნით, თ. აკვინელი ასეთ შემთხვევაში ზომიერი სასესხო პროცენტის (სარგებლის) აღების მომხრედაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ.

დანტე ალიგიერის (1265-1321 წ.წ.) პოლიტიკური შეხედულებების შესახებ

დანტე დიდ პოეტად და მოაზროვნედაა აღიარებული. წარმოშობით ის ეკუთვნოდა წარჩინებულთა ფენას. სწავლობდა ბოლონიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

იცნობდა არისტოტელეს ფილოსოფიას და საერთოდ, ბერძნულ და რომაულ კულტურას. მისი მთავარი ნაწარმოები, „ღვთაებრივი კომედია" გვაძლევს საფუძველს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ დანტე კარგად იცნობდა თავისი დროის მეცნიერებას, თეოლოგიას, ლიტერატურას, ისტორიას. ცხოვრობდა რა ფლორენციაში, ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საკუთარი ქვეყნისა და ქალაქის ცხოვრებაში. მონაწილეობა მიუღია ომებშიც და შეუსრულებია დიპლომატიური დავალებებიც. 1300 წელს არჩეული ყოფილა ფლორენციის პრიორად.

დანტეს უმოგზაურია იტალიის სხვადასხვა ქალაქებში, ყოფილა პარიზშიც, ფილოსოფიურ–თეოლოგიური სწავლების ცენტრში, გასცნობია სქოლასტიკო-სების მოძღვრებას. დროთა ვითარებაში მიუღია ენციკლოპედიური ცოდნა. თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით ამ დროს ის იყო რესპუბლიკელი, დემოკრატი.

ფლორენციაში გველფების პარტია გაითიშება ორ ნაწილად – „თეთრებად" და „შავებად". დანტეს შეხედულებებს უფრო „თეთრების" პარტია შეესატყვისებოდა.

1302 წელს „შავებმა" გაიმარჯვეს, რომლებიც დანტეს დაუძინებელ მტრად მიიჩნევდნენ. დაუსწრებლად მიესაჯა დანტეს სიკვდილით დასჯა (კოცონზე დაწვა) ქონების კონფისკაციით. დანტე საცხოვრებლად გადავიდა რავენაში, სადაც მას მფარველი გამოუჩნდა.

1312–1313 წლებში დაუწერია ნაშრომი „მონარქიისათვის", სადაც გადმოცემულია მისი პოლიტიკური შეხედულებანი. მისი მთავარი თხზულება, „ღვთაებრივი კომედია" თოთხმეტი წლის განმალობაში იწერებოდა. ის გარდაიცვალა 1321 წელს.

მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც კონსტანტინე ჭიჭინაძესთან ერთად თარგმნა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ პირველი წიგნი – „ჯოჯოხეთი“, მართებულად აღნიშნავდა, რომ დანტე ალიგიერი ძლიერ გადაკვანძულია მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების იტალიასთან; „დანტე უფრო მეტად დატვირთულია ისტორიზმით, ვიდრე სხვა რომელიმე მისივე რანგის გენია. ამიტომაც არც ეგზომ პარადოქსად უნდა მოგვეჩვენოს ასეთი თქმა: „იტალიის კვატროჩენტოს ისტორია რომ არავის დაეწერა, მარტო ღვთაებრივი კომედიაც იკმარებდაო“. დანტეს კომედიაში წარმოდგენილია არა მარტო მეცამეტე და მეთოთხმეტე საუკუნეების იტალია, არამედ მთელი წარმართული ანტიკის, ქრისტიანული რომის და საშუალო საუკუნეების ფილოსოფია, ესქოტოლოგია და კოსმოსოფია“.[49]

დანტემ პაპი ანასტასიუსი, რომელიც 497 წელს აღზევდა, ჯოჯოხეთში მოათავსა. ფიქრობენ, რომ პოეტმა ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ პაპის მომხრე პარტიის წევრებისათვის ეჩვენებინა, თვით პაპიც კი შეიძლება იყოს იმ ზომის დამნაშავე, რომ ჯოჯოხეთში მოთავსება დაიმსახუროს სასჯელად. პოეტმა ჯოჯოხეთშივე მოათავსა რომის პაპი ცელესტინ V.

ამავე დროს პოეტი პატივისცემით მოიხსენიებს ანტიკური ეპოქის დიდ ფილოსოფოსებს.

კ. გამსახურდია წერდა: „სრულიად შემთხვევითი ამბავიც არ გახლავთ ის გარემოება, რომ ევროპელი ქრისტიანი პოეტი დანტე „ჯოჯოხეთის“ ტალანში პლატონის, არისტოტელეს და სხვა წარჩინებულ მეცნიერთა და მისანთა გვერდით აყენებს არისტოტელეს კომენტატორსა და დიდ მწიგნობარს ავეროესს („ჯოჯოხეთი“, ქება მეთერთმეტე).

ოფიციალური ქრისტიანული იდეოლოგიის მიხედვით, ის ადამიანები, ვინც ქრისტემდე დაიბადნენ და არაფერი

---

[49] კ. გამსახურდია. „დანტე ალიგიერი.“ იხ. „ღვთაებრივი კომედია“, წიგნი პირველი, „ჯოჯოხეთი“. ტფილისი, სახელგამი. 1933 წ. ტ.V. იხ. აგრეთვე კ. გამსახურდია, თხზულებანი, ტ. 111, 1967 წ. გვ.753, 883.

შეუცოდავთ, ცუდი არაფერი უქნიათ, დანაშაული არ ჩაუდენიათ, მაინც სადღაც ჯოჯოხეთში ყოფნას იმსახურებდნენ. პოეტი ამ ადამიანებს ათქმევინებს: „... ეს უნებლიედ დავაშავეთ, ადრე რომ გავწბდით და ამიტომაც დაღუპვისკენ გვიქციეს პირი“ (ჯოჯოხეთი, ქება IV, ლექსი 39-40). აქ მეღავნდება პოეტის კრიტიკული დამოკიდებულება გაბატონებული რელიგიური შეხედულებისადმი. პოეტს შეეჯრება ოთხი მაღალი ლანდი ჰომეროსი,ოვიდიუსი,ჰორაციუსი და მარკუს ანეუს ლუკანუსი (39-65). ეს უკანასკნელი ნერონმა იმსხვერპლა. ასე რომ, ექვსი გენიოსი ერთმანეთს ხვდება. დანტეს ხომ თან ახლდა ვირგილიუსი.

დანტე მაღალი გაგებით ეკიდება მართლმსაჯულებას. ადამიანმა პასუხი არ უნდა აგოს ბრალის გარეშე. ჯოჯოხეთშიც კი პატივისცემით ექცევიან დიდ მოაზროვნეებს, ფილოსოფოსებს, მეცნიერებს და ა.შ. ასეთ პატივცემულთა შორის პლატონის, არისტოტელეს, სოკრატეს გვაედით ეხედავთ ანაქსაგორესს, დიოგენეს, დემოკრიტეს, ჰერაკლიტეს, ემპედოკლეს, სენეკას, ციცერონს, პტოლომეოსს, ჰიპოკრატეს, ლივიუსს და სხვებს.

დანტემ ჯოჯოხეთში მოათავსა ფილოსოფოსი ეპიკურე და მისი მოწაფეები.

ჯოჯოხეთშივე არიან მოთავსებულნი ლოთები და მოქეიფეები, ძუნწები, მფლანგველები, მწვალებლები, დანტეს მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენლები, მაგ. გიბელინების ერთ-ერთი ბელადი და სხვა. ჯოჯოხეთში არიან მოთავსებულნი ტირანები და დესპოტები, თვითმკვლელები, მაჭანკლები, სამღვდელო პირნი, რომელნიც ფულზე ჰყიდდნენ თანამდებობას. ჯოჯოხეთში მოსვლას იმსახურებს პოეტის აზრით ჯერ კიდევ ცოცხალი პაპი ბონიფაციუს მერვე.

ჯოჯოხეთშივე აქვთ თავისი ადგილი მიჩენილი ქურდებს, ყალბისმქნელებს, მაჰმადს, იუდა ისკარიოტელს, ბრუტუსს, კასიუსს (ცეზარის მკვლელებს), მევახშეებს, მოღალატეებს.

რომის კათოლიკური ეკლესიის რიგი წარმომადგენლები კი უარყოფითად აფასებდნენ პლატონის, არისტო-

ტელეს, დემოკრიტეს და სხვათა ნაშრომებს და ზოგჯერ წვავდნენ კიდეეაც მათ. მაგრამ მოხერხდა ფილოსოფიისა და რელიგიის შერიგება.

დანტემ „სამოთხეში“ იხილა თეოლოგები, ალბერტ დიდი, თომა აკვინელი, ცნობილი კანონისტი გრაციანი, დიონისე არეოპაგელი, აგრეთვე დიდი სახელმწიფო მოღვაწე კარლოს დიდი, როლანდი და ა. შ.

აქედან ჩანს, რომ დანტე იზიარებდა თომა აკვინელის შეხედულებას მონარქიის მიზანშეწონილების შეხასებ. თუმცა ჩვენ გაგვაჩნია თვით დანტეს ტრაქტატი „მონარქიისათვის“.

ნაშრომი ეხება სამ ძირითად საკითს: 1) საერო ძალაუფლების აუცილებლობა მონარქიის სახით; 2) აქვთ თუ არა იტალიელებს უფლება შექმნან ძლიერი სახელმწიფო; 3) მონარქია ღმერთის წყალობაა თუ პაპების დანაწესია.

დანტე თავისი შეხედულებით იყო გიბელინი, იმპერატორის ძალაუფლების მომხრე და რომის პაპისთვის საერო ხელისუფლების მინიჭების მოწინააღმდეგე.

იტალიის ქალაქებს პირველი ადგილი ეკავათ მთელს ევროპაში საბანკო საქმის, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების დონით. დანტეს მშობლიურ ქალაქ ფლორენციაში წარმოიშვა კაპიტალისტური მრეწველობის პირველადი ფორმა — მანუფაქტურა.

იტალიის ქალაქებში XIV-XV საუკუნეებში კაპიტალისტური წარმოების საწყისი ფორმები წარმოიშვნენ ყველა სხვა ქვეყნებზე ადრე. იტალიის ქალაქებშივე გამოჩნდნენ ბურჟუაზიული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი კლასები - ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ამ მხარეშივე წარმოიშვა ადრინდელი ბურჟუაზიული კულტურა. ისტორიკოსები ამ ხანას აღორძინების ეპოქას ეძახიან.

XIV საუკუნის პირველი ოცეულისათვის, როდესაც დანტე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ადრეულ რენესანსზე, რომელმაც მოგვიანებით გამოიწვია კულტურის აღმავლობა და მრავალი მოაზროვნე მისცა კაცობრიობას.

ფლორენციაში მეუახშეებს შემოსდიოდათ დიდი მოგება გასესხებული ფულის პროცენტების სახით.

ეკონომიურად დაწინაურებული იტალია პოლიტიკურად საკმაოდ ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. იტალიის რიგი ქალაქების სათავეში „ტირანები“ იდგნენ.

იტალიის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური იდეალის სახით თუ იარსებებდა.

დანტეს იდეალია უნიეერსალური იმპერია, როგორც იტალიის დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციის საშუალება, როგორც ხალხის გაერთიანება-გამთლიანების გზა.

დანტე არის საერთო იტალიური ეროვნებისა და პატრიოტიზმის დიდი მედროშე, ეროვნული სახელმწიფოებრიობის პირველი მესიტყვე.

დანტე წერდა ტოსკანურ დიალექტზე, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო თანამედროვე იტალიურს.

და ალბათ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ იტალიის ეროვნული მოძრაობის ბელადები და მათ შორის პირველყოვლისა იტალიის გაერთიანებისათვის მებრძოლი ჯუზეპე მაძინი დანტეს თავის შორეულ წინამორბედად თვლიდა.

დანტეს გენიის წინაშე ქედს იხრიდნენ არა მარტო იტალიელები და არა მარტო კათოლიკეები, არამედ არაიტალიელებიც და ათეისტებიც.

დანტეს გენიას პატივისცემით იხსენიებდნენ მარქსი და ენგელსიც.

ფრ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ფეოდალური შუა საუკუნეების დასასრული და თანამედროვე კაპიტალისტური ერის დასაწყისი კოლოსალური ფიგურითაა აღნიშნული. ესაა იტალიელი დანტე — უკანასკნელი პოეტი შუა საუკუნეებისა და ამასთან ერთად ახალი დროის პირველი პოეტი.

დანტე თვითონ იყო მსხვერპლი უსამართლობისა. მისი პოლიტიკური მტრები მას ცილს სწამებდნენ, ყაჩაღად მოიხსენიებდნენ და მშობლიურ ფლორენციაში დაბ-

რუნება და მშვიდი ცხოვრება არ აღირსეს. ლტოლვილისათვის სანატრელი იყო მართლმსაჯულება.

„სამოთხის“ მეთვრამეტე ქებაში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ პოეტმა აქ იხილა ბიბლიიდან აღებული სენტენციის ლათინური თარგმანი „დილიგიტე იუსტიციამ, ქვი იუდიცას ტერრამ“, ე.ი. „გიყვარდეთ მართლმსაჯულებაჲ, რომელიც სოფელმან მოგისაჯათ თქვენ“.

მართალია, დანტე დაიჩაგრა პოლიტიკური ბრძოლის პროცესში, მაგრამ მართლმსაჯულების მაღალი დანიშნულებისადმი რწმენა არასოდეს დაუკარგია. ყველაზე დიდმა მართლმსაჯულმა, ისტორიამ ის დიდ მოაზროვნედ და გენიალურ პოეტად აღიარა.

უილიამ ოკამის (1225-1349 წ.წ.) პოლიტიკური შეხედულება

უილიამ ოკამის ფილოსოფიური შეხედულება, მისი ღვაწლი ფილოსოფიის ისტორიის თვალსაზრისით საკმაო სისრულით არის განხილული ქართველი აეტორის წიგნში – „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია“.

ოკამს მიიჩნევდნენ საინტერესო ფილოსოფოსად, ლოგიკოსად და პოლიტიკოსად.

ის დაბადებულია ინგლისში, სარეის საგრაფოში. იყო მომზადებული და ნიჭიერი მკვლევარი. იცნობდა არისტოტელეს ნაშრომებს როგორც ლოგიკაში, ასევე ფიზიკისა და ეთიკის საკითხებზე. იყო საკმაოდ ნაყოფიერი ფილოსოფოსი.

ამ ხანებში კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა შორის მოწონებული იყო პეტრე ლომბარდიელის (გარდ. 1160 წელს) „სენტენციების ოთხი წიგნი“, რომელიც დაახლოებით 1152 წელს დაიწერა.

1215 წელს ლატერანის საეკლესიო კრებამ ეს წიგნი მოიწონა და მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისამდე მას იყენებდნენ, როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს ერეტიკოსების წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ამ პეტრე ლომბარდიელის ნაშრომის კომენტარები დაუწერია ოკამს, რომელიც ფილოსოფოსთა და თეოლოგთა ოქსფორდის სკოლის გარკვეულ მიღწევად ითვლება. 1323 წელს ავინიონში პაპ იოანე XXII-ს წარუდგინეს ოკამის კომენტარების 56 დებულება და თან მიანიშნეს, რომ ისინი კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ბრალდება ასეთი იყო:. ოკამი ფიქრობსო, რომ ღმერთიც (ადამიანთა ნაწილის მსგავსად) შეიძლება ცუდი იყოს, რომ დროთა ვითარებაში ყოველი რწმენა და მეცნიერებაც შეიძლება უარსაყოფი გახდეს; პაპებს და ეპისკოპოსებს არაავითარი მაღალი სულიერება და ძალა არ გააჩნიათ და ა. შ.

ოკამი ბრალდებებს უარყოფდა. განაჩენის გამოტანა გაჭიანურდა. ფილოსოფოსმა შესძლო იმპერატორ

ლუდვიგ ბავარიელთან მისვლა. ამ დროს ოკამი აშკარად გამოდის პაპების საერო ხელისუფლების წინააღმდეგ. გადმოგვცემენ, რომ ფილოსოფოსმა იმპერატორს უთხრა: „შენ მე დამიცავი ხმლით, მე კი შენ დაგიცავ კალმით“-ო. ოკამი სიკვდილამდე მიუნხენში ცხოვრობდა და განაგრძობდა საერო და საეკლესიო ხელისუფლებათა კომპეტენციების გამიჯვნაზე ფიქრსა და წერას. სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, რომ ოკამი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ორმხრივი მორჩილება: სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის დროს იმპერატორს აქვს უპირატესობა პაპთან შედარებით; საეკლესიო საქმეების სფეროში კი იმპერატორი უნდა უწევდეს ანგარიშს პაპს. მაგრამ ამასთან ერთად სახელმწიფოს აქვს უფლება გადასახადი შეაწეროს ეკლესიას. იმ ხანებში კათოლიკური ეკლესია თავისი სიმდიდრით გამოირჩეოდა და მას სრულიადაც ხელს არ აძლევდა ასეთი შეხედულების გამოთქმა ოკამის მხრივ. თუ ეკლესია ეკონომიურად ძლიერი არ იქნებოდა, ის საერო ხელისუფლების ფუნქციებს ვერც განახორციელებდა. კათოლიკური ეკლესია სარგებლობდა ცოდვების მიტევების უფლებით. ოკამის აზრით, ადამიანისათვის ცოდვის მიტევება მხოლოდ ღმერთს შეუძლია. ცნობილია, რომ არსებობდა ინდულგენციის ცნება. გარკვეული თანხის გაღების მეშვეობით ცოდვილს ცოდვა მიეტევებოდა. სწორედ ამის წინააღმდეგ გამოდიოდა ოკამი. მისთვის ავტორიტეტული იყო ბიბლია და მოციქულების მოძღვრება და არა პაპებისა. ქორწინებას თვლიდნენ რელიგიურ საიდუმლოებად და შეჰქონდათ ის შვიდ მთავარ საიდუმლოში. აქაც ოკამი არ ეთანხმებოდა ოფიციალურ ეკლესიას და ქორწინებას არ თვლიდა რელიგიურ საიდუმლოებად. აქედან გამომდინარეობდა, რომ ის საერო ხელისუფალთათვის საგამგებლოდ უნდა გადაეცათ. ამით სასულიერო პირთა კომპეტენცია იზღუდებოდა.

ამ ხანებში ე.წ. „დონაციო კონსტანტინი“ – კონსტანტინე იმპერატორის „საჩუქარი“ ითვლებოდა იმის საბუთად, რომ პაპებს კანონიერად აქვთ პრეტენზია საერო ხელისუფლებაზე.

თითქოს რომის იმპერატორმა კონსტანტინემ მეოთხე საუკუნეში პაპ სილვესტრ პირველს და მის უფლებამონაცვლეებს გადასცა ძალაუფლება რომზე, იტალიაზე და იმპერიის დასავლეთ პროვინციებზე და ამით აღიარა პაპის ძალაუფლების უმაღლესობა საერო ხელისუფლებასთან შედარებით.

პაპების თეოკრატიული ხელისუფლების ეს „საბუთი“ ყალბად მიიჩნია ოკამმა და ამით განარისხა ავინიონის სასულიერო პირები.

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ „დონაციო კონსტანტინი“ შედგენილია მერვე საუკუნის შუა წლებში აახენელი და რეიმსელი სასულიერო პირების მიერ.

1440 წელს ლორენცო ვალლამ ამ სიგელს (“საჩუქარს“) გაუტეხა სახელი. სიყალბედ მიიჩნია იგი ნოკოლო კუზანელმაც (1464). მიუხედავად ამისა, მეჩვიდმეტე საუკუნემდე „დონაციო“-ს ოფიციალურად აღიარებდნენ პაპები.

ოკამი, როგორც ვხედავთ, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მისი თანამედროვე ოფიციალური ეკლესიის მესვეურებს და უშიშრად კიცხავდა მათ.

პაპებსა და იმპერატორებს შორის ბრძოლის პროცესში დასავლეთ ევროპაში ვითარდებოდა პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები, გამოითქმოდა ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებები, იხვეწებოდა არგუმენტები, ლოგიკური დასკვნები.

ოკამი იყო უშიშარი მებრძოლი თავისი ეპოქისა. მისი ნაშრომების სათაურებიც კი მრავლისმეტყველია: „რვა მოსაზრება პაპის ძალაუფლების წინააღმდეგ“, „პაპ იოანე XXII შეცდომათა განხილვა“ და მრავალიც სხვა. ის პაპზე მაღლა აყენებდა საეკლესიო კრებას.

ნაშრომში „დიალოგი“ განვითარებულია მოსაზრება, რომ ყველა ადამიანი თანასწორი და თავისუფალი იბადება ღვთის წყალობით. ამიტომ ადამიანები მთავრობას მხოლოდ საკუთარი ნებით შეიძლება დაემორჩილონ. ხალხი უფლებამოსილია მეფე აირჩიოს. ღმერთი ამ არჩევნებში მონაწილეობს იმის გათვალისწინებით, რომ

ეს არჩევანი ღვთის ჩაგონების გარეშე არ ხდება, და რადგანაც ასეა, მეფობაც ღვთაებრიეი დაწესებულებაა.

ოკამი, განსხვავებით თომა აკვინელისა და არისტოტელესგან, აშკარად გამოდის მონობის წინააღმდეგ. მონობა არცხვენს კაცობრიობას.

სახელმწიფო ყოველთვის არ არსებობდა, ის წარმოიშვა ადამიანების ცოდვაში ჩავარდნის შემდეგ. ის სახელმწიფოს წარმოშობის ერთ-ერთ პირობად თვლის კერძო საკუთრებას.[50] ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს მიზანს, ასეთად მას მიაჩნია საერთო კეთილდღეობა. ეს მოსაზრება შეიძლება ანტიკური ხანის მოაზროვნეებიდან მომდინარეობდეს, ან ყოველ შემთხვევაში, ის სახელმწიფოს წარმოადგენს არა როგორც რეალურ პოლიტიკურ ფენომენს, არამედ როგორც სოციალურ იდეალს.

როგორც პიროვნება, უილიამ ოკამი ყოველთვის ვერ იცავდა თავის პრინციპებს და ცოდავდა აზროვნების თავისუფლების მომხრე ფილოსოფოსთა წინააღმდეგაც. ერთ–ერთ თავის ნაშრომში ოკამი მკითხველებს ანდობს თავის პოზიციას:

„მე ვფიქრობ, ყველაფერი რაც მომდევნო ტექსტში განიხილება, ჭეშმარიტია – თუკი იგი ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტებას არ ეწინააღმდეგება. ასე რომ, თუკი რომის ეკლესიის მოძღვრებასთან მის წინააღმდეგობას დავინახავდი, ყველაფერ ამას ყალბად ჩავთვლიდი და შეძრწუნებით უკუვაგდებდი“-ო.

---

[50] იხ. გ. თევზაძე, “ შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია”, 1996, გვ. 327–328. შდრ. ა. კურანტოვი, ნ. სტიაუკინი, “უილიამ ოკამი”, მოსკოვი, 1978, გვ. 51 (რუსულად).

მარსილიუს პადუელი

მარსილიუს პადუელი (მარსილიუს პადუანის) იყო იტალიელი მოაზროვნე პადუადან. მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები მიახლოებითაა ცნობილი. ის უნდა დაბადებულიყო დაახლოებით 1280 წელს. გარდაიცვალა 1343 წელს ან მის მახლობელ დროს მიუნხენში. მაშასადამე, მისი შეგნებული მოღვაწეობის ხანა ძირითადად ემთხვევა მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარს. ესაა აღორძინების, რენესანსის ადრეული პერიოდი, მაგრამ საზოგადოება ჯერ კიდევ ფეოდალურია. ახალი კლასებისა და ახალი საზოგადოების წარმოშობის პროცესი მეტნაკლებად ძნელი შესამჩნევია. იტალიის მოწინავე ქალაქებშიაც კი მანუფაქტურული წარმოება კი არსებობს, მაგრამ შეზღუდულად, წერილი საამქროებისა და ფეოდალური ქალაქისათვის დამახასიათებელი კორპორაციების გვერდით.

ქალაქები ერთი მხრივ იბრძვიან ფეოდალების წინააღმდეგ, მეორე მხრივ ქალაქელი ღარიბები უპირისპირდებიან მდიდრებს, ამავე დროს მიმდინარეობს ბრძოლა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, პაპებსა და საერო ხელისუფალთა შორის. მოაზროვნე სასულიერო და საერო პირების წინაშე დგას საკითხი, ვის შეუძლია სახელმწიფოსა და საზოგადოების ხელმძღვანელობა და წაყვანა წინ სულიერი და მატერიალური პროგრესის გზით? პაპებს, თუ მეფეებსა და იმპერატორებს?

პარიზის უნივერსიტეტის რექტორმა, მარსილიუს პადუელმა 1324 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „მშვიდობის დამცველი" („დეფენსორ პაცის"). ამ ნაშრომში ის იყენებს არისტოტელეს მოძღვრებას მატერიისა და ფორმის შესახებ. არისტოტელეს მოძღვრების მიხედვით, მატერია მხოლოდ პასიური შესაძლებლობაა და მასში მხოლოდ პოტენციაშია მოცემული მოძრაობა. უფრო აქტიური წყარო ცვალებადობისა არის ფორმა და მხოლოდ მატერიისა და ფორმის შეერთება, მათი ერთობა გვაძლევს შედეგს.

არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ მიხედვით მოძრაობა არ დაიყვანება არც წმინდა ფორმაზე და არც მხოლოდ მატერიაზე. მოძრაობა არის ერთის მეორეში გადასვლა.

სახელმწიფოში, მარსილიუს პადუელის მიხედვით, მატერიის როლი აქვთ განკუთვნილი ადამიანებს, ხოლო ფორმას წარმოადგენენ კანონები, რომლებიც ხელს უმართავენ სახელმწიფო ორგანიზმის წარმოშობას. არისტოტელეს მიხედვით არც სპილენძი, არც მისგან მიღებული ქანდაკება ცალ-ცალკე არ წარმოადგენენ მოძრაობას. ადამიანები და მართებული კანონები წინსვლის საწინდარია.

მარსელიუს პადუელისთვის სახელმწიფო ადამიანთა ურთიერთობის რთული ფორმაა. ის ყოველთვის არ არსებობდა. ოჯახის, გვარის, ტომის და ქალაქის არსებობა წინ უსწრებს სახელმწიფოს წარმოშობას.

სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობა.

ამ ხანებში საფრანგეთში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია ძალებს იკრებდა.

საფრანგეთის მეფე ფილიპე IV და პაპი ბონიფაციუს VIII ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

ეს მოხდა 1296 წელს. მცირე ხნით მორიგების შემდეგ ბრძოლა კვლავ განახლდა. იბრძოდნენ იდეოლოგიურ ფრონტზეც. მეფის ლეგისტებმა და პაპის მოწინააღმდეგე პუბლიცისტებმა შექმნეს პაპების საერო ხელისუფლებაზე პრეტენზიების მამხილებელი ლიტერატურა. არ ერიდებოდნენ ლიტერატურულ სიყალბესაც. პაპს მიაწერდნენ რაღაც მოსაზრებას და მეფის სახელით პასუხობდნენ მას.

1302 წელს მეფე ფილიპე IV საფრანგეთში იწვევს გენერალურ შტატებს – წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოს. 1305 წელს ბორდოს ეპისკოპოსი კლიმენტი V-ს სახელით ხდება პაპი. 1308-1378 წლებში, 70 წლის განმავლობაში პაპები ავინიონში მოღვაწეობდნენ და ფაქტობრივად საფრანგეთის მეფეზე იყვნენ დამოკიდებულები.

ასეთი იყო ვითარება საფრანგეთში. მარსილიუს პადუელი მხარს უჭერდა წოდებრივ-წარმომადგენელობით მონარქიას. მისი აზრით, საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს, თუმცა მას ხალხის ცნებაში ყველა ქვეშევრდომი მეფისა არ შეჰყავს.

მას კარგად ესმის, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება არ უნდა იყოს ერთი პირის ხელში. საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა იყოს ხალხის ნების გამომსატველი. ამ ნებას წოდებითი წარმომადგენლები გამოხატავენ. აღმასრულებელი ხელისუფლება კი უნდა ხელმძღვანელობდეს კანონებით. მმართველობის საუკეთესო ფორმად მას მიაჩნია მონარქია. შუა საუკუნეების სოციალური პრაქტიკა იცნობდა როგორც მემკვიდრეობით მონარქიას, ასევე არჩევით მონარქიას. მარსილიუს პადუელის აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არჩევით მონარქიას. უნდა ითქვას, რომ XIV საუკუნეში, როდესაც იწერებოდა მ. პადუელის ნაშრომები, წოდებრივ-წარმომადგენლობით მონარქიას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შეეძლო დადებითი როლის შესრულება. ის ხელს უმართავდა ფეოდალიზმის დაბალი საფეხურიდან უფრო მაღალზე გადასვლას. თვით წოდებრივი წყობილების შენარჩუნება მას მართებულად მიაჩნია. მისი აზრით, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ექვსი საზოგადოებრივი ფენა. აქედან სამი ფენა ისეთია, რომელიც მხოლოდ თავის ინტერესებზე ზრუნავს. ესენია — მიწათმოქმედები, ვაჭრები და ხელოსნები. მეორე ფენა კი მისი აზრით, იზრუნებს მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების დაცვაზე. ამ ფენას განეკუთვნებიან — სასულიერო წოდება, სამხედრო წოდება და ადმინისტრაცია. ეს მოსაზრება რა თქმა უნდა, არაა სწორი. საზოგადოების არც ერთი ფენა არ არის ისეთი, რომ საკუთარი ინტერესები არ გააჩნდეს. სახელმწიფო ინტერესებს მთელი საზოგადოება უნდა იცავდეს.

მ. პადუელის აზრით, ერთი წოდება მეორის საქმიანობაში არ უნდა ჩაერიოს. სასულიერო წოდება საერო ძალაუფლებაზე პრეტენზიას არ უნდა აცხადებდეს.

ეკლესია უნდა გამოეყოს სახელმწიფოს. რაც შეეხება სახელმწიფოს და სასულიერო წოდებას შორის ურთიერთობას, მ. პადუელის აზრით სახელმწიფოს უზენაესობა უეჭველია და სასულიერო პირები უნდა დაემორჩილონ მას.

სასულიერო თანამდებობის პირებზეც უნდა ვრცელდებოდეს არჩევითობის პრინციპი. არჩევნების მეშვეობით უნდა ხდებოდეს სასულიერო პირთა მიერ თანამდებობათა დაკავება.

ხალხია წყარო როგორც საერო, ისე საეკლესიო კანონებისა. ხალხია ნამდვილი კანონმდებელი და სუვერენი. სახელმწიფო უნდა ყალიბდებოდეს საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე. მარსილიუს პადუელისათვის სახელმწიფო ადამიანთა მიერ შექმნილი ფენომენია.

სახარება იურიდიული ძეგლი კი არ არის, არამედ რელიგიური მოძღვრება. სარწმუნოების სფეროში ძალადობა დაუშვებელია. რწმენა სინიდისის საქმეა.

მ. პადუელი სინდისის თავისუფლების მომხრეა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ის საუკუნეებით უსწრებს წინ თავის დროსა და ეპოქას.

ის უკვე XIV საუკუნის ოციან წლებში ქადაგებდა სხვადასხვა სარწმუნეობის მშვიდობიან თანაარსებობაზე, ურთიერთშემწყნარებლობაზე, პოლიტიკისა და თეოლოგიის ერთმანეთისაგან გამიჯვნაზე.

მ. პადუელმა თავისი მოძღვრებით განარისხა კათოლიკური ეკლესიის მესვეურები და ის ეკლესიისაგან განკვეთილი იქნა. ერთი ინფორმაციის მიხედვით 1327 წელს მას დაუსწრებლად მიესაჯა კოცონზე დაწვა... მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ ევროპის საზოგადოება შორს იდგა სინიდისის თავისუფლების იდეისაგან და ამიტომაც მარსილიუს პადუელი იდევნებოდა. გავიდა საუკუნეები. მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია და სინიდისის თავისუფლებაც აღიარებულ იქნა. იგი თავიდან დაუკავშირდა რწმენის თავისუფლებას. ყოფილი საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის მიხედ-

ვით სინდისის თავისუფლების ცნებაში იგულისხმებოდა მოქალაქის უფლება სწამდეს ნებისმიერი რელიგია ან არ სწამდეს არავითარი რელიგია. საბჭოთა კავშირში და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ე.წ. „სოციალისტურ ქვეყნებში“ სინდისის თავისუფლებას განეკუთვნოდა აგრეთვე თითოეული მოქალაქის უფლება გასწიოს ანტირელიგიური პროპაგანდა ისე, რომ არ შეურაცხყოს მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები; რელიგიური კულტების დაუბრკოლებლად შესრულება, რამდენადაც ეს არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა უფლებებს, პირად ღირსებას და ა. შ.

მაგრამ სინამდვილეში ვითარება სხვაგვარი იყო. საბჭოთა კავშირში ფაქტობრივად არ არსებობდა სინდისის თავისუფლება, თუმცა კომუნისტური პარტიის წესდებაში არ იყო მოთხოვნა, რომ პარტიის წევრი ათეისტი ყოფილიყო, მაგრამ ფაქტობრივად მას ათეისტობას სთხოვდნენ. საზოგადოებას თავს ახვევდნენ ათეიზმს, ანგრევდნენ ეკლესიებს, პარტიიდან რიცხავდნენ და სამსახურიდან ითხოვდნენ საეკლესიო ქორწინებისათვის.

მაშინ გაჩნდა გამოთქმა: „შინ ღმერთი მწამს, მაგრამ სამსახურში არაო.“

შუა საუკუნეების იურისტების შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ.

შუა საუკუნეების პირველი პერიოდი დასავლეთ ევროპაში გამოირჩეოდა კულტურის დაბალი დონით. ბარბაროსების მიერ განადგურებულ დასავლეთ რომის იმპერიას თითქოს დავიწყების საბურველი გადაეფარა. ერთი შეხედვით მსოფლიო მნიშვნელობის რომის სამართალი არ არსებობდა. მაგრამ ეს მხოლოდ ასე არ იყო. არსებობს პავლე ვინოგრადოვის მნიშვნელოვანი ნაშრომი — „რომის სამართალი შუა საუკუნეებში". უფრო ადრე ამაევ საკითხზე ყურადღება გაამახვილა დიდმა იურისტმა სავინიმ. აღმოჩნდა, რომ შუა საუკუნეების პირველ პერიოდში რომის სამართლის ნორმებს აქა-იქ პერიოდულად იყენებდნენ: მაგალითად სამხრეთ საფრანგეთში (ადრინდელ გალიაში), იტალიაში და ზოგან სხვაგანაც. ქრისტიანულმა ეკლესიამ არ უკუაგდო რომის სამართალი, როგორც წარმართული ეპოქის ნაყოფი. აქედან გაჩნდა აფორისტული გამოთქმა — „ეკლესია რომის სამართლით ცხოვრობსო."

რომის სამართალი ცოცხლობდა ბიზანტიაში. თავის მხრივ ბიზანტიური სამართლის გავლენა იგრძნობოდა რუმინეთში, მოლდავეთში, საქართველოში, სომხეთში, რუსეთში.

ბერძნულ-რომაული სამართალი არ იცნობდა ორდალებს, რაც თავისთავად დადებითი მოვლენა იყო.

სახელმძღვანელოებში შუა საუკუნეების იურისტებს სამ ჯგუფად ყოფენ: ლეგისტებად, დეკრეტისტებად და ჩვეულებითი სამართლის მომხრეებად.

ლეგისტებად მოიხსენიებენ რომის სამართლის მომხრეებს.

რომაელმა იურისტებმა მაღალ დონეზე ჩამოაყალიბეს სამართალი იმ საზოგადოებისა, რომელიც ძირითადი საქონლის მწარმოებლებისაგან შედგებოდა.

ერთი ცნობილი ავტორი წერდა: „ეკონომიკური ურთიერთობა განსაზღვრავს სახელმწიფოსა და სახელმწიფო

სამართალს. თავისთავად იგულისხმება, რომ იგივე ითქმის სამოქალაქო სამართალზედაც, რომლის როლი არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ კერძო პირებს შორის არსებული ეკონომიკური დამოკიდებულება დააკანონოს. მაგრამ ეს დაკანონება შეიძლება სხვადასხვა ფორმით მოხდეს. მაგალითად, ინგლისში, ეროვნული განვითარების თავისებურების მიხედვით შესაძლებელი გახდა ძველი ფეოდალური სამართლის ფორმების შენარჩუნება და შიგ ბურჟუაზიული შინაარსის მოთავსება ისე, რომ ფეოდალურ ცნებას ბურჟუაზიული აზრი მიეცა. სხვაგან, დასავლეთ ევროპაში საფუძველად მიიღეს პირველი მსოფლიო სამართალი, რომელიც საქონლის მწარმოებელმა საზგადოებამ შექმნა".

ცხადია, მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობა არ განსაზღვრავს სახელმწიფოსა და სახელმწიფო სამართალს, მაგრამ წარმოებითი ურთიერთობა დიდ ზეგავლენას ახდენს სამართლებრივ ურთიერთობაზე.

რომის სამართლის, მსოფლიო მნიშვნელობის ამ სამართლის შესწავლაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ბოლონიის უნივერსიტეტმა. ისტორიულ წყაროებში პირველად ის იხსენიება 1158 წელს. ის ითვლებოდა ძალზე პოპულარულ სასწავლებლად მთელ ევროპაში. XIII საუკუნეში ბოლონიაში ათი ათასამდე სტუდენტი სწავლობდა.

ამ უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცეოდა როგორც რომის სამართლის, ასევე კანონიკური სამართლის შესწავლას.

ბოლონიაში ჩამოყალიბდა ე.წ. გლოსატორების სკოლა. ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციის მიხედვით, აქ ყველაზე გამოჩენილი პროფესორი იყო ირნერიუსი, რომელიც თავდაპირველად რიტორიკას და დიალექტიკას ასწავლიდა, მაგრამ სამართალმცოდნეობამ უფრო გაიტაცა. მას თავისი მოღვაწეობა უნდა დაეწყო, ი. პოკროვსკის აზრით, დაახლოებით 1088 წელს. მას აღუზრდია ოთხი ნიჭიერი მოწაფე — ბულგარუსი, მარტინუსი, იაკობუსი და ჰუგო.

ირნერიუსი და მისი მოწაფეები სწავლობენ რომის სამართლის წყაროებს და პირველ რიგში დიგესტებს. ყურადღებას აქცევენ სამართლიანობის ცნებას რომის სამართლის მიხედვით.

ირნერიუსის აზრით, თუ წინააღმდეგობა წარმოიშობა სამართლის ნორმასა და სამართლიანობას შორის, მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებამ და არა მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს იგი.

დიგესტების შესწავლის გზით სამართალმცოდნეობის დონე წინ მიიწევდა.[51]

გლოსატორების ნაშრომები სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებს კარგ მომსახურებას უწევდა.

გლოსატორებისათვის ძირითადი იყო სამართლის ნორმების შესწავლა, თუმცა ისინი 'გლოსებსაც" აკეთებდნენ.

XIII ს. მეორე ნახევარში გაჩნდნენ ე.წ. პოსტგლოსატორები (კომენდატორები).

მათგან შეიძლება დავასახელოთ ფრანგი იაკობუს დე რევანისი (+1296) და ესპანელი რაიმონდუს ლულური (+1315). ისინი პირველყოველისა ფილოსოფოსები და ღვთისმეტყველები იყვნენ, და მხოლოდ ამის შემდეგ იურისტები. ორივე მეტად საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანი იყო. მათ მოიტანეს სქოლასტიკური მეთოდი იურისპრუდენციაში. ზოგადი პრინციპებიდან გამოყავდათ კერძო დებულებები.

ისინი ძირითადად გლოსატორების მიერ გაკეთებულ კომენტარებს იხილავენ და მათი კომენტირების გზით გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს. მათთვის ლოგიკური მსჯელობაა დამახასიათებელი.

როგორც ი. პოკროვსკი აღნიშნავდა, სქოლასტიკური მეთოდი იყო პირველი ცდა სამართლის ფილოსოფიური შეცნობისა.

---

[51] ი. პოკროვსკი, „ბუნებრივ–სამართლებრივი მიმდინარეობანი სამოქალაქო სამართლის ისტორიაში", გვ. 9–10. (რუსულად). მისივე „რომის სამართლის ისტორია." 1918 წ. გვ. 261–263. (რუსულ ენაზე).

ისინი შეეცადნენ სამართლებრივი ნორმების მთელი ერთობლიობა წარმოედგინათ როგორც ერთიანი ლოგიკური მთლიანობა, რომელიც დედუქციურად გამომდინარეობს უნივერსალური პრინციპებიდან. ამით პოსტგლოსატორებმა საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებას.

საერთო სამართლებრივი პრინციპების აღიარებით კვლავ აღორძინდება ე.წ. „ius naturale" – ბუნებითი სამართალი და იდეა, რომ როდესაც პოზიტიური სამართალი ეწინააღმდეგება ბუნებითს, უპირატესობა უნდა მიეცეს ამ უკანასკნელს.

ამ იდეაზე დაყრდნობით და დიალექტიკის მომარჯვებით ისინი ხელს უმართავდნენ სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას, სამართლებრივი ნორმების ცხოვრების ახალ პირობებთან შეხამებას.

პოსტგლოსატორი ბალდუსი აღნიშნავდა, რომ ბუნებითი სამართალი – „იუს ნატურალე", უფრო ძლიერია მეფის ხელისუფლებაზე.

ლეგისტების ერთი ნაკადი მოგვიანებით გადაგვარდა და გადაიქცა მეფეებისა, იმპერატორებისა და მთავრობის უბრალო მსახურებად. ისინი სამართალსა და სამართლიანობას არას დაგიდევდნენ. ამასთან დაკავშირებით გერმანიაში გაჩნდა გამოთქმა, რომ იურისტები ცუდი ქრისტიანები არიან და მათ დასჯასაც კი მოითხოვდნენ.

დეკრეტისტები ძირითადად კანონიკურ სამართალთან იყვნენ დაკავშირებულნი. ფეოდალურ საზოგადოებაში, ევროპაში, როგორც ვიცით საერო სამართლის გვერდით პარალელურად მოქმედებდა საეკლესიო სამართალიც.

კანონიკური სამართალი საკმაოდ რთული შედგენილობის იყო.

1. ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებს მხოლოდ შეზღუდულად თუ ჰქონდა კანონიკური სამართლის წყაროს მნიშვნელობა.

2. „თორმეტი მოციქულის მოძღვრება". ასეთი სახელწოდებით სირიაში ყოფილა შედგენილი კრებული III საუკუნეში.

3. „მოციქულების დადგენილებანი“. ეს ძეგლიც სირიაში მეოთხე საუკუნეშია შედგენილი.

4. საეკლესიო კრებების დადგენილებები. შედგენილი იყო ბერძნულ ენაზე.

5. მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებების ლათინური თარგმანი. მისი შედგენა უკავშირდება ბერ დიონისეს (500 წ. ქრსტეს აქეთ).

6. საეკლესიო კრებების დადგენილებები შედგენილი მეექვსე საუკუნეში.

7. რომის სამართლის ზოგიერთი ნორმები.

XII საუკუნის პირველ ნახევარში შედგენილი იქნა ე.წ. გრაციანის დეკრეტი. მისი სრული სახელწოდებაა „ურთიერთსაწინააღმდეგო კანონების შეთანხმება“. გრაციანის დეკრეტი ყველა კანონის წყაროს უთითებდა. დროთა ვითარებაში გრაციანის დეკრეტი ივსებოდა ახალი ნორმებით და უფრო სრულყოფილი ხდებოდა.[52] მისი ახალი გამოცემები განხორციელდა 1208, 1317 და 1582 წლებში. ბოლო გამოცემამ მიიღო სახელწოდება კანონიკური სამართლის კრებულისა — „კორპუს იურის კანონიკი“.

კრებული ხუთი ნაწილისაგან შედგებოდა:

1. საეკლესიო სასამართლოები და მათი იურისდიქცია;
2. სამართალწარმოება;
3. კლირის პრივილეგიები;
4. საოჯახო სამართალი;
5. დანაშაულობანი.

დასავლეთ ევროპაში ფეოდალური ეპოქის გარკვეულ მონაკვეთზე საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთმანეთს ეცილებოდა პირველობას. რომის პაპმა ბონიფაციუს მერვემ წამოაყენა ორი მახვილის თეორია, რომლის მიხედვითაც სასულიერო ხელისუფლება ფლობს სულიერ მახვილს და ეს ხელისუფლება გადასცემს საერო ხელისუფლების მესვეურებს, მეფეს თუ იმპერატორს, თავის მახვილს. საერო ხელისუფლების მესვეური ვალდებუ-

---

[52] „სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია.“ ნაწ. 2, ფეოდალიზმი. მოსკოვი. 1947. გვ. 89–100. (რუსულ ენაზე)

ლია დაემორჩილოს პაპს. უფრო ადრე რომის პაპი ინოკენტი III (1170-1214 წ.წ.) პაპების ძალაუფლებას ადარებდა მზეს, ხოლო იმპერატორებისას – მთვარეს. იგულისხმებოდა პაპების ძალაუფლების უმაღლესობა საერო ხელისუფლების მიმართ.

დეკრეტისტების ძირითადი იდეა სწორედ ამ მიმართულებით ვითარდებოდა. სასულიერო პირების ძალაუფლება უფრო კანონიერია, ვიდრე საერო ხელისუფლების მესვეურებისა.

შუა საუკუნეების ევროპაში დიდ როლს თამაშობდა ჩვეულებითი სამართალი.

ჩვენ ვხმარობთ გამოთქმას ჩვეულებითი სამართალი და არა ადათობრივს. ტერმინი ადათი არაბული წარმოშობისაა და ის მუსლიმანურ სამყაროს უკავშირდება. სიტყვა „ჩვეულება" გეხვდება ოთხთავის უძველეს ქართულ თარგმანებში (ლ. 2,27), სადაც ის „შჯულს" უკავშირდება.

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის" მიხედვით „ჩვეულება" ნიშნავდა ჩვეულებას, სჯულს, წესს.

ჩვეულებითი სამართალი იმ ჩვეულებათა ერთობლიობაა, რომელიც მოქმედებს ამა თუ იმ რეგიონში. ჩვეულებრივ ის დაუწერელი ნორმებისაგან შედგება, შუა საუკუნეების სამართალი თავის მთავარ წყაროს სწორედ ჩვეულებითი სამართლის ნორმებში პოულობდა. ერთ დროს ჩვეულებითი სამართლის ნორმები პერსონალური პრინციპის საფუძველზე მოქმედებდნენ, მაგრამ თანდათან დამკვიდრდა მათი მოქმედების ტერიტორიული პრინციპი. ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე წესრიგდებოდა ურთიერთობა როგორც ფეოდალებსა და გლეხებს შორის, ასევე თვით ფეოდალებს შორის, სამღვდელოებასა და თავადაზნაურობას შორის.

შუა საუკუნეებში იურისტებმა შესძლეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ჩვეულებებში მოენახათ რაღაც საერთო, რაღაც სისტემა.

ჩვეულებითი სამართალი მოქმედებდა არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქებშიც.

1068 წელს გამოჩნდა ჩვეულებითი სამართლის კრებული „ბარსელონის ჩვეულებები". სამართლის ისტორიის სპეციალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იტალიელი უმბერტო დე ორტის ნაშრომს „ფეოდის ჩვეულებანი", რომელიც ფეოდალური ჩვეულებითი სამართლის სისტემური გადმოცემის ერთ-ერთი პირველი ცდაა.

ჩვეულებითი სამართლის ნორმებით სარგებლობდა „საქსონიის სარკის" შემდგენელიც.

დიდი ყურადღებით სწავლობდნენ ჩვეულებით სამართალს ინგლისელი და ფრანგი იურისტები. საკმარისია დავასახელო ჰენრი ბრეკტონი (1255) და ფილიპე დე ბომანუარი (1250-1296 წ.წ.).

ბრეკტონს ეკუთვნის ნაშრომი „ინგლისის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ", ხოლო ბომანუარს — „ბოვების კუტიუმები". ის საფრანგეთის მოწინავე მხარის წესჩვეულებებში ეძებდა ბატონყმობის საწინააღმდეგო ნორმებს და თვლიდა, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთისათვის ბატონყმობა მიღებულია.

ბრეკტონის აზრით, კანონში უნდა აისახოს არა მარტო მეფის ნება, არამედ მისი მრჩეველებისა და „სახელმწიფოსი". ჩვეულებითი სამართლის ნორმების ფასეულობის აღიარება იმას ნიშნავდა, რომ ხალხის მონაწილეობა საკანონმდებლო ნორმების შექმნაში ასე თუ ისე ფაქტია. დაუწერელი სამართალი, ჩვეულებითი სამართალი ხალხის შემოქმედების ნაყოფი იყო და არა მეფეებისა და იმპერატორებისა.

ფეოდალიზმის რღვევა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ამ ეპოქის პოლიტიკური შეხედულებები

ნიკოლო მაკიაველის (1469-1527 წ.წ.) პოლიტიკური შეხედულებები

ნ. მაკიაველი დაბადებულა ფლორენციაში 1469 წლის 3 მაისს, გაღარიბებული წარჩინებულის, დიდგვაროვნის ოჯახში. XIV-XV საუკუნეები იტალიის ისტორიაში მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ძველი ფეოდალური საზოგადოების წიაღში წარმოიშობა ახალი, არაწოდებრივი ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლები.

დგება დრო, როდესაც მახვილის რაინდები ფულის რაინდებმა უნდა შეცვალონ. 1492 წელს კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა. 1497 წელს ვასკო დე-გამამ — უმოკლესი საზღვაო გზა ინდოეთისაკენ. გაფართოედა ადამიანთა თვალთახედვის არეალი. ამერიკის აღმოჩენის წელს ნიკოლო მაკიაველი 23 წლისა იქნებოდა. მის თვალწინ იცვლებოდა სამყარო. ის თანდათან უფრო და უფრო საინტერესო და იმედისმომცემი ხდებოდა. ადგილი ჰქონდა სავაჭრო გზების გადანაცვლებასაც. ფლორენციასა და ვენეციას ახალ რეალობებთან მოუხდებოდათ შეგუება. იტალიას კი სახელმწიფოებრივი ერთიანობა აკლდა. დანაწევრებულ-დაქუცმაცებული იტალია მოგვაგონებდა „უიალქნო ხომალდს გრიგალის პირზე". ცხადია, ასეთ ვითარებაში ნიჭიერი იტალიელები თაეისი ქვეყნის ბედზე დაფიქრდებოდნენ და ასეც მოხდა. აქვე უნდა გაეიხსენოთ ერთი გარემოებაც: ცენტრალურ იტალიაში ბატონყმობის გაუქმება საკმაოდ ადრე მოხდა სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ამას ხელი შეუწყო ქალაქების განვითარებამ. 1235 წელს გაუქმდა ბატონყმობა პადუაში, 1257 წელს — ბოლონიაში. 1289 წელს ფლორენციაში აიკრძალა გლეხების ყიდვა-გაყიდვა.[53]

---

[53] „იტალიის ისტორიის ნარკვევები" (476—1918 წ.წ.). მოსკოვი, 1959. მ. ა. გუკოვსკის რედაქციით. გვ. 61—63 (რუს.) ნაშრომის ჩვენთვის საინტერესო ადგილი დაწერილია ბ. ი. რუტენბურგის მიერ.

ფლორენციაში XIV საუკუნის დასასრულს მოღვაწეობდა 600 ნოტარიუსი, 60-ზე მეტი ექიმი, ასი მეაფთიაქე. დაწყებით სკოლაში სწავლობდა 10 ათასამდე ბავშვი, ხოლო 500 კაცი სწავლობდა უმაღლეს სასწავლებლებში.

ფლორენცია, ვენეცია და გენუა ერთმანეთს მტრობდნენ.

ვენეცია და გენუა, ორი საზღვაო ქალაქი-სახელმწიფო ერთმანეთს ებრძოდა ისე დაუნდობლად, თითქოსდა ისინი იტალიელები კი არ იყვნენ, არამედ ფინიკიელები და რომაელები.

1298 წელს გენუელებმა გაანადგურეს ვენეციელების ფლოტი და გენუაში ტყვედ წამოიყვანეს ათასობით ვენეციელი, მათ შორის ცნობილი მოგზაური მარკო პოლოც.

80 წლის შემდეგ, 1378 წელს, ვენეციამ გენუელებს ისეთი მძიმე დამარცხება აგემა, რომ გენუელებმა ამის შემდგომ ძველი მდგომარეობა ვერ აღიდგინეს. იტალიელები ერთმანეთს „ჭამდნენ". ერთი მხრივ მაღალი კულტურა, მეორე მხრივ სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით დაცემა, დაბალი პოლიტიკური კულტურა. გენუელების და ვენეციელების ფლოტი აღწევდა ყირიმისა და საქართველოს ნაპირებამდე, მაგრამ ისინი ერთმანეთის დაუძინებელი მტრებიც იყვნენ.

დიდი ფლორენციელი, ალიგიერი დანტე, ოცნებობდა იტალიის გაერთიანებაზე. მაგრამ ამ ოცნებას განხორციელება არ ეწერა. ასევე სახელმწიფო მოღვაწის დონეზე ფიქრობდა და მოქმედებდა ნიკოლო მაკიაველიც. თითხმეტი წელი უმუშავნია ამ მაღალი ნიჭის ადამიანს ფლორენციაში სამთავრობო ორგანოს მდივნად. 1512 წელს – მედიჩების ტირანიის აღდგენის შემდეგ, ის იძულებული ხდება იცხოვროს საკუთარ მამულში (სან კაშინოს მახლობლად), სადაც ის ცხოვრობს 1527 წლამდე, გარდაცვალებამდე.

მისი მთავარი ნაშრომებია „ხელმწიფე", „მოსაზრებანი ტიტუს ლივიუსის პირველი ათი წიგნის შესახებ", „ფლორენციის ისტორია". აქვს სხვა ნაშრომებიც.

„მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი ათი წიგნის შესახებ“ დაწერილია „ხელმწიფისა“ და „ფლორენციის ისტორიაზე“ უფრო ადრე.

შუა საუკუნეებში გაბატონებული შეხედულების მიხედვით პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები ჩვეულებრივ ღმერთის ნების შედარებით მარტივ გაგებასთან იყო დაკავშირებული. ისტორიული აუცილებლობის ცნება, ბუნებრივ-ისტროიული პროცესის ცნება არც არსებობდა.

პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის სპეციალისტების ნაწილს მართებულად აქვთ მითითებული, რომ აღორძინების ეპოქის პოლიტიკურ იდეათა ისტორიაში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფოს პრობლემებისადმი საერო და არათეოლოგიური მიდგომით. მეცხრამეტე საუკუნის ერთი დიდი მოაზროვნე ნიკოლო მაკიაველს მიაკუთვნებდა იმ პოლიტიკურ მოაზროვნეთა რიცხვს, რომლებიც სახელმწიფოს იხილავდნენ ადამიანური თვალით და მისი ბუნებრივი კანონები გამოჰყავდათ არა თეოლოგიიდან, არამედ გონებიდან და გამოცდილებიდან.

მაკიაველს შემოაქვს „ფორტუნას“ (ბედის) ცნება. მისი გაგებით ბედი ისეთი ყოვლისმმუსვრელი რამ არის, რომელიც ადამიანს მოქმედების რაიმე საშუალებას არ უტოვებს. პირიქით, ისტორიულ პროცესში ადამიანს თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული. ადამიანის თავისუფალი ნება ანგარიშგაწევის ღირსია. მისი აზრით, ადამიანის მოქმედების ნახევარი წინასწარ არის ბედით განსაზღვრული და დაახლოებით მეორე ნახევარი კი თვით ადამიანის ნება-სურვილით.

ე.ი. ადამიანი სანახევროდ მაინც არის საკუთარი ბედის მჭედელი.

ფორტუნა, როგორც ადიდებული მდინარე იმას ანგრევს, რაც შედარებით სუსტია.

თუ ადამიანს სიმამაცე აკლია, ის ფორტუნას ვერ გაუმკლავდება.

ბედის (ფორტუნის) გვერდით პოლიტიკისა და მთელი ისტორიის მამოძრავებელი ძალაა პირადი ენერგია,

ინდივიდის სიმამაცე, თავიანობა და ფხიანობა. ჩვენს წინაშე წარმოდგება რენესანსის ეპოქის სულით და ხორცით ძლიერი პიროვნება.

რელიგია, როგორც საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულება ღმერთის შესახებ და მისი დამოკიდებულების შესახებ ადამიანებთან, მაკიაველს აინტერესებს მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, პრაგმატისტულად, იმდენად, რამდენადაც ის ხელს უმართავს ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

რელიგია პასიურობასა და მორჩილებას კი არ უნდა ავითარებდეს ადამიანში, არამედ სულის სიძლიერეს და აქტიურობას.

მისი აზრით, ღმერთი და რელიგია ბრძენი ადამიანების ნახელაევია იმისთვის, რომ უბრალო ადამიანები დაარწმუნონ დამყარებული წეს-წყობილების მართებულობაში. რელიგია ხელს უნდა უმართავდეს თავისუფლების მოყვარე მოქალაქის ჩამოყალიბებას.

შეძლებისამებრ ის კავშირს წყვეტს სქოლასტიკურ მეცნიერებასთან და პოლიტიკას ცდის, რეალურ ცხოვრებას უკავშირებს. არგუმენტად უნდა გამოვიყენოთ არა ავტორიტეტის ნაწერიდან აღებული ციტატა, არამედ რეალური ცხოვრებიდან აღებული ფაქტი. ცხოვრებაზე დაკვირვებით ის აკეთებს დასკვნას, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტია არა მორალური სენტენციები, არამედ ძალა და სარგებლიანობა. „ბედი“ ყოველთვის იმის მხარეზეა, ვისაც უკეთესი არმია ჰყავს. მაკიაველი რეალურ ცხოვრებაზე დაკვირვებით მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ სამართლის საფუძველია ძალა, პოლიტიკა კი უნდა გათავისუფლდეს მორალისაგან. პოლიტიკა ცდაზე დამოკიდებული მეცნიერებაა. ეს კი ნიშნავდა თეოლოგიისაგან მის ჩამოშორებას. პოლიტიკური ისტორია გვიჩვენებს, რომ ის უტოპიური ოცნებების არეალი არ არის.

მკელევართა აზრით, მაკიაველის მოძღვრება ერთმანეთთან აკავშირებს ანტიკური ხანის მკელევართა მოძღვრებას ბურჟუაზიულთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია,რომ პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოღებულია ახალი დროის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ტერმინი „სახელმწიფო“ (Stato). შემდგომ ეს ტერმინი აითვისეს ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში და ა. შ.

მაკიაველის თეორიის მიხედვით სახელმწიფო ნიშნავს საზოგადოების პოლიტიკურ მდგომარეობას: ხელისუფალთა და ხელქვეშეთთა შორის ურთიერთობას, სათანადო წესით მოწყობილ და ორგანიზებულ პოლიტიკურ ხელისუფლებას, იუსტიციისა და კანონების დაწესებას.[54]

მაკიაველი სახელმწიფოს განიხილავდა არა როგორც უძრავ, გაყინულ სტრუქტურას, არამედ როგორც მოძრავს. სახელმწიფო და პოლიტიკა ადამიანთა შემოქმედებაა.

ხალხისა და არისტოკრატიის ბრძოლა აისახება სახელმწიფოს განვითარებაში. ეს ბრძოლა არის წყარო განვითარებისა.

მაკიაველი ყურადღებას აქცევს პოლიტიკის ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც.

ერთი მკვლევარის დაკვირვებით, მაკიაველმა სწორად შენიშნა საზოგადოების ზნეობრივი და ფსიქოლოგიური მდგომარეობის კავშირი სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმებთან. ამასთან დაკავშირებით მას თელიან პოლიტიკური ფსიქოლოგიის პიონერად.[55]

საერთოდ ის მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას აძლევს უპირატესობას, მაგრამ გარკვეულ ვითარებაში მონარქია აუცილებელია. იტალიის გასაერთიანებლად უკეთესია მონარქია. გარყვნილ ხალხს მონარქის ხელისუფლება უფრო შეეფერება.

„ხელმწიფე“-ში მაკიაველი მონარქისტად გვევლინება, ხოლო „მსჯელობები ტიტუს ლივიუსის პირველი ათი წიგნის შესახებ“ — რესპუბლიკელად.

---

[54] იხ. „პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა“ 2 გამოცემა (რუსულად), მოსკოვი. 1988.წ გვ. 170. მაკიაველის შესახებ პარაგრაფი დაწერილია პროფ. ვ. დ. ზორკინის მიერ. (რუსულად).

[55] იქვე, გვ. 172.

ნიკოლო მაკიაველის წინაშე იდგა პრობლემა: როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს მეთაური? თუ სახელმწიფო მონარქიულია მმართველობის ფორმით, მაშინ მისმა ხელმწიფემ პირველყოვლისა უნდა იზრუნოს იმ პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად, რომელიც სახელმწიფოს წინაშე დგას. თუ ამ მიზნების განხორციელება ისე არ შეიძლება, რომ მორალური და სამართლებრივი ნორმები არ დაირღვეს, ესეც უნდა გაკეთდეს. მიზანი ამართლებს საშუალებას. სამართლიანობაზე მაღლა დგას პოლიტიკური მიზანი. მაკიაველის აზრით, გრანდიოზულ საქმეებს აკეთებდნენ მხოლოდ ის მონარქები, რომლებიც დაპირებებს არ ასრულებდნენ, ცრუ და ცბიერები იყვნენ.

პოლიტიკურმა მოღვაწემ თავისი მიზანი, განზრახვა არასოდეს ღიად არ უნდა წარმოაჩინოს.

სისულელე იქნებოდა ვინმესთვის იარაღი გვეთხოვნა და გვეთქვა: ამ იარაღით მე თქვენი მოკვლა მსურსო. ხელმწიფე ერთსა და იმავე დროს ლომიც უნდა იყოს და მელაც.

ხელმწიფემ თავისი ძალაუფლება უნდა გამოიყენოს ქვეყნის გასაერთიანებლად.

იტალიის დაქუცმაცების მიზეზს მაკიაველი ეძებს მისი თანამედროვე ეკლესიის ქმედებებში. ეკლესიამ საერო ხელისუფლება კი ჩაიგდო ხელთ, მაგრამ მას არ შეუძლია იტალიის გაერთიანება.

მაკიაველი მონარქიის მომხრე კი იყო, მაგრამ ტირანიას მიუღებლად თვლიდა. მისთვის მისაღებია აბსოლუტური მონარქია, როგორც პოლიტიკური ფორმა. მართლაც, XVI-XVIII საუკუნეების ევროპაში აბსოლუტურმა მონარქიამ ხელი შეუწყო პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ პროგრესს.

ქართულად მაკიაველის ნაშრომი „ხელმწიფე" თარგმნილია „მთავარის" სახელწოდებით.

ხსენებული თხზულების XXVI თავში მაკიაველი წარმოგვიდგება, როგორც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, რომელსაც სურს იტალიის გათავისუფლება ბარბაროს დამპყრობლებისაგან. ამ დიდი ამოცანის განხორციელე-

ბა კი. მხოლოდ ძალის გამოყენებით, მხოლოდ აბსოლუტური მონარქიის მეშვეობითაა შესაძლებელი. მიზანი ქვეყნის გაერთიანებაა და საშუალება კი ერთპიროვნული დიქტატურა. ბოროტება უნდა იქნას გამოყენებული უფრო დიდი ბოროტების წინააღმდეგ. მისთვის სახელმწიფოს რეკოლუციური გარდაქმნა და ბურჟუაზიული წყობილების დამყარება სოციალური იდეალია. არ შეიძლება ითქვას, რომ ხანჯლისა და შხამის გამოყენების მომხრე მაკიაველისათვის ასეთი საშუალებები თვითმიზანია. იტალიის გაერთიანების სხვა გზას ის ვერ ხედავს. სხვა ვითარებაში მოსალოდნელია, რომ ის ასეთ მიუღებელ ამორალურ საშუალებებზე უარს იტყოდა.

შეიძლება თუ არა ის შევადაროთ ქრისტეს შობამდე IV საუკუნეში მცხოვრებ ჩინელ შან იანს, ცნობილ ლეგისტს და პოლიტიკურ მოღვაწეს? შედარება, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ შან იანი უფრო მკაცრი და სასტიკი იყო, ვიდრე ნიკოლო მაკიაველი.

არსებობს გამოთქმა „მაკიაველიზმი", რა თქმა უნდა, უარყოფითი გაგებით.

რამდენად სწორია იგი?

1527 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ნ. მაკიაველი წერდა: „ჩემთვის სამშობლო სულზე უფრო ძვირფასია". მ. ა. გუკოვსკი მაკიაველს აფასებს, როგორც წყნარ მეცნიერ-ანალიტიკოსს. მისი „ფლორენციის ისტორია" ითვლება მაშინდელი იტალიის პროზის ერთ-ერთ შედევრად.

მ. ა. გუკოვსკი მართებულად წერს: იმყოფებოდა რა თავისი მოღვაწეობის უმეტეს დროს ფლორენციის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში, ასრულებდა ელჩის მოვალეობას მრავალ სახელმწიფოში, იყო მსხვილი ტერიტორიების მმართველად და ბოლოს რესპუბლიკის კანცლერად, მაკიაველი, აღჭურვილი ნათელი პოლიტიკური ჭკუით და მახვილი დაკვირვების უნარით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი სამშობლოს უბედურება, რომელსაც ის ავადმყოფურად განიცდიდა, დაკავშირებულია რიგ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებასთან. მას სწორედ ამ ვითარება-

თა ლიკვიდაცია სურდა. სამშობლოს უბედურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მოსახლეობის პოლიტიკური აქ-ტიურობის დაცემა, მისი სამოქალაქო აპათია, სამხედრო სამსახურზე უარის თქმა და უპრინციპო დაქირავებულებ-ისათვის – კონდოტიერებისათვის საქმის მინდობა. მაკია-ველს კარგად ესმოდა, რომ ყოველივე ეს შემთხვევით არ მომხდარა და ღრმა მიზეზებითაა განპირობებული, რომელ-თა მოსპობაც ადვილი არაა. საჭიროა უკიდურეს, თუნდაც ამორალურ ღონისძიებათა მიღება. დიდი მიზანი ამართლებს ბოროტებას. მის აღტაცებას იწვევდა ენერგიული სახელმ-წიფო მოღვაწე ჩეზარე ბორჯია (1475-1507 წ.წ.), პაპ ალექსან-დრე მეექვსის შვილი, რომანიის მმართველი.

თითქოს და გაუგებარია, რესპუბლიკური იდეების მქონე პირი აღტაცებული ყოფილიყო ჩეზარე ბორჯიათი. შთამომავლობამ მაკიაველის ტრაქტატში „ხელმწიფე" დაინახა პოლიტიკური ცინიზმის ქადაგება. აქედან გაჩნ-და გამოთქმა „მაკიაველიზმი".

მართებულია მ.ა. გუკოვსკის მოსაზრება, რომ ასეთი ცინიზმი დამახასიათებელი იყო ლუი XI-სთვის სა-ფრანგეთში, ჰენრი მერვესთვის ინგლისში და ივანე მესა-მესთვის რუსეთში. ამ პოლიტიკური ცინიზმის, ამ იძუ-ლებითი ცინიზმის უკან ჩანს მაკიაველი პატრიოტი და დემოკრატი.

ამ დროს ერთადერთი მწერალი, რომელიც პოლი-ტიკური მოვლენების ანალიზის სიღრმით შეიძლება შე-ეადაროთ და გვერდით დავუყენოთ ნიკოლო მაკიაველს და რომელიც მაკიაველზე უფრო მეტად იმსახურებდა ცინიკოსის სახელს, იყო ფრანჩესკო გვიჩარდინი (1483-1540 წ.წ.).

იგი იყო სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და ის-ტორიკოსი.

მისი „იტალიის ისტორია" ასახავდა 1378-1508 წლებ-ის ამბებს. გვიჩარდინი ნაწილობრივ მონაწილეც კი იყო ამ ისტორიული პროცესისა.[56]

---

[56] „იტალიის ისტორიის ნარკვევები", (რუს.) მოსკოვი, 1959. გვ. 143–144.

ის იყო დიდი ცინიკოსი, მაგრამ არა დიდი პატრიოტი. მას მაინცდამაინც არც სჯეროდა თავისი სამშობლოს წარმატებებისა. მისთვის დამახასიათებელია სკეპტიკური გულცივობა.

გვიჩარდინი და ბალდასარე კასტილიონე (1478–1529 წ.წ.) ჩამორჩებოდნენ ნიკოლო მაკიაველს, როგორც მოაზროვნეები და როგორც პატრიოტები...

მარტინ ლუთერის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

მარტინ ლუთერი (1483-1546 წ.წ.) იყო XVI საუკუნის გერმანიის გამოჩენილი მოღვაწე, რეფორმაციის ერთ-ერთი ბელადი და ლუთერანობის ფუძემდებელი, დიდი მოაზროვნე.

XVI საუკუნის პირველ ნახევარ'ში გერმანია არ იყო პოლიტიკურად ერთიანი ქვეყანა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით გერმანიის ცალკეულმა მხარეებმა XVI საუკუნის დასაწყისში გვიანფეოდალური ქვეყნის ისტორიულ სიმაღლეს მიაღწიეს. გვიანფეოდალურ საზოგადოებაში ჩაისახება ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობების საწყისები და თანდათან მის წიაღში ახალი ეკონომიკური და სოციალური წყობა ჩამოყალიბდება.

ისტორიკოსთა აზრით 1470-1530 წლების გერმანიაში სამთო მრეწველობამ განვითარების ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომ გერმანია გახდა ევროპაში ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული მხარე. ასეთ ვითარება'ში გერმანიაში არსებობდა პირობები იმისათვის, რომ აქ დაწყებულიყო რელიგიურ სამოსელ'ში გახვეული ბურჟუაზიული თუ წინაბურჟუაზიული რევოლუცია ე.წ. რეფორმაციის სახით.

ლუთერს დამთავრებული ჰქონდა ერფურტის უნივერსიტეტი 1505 წელს მაგისტრის ხარისხით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბერად აღიკვეცა.

1508 წლიდან ლექციებს კითხულობდა ვიტენბერგის უნივერსიტეტ'ში.

1512 წლიდან ღვთისმეტყველების დოქტორია.

ამ ხანებ'ში გერმანიაში გავრცელდა ინდულგენციებით ვაჭრობა. ამ აქციით კათოლიკური ეკლესიის მესვეურებმა ხალხ'ში თავი შეირცხვინეს.

მორწმუნე, რომელიც მის მიერ ჩადენილი ცოდვის შესატყვისი ფასის ინდულგენციას იყიდდა, ამ ცოდვისთვის პატიებას, შეწყალებას იმსახურებდა.

ლათინური „ინდულგენცია“ პატიებას, შეწყალებას ნიშნავდა.

გერმანიაში ვინმე ტეცელი, XVI საუკუნის დასაწყისში ინდულგენციებს რომ ყიდდა, თავის საქმიანობას ასე „ასაბუთებდა“: ინდულგენციის შემსყიდველი ხდება უფრო სუფთა, ვიდრე ადამი იყო სამოთხეში ცოდვაში ჩავარდნამდე... „არ არის ისეთი ცოდვა, რომელიც არ დაიფარება ინდულგენციით“...

ინდულგენციებით ვაჭრობა პატიოსანი ქრისტიანების თვალში ამორალურ საქციელად ფასდებოდა.

ასეთ ვითარებაში 1517 წლის 31 ოქტომბერს მ. ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე გამოაკრა თავისი თეზისები ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. სულ 95 თეზისი იყო გამოკრული. ამ თეზისებში გადმოცემულია ლუთერანობის, როგორც პროტესტანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების მთავარი დებულებები.

კათოლიკური ეკლესიის მოძღვრების მიხედვით ეკლესია და კათოლიკური სამღვდელოება აუცილებელი შუამავალია ადამიანსა და ღმერთს შორის ურთიერთობაში.

რელიგია არის ამა თუ იმ საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულება ღმერთისა (ან ღმერთების) შესახებ და მის დამოკიდებულებაზე ადამიანებთან. ღმერთის შესახებ შეხედულება არ იყო სადაო, მაგრამ დავას იწვევდა მისი დამოკიდებულება ადამიანებთან.

ლუთერის აზრით, „სულის ხსნა“ შესაძლებელია კათოლიკური ეკლესიის სამღვდელოების შუამავლობის და ინდულგენციების შეძენის გარეშე.

ლუთერი რა თქმა უნდა, ათეისტი არ იყო. მას ღმერთი სწამს, საღვთო წერილის ავტორიტეტსაც აღიარებს, მაგრამ საეკლესიო გადმოცემებს უარყოფს, საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებსაც კრიტიკულად განიხილავს. მან დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ ბიბლია ლათინურიდან გერმანულად ეთარგმნა. და ამ თარგმანმა კეთილი ზეგავლენა მოახდინა გერმანული ენისა და ლიტერატურის განვითარებაზე.

კათოლიკური რელიგიის მესვეურები უფრო მეტად ზრუნავდნენ თავიანთი პოლიტიკური ძლიერების გაზრდაზე, ვიდრე იმაზე, რომ ცხოვრებაში დაენერგათ ქრისტიანული მოძღვრებით გათვალისწინებული იდეები, ქრისტიანული მორალი. მათ თვით ქრისტიანობას გაუტეხეს სახელი ინკვიზიციების შემოღებით.

სრულიადაც არ არის საჭირო, რომ სამღვდელოებას პირველი წოდების სახით გაბატონებული ადგილი ჰქონდეს საზოგადოებაში დაკავებული. არ არის საჭირო, რომ მღვდლები ცალკე წოდებას შეადგენდნენ საზოგადოებაში. ხალხი ეკლესიის წინააღმდეგი კი არ არის, მაგრამ მას სჭირდება რეფორმირებული და „იაფი“ ეკლესია, ისეთი ეკლესია, რომელიც დამოუკიდებელი იქნება რომის პაპისაგან. ლუთერი აშკარად გამოდის რომის პაპების იდეოლოგიური და პოლიტიკური ბატონობის წინააღმდეგ.

ლუთერი დაიბარეს რომში საეკლესიო სასამართლოზე, მაგრამ მან იქ გამოცხადებაზე უარი განაცხადა. 1519 წელს ლაიფციგში ჩატარდა კათოლიკე ღვთისმეტყველების დისპუტი, სადაც გამოვლინდა ლუთერის, როგორც ძლიერი პიროვნებისა და მაღალი დონის მოაზროვნის თვისებები. მან აქ დაიცვა ჩეხი რეფორმატორის, სიკვდილით დასჯილ იან ჰუსის რამოდენიმე დებულება.

იან ჰუსი (1371-1415 წ.წ.) იყო ჩეხური რეფორმაციის იდეოლოგი. მორწმუნეთა ქცევის ნორმად ის აცხადებდა არა პაპების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, არამედ საღმრთო წერილს. აშკარად გამოდიოდა ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ჰუსს დაწერილი აქვს ტრაქტატი „ეკლესიის შესახებ“. მანვე ჩეხურ ენაზე თარგმნა ბიბლია.

იან ჰუსის რიგი დებულებები მარტინ ლუთერმა დაიცვა 1521 წელს ვორმსის რაიხსტაგზე. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პაპის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში 1620 წელს ვიტენბერგის უნივერსიტეტის ეზოში პაპის ბულის დაწვას ლუთერის მიერ. პაპის განკარგულებით კი ლუთერი ეკლესიიდან განკვეთილად ითვლებოდა.

რეფორმაციული იყო იდეა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რომ მარტო რომის პაპს კი არ აქვს უფლება ბიბლიის ტექსტების კომენტირებისა. დასაშვებია საღმრთო წერილის თავისუფალი ახსნა-განმარტება; ეს უფლება კი აზრის თავისუფლებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. როგორც ერთი ცნობილი მოაზროვნე აღნიშნავდა, ლუთერმა კოპერნიკის (1473-1543 წ.წ.) მსგავსად ბრძოლა გამოუცხადა საეკლესიო ცრუმორწმუნეობას.

ლუთერის მიერ დაწყებული ბრძოლა აზრისა და სინდისის თავისუფლებისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იყო. რწმენის საკითხში იძულება გამოუსადეგარია.

დაქროლა თუ არა თავისუფლების სიომ, გერმანიაში გამოჩნდნენ „მემარცხენე" მიმართულების ადამიანები, რომელთა სათავეშიც თომას მიუნცერი (1493-1525 წ.წ.) აღმოჩნდა. ადამიანები ხელახლა უნდა მოინათლონ მაშინ, როდესაც ისინი გონებრივად მომწიფებულნი არიან. მათ ანაბაპტისტებს ეძახდნენ. ისინი ქონებრივ თანასწორობას ქადაგებენ და ისეთი თემების შექმნას ცდილობენ, სადაც მდიდარი და ღარიბი არ უნდა ყოფილიყო... რა თქმა უნდა, ლუთერი ასეთი უტოპიური საზოგადოების შექმნისთვის როდი იბრძოდა. და ლუთერი შედარებით კონსერვატორი ხდება. ისეთი საერო საზოგადოება, როგორიც თ. მიუნცერს სურდა, ლუთერისთვის მიუღებელი იყო. ადამიანი ხომ თავისი ბუნებით ცოდვიანია. ის ხალხს ადარებდა იმ მთვრალ გლეხს, რომელიც ცხენს ძლივს მოაჯდება ერთი მხრივ და მეორე მხარეს კი გადავარდება.

ლუთერის აზრით, ქრისტიანული თავისუფლება უნდა გავიგოთ, როგორც „სულიერი თავისუფლება" და მასთან ეკონომიური და არაეკონომიური იძულება (ბატონყმობა) შეიძლება შევათავსოთ.

გარკვეული მერყეობის შემდეგ ლუთერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეკლესია უნდა დაემორჩილოს სახელმწიფოს. ქრისტიანული სახელმწიფოს ინტერესები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ქრისტიანული ეკლესიის ინტერესებს. ეკლესიას საქმე აქვს სარწმუნოებასთან და

მას არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია საერო ძალაუფლებაზე. ლუთერის აზრით,არც რომის პაპს,არც ეპისკოპოსს, არც რომელიმე ადამიანს არა აქვს უფლება ქრისტიანს თავისი აზრი მოახვიოს, თუ ამაზე მისი თანხმობა არ იქნება.

ამ მოსაზრებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არა მხოლოდ რელიგიის, არამედ საერთოდ ევროპის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ისტორიაში. საფუძველი ეყრებოდა დიდ კულტურას, რომელიც აღიარებდა, რომ ადამიანს არ შეიძლება „ზევიდან" თავზე მოახვიო ისეთი აზრი, რომელსაც ის ვერ დაეთანხმებოდა. ასე თანდათან ჩაეყარა საფუძველი რეფორმაციას. გონებას შეუძლია მხოლოდ რწმენისთვის ხელის შეწყობა. ღმერთთან ადამიანს აახლოებს რწმენა და ამისათვის საჭირო არ არის საერო ცხოვრებაზე ხელის აღება. შვიდი რელიგიური საიდუმლოდან ლუთერმა შეინარჩუნა მხოლოდ ორი – ნათლობა და ზიარება. მისი აზრით ღვთისმსახურება უნდა ტარდებოდეს მრეველის მშობლიურ ენაზე. ეს ასეც მოხდა.

ლუთერს გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ევანგელიკური სიმღერის შედგენაშიც. მას ეწოდებოდა – „მტკიცე ციხესიმაგრეა ჩვენი ღმერთი". თავის დროზე მან დიდი როლი შეასრულა გერმანიის ცხოვრებაში და ერთმა ავტორმა მას XVI საუკუნის მარსელიოზაც კი უწოდა. მკვლევარები ლუთერის დამსახურებად თვლიან ორიგინალური სამრეველო საგალობლების შექმნასაც.

აზრისა და სინდისის თავისუფლების იდეამ ხელი შეუწყო ევროპული კულტურის წარმატებებს მომდევნო საუკუნეებში.

ჟან კალვინის პოლიტიკური შეხედულებანი

რეფორმაციული მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო ჟან კალვინი (1509-1564 წ.წ.). მისი გვარის ლათინიზირებული ფორმაა კალვინუსი. ის ითვლება კალვინიზმის ფუძემდებლად.

მიღებული ჰქონდა როგორც თეოლოგიური, ასევე იურიდიული განათლებაც.

იცნობდა მარტინ ლუთერის მოძღვრებას და მისი გავლენით განუდგა კათოლიკურ ეკლესიას. ლათინურად და ფრანგულ ენაზე გამოსცა თხზულება „ქრისტიანული შეგონებანი“.

კალვინი დაიბადა ნუაიონში, პიკარდიაში (ჩრდ. საფრანგეთი). მამას სურდა შვილი იურისტად გაეზარდა. იმ ხანებში საფრანგეთში კარგი იურიდიული განათლების მიღება შეიძლებოდა ბურჟესა და ორლეანის უნივერსიტეტებში.

კალვინი, გარდა იურიდიულისა, დაინტერესებული ყოფილა ფილოლოგიური პრობლემებითაც. მას უცხოვრია პარიზშიც და აქვე 1534 წელს გასცნობია პროტესტანტიზმს. ვარაუდობენ, რომ მან აქ გააკეთა თავისი არჩევანი პროტესტანტიზმის სასარგებლოდ.

შემდეგ ის ცხოვრობდა გერმანიაში. გადავიდა საცხოვრებლად ჟენევაში, საიდანაც იძულებული გახდა წასულიყო.

ჟენევაში დაბრუნდა 1541 წელს და პროტესტანტიზმის ახალი მიმართულების თავკაცი გახდა. დაამყარა სასტიკი წესრიგი.

კალვინიზმში გამოვლინდა ახალგაზრდა ბურჟუაზიისათვის დამახასიათებელი მომჭირნეობა, მფლანგველობის დაგმობა, ფხიანობა.

კალვინის „საეკლესიო წესდებულებამ“ სახელმწიფო კანონის ძალა შეიძინა.

კალვინიზმი გადაიქცა პროტესტანტიზმის ერთ-ერთ სახეობად ლუთერანობისა და ანგლიკანობის გვერდით. ადამიანის ბედი წინასწარ არის განსაზღვრული ღმერ-

თის მიერ. საქმეში — ვაჭრობა-მრეწველობაში წარმატება მაჩვენებელია იმისა, რომ ღმერთი მფარველობს საქმოსანს. რელიგიური კულტი გამარტივებულია. ლუთერის მსგავსად ისიც შვიდის ნაცვლად მხოლოდ ორ რელიგიურ საიდუმლოებას ცნობს (ნათლობას და ზიარებას).

კალვინის საქციელში მჟღავნდება თავისუფალი აზრის მოუთმენლობის ნიშნები.

საგულისხმოა, რომ იმ პერიოდში მოღვაწეობდა მიგელ სერვეტი, რომელიც პროგრესული მოაზროვნე, მრავალმხრივი განათლების, ენციკლოპედიური ცოდნის მქონე პიროვნება, რომელსაც თანაბრად აინტერესებდა მედიცინა, თეოლოგია, მათემატიკა, სამართალი, გეოგრაფია. როგორც ექიმმა, მან აღმოაჩინა სისხლის მიმოქცევის მცირე წრე. ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა არა მარტო კათოლიკებს, არამედ პროტესტანტებსაც. ეკამათებოდა კალვინს. მისი მოსაზრებები მიუღებელი იყო რელიგიური თვალსაზრისით. კალვინის განკარგულებით ის ცეცხლში დაწვეს. ეს მოხდა 1553 წელს ჟენევაში. სერვეტი ამ დროს შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში იყო, დაახლოებით 42 წლისა. კალვინისათვის ადამიანის სიცოცხლე ზღუდეს არ წარმოადგენდა რელიგიურ-პოლიტიკური მიზნის მიღწევის გზაზე. 1903 წელს სერვეტს ჟენევაში ძეგლი დაუდგეს. თვით კალვინისტურმა ეკლესიამ სერვეტის მიმართ აზრი შეიცვალა.

ერთი შეხედვით მკვლევარებს ბუნდოვან და გაუგებარ დებულებად ეჩვენებათ კალვინის მოძღვრება იმის შესახებ, რომ ღმერთმა სამყაროს შექმნამდე წინასწარ განსაზღვრა ადამიანების ბედი. ადამიანმა არ შეიძლება იცოდეს რისთვის დაიბადა ის, ნეტარებისა თუ ტანჯვისათვის. მკვლევართა ნაწილის აზრით (ს.ს. სკაზკინი, ა.მ. ჩისტოზვონოვი) კალვინიზმში მთავარია ის, რომ ღმერთი უკვე არ ერევა ისტორიულ კანონზომიერებაში,[57] მის მიერ შექმნილი სამყაროს ცხოვრებაში. ამ იდეით ის უმკლავდება დეისტების მოძღვრებას. ადამიანმა თავი უნდა წარ-

[57] „შუა საუკუნეების ისტორია". თ II, მოსკოვი, 1954. გვ. ს. დ. სკაზკინის, ა. ს. სამოილოს და ა. ნ. ჩისტოზვონოვის რედაქციით (რუსულ ენაზე) გვ 122–123.

მოიდგინოს ღვთის რჩეულად და მთელი ცხოვრება უნდა იღწვოდეს. ის უნდა დაუპირისპირდეს კონტრრეფორმაციას.

ასეთი აზრიც არის გამოთქმული, რომ კალვინის მიძღვრება წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ იყო იმ ფაქტის რელიგიური გამოხატულება, რომ კონკურენციისა და ვაჭრობის სამყაროში წარმატება თუ გაკოტრება დამოკიდებულია არა პიროვნებაზე, არა მის ხელოვნებაზე, არამედ მისგან დამოუკიდებელ გარემოებებზე. ცალკე აღებული ინდივიდის ნებასა და მოქმედებას კი არა აქვს ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ მისთვის გაუგებარი და უძლიერესი ეკონომიკური ძალების „მოწყალებას". და ეს გარემოება, ფრ. ენგელსის აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ ამერიკის აღმოჩენამ და ინდოეთისკენ უმოკლესი გზის გაკვალვამ გამოიწვია ეკონომიკური გადატრიალება და ძველი საკაჭრო გზების გადანაცვლება. ძველი სავაჭრო ცენტრები ახლებმა შეავიწროვეს. ძველი ეკონომიკური რწმენის სიმბოლოს, ოქროს და ვერცხლის მნიშვნელობაც შეირყა.

კალვინს თავის თხზულებაში „institucio religionis xristianae" დროდადრო შესწორებები შეჰქონდა. თანდათან ყალიბდებოდა მისი პოლიტიკური შეხედულებებიც.

კალვინი ხედავდა, რომ საღვთო წერილს შეიძლება ეყრდნობოდეს სხვადასხვა მიმართულების ადამიანი, რევოლუციონერი ანაბაპტისტიც, მშვიდობიანი ბიურგერიც და ა.შ. ამიტომ ის თავისი პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებისას სიფრთხილეს იჩენდა.

თუ სახელმწიფოს მესვეური არღვევს ღვთაებრივ კანონებს და მორალს, ხელყოფს ეკლესიას, ხდება ტირანი, ადრე თუ გვიან მას ღმერთის სასჯელი არ ასცდება.

ტირანიისადმი წინააღმდეგობის გაწევის უფლება და მოვალეობა გააჩნიათ თვით ხელისუფლების ორგანოებს. ტირანს უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა ეკლესიამ, გენერალურმა შტატებმა და ა.შ. მაგრამ ჯერ უნდა იქნას ამოწურული მშვიდობიანი, პასიური წინააღმდეგობის გაწევის

საშუალებები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მიღებულ იქნას უფრო მკვეთრი ზომები, თვით აჯანყებამდე.

კალვინის აზრით მონობაც, რომელიც მოციქულების ხანაში არსებობდა და ითმენდნენ, იმის მაჩვენებელია, რომ ღმერთს ამ წესჩვეულების წინააღმდეგ აჯანყება იმ ხანებში საჭიროდ არ მიაჩნდა.

კოლონიალიზმის და მონობის მოთმენა ბურჟუაზიას გარკვეულ პერიოდში მისაღებად მიაჩნდა.

მონობას და ბატონყმობას მოაზროვნები თვლიდნენ აუცილებელ ბოროტებად, რომელიც გარკვეულ დრომდე მაინც ისტორიული აუცილებლობაა; და თუ ის მიუღებელია, იგი თავიდან უნდა მოიშორო პასიური წინააღმდეგობით.

ჟან ბოდენის (1530-1596 წწ.) პოლიტიკური შეხედულებები

XVI საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის სახელმწიფო თავისი მოსახლეობის რაოდენობით უდიდესი იყო დასავლეთ ევროპაში. ამ დროისათვის იგი შეადგენდა 15 მილიონ სულს. მისი გაერთიანებაც დასასრულს უახლოვდებოდა.

მთელი მოსახლეობის ცხრა მეათედი სოფლად ცხოვრობდა და მხოლოდ ერთი მეათედი ქალაქებში. პარიზის მოსახლეობა ამ დროს შეადგენდა 300 ათას კაცს. ფეოდალიზმის წიაღში ვითარდებოდა ახალი, ფეოდალიზმთან შედარებით უფრო პროგრესული ბურჟუაზიული ურთიერთობანი. იზრდებოდა ე.წ. „მესამე წოდების" ეკონომიკური მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში, ქვეყნის ეკონომიკური ერთობის ნიადაგზე ყალიბდებოდა ერთიანი ბაზარი.

სოფლად პროდუქტადი რენტა უკვე უპირატესად შეცვლილი იყო ფულადი რენტით.

გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირადად თავისუფალი იყო და ხელობის შეცვლაც შეეძლო.

ამერიკის აღმოჩენასა და ინდოეთისაკენ საზღვაო გზის გაკვლევას ესპანეთისა და ინგლისისათვის მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე საფრანგეთისათვის, მაგრამ XVI საუკუნე მაინც საფრანგეთის დიდი წარმატების საუკუნე იყო, უკვე 1544 წელს ლიონში დაარსდა ბანკი. შეიქმნა ზომა-წონის ერთიანი სისტემა.

საფრანგეთის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა სახელმწიფომ. მან ბევრი რამ გააკეთა სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური წინსვლისათვის. ლუი XI-ის სამი მემკვიდრის ზეობის წლები იყო აბსოლუტური მონარქიის ჩამოყალიბების ხანა. კარლ VIII (1483-1498); ლუი XII (1498-1515) და ფრანცისკ I (1515-1547) ხელს უმართავენ ძლიერი სახელმწიფოს შექმნას. უკვე აღარ იწვევენ გენერალურ შტატებსაც.

საფრანგეთში ჯერ კიდევ წინაა რელიგიური კონფლიქტები. ფეოდალური კლანების დაპირისპირებები, ბრძოლა პრინციპებისა თუ ხელისუფლებისათვის.

ასეთ საინტერესო ეპოქაში დაიბადება მომავალი დიდი იურისტი, მეცნიერი, პოლიტიკური მოაზროვნე, ბუნებითი სამართლის იდეის თეორეტიკოსი — ჟან ბოდენი. დაიბადა იგი 1530 წელს.

ამ ხანებში საფრანგეთში შესაძლებელი იყო კარგი განათლების მიღება. მისი ოჯახი შეძლებული იყო. ჟან ბოდენმა ამით ისარგებლა და ტულუზაში და შემდეგ პარიზში თავისი მაღალი ნიჭის შესაფერისი იურიდიული განათლებაც მიიღო. ერთ ხანს უმუშავია პარიზის ადვოკატურაში. ყოფილა პროკურორიც. ორმოცდაექვსი წლის ასაკში 1571 წელს აურჩევიათ მესამე წოდების დეპუტატად ქ. ბლუას გენერალურ შტატებში, ხოლო მოგვიანებით საფრანგეთის გენერალურ შტატებშიც. ამ ხანებში საფარანგეთში კათოლიკებსა და ჰუგენოტებს შორის მიმდინარეობს შეურიგებელი ბრძოლა. ამ მძიმე დროში ბოდენს უხდება თავისი დამოკიდებულების გარკვევა მებრძოლ მხარეებთან. ის, როგორც ჩანს, ცდილობდა მებრძოლ მხარეთა შერიგებას და 1572 წელს „ბართლომეს ღამეს“ კინაღამ გამოასალმეს სიცოცხლეს.

ოცდაათ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში (1562-1593) ათგზის მოხდა შეჯახება სხვადასხვა მიმართულების და ძალაუფლებისათვის მებრძოლ ძალებს შორის. ასეთ გარემოში უხდებოდა ჟან ბოდენს ცხოვრება და მოღვაწეობა.

მისი მთავარი ნაშრომებია: „ექვსი წიგნი რესპუბლიკის შესახებ“, გამოქვეყნდა 1576 წელს, „შვიდი ადამიანის დიალოგი“ (1598 წ) და „პასუხი მ. მოლესტრუას პარადოქსებზე“, რომელიც შედარებით ადრე 1568 წელსაა დაწერილი.

ჟ. ბოდენი კარგად ფლობდა ლათინურს, რომელიც მაშინდელ უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ ითვლებოდა მთავარ სამეცნიერო ენად. მან თავისი „ექვსი

წიგნი რესპუბლიკის (სახელმწიფოს) შესახებ" ჯერ ფრანგულად დაწერა და შემდეგ თვითონვე თარგმნა ლათინურად. XVI საუკუნეში უკვე ფუნქციონირებდა ადრინდელი ახალი ფრანგული ენა.

ამ ხანებში ლათინურად არსებობდა არისტოტელეს ნაშრომების თარგმანები. მისი „პოლიტიკა" ცნობილი იყო უმაღლეს სასწავლებლებში. იცნობდა მას ჟან ბოდენიც. ანტიკური ფილოსოფიის მიღწევები ამ წიგნში იყო თავმოყრილი. ბოდენს, როგორც მაღალი დონის მოაზროვნეს, აინტერესებდა ის კანონზომიერება, რომლის არსებობაც მოსალოდნელი იყო საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში.

პირველყოველისა ჟ. ბოდენის აზრით, კლიმატი გავლენას ახდენს ადამიანის, ხალხის ხასიათზე. ჩრდილოეთის მკაცრი კლიმატი ხელს უწყობს ადამიანებში ნებისყოფისა და სიმამაცის გამომუშავებას. ჩრდილოელებს ამიტომაც ვხვდებით სამხედრო რაზმებში.

სამხრეთის კლიმატი ხელს უმართავს მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას, ხოლო ზომიერი კლიმატის ზონაში ხდება ჩრდილოელთა და სამხრეთელთა თვისებების გარკვეული შეხამება.

ხალხებზე გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემოც. მთები, ნაყოფიერი და უნაყოფო ნიადაგი, ტყეები, ველები და ა. შ.

ბოდენს უყურადღებოდ არ დარჩენია ხელისუფლების, ძალაუფლების დიდი მნიშვნელობა საზოგადოებაში. ხელისუფლება შეიძლება მომდინარეობდეს ოჯახიდან, გვარიდან, ტომიდან, ნათესაური კავშირებიდან და სახელმწიფოდან. მას კავშირი აქვს ძალის გამოყენებასთან.

ანტიკური ხანის დიდ მოაზროვნეს, არისტოტელეს მიაჩნდა, რომ ოჯახთა ერთობლიობა იყო სახელმწიფოს საფუძველი. დაახლებით ასე ფიქრობს ბოდენიც. ოჯახის სიძლიერე სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველია. ოჯახი უნდა იყოს ოჯახის თავის — მამაკაცის ძალაუფლების ქვეშ. ცოლი უნდა ემორჩილებოდეს ქმარს. ოჯახში დაუშ-

ვებელია ორძალაუფლებიანობა. ცოლი შვილებთან ერთად სახლის უფალს უნდა დაემორჩილოს.

ფეოდალურ საზოგადოებაში ოჯახების გვერდით არსებობენ კორპორაციები და სანამ ისინი არსებობენ გარკვეული კოლექტივების სახით, მათაც აქვთ რაღაც ძალაუფლება თავისი წევრების მიმართ. მაგრამ საკმარისია თემი თუ კორპორაცია დატოვოს ინდივიდმა, რომ ის ხსენებული ძალაუფლებისგან თავისუფლდება. კერძო ძალაუფლება შვილის მიმართ აქვს მშობელსაც, მაგრამ ეს არ იქნება პერსონალური ურთიერთობა. თანაც კერძო პირთა შეთანხმებით საჯარო სამართლის ნორმის შეცვლა არ შეიძლება. სახელმწიფოსათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა არა აქვს მოსახლეობის ნათესაური ნიშნის მიხედვით დაყოფას. ბოდენს კარგად ესმის, რომ ოჯახი არსებითად განსხვავდება სახელმწიფოსაგან. ოჯახისაგან განსხვავებით სახელმწიფოში სახეზე გვაქვს პოლიტიკური ძალაუფლება, უმაღლესი და სუვერენული ძალაუფლება. ლათინური გამოთქმების გამოყენებით შეიძლება ვთქვათ, რომ სახელმწიფოს ხელშია „summa potestas", „summum imperium". პოლიტიკური ძალაუფლება თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო ხელისუფლებაში.

ბოდენის აზრით, სუვერენიტეტი განუყოფელია. ის არც ხალხსა და მეფეს შორის შეიძლება დანაწილდეს.

ბოდენის აზრით, სუვერენიტეტი არის კანონის მორჩილებისაგან თავისუფალი ხელისუფლება მოქალაქეებზე და ქვეშევრდომებზე.

სუვერენი კანონებს თვითონ სცემს და ამ კანონებით ის არ არის შებოჭილი, მაგრამ სუვერენმა არ უნდა დაარღვიოს ბუნებითი სამართლის ნორმები და ღვთაებრივი კანონები („leges divinae"). ბოდენის აზრით, პოზიტიური სამართლის ნორმებზე უფრო მაღლა დგას რელიგიურ-ზნეობრივი ნორმები.

თავისი პოლიტიკური მრწამსით იგი აღმავალი ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგია და ცხადია, კერძო საკუთრება მიაჩნია სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის

საწინდრად. სახელმწიფო არსებობს. იქ, სადაც აღიარებულია კერძო საკუთრების უფლება. ამიტომ პლატონის იდეალური საზოგადოება, სადაც კერძო საკუთრება უნდა ყოფილიყო ლიკვიდირებული, ფიქრობდა ბოდენი, არ შეიძლება სახელმწიფოდ ვაღიაროთ.

ბოდენის აზრით, მონარქს თითქმის ყველაფრის უფლება აქვს და რომ მასზე ზეციო მხოლოდ ღმერთია, მაგრამ მისი დათქმით, მონარქმა მაინც თავი უნდა შეიკავოს კერძო საკუთრების ხელყოფისაგან და თვითნებურად არ უნდა დააწესოს ახალი გადასახადები.

ბოდენის მონარქი აბსოლუტური მონარქიის დროინდელ მეფეს მოგვაგონებს, მაგრამ ის მაინც ტირანი არ არის.

ოჯახი, კერძო საკუთრება, აგრეთვე ზოგიერთი პირადი უფლებები ისეთი ფენომენებია, რომლებიც ადამიანს ბუნებით და ღვთაებრივი სამართლის მეშვეობით ებოძა და მონარქის ხელყოფას არ ექვემდებარება. არც ფეოდალი, არც ქალაქი, არც ეკლესია უფლებამოსილი არ არის მონარქის კანონიერ უფლებებს წინააღმდეგობა გაუწიოს.

ამ ხანებში ფეოდალური ანარქია უპირისპირდება აბსოლუტურ მონარქიას. ამ უკანასკნელს ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო ფრანგი ხალხისათვის. ბოდენიც ისტორიული აუცილებლობის ნიადაგზე იდგა. ის ეწინააღმდეგებოდა მონარქომანებს, რომლებიც სახელმწიფოს ხალხსა და მონარქს შორის დადებული ხელშეკრულების პროდუქტად თვლიდნენ.

XVI საუკუნის საფრანგეთში გენერალურ შტატებს ან არ იწვევდნენ და თუ იწვევდნენ იშვიათად. თანაც მეფეს მხარს უჭერდა ძლიერი არმია და სახელმწიფო მექანიზმი. მეფეს უფლება ჰქონდა მუდმივი გადასახადების აკრეფისა. ამიტომაც გენერალური შტატები ნაკლებ როლს თამაშობდნენ ამ დროს საფრანგეთის ცხოვრებაში. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბოდენი არ ეწინააღმდეგება გენერალური შტატების არსებობას სახელმწიფოში.

საერო ფეოდალები, საეკლესიო სენიორები, ქალაქები ფორმალურად აღიარებდნენ მეფის უფლებებს, მაგრამ ფაქტობრივად მას ზღუდავდნენ. ამ სოციალურ პრაქტიკას ეწინააღმდეგება სწორედ ბოდენი.

ბოდენი ამიტომ აძლიერებს მონარქის ძალაუფლებას. მონარქმა უნდა გასრისოს სეპარატისტები და გააძლიეროს სახელმწიფო.

ბოდენი ემხრობა სარწმუნოებისა და ვაჭრობის თავისუფლების იდეას. რაც უთუოდ პროგრესული აზრი იყო.

ბოდენის სოციალური იდეალი იყო საერო მიმართულების ეროვნული ცენტრალიზებული სახელმწიფო.

ეან ბოდენის მიხედვით სუვერენიტეტის ნიშნებია:

1. ძალაუფლება სახელმწიფოში კანონების დაწესებისა ყველასა და ცალკეულის მიმართ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მეფის მიერ გამოყენებულ კანონს უნდა დამორჩილებოდა ფეოდალიც, ქალაქელიც, ეკლესიის მსახურიც, სამხედრო პირიც და ნებისმიერი ქვეშევრდომიც და ა. შ.

2. ომის დაწყებისა და ზავის შეკვრის ძალაუფლება;

3. თანამდებობის პირთა დანიშვნის უფლება;

4. უკანასკნელი ინსტანციის მართლმსაჯულების უფლება;

5. შეწყალების უფლება.

თომას მორი (1478-1535 წ.წ.)

რაც არ უნდა დიდი მოაზროვნის შემოქმედებასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, მისი საუკეთესო კომენტატორი მაინც ის ეპოქაა, რომელშიაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იგი. ასეა თომას მორის შემთხვევაშიც.

XIV საუკუნიდან მოყოლებული, თანდათან ყალიბდება ლონდონის დიალექტის საფუძველზე ინგლისური ენა. XVI საუკუნეში უკვე არსებობს ერთიანი ინგლისური ბაზარი. ინგლისი მოწინავე ქვეყანაა. XVI საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისური ჰუმანიზმის ცენტრია ოქსფორდი.

უოტ ტაილერის ანტიფეოდალურმა აჯანყებამ მიუხედავად მისი მარცხისა, დიდი გავლენა იქონია ინგლისის შემდგომ განვითარებაზე. ინგლისის ისტორიის სპეციალისტების აზრით, მიუხედავად მარცხისა, აჯანყებამ ხერხემალში გადატეხა ბატონყმური რეჟიმი. გლეხობა მეტ-ნაკლებად გათავისუფლდა ბეგარისა და გაზრდილი რენტის გადახდისაგან.

თითქმის სავსებით გაქრა არაეკონომიკური იძულება, ანუ ბატონყმობა. ფეოდალიზმის წიაღში დაწინაურდა და ეკონომიკურად მომძლავრდა ბურჟუაზია. თავად-აზნაურობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა – „ახალმა თავადაზნაურობამ“, ვაჭრობასა და მეწარმეობას მოჰკიდა ხელი.

დაიწყო კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პროცესი.

თომას მორის მოწიფულობის ხანაში – XVI საუკუნის პირველ მესამედში, ინგლისი საკმაოდ ძლიერი სახელმწიფოა. კაპიტალიზმი ვითარდება, კაპიტალისტური ურთიერთობა ჯერ სოფლად მკვიდრდება და შემდეგ კი გადადის ქალაქში. ინგლისში იზრდება რეფორმაციაც. მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ.

თომას მორი დაიბადა ადვოკატის ოჯახში, ლონდონში. განათლება მიიღო ოქსფორდის უნივერსიტეტში (1492-1494 წ.წ.). როგორც ჩანს, თომას მორი პირადად იცნობდა ერაზმ როტერდამელს, რომელიც ერთ ხანს ინგ-

ლისში ცხოვრობდა და სწავლულთა „ოქსფორდის წრეში“ შედიოდა. ამ წრეში შედიოდნენ იმ დროის მნიშვნელოვანი მოღვაწეები და ჰუმანისტები: კოლეტი, გროსენი, ლინეერი. ერასმ როტერდამელთან მეგობრობას თომას მორი მისი ინგლისიდან წასვლის შემდეგაც განაგრძობდა.

1504 წელს თომას მორი აურჩევიათ ინგლისის პარლამენტში. აქ ის საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობდა და მაშინდელი მეფის, ჰენრი მეშვიდის საგადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა. ჰენრი მერვის ტახტზე ასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ თომას მორს კვლავ პოლიტიკურ სარბიელზე ვხედავთ.

ნიჭიერი და მოუსყიდავი, თავისი პატიოსნებით ცნობილი მორი 1510 წელს ლონდონის შერიფის თანაშემწედ იწყებს მუშაობას. 1516 წელს იწერება „უტოპია“.

1518 წელს სამეფო საბჭოს წევრია.

1525-1529 წლებში თომას მორი ლანკასტერის საჰერცოგოს კანცლერია.

1529-1532 წლებში ის ინგლისის კანცლერია.

ამ დროს ინგლისში მეფობს ჰენრი მერვე (1509-1547 წ.წ.), ჰენრი მეშვიდე ტიუდორის ვაჟიშვილი, დაბადებული 1491 წელს, რომელიც თავისი დესპოტური ხასიათით გამოირჩეოდა. მან სიკვდილით დასაჯა თავისი ცოლები ენ ბოლეინი და ქეთრინ აუარდი. არც მინისტრებს ინდობდა. მის სინდისზეა თომას მორის და კრომველის სიკვდილით დასჯაც.

მისი მეფობის წლები იყო ინგლისში რეფორმაციის ხანა. 1534 წელს ინგლისის ეკლესია გამოეყო რომის კათოლიკურ ეკლესიას, ხოლო ინგლისის პარლამენტმა მეფე ჰენრი მერვე „ანგლიკანური ეკლესიის“ მეთაურად გამოაცხადა.

თომას მორს მიაჩნდა, რომ რეფორმაცია გამოიწვევდა საერთო ქრისტიანული საქმისათვის ზიანის მოტანას, სხვადასხვა მიმართულების ეკლესიათა ურთიერთდაპირისპირებას. მისი ერთი ბიოგრაფი წერდა: „როგორც კა-

თოლიკემ და პაპის უმაღლესი ძალაუფლების მომხრემ, მორმა უარი განაცხადა ინგლისის „უმაღლეს მეთაურად“ მიჩნეული მეფის წინაშე ფიცის დადებაზე, ამის გამო 1534 წელს დააპატიმრეს, ბრალად დასდეს სახელმწიფო ღალატი და სიკვდილით დასაჯეს. 1886 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ ნეტარხსენებულად შერაცხა.

თომას მორი რომ მედროვე და უპრინციპო პიროვნება ყოფილიყო, მას არ გაუჭირდებოდა დესპოტი მეფის კლანჭებიდან თავის დაღწევა, მაგრამ მისთვის ასეთი ხერხი თავის გადარჩენისა მიუღებელი იყო. მისთვის პრინციპებს მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე საკუთარ სიცოცხლეს.

თომას მორი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაშრომების ავტორია, მაგრამ მათი უმრავლესობა რელიგიურ თემაზეა დაწერილი და ანტიპროტესტანტული მიმართულებისაა.[58]

მას აქვს თარგმანებიც. დაუმთავრებელი დარჩა „მეფე რიჩარდ მესამის ისტორია“. ამ ნაწარმოებს თვლიან საუკეთესო პროზაულ ქმნილებად, რომელმაც შემდგომ, როგორც ფიქრობენ, უილიამ შექსპირის დრამის არაპირდაპირი წყაროს როლი შეასრულა.

მაგრამ ცხადია, მისი მთავარი ქმნილებაა „უტოპია“

უტოპია ხელოვნური სიტყვაა. ბერძნული „უ“ ნიშნავს არას, ხოლო „ტოპოს“ ადგილს.

მაშასადამე უტოპია ნიშნავდა რეალურ საფუძველს მოკლებულ მოძღვრებას იდეალური სახელმწიფო წყობილების შესახებ, განუხორციელებელ სოციალურ იდეალს.

XVI საუკუნის ინგლისში ცხოვრობდა დაახლოებით ოთხი მილიონი კაცი. აქედან გ. ვ. შტოკმარის აზრით, ოთხი მეხუთედი სოფლად ცხოვრობდა. ინგლისელი ისტორიკოსი ე. ჰარისონი, რომელიც XVI საუკუნეში ცხოვ-

---

[58] იხ. ტომას მორი, „უტოპია“. თბილისი. 1983.

პ.გუგუშვილი, „ტომას მორი“. (იხ. მისი წიგნი „სოციოლოგიური ეტიუდები“. ტ.1,1970).

კ.კაუცკი, „ტომას მორი და მისი უტოპია“. მოსკოვი. 1924. (რუსულად. თარგმნილი გერმანულიდან).

რობდა, „ინგლისის ადწერაში“ ამბობს, რომ ინგლისის მოსახლეობა ოთხ კატეგორიად იყოფოდა: ჯენტლმენები, ქალაქელები, იომენები და ხელოსნები (მუშები).

ჯენტლმენებს შეადგენდნენ პრინცები, ჰერცოგები, მარკიზები, გრაფები, ვიკონტები და ბარონები. მათ ერთობლივ ლორდებად მოიხსენიებდნენ.

მოსახლეობის მეორე ფენა იყო ქალაქელები, ძირითადად ვაჭრები. წესის თანახმად შეიძლებოდა ვაჭრის გადაქცევა ჯენტლმენად და პირიქით.

მესამე წოდება იყო იომენები, კაპიტალისტი ფერმერები, რომლებიც იყვნენ თავისუფალი ინგლისელები, წელიწადში 6 გირვანქა სტერლინგის შემოსავლით.

მეოთხე წოდებას შეადგენდნენ დღიური მუშები, რომლებიც სოფლის მეურნეობის სფეროში მუშაობდნენ. მეოთხე წოდებას ეკუთვნოდნენ აგრეთვე ხელოსნებიც. ჰარისონის აზრით, მონები და ყმები ამ დროს ინგლისში არ არიან.

ამ დროს ინგლისში მიმდინარეობს კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პროცესი. გაღატაკებული ადამიანები, მოხეტიალე მათხოვრები, პაუპერები კანონით სასტიკად ისჯებიან, მათ ციხეებში ამწყვდევენ.

თავის „უტოპია“-ში თომას მორი წერდა:

„მამაკაცები და ქალები, ქმრები და ცოლები, ობლები და ქვრივები, სასოწარკვეთილი დედები ძუძუთა ბავშვებით, ოჯახის ყველა წევრი, რომლებიც არიან ღარიბნი ცხოვრების სახსრებით და მრავალნი... ვერსად პოულობენ თავშესაფარს“... ისინი უცებ არიან გამოყრილნი ქუჩაში, იძულებულნი ხდებიან გაყიდონ ქონება იაფად და როდესაც ყველაფერს დახარჯავენ უკანასკნელ გროშამდე, იძულებულნი ხდებიან იქურდონ... ასეთ შემთხვევაში მათ კანონის თანახმად ჩამოახრჩობენ.[59]

---

[59] ტომას მორი, „ოქროს წიგნი, ისეთივე სასარგებლო, როგორც გასართობი, სახელმწიფოს საუკეთესო წესწყობილებაზე და ახალ კუნძულ უტოპიაზე“, მოსკოვი 1936. (რუსულად). გვ. 60.

ვ. ვ. შტოკმარი, „ნარკვევები XVI საუკუნის ინგლისის ისტორიიდან“, ლენინგრადი 1957, გვ. 5-10 (რუსულ ენაზე).

„სისხლიანი კანონმდებლობა ექსპროპრიირებულთა წინააღმდეგ“ – ასე უწოდა კარლ მარქსმა („კაპიტალი“, ტ. I. 1954, გვ. 921) ინგლისურ კანონდებლობას მაწანწალების, მათხოვრების და გაღატაკებულთა წინააღმდეგ გამოცემულს XV და XVI საუკუნეებში.

ეს „სისხლიანი კანონები“, ეს სიმკაცრე რომლითაც მყარდებოდა კაპიტალიზმი ინგლისში, იწვევდა ისეთი შეხედულების ჩამოყალიბებას, რომ ყველა ამ უბედურების მიზეზი არის კერძო საკუთრება.

რა თქმა უნდა, ისევე როგორც საერთო საკუთრებას, კერძო საკუთრებასაც აქვს მრავალი უარყოფითი მხარე და მოაზროვნეებს ჰგონიათ, რომ ყველა უბედურების მიზეზი არის სწორედ კერძო საკუთრება, ხოლო საერთო საკუთრება ბედნიერების მომტანია. ისტორიის მონაცემებმა კი სულ სხვა აჩვენა. რაც არ უნდა ნაკლი გააჩნდეს კერძო საკუთრების არსებობას საწარმოო საშუალებებზე, უძრავ და მოძრავ ქონებაზე, ეს უფრო ეფექტურია, მეტი შემოსავლის მომტანია.

თომას მორი კი სულ სხვაგვარად ფიქრობდა. თომას მორის თანამედროვე ინგლისში ხდებოდა ე.წ. „შემოღობვა“. მემამულეები ადგილ-მამულებიდან გლეხებს აძევებდნენ, მათ ცხვრებისათვის საძოვრები სჭირდებოდათ. მატყლი კი საკმაოდ ძვირად იყიდებოდა. ის სჭირდებოდათ მაუდის წარმოებისათვის. ასეთ ვითარებაში, როგორც მაშინ ამბობდნენ – „ცხვრებმა შეჭამეს ადამიანები.“ კაპიტალიზმის განვითარებამ სოფლად გამოიწვია გლეხობის მასობრივად გადაქცევა მაწანწალებად, მათხოვრებად, ყაჩაღებად.

თომას მორი წერდა იმის შესახებ, რომ სამეფოს ყველა მხარეში, სადაც ღებულობენ ყველაზე ნაზ მატყლს და ამიტომაც ყველაზე ძვირფას შალს, წარჩინებული არიტოკრატები და ზოგან აბატებიც, წმინდა ადამიანები... არ კმაყოფილდებიან იმით, რომ მათ უსაქმურ და ფუფუნებით ცხოვრებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს საზოგადოებისათვის და შეიძლება ითქვას, ვნების მომტანნი არიან.

არაფერს ტოვებენ სახნავ-სათესად თავიანთ ადგილ-მამულებში, ყველაფერს საძოვრად აქცევენ. დაბებს უდაბნოებად აქცევენ.

საზოგადოების მცირე ნაწილის ზედმეტი ფუფუნების, ზედმეტი სიმდიდრის, ხოლო საზოგადოების უმრავლესობის სიღატაკის მიზეზად მას მიაჩნია კერძო საკუთრება, ქონების არათანაბარი განაწილება.

იქ, სადაც ბატონობს კერძო საკუთრება და ყველაფერი ფულით იზომება, შეუძლებელია სახელმწიფო საქმეების მართებულად გაძღოლა.

ფანტასტიკურ კუნძულზე ლიკვიდირებულია არა მარტო კერძო საკუთრება, არამედ როგორც ზოგი მკვლევარი ფიქრობს, პირადი საკუთრებაც კი.

თ. მორის აზრით, საარსებო საშუალებათა თანაბრად და სამართლიანად განაწილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულყოფილად იქნება მოსპობილი კერძო საკუთრება, მაგრამ თუ კერძო საკუთრება დარჩება, კაცობრიობის უმრავლესობა და მისი საუკეთესო ნაწილი დაჩაგრული და დამწუხრებული იქნება.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა „უტოპიის“ ყველა მოქალაქის ვალდებულებაა. პროდუქტები და ნივთები ნაწილდება მოთხოვნილების მიხედვით.

ფანტასტიურია ის გარემოებაც, უტოპიურ საზოგადოებაში დღე-ღამეში მხოლოდ ექვს საათს მუშაობენ, რაც XVI საუკუნის ინგლისისათვის ძნელი წარმოსადგენი იყო.

მისი თანამედროვე სახელმწიფოები თ. მორს მიაჩნია მდიდართა ორგანიზაციად, მდიდრები სახელმწიფოს სახელით მხოლოდ თავის პირად ინტერესებზე ზრუნავენ.

სახელმწიფო თანამდებობის პირებს ხალხი ირჩევს „უტოპიაში“. ისინი ვალდებულნი არიან იღვაწონ ხალხის ინტერესებისათვის და ხალხს მოემსახურონ.

სახელმწიფოსა და თანამდებობის პირების მთავარი ამოცანაა ხალხის მატერიალური ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება წარმოების განვითარების მეშ-

ვეობით. ცხადია, სახელმწიფო ზრუნავს შექმნილი პროდუქციის განაწილებაზეც.

სახელმწიფოს სათავეში დგას მთავარი, რომელიც იუ ტირანობას მოისურვებს, დაკარგავს თავის მაღალ თანამდებობას. არსებობს სენატიც. როგორც სენატს, ასევე თანამდებობის პირებს ყოველწლიურად ირჩევენ.

სახელმწიფო მოხელეები ვალდებულნი არიან მოიქცნენ ღირსეულად, და არ იყვნენ თავგასულები და ამპარტავნები.

სახელმწიფოს ერთ-ერთ ამოცანად თომას მორი თვლის დანაშაულობასთან ბრძოლას. მაგრამ იმის შესახებ მიანიშნებს მკითხველს, რომ სახელმწიფო და საზოგადოება ოვითონვე არიან მიზეზი დანაშაულობათა წარმოშობისა და მათი ზრდისა. კაპიტალიზმის დამკვიდრებას ინგლისის სოფელში თან ახლდა გლეხობის საშინელი გაღატაკება, მათი აყრა ადგილ-მამულიდან და უსასყროდ დატოვება. მოგვიანებით, დიდი ინგლისელი მწერალი უ. შექსპირი იტყვის: „შენ მოგაქვს ჩემი სიცოცხლე, როდესაც მოგაქვს საშუალება, რომლითაც ვცხოვრობ“.

თომას მორი საკმაოდ დაწვრილებით გვიხატავს უტოპიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობილებას. მათი ცხოვრება შედარებით მარტივია, ისინი ეწევიან სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას. ქალაქიდან მოსახლეობა დროგამოშვებით სოფლად გადაჰყავთ საცხოვრებლად. ის ორი წლის განმავლობაში ეუფლება მიწათმოქმედებას. მოსავლის აღების დროს ქალაქელები ეხმარებიან სოფელს. ხელოსნები საზოგადოების პატივისცემით სარგებლობენ. ოჯახი საწარმოო ერთეულია. მთელი ოჯახი ქალაქში ერთი სახის ხელოსნობას ეწევა. ვისაც სხვა ხელობის შეძენა სურს, ის სხვა ოჯახში უნდა გადავიდეს საცხოვრებლად. ქალაქელთა ოჯახი ათი—თექვსმეტი სულისგან შედგება, ხოლო სოფელში ოჯახი ორმოცამდე წევრისგან შედგება. თომას მორს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ფეოდალური ინგლისის სოციალური პრაქტიკა, სადაც ჯერ კიდევ ცალკეულ მხარეებში შენარჩუნებული იყო მრავალსულიანი ოჯახები. თ. მორი

განქორწინების ინსტიტუტის წინააღმდეგია. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ის აშკარად გმობდა მეფე ჰენრი მერვის მეორე ქორწინებას, რამაც მეფის განრისხება გამოიწვია და მორის დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზიც კი გახდა.

ფიზიკურ შრომას მამაკაცების გვერდით ეწევიან ქალებიც. მისგან თავისუფლდებიან მეცნიერები და ის პირები, რომლებიც საზოგადოებრივი ვალდებულებებით არიან დაკავებულნი და დრო არ რჩებათ ფიზიკური შრომისათვის.

მძიმე ფიზიკურ სამუშაოებს ასრულებენ მონები, სიკვდილმისჯილი დამნაშავეები, რომლებიც უტოპისტებმა გამოისყიდეს, აგრეთვე სამხედრო ტყვეები. მონობა მემკვიდრეობით არ გადადის, სახლ-კარი სახელმწიფო საკუთრებაა. ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ხდება მათი ხელახალი გადანაწილება. მაშასადამე, თ. მორს ჯერ კიდევ არა აქვს ერთმანეთისგან გამიჯნული პირადი და სახელმწიფო საკუთრება.

უტოპიაში მრავალტომიანი კანონები არ არსებობს. დაშვებული არ არის ადვოკატების მონაწილეობა სასამართლო პროცესში. როგორც ჩანს, მას არ მოსწონდა ინგლისური სამართალი და მისი რთული საადვოკატო ურთიერთობები. ის ხომ თვითონაც ადვოკატის ოჯახიდან იყო.

თომას მორი თავის უტოპიურ სახელმწიფოში სიკვდილით დასჯას ტოვებს რეციდივისტი დამნაშავეებისათვის.

რელიგიური შემწყნარებლობა დაშვებულია, მაგრამ ათეიზმი იკრძალება. სინდისის თავისუფლების პრინციპი გარკვეულ შეზღუდვებთან არის დაკავშირებული. ათეისტები არ დაიშვებიან სახელმწიფო თანამდებობებზე. ყველა მოქალაქე ვალდებულია სწამდეს ღმერთი, საიქიო ცხოვრება, და აქ ჩადენილი ცოდვებისა და დანაშაულებისთვის ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობა.

ტომაზო კამპანელას (1568–1639 წ.წ.) პოლიტიკური შეხედულებანი

ტომაზო კამპანელას ცხოვრების წლებში მისი სამშობლო, იტალია გაერთიანებული არ იყო. სამხრეთ იტალიაში ბატონობდნენ ესპანელები, რაც პატრიოტ იტალიელ ახალგაზრდებში პროტესტს იწვევდა. ნიჭიერმა და მამაცმა ახალგაზრდამ, ტომაზო კამპანელამ კალაბრიაში 1599 წელს მოაწყო შეთქმულება ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. მაგრამ მოღალატემ შეთქმულება გასცა და სასამართლომ ტომაზო კამპანელას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მან ოცდაშვიდი წელი გაატარა პატიმრობაში და პატიმრობიდან გათავისუფლდა მხოლოდ 1626 წელს, როცა ის 58 წლისა იყო.

კამპანელამ უკვე 15 წლის ასაკში გამოაცხადა თავი, როგორც თავისუფლებისთვის მებრძოლმა. ის დომინიკელთა ოჯახის წევრი იყო და იქ გაბატონებული შეზღუდვების ატანა უჭირდა. ის თავის დროის შვილი იყო და ერთხანს გატაცებული იყო მისტიციზმით – კამბალით, შუა საუკუნეების ებრაული მოძღვრებით, შემდეგ სქოლასტიკით. იეზუიტებთან ორატორულ ორთაბრძოლაში ხშირად იმოწმებდა საეკლესიო ავტორიტეტებს. მისთვის მონასტერი აუტანელი გახდა და მის მსოფლმხედველობაშიაც მოხდა ცვლილებები. როდესაც დიდი ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს, კამპანელა ნეაპოლში, დელ ოვოს ციხეში იჯდა. ციხემ და ტანჯვა-წამებამ მისი ნებისყოფა ვერ გატეხა. ის ციხეში ბევრს ფიქრობდა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ საკითხებზე. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან გამოაქვეყნა „მზის ქალაქი“.

კამპანელა იგონებს თავის თავგადასავალს ციხეებში და წერს, რომ მან გამოიცვალა 50 სხვადასხვა ციხე და რომ ის შვიდჯერ სასტიკად აწამეს. ბოლო წამება 40 საათი გაგრძელდა. ეგონათ, რომ კამპანელა მკვდარია, მაგრამ გადარჩა. მისი სიმამაცე მწვალებელთა გაოცებას იწვევდა. ვერცერთი შეთქმულის სახელი ვერ ათქმევინეს. პაპმა ურბან მერვემ 1626 წლის 15 მაისს ის

გაათავისუფლა. გარდაიცვალა პარიზში, 1639 წლის 21 მაისს.[60]

სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან საფრანგეთში, პარიზში დომინიკელთა მონასტერში გაატარა. კვლავ დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მეცნიერების განვითარებას, წერდა ნაშრომებს ფილოსოფიის, ასტროლოგიის, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე. მას ციხეში აქვს დაწერილი „მზის ქალაქი" და „გალილეის დაცვა". ფილოსოფიის ისტორიკოსები ტ. კამპანელას თვლიან აღორძინების ეპოქის ნატურფილოსოფიის უკანასკნელ დიდ წარმომადგენლად. XVII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ ევროპაში მეცნიერებაში დიდი წინსვლა შეინიშნება. იტალიელი გალილეო გალილეი (1564-1642 წ.წ.) ამთავრებს აღორძინების ეპოქის მეცნიერების და ფილოსოფიის განვითარებას. ტ. კამპანელა იცავს გალილეო გალილეის ღვაწლს და მას გვერდში უდგას, რამდენადაც ეს მას შეეძლო. კამპანელა, როგორც ჩანს მთლიანად ვერ გათავისუფლდა სქოლასტიკის ზეგავლენისგან და დიდი მეცნიერის, ნიკოლოზ კოპერნიკის (1473-1543 წ.წ.) ჰელიოცენტრული სისტემა სათანადოდ ვერ შეაფასა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მისი ფილოსოფიური მოძღვრება დიალექტიკის ელემენტებსაც შეიცავდა. ყურადღებას იქცევს მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სინამდვილის უარყოფითი თვისება დადებითის გამოვლენის შესაძლებლობის აუცილებელი პირობაა.

კამპანელა არ იყო მატერიალისტი და თვლიდა, რომ შესაძლებელია ღმერთმა შექმნას ბუნება. ბუნება ღვთაებრივი გამოცხადების მხოლოდ ერთი ფორმაა. ის მეტაკლებად პანთეისტია.

---

[60] ვ. კალანდარაშვილი, „საზოგადოებრივი პროცესის მეცნიერული თეორიის შემუშავება", თბილისი, 1974.

ლ. გორგილაძე, „სოციალიზმის ისტორიიდან", თბილისი, 1967.

პ. გუგუშვილი, თომა კამპანელა. „საქართველოს ეკონომისტი", 1958№9.

Волгин В.П. „Очерки по истории социализма." IV изд. М-Л 1936.

Лафорг П.„Томас Кампанелла. Страницы из истории социализма"..Пер. с французского, М. 1926.

Штекли А. Э. „Кампанелла". М., 1966.

კამპანელას თვლიან. იტალიის პლებეურ-გლეხური მასების იდეოლოგად.

მისი აზრით, მთელი კაცობრიობა ერთიანია. ისტორია მოძრაობს მთელი კაცობრიობის გაერთიანების მიმართულებით.

კაცობრიობის განვითარება მას წარმოდგენილი აქვს მარადიული წრებრუნვის სახით. ოდესღაც გავლილი ოქროს საუკუნე კვლავ შეიძლება მობრუნდეს.

„მზის ქალაქი" მას დაუწერია 1602 წელს, მაგრამ გამოაქვეყნა მხოლოდ 1623 წელს.

თუ როგორი იქნება მომავალი „ოქროს საუკუნე" — ეს მას აღწერილი აქვს „მზის ქალაქში".

„მზის ქალაქს" დიალოგის ფორმა აქვს. საუბრობენ მეზღვაური და ადამიანი, რომელიც ფიქრობს საზოგადოების უკეთეს ორგანიზაციაზე, მის უკეთ მოწყობაზე.

მეზღვაურმა, როგორც ეს მისი ნაამბობიდან ჩანს, ნახა ქალაქი-სახელმწიფო, რომელიც არაჩვეულებრივად არის მოწყობილი და ორგანიზებული. ის არა ჰგავს სხვა ქალაქებს.

„მზის ქალაქი" მდებარეობს კუნძულზე. ხსენებულ კუნძულზე კიდევ ოთხი სხვა სახელმწიფო მდებარეობს. მაგრამ ავტორის სოციალური იდეალი სწორედ „მზის ქალაქშია" განხორციელებული. „მზის ქალაქში" არ არის კერძო საკუთრება, არ არის არც მდიდარი და არც ღარიბი. არ არის ოჯახიც.

სახელმწიფოს ყველა მოქალაქე მწარმოებლურ შრომაშია ჩაბმული. განაწილების დროს მხედველობაში მიიღება მოთხოვნილება. იგულისხმება გონივრული მოთხოვნილება.

პროფესიული შრომის დროს მხედველობაში მიიღება ადამიანის ნიჭი, უნარი და მიდრეკილება, მაგრამ სამიწათმოქმედო სამუშაოებში, მესაქონლეობაში და სამხედრო წრთვნებში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. მჭედლისა და მშენებლის პროფესიას ხალხი პატივს მიაგებს შრომის სხვა სახეობებთან შედარებით. სამხედრო საქმის შესწავლას მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმიტომ, რომ

სახელმწიფოს დამცველები სჭირდება, ეს თავისთავად. სამხედრო წრთობა ხელს უწყობს სულით და ხორცით ჯანსაღი თაობის ჩამოყალიბებას და ფუფუნებაში აღზრდილი უნებისყოფო ადამიანის გამოსწორებას.

სამხედრო საქმეს მამაკაცების გვერდით ქალებიც ეუფლებიან. მხედრულად გამოწრთობილი ხალხი აქტიურია და ტირანიის გამარჯვებას არ დაუშვებს.

ტომაზო კამპანელას მიხედვით, მზის ქალაქის მცხოვრებლებს ასტროლოგიისა სწამთ. ივარაუდება, რომ ასტროლოგია მეცნიერებად მიაჩნდა კამპანელასაც. მაგრამ კამპანელა დასცინის სქოლასტიკოსთა კამათს იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა ჭიპი პირველ ადამიანს, ადამს.

„მზის ქალაქში“ ხალხი თავისი წრიდან ირჩევს ყველაზე გამოჩენილ ადამიანს სახელმწიფოს მეთაურად — იგივე მღვდელმთავრად, რომელმაც უნდა იზრუნოს თავისი ქალაქ-სახელმწიფოსა და ხალხის ბედნიერებაზე. მას გვერდით უდგას სამი თანამმართველი, რომელთაგან ერთი განასახიერებს „ძლიერებას“ (პონ), მეორე „სიბრძნეს (სინ) და მესამე „სიყვარულს“ (მორ).

„პონ“ ხელმძღვანელობს ქალაქ-სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს და ზრუნავს გარეშე მტრებისაგან სახელმწიფოს დაცვაზე.

მეცნიერებას და ხელოვნებას განაგებს „სიბრძნე“ (სინ).

ხოლო „სიყვარული“ (მორ) განაგებს ბავშვთა აღზრდის, მედიცინის, მიწათმოქმედების საკითხებს და ა. შ.

სამუშაო დღის ხანგრძლივობა კამპანელასთან უფრო მოკლეა, ვიდრე თომას მორთან. კამპანელას „მზის ქალაქში” ფიზიკურად მხოლოდ დღეში ოთხ საათს მუშაობენ, დანარჩენს სწავლა-განათლების მიღებას ანდომებენ. ყველა მოქალაქე ერთნაირ განათლებას ღებულობს.

ისე, როგორც თომას მორი, კამპანელაც იმის მომხრეა, რომ კანონთა რაოდენობა იყოს მცირე, ხოლო კანონები იყოს ხალხისთვის ადვილად გასაგები.

საერთოდ. აღებული, ფეოდალური საზოგადოების ადრეული და შუა საფეხურებისთვის დამახასიათებელი იყო სწორედ სამართლებრივ ძეგლთა სიმცირე, დაწერილ ნორმათა ლაპიდარულობა, მაგრამ გვიან ფეოდალურ ხანაში ვითარება იცვლება. ადგილი აქვს კანონთა ერთგვარ მოძალებას და კანონებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ერთმანეთთან შეუთანხმებელია. ადგილი აქვს რომის სამართლის რეცეფციასაც. სავარაუდოა, რომ ეს გარემოება აქვს მხედველობაში კამპანელას.

კამპანელას აინტერესებდა: საკუთრების რომელი ფორმაა სასარგებლო და ოპტიმალური საზოგადოებრივი პროგრესისათვის? მისი აზრით, ადამიანთა პიროვნების სრულყოფას, ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანასწორობას უფრო საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საკუთრება განაპირობებს.

საერთო საკუთრების ნაკლს ის ვერ ხედავს. ვერ ამჩნევს, რომ აბსოლუტურად სათნოების წყარო არც სახელმწიფო (საერთო) საკუთრებაა. არ ფიქრობს, რომ კერძო და საერთო საკუთრების შეხამებაც შესაძლებელია. გარდა ამისა, ვერ ითვალისწინებს, რომ ინდივიდუალური ცხოვრების გამოცალკევება ჯგუფურისგან, კერძო საკუთრების გარკვეული აღიარების გარეშე შეუძლებელია.

კამპანელას „მზის ქალაქში" სამართალგანკითარების საკმაოდ დაბალ დონესთან გვაქვს საქმე. სასულიერო პირების ხელშია მართლმსაჯულება. ცოდვა და დანაშაული ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული. მორალიც და სამართალიც ერთ ნაკადად განიხილება. მართალია, უტოპიურ ქალაქ-სახელმწიფოში ციხეები არ არის, მაგრამ გამოიყენება სიკვდილით დასჯა. განსრახ მკვლელობის მიმართ გამოიყენება ტალიონის პრინციპი. გამოიყენება სხეულებრივი სასჯელებიც, გაძევებაც...

თუმცა თეორიულად კამპანელა თვლიდა, რომ სასჯელის მიზანი დამნაშავის გამოსწორებაა, ეს იდეა ვერ უთავსდება მის მიერ აღიარებულ ზოგიერთი სასჯელის გამოყენებას. მრავალი საუკუნეა, რაც საერთო და კერძო

საკუთრება უპირისპირდება ერთმანეთს. შესაძლებელია, ტ. კამპანელას შეგნებული ჰქონდა, რომ ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურა კერძო საკუთრების საფუძველზე განვითარდა, მაგრამ ამ კულტურით მიღებული შედეგები მას არ აკმაყოფილებდა. მიუღებელია ზედმეტი რადიკალიზმი, როდესაც არსებულის მთლიანად უარყოფა ხდება. ძველი სამყაროს ქვეყნებში ზოგან ძლიერი იყო სახელმწიფო საკუთრება, რომელიც დესპოტური ხელისუფლების გარკვეული საფუძველიც კი იყო და აზროვნების დამონებას უწყობდა ხელს.

ჰუგო გროციუსი (1583-1645 წ.წ.)

ჰუგო გროციუსი ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი მოაზროვნე, ლიტერატორი, ისტორიკოსი და იურისტი.

მაგრამ აქვე გავიხსენოთ, თუ რას წარმოადგენდა მისი სამშობლო XVI საუკუნეში. ნიდერლანდები 1519 წელს კარლოს V-ის (1515-1555 წ.წ.) იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ამ იმპერიაში გარდა ნიდერლანდებისა, შედიოდა გერმანია, ავსტრია, ესპანეთი, ნეაპოლიტანიის სამეფო, კოლონიური სამფლობელოები.

ნიდერლანდებში ფეოდალიზმის წიაღში უკვე მომწიფებული იყო კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობები. სოციალური, ეკონომიკური განვითარების დონით ის იყო ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ქვეყანა. XVI საუკუნის შუა წლებში ნიდერლანდების მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 3 მილიონ სულს.

ეს შედარებით პატარა ქვეყანა შედგებოდა 300 ქალაქისა და 6500 სოფლისაგან. მას არაიშვიათად ქალაქების ქვეყანად მოიხსენიებენ. XVI საუკუნეში მცხოვრები მწერლები, ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ამ ხანებში ჰოლანდიაში ქალაქად ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის არანაკლებ ნახევრისა.

XVII საუკუნის დასაწყისში ჰოლანდია ეკონომიკურად და კულტურულად მოწინავე ქვეყანაა.

ძვე ლი საამქროები ირღვევა. მკვიდრდება კაპიტალისტური მანუფაქტურა. ვითარდება შალის და მაუდის წარმოება, გემთმშენებლობა, ქაღალდის წარმოება, ქიმიური მრეწველობა. საზოგადოება მზად არის რელიგიური შემწყნარებლობისათვის. ქვეყანა თავისუფალია ესპანეთის და რომის პაპების მბრძანებლობისაგან.

1648 წლის ვესტფალის ზავის მიხედვით, ე.წ. „შეერთებული პროვინციები“ ამთავრებენ ომს ესპანეთთან და წყვეტენ ფორმალურ კავშირს გერმანიის „იმპერიასთან“.

ჰოლანდიაში ჩამოყალიბდება ორი პარტია.

პირველი პარტია იყო მმართველი ვაჭარ-ოლიგარქების პარტია. ისინი, ამ პარტიის წევრები, ემხრობოდნენ

ტრადიციულ პროვინციების ავტონომიას. ჰოლანდია კი ინარჩუნებდა ჰეგემონიას სხვა პროვინციების მიმართ, რომლებიც ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდნენ. ხსენებული პარტიის იდეოლოგები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტი ეკუთვნის არა ხალხს, არამედ გენერალურ შტატებს. ფაქტობრივად კი ეს ნიშნავდა, რომ სუვერენიტეტი პარტიის ზედა ფენის – ოლიგარქი ვაჭრების ხელში იყო.

ამ „პროვინციების" პარტიას ლიდერობდა იან ვან ოლდენბარნეველტი (1547-1619 წ.წ.), თავისი დროის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე.

მის მხარეზე იღწოდა ნიჭიერი იურისტი ჰუგო გროციუსიც.

ამ პარტიის წინააღმდეგ იბრძოდა ე. წ. კონსისტორიის პარტია, რომელიც

დაკავშირებული იყო ანუფაქტურის მესაკუთრე კაპიტალისტებთან, აგრეთვე წვრილი ბურჟუაზიის ფართე ფენებთან. ეს პარტია გამოდიოდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის ლოზუნგით, როვნული მრეწველობის განვითარებისა და სახალხო სუვერენიტეტის დროშის ქვეშ. ონსისტორიის პარტია გამოდიოდა ყალბი „ვაჭრობის თავისუფლების" ლოზუნგის წინააღმდეგ, ის ამტკიცებდა, რომ ე.წ. „ვაჭრობის თავისუფლების" მომხრეები ესპანეთთან ომის დროს ეხმარებოდნენ სამშობლოს მტრებს სურსათით და იარაღით.

1619 წელს ოლდენბარნეველტი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მის თანაპარტიელ ჰუგო გროციუსს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მაგრამ მან ციხიდან გაქცევა მოახერხა და საფრანგეთში განაგრძო თავისი მოღვაწეობა. სიცოცხლის ბოლო წლებში შვეიცარიაში ცხოვრობდა.

როგორც ვნახეთ, ჰუგო გროციუსი იყო მმართველი ვაჭარ-ოლიგარქების მომხრე და ეს ეჭვს არ იწვევს.

მისი მთავარი სამართლებრივ-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომებია:

„თავისუფალი ზღვის შესახებ“ (1609 წ.), „ომისა და ზავის სამართლის შესახებ“ (1625 წ.), „კომენტარები ნადავლის უფლების შესახებ“ და ა. შ.

მას აგრეთვე დაწერილი აქვს „ანალები ბელგიის ისტორიიდან“, რომელიც ისტორიკოსთა მართებული აზრით XVI-XVII საუკუნის ბელგიის ისტორიის შესასწავლად ფასეული წყაროა. არ უნდა დავიიწყოთ ის გარემოებაც, რომ 1575 წელს ლეიდენში დაარსდა უნივერსიტეტი, ცოტა უფრო გვიან გრონინგემში, უტრეხტში და ფრანეკერშიც გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლები.

დასავლეთ ევროპაში საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მამად ითვლება ჰუგო გროციუსი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მას ამ მხრივ წინაპრები არ ყავდა.

საერთაშორისო სამართლის ისტორიის სპეციალისტები ასახელებენ ჰოლანდიელ ბ. აიალას (1548-1584 წ.წ.), ესპანელ ფ. ვიტარიას (1480-1540 წ.წ.), დ. სოტოს (1494-1560 წ.წ.), იტალიელ ა. ჯენტილის (1551-1611 წ.წ.) და სხვებს.[61]

1625 წელს გამოქვეყნდა ჰ. გროციუსის წიგნი – „ომისა და მშვიდობის სამართლის შესახებ“. ის ითარგმნა მრავალ ენაზე და გამოცემიდან სამი საუკუნის განმავლობაში ორასზე მეტჯერ დაიბეჭდა.

ჰ. გროციუსი აბსოლუტური მონარქიის ხანის მოღვაწეა და ადრეული კაპიტალიზმის ხანის სახელმწიფო ინტერესებსაც ითვალისწინებს. მან მშვენივრად იცის, რომ XVII საუკუნის ევროპაში ომის გამორიცხვა საერთაშორისო ურთიერთობის სფეროდან შეუძლებელია. ამიტომ ის ცდილობს ომის სამართლის ნორმების გონიერულ ჩარჩოებში მოქცევას. რამდენად შეიძლება ომის სამართლებრივი ნორმების მიხედვით მოწესრიგება? ჰ. გროციუსის აზრით, ეს შესაძლებელია. არსებობენ ომის კანონები, საერთაშორისო შეთანხმებები, საერთაშორისო ჩვეულებები, იურისტების ახსნა-განმარტებები და ა. შ.

---

[61] ე. ა. კოროვინი, „საერთაშორისო სამართლის ისტორია“ (რუს ენაზე), ნაწ. I, მოსკოვი, 1946, გვ. შდრ. ჰ. გროციუსი, „ომისა და მშვიდობის სამართლის შესახებ“, თარგმანი ლათინურიდან, წ. 1-3. მოსკოვი, 1956.

საერთაშორისო სამართალი არ არის ძალმომრეობის სფერო, მუშტის სამართალი. ომის დროს დაცული უნდა იყოს მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებები, საკუთრების უფლება და ა. შ. დამპყრობლური ომები უსამართლოა. თავდაცვითი ომები სამართლიანია.

ჰ. გროციუსის შრომები იწერებოდა მაშინ, როდესაც ევროპაში გაჩაღებული იყო ოცდაათწლიანი ომი და სამართლებრივი ნორმების დაცვაზე ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა.

ჰ. გროციუსის აზრით, თუ დაპყრობილ ხალხს დამპყრობლის მხრივ განადგურების საფრთხე ემუქრება, დამპყრობელთა წინააღმდეგ ძალის გამოყენება სამართლიანია. იგულისხმება, რომ ნიდერლანდების ბრძოლა ესპანეთის წინააღმდეგ სამართლიანი იყო.

გროციუსი წინააღმდეგი იყო უსამართლო ომებისა და მათ აკრძალვასაც კი მოითხოვდა.

თავისი დროისათვის მნიშვნელოვანი იყო მისი წინადადება დაარსებულიყო მუდმივი ორგანო, რომელიც საერთაშორისო დავებს განიხილავდა საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენებით. მისთვის საერთაშორისო სამართლის წყაროდ ითვლებოდა არა მარტო საერთაშორისო ჩვეულებები და საერთაშორისო ხელშეკრულებები, არამედ ცნობილი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების კომენტარებიც. მეომარმა მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევისაგან.

სამართალს გროციუსი ჰყოფს ბუნებით სამართლად („იუს ნატურალე") და ნებაყოფლობით სამართლად („იუს ვოლუნტარიუმ"). ამ უკანასკნელს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები მიიჩნევენ ბუნებითი სამართლის რეალურ ყოფიერებად, მის რეალიზაციად.

გარდა ამისა, გროციუსი სამართალს ყოფს ღვთაებრივ („იუს დივინუმ") და ადამიანურ სამართლად („იუს ჰუმანუმ").

„იუს ჰუმანუმ“ მოიცავს როგორც შიდასახელმწიფოებრივ სამართალს („იუს ცივილე“), ასევე საერთაშორისო სამართალსაც („იუს გენციუმ“).

საერთაშორისო სამართლის მთავარ წყაროდ მას მიაჩნია პირველყოვლისა საერთაშორისო ჩვეულებები, თუმცა არც საერთაშორისო შეთანხმებებისა და იურისტების ახსნა-განმარტებათა მნიშვნელობას უარყოფდა. მისი აზრით, სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს დადებულ ხელშეკრულებათა დარღვევისაგან. სახელმწიფომ თავი უნდა შეიზღუდოს იმ ნორმების ხელყოფისაგან, რომელსაც ის ფორმალურად აღიარებს. საერთაშორისო სამართალი არ არის, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ცარიელი სახელწოდება.

ოცდაათწლიანი ომის დროს სამხედრო ტყვეებს არაჰუმანურად ექცეოდნენ. ამ ფაქტების შუქზე გროციუსის მოთხოვნა უთუოდ მნიშვნელოვანია. ის მოითხოვს, რომ სამხედრო ტყვეებს მოექცნენ ადამიანურად და არ ხელყონ მათი სიცოცხლე.

გროციუსის მოსაზრებები მეტწილად სოციალური იდეალია, რომელიც მომავალში უნდა განხორციელდეს, ვიდრე სოციალური სინამდვილე. გროციუსი იცნობს მრავალი მისი თანამედროვე და წინამორბედი ავტორის ნაშრომებს, ალაგებს მათ მოსაზრებებს და სისტემაში მოჰყავს ისინი.[62]

მისი აზრით, სახელმწიფო არის თავისუფალ ადამიანთა სრულყოფილი კავშირი სამართლის ნორმების დასაცავად და საერთო სარგებლობის მისაღწევად.

რაც შეეხება საერთაშორისო სამართალს, გროციუსის აზრით, ის ნაწილობრივ ბუნებითი სამართალია და ნაწილობრივ კი პოზიტიური სამართალი.

მისი აზრით, სამართალი და სახელმწიფო ადამიანების შემოქმედებაა. სახელმწიფო საზოგადოებრივი ხე-

---

[62] იხ. ვე. გრაბარი, „ჰუგო გროციუსი და ალბერიკო ჯენტილი, როგორც საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში ორი მიმართულების წინამორბედები“, „იზვესტია აკადემიი ნაუკ, ოტდელენიე ეკონომიკი ი პრავა“. 1946. №1, გვ. 13-15.

ლშეკრულების პროდუქტია. „ბუნებითი“ სამართალი არ ნიშნავს ისეთ სამართალს, რომელშიც ღმერთის ნებაა გამოხატული. „ბუნებითი“ სამართალი თავისთავადაა ჭეშმარიტი. ჰუგო გროციუსი პაპის ხელისუფლებასთან ოპოზიციაში იყო. მისი წიგნიც აკრძალულთა სიაში იყო შეტანილი.

ჰ. გროციუსი საბოლოოდ ფეოდალური წესწყობილების მოწინააღმდეგე და ე. წ. იურიდიული მსოფლმხედველობის მომხრე იყო. სამართალი მიაჩნდა საზოგადოების პირველსაწყისად. ასეთი შეხედულება ჩამოყალიბდა ახალგაზრდა ბურჟუაზიის მხრივ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი იურიდიულ მსოფლმხედველობას ბურჟუაზიის კლასუკურ მსოფლხედველობად თვლის. ერთი ცნობილი ავტორის სიტყვით, იურიდიული მსოფლმხედველობა იყო თეოლოგიერის გაამქვეყნიერება.

ისინი, იურიდიული მსოფლმხედველობის მიმდევრები, სამართალს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ცალკეული სახელმწიფო მოღვაწეების თვითნებურ დანაწესად მიიჩნევენ. არ აღიარებენ სამართლის კავშირს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებასთან.

ჰუგო გროციუსი თავისი ეპოქის შვილია. ეს არის ფეოდალური აბსოლუტური მონარქიიდან ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიმართულებით განვითარების ხანა.

ჰოლანდია ამ დროს თავისი საკაჭრო ფლოტითა და კოლონიური პრეტენზიებით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ევროპაში. მისთვის ხელსაყრელია ნაოსნობისა და ვაჭრობის თავისუფლება. და ამიტომ ის ინგლისისა და ესპანეთის პრეტენზიებს ზღვებზე და ოკეანეებზე ბატონობის შესახებ უსამართლობად მიიჩნევს. ჰოლანდიის ფლოტს ამ ხანებში შეეძლო დიდი ოდენობით გადაეზიდა ტვირთი და სარგებელიც ენახა საკაჭრო-სატრანსპორტო მომსახურებიდან.

ბუნებითი სამართლის მიმართულება საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში კელავ აღორძინდა XX საუკუნის შუა წლებში (იხ. ალფრედ ფერდროსის „საერთა-

შორისო სამართალი"). ეს მიმართულება ვარაუდობდა, რომ პოზიტიური საერთაშორისო სამართლის გვერდით არსებობს ბუნებითი სამართალიც, რომელიც არის საფუძველი საერთაშორისო პოზიტიური სამართლისა. ეყრდნობოდა რა არისტოტელეს და თომა აკვინელს, ფერდროსი ფიქრობდა, რომ სამართლებრივი იდეა თავის შემდგომ განვითარებაში ზნეობრივ ერთობამდე ამაღლდება.

სპინოზას პოლიტიკური შეხედულებანი

ბარუხ (ბენედიქტე) სპინოზა (1632-1677 წ.წ.) მეჩვიდმეტე საუკუნის დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნეა. დაიბადა 1632 წელს ჰოლანდიაში, ვაჭრის ოჯახში. მისი წინაპრები გადმოიხვეწნენ პორტუგალიიდან ნიდერლანდში. ეროვნებით ებრაელი იყო და ებრაული სასულიერო განათლებაც ჰქონდა მიღებული. გვარი უკავშირდება ესპანეთის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდებას.

დაეუფლა ლინზების დამუშავებას და ამ ხელობით ირჩენდა თავს.

1648 წელს თექვსმეტი წლის ბარუხ სპინოზა მოწმე იყო XVII საუკუნის სანიმუშო კაპიტალისტური ქვეყნის, ნიდერლანდის ბურჟუაზიულ რესპუბლიკად გამოცხადებისა.

მისი მისწრაფება იყო მედიცინის, ზუსტი მეცნიერებების და ფილოსოფიის შესწავლა. მაღალი ნიჭის ახალგაზრდა ამსტერდამის სინაგოგაში გაბატონებულ წესჩვეულებებს არც იცავდა და ვერც ეგუებოდა. შეუძლებელი გახდა მისი ფულით მოსყიდვაც. მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. იყო მისი მოკვლის საშიშროებაც, მაგრამ სპინოზა ძლიერი პიროვნებაც იყო დიდ მოაზროვნესთან ერთად. რაბინებმა სპინინოზა დაწყევლეს და ებრაელთა თემისაგან მოკვეთეს. ეს მოხდა 1656 წლის 27 იულისს.

განაჩენი წაიკითხეს ებრაელთა თემის საკრებულოს წინაშე. თემის წევრებს აეკრძალათ სპინოზასთან საუბარი, მასთან წერილობითი კავშირი, მისთვის რაიმე სამსახურის გაწევა. აიკრძალა მასთან ერთად ერთ სახლში ცხოვრება, არ შეიძლებოდა მის ახლოს დგომაც კი ოთხ წყრთაზე უფრო ახლოს, და რაც მთავარია, აკრძალული იყო სპინოზას დაწერილი ან შედგენილი ნაშრომების კითხვა.

ასეთ ვითარებაში ის გადასახლდება ლეიდენის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში და თავს ირჩენს თავისი ხელობით. სწავლობს ფილოსოფიას, მათემატიკას და ა. შ. ის იცნობს კეპლერის ნაშრომებს, კავშირს ამყარებს

რობერტ ბოილთან, ჰიუგენსთან, ლეიბნიცთან, მრავალ სხვა მეცნიერთან. მძიმე პირობებში და საკმაოდ მოკლე ხანში (სულ 45 წელი იცხოვრა) მან შეძლო თავისი საპატიო ადგილი დაეკავებინა ფილოსოფიის ისტორიაში.

საქმე იქამდე მიდის, რომ სპინოზას რაციონალისტურ პანთეიზმს ფილოსოფოსები სხვადასხვანაირად იგებენ. ზოგი მას ათეისტად და მატერიალისტად თვლის, ზოგიც კი იდეალისტური პანთეიზმის დიდ წარმომადგენლად და თეისტად.[63]

სპინოზას პოლიტიკური შეხედულებების შესასწავლად ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სამი ნაშრომი: „ეთიკა", „ღვთისმეტყველურ პოლიტიკური ტრაქტატები" და „პოლიტიკური ტრაქტატი".

სპინოზას აზრით, ადამიანი ბუნების ნაწილია და ადამიანთა ურთიერთობებიც ბუნებრივ კანონზომიერებათა ჩარჩოებში თავსდებიან.

'უმაღლესი კანონი, რომელიც ბუნებას ახასიათებს, ესაა თავდაცვის ინსტიქტი — თავდაცვის კანონი... ადამიანი ბუნების ნაწილია, მასზეც ვრცელდება ეს კანონი.

სპინოზა ნებას აიგივებს გონებასთან და პრიმიტიულად გაგებულ ნების თავისუფლებას უარყოფს. ნება და გონება თუ გავთიშეთ, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ადამიანს ერთ ჯიბეში გონება აქვს, ხოლო მეორეში — ნება. ის ერთმანეთთან აახლოებს თავის'ეფლებას და აუცილებლობას და უახლოვდება უფრო გვიან, ჰეგელის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თავის'ეფლება შეცნობილი აუცილებლობაა.

მას ადამიანურ მისწრაფება-ვნებებს შორის უმთავრესად, დომინანტად მიაჩნია თვითშეცნებისკენ ლტოლვა, მისკენ სწრაფვა და ნაკლებ ყურადღებას აქცევს რე-

---

[63] მ. გოგიბერიძე, „სპინოზა", ტფილისი, 1927.

ს. დანელია, „მიზეზობრიობის პრობლემა სპინოზას ფილოსოფიაში", იხ. „ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში", თბილისი, 1978, გვ. 285-320.

კ. ბაქრაძე, „ახალი ფილოსოფიის ისტორია", თბილისი 1969.

М.С. Беленький, „Спиноза", М. 1964. К. Фишер, „История новой филисофии", т. 2. СПБ. 1906.

ალურ ინტერესებს. აქ შეიძლება გავიხსენოთ ფილოსოფიური თქმა: გეომეტრიული აქსიომები რომ ადამიანთა ინტერესებს ეხებოდნენ, ისინი უარყოფილი იქნებოდაო. თვითშემეცნებისკენ სწრაფვა ადამიანურ მისწრაფება-ვნებათა შორის მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მთავარი.

სპინოზასთვის ადამიანთა „ბუნებრივი მდგომარეობა" იდეალი არ არის. ამ დროს ადამიანს იმდენივე უფლება აქვს, რამდენიც ძალა. ვნებები, სურვილები, აფექტები ადამიანებს ერთმანეთის მტრებად ხდის. თავდაცვის ინსტიქტი და შრომის დანაწილების გონივრულობა ადამიანებს აიძულებს ერთმანეთს დაეხმარონ. საზოგადოება წარმოიშობა ურთიერთთანხმობისა და ხელშეკრულების მეშვეობით.

თითოეული ადამიანის ძალა და უფლება თავს იყრის საზოგადოებაში, სახელმწიფოში. ცხადია, სახელმწიფო გაცილებით ძლიერია პიროვნებაზე და იგულისხმება, რომ მას შეეძლება დათრგუნოს დამნაშავეები.

სახელმწიფოს აქვს უნარი ადამიანის უარყოფითი ვნებები და მისწრაფებები მოთოკოს და ისინი აიძულოს იცხოვროს „გონების კანონები"—თ. ინდივიდები ერთიანდებიან რა სახელმწიფოში, მას უთმობენ, გადასცემენ თავიანთ ბუნებრივ უფლებებს და თანხმდებიან, რომ დაემორჩილებიან სახელმწიფოს.

სახელმწიფო თავის მხრივ იცავს ადამიანთა უფლებებს.

სახელმწიფო ძლიერია იმით, რომ ის იცავს მოქალაქეს, მის სიცოცხლეს, მის ინტერესებს.

სახელმწიფო უნდა იცავდეს თავისი ქვეშევრდომების საკუთრებას, თავისუფლებას, ღირსებას ყოველგვარი ხელყოფისაგან.

საერთოდ აღებული, დემოკრატიული წყობილება უმჯობესია აბსოლუტურ მონარქიაზე.

ის სახელმწიფო წყობილებაა უმჯობესი, სადაც ადამიენები ისარგებლებენ მეტი თავისუფლებით და მათ შორის სინდისის თავისუფლებით. სახელმწიფოს ძალაუ-
ება არ უნდა გავრცელდეს ადამიანის ყველა უფლე-

ბაზე. სახელმწიფო ვერ აიძულებს ადამიანს. იაზროვნოს ისე, როგორც ეს სახელმწიფოს სურს. ამიტომაც აქ სახელმწიფოს ჩარევა საჭირო არ არის.

თვითონ სპინოზა ჰოლანდიაში არა მონარქისტებს, არამედ რესპუბლიკელებს უჭერდა მხარს.

მონარქია არ უნდა იყოს შეუზღუდველი, და თუ ხალხი მონარქიის მომხრე იქნება, მონარქის ძალაუფლება უნდა შეიზღუდოს სამეფო საბჭოსა და სასამართლო კოლეგიის ძალაუფლებით.

სპინოზას დაუმთავრებელი დარჩა „პოლიტიკური ტრაქტატის" ის ნაწილი, რომელიც დემოკრატიას ეხებოდა. ამიტომ ბევრი რამ მის მოძღვრებაში საბოლოო სახით არ არის მოცემული.

თვით მოწინავე ქვეყნის, ჰოლანდიის სახელმწიფო წყობილება სპინოზასათვის იდეალური არ არის. როგორც სპინოზას შემოქმედების მკვლევარები აღნიშნავენ, ის კარგად იცნობდა ძველი სპარტის, რომის, ვენეციის არისტოკრატიულ წყობილებას, მათს ღირსება-ნაკლოვანებებს, მაგრამ უპირატესობას აძლევდა დემოკრატიულ, რესპუბლიკურ წესწყობილებას.

დემოკრატიული წყობილების ვითარებაში საბოლოოდ ადამიანი თავის თავს ემორჩილება, მის მიერ არჩეულ სახელმწიფო თანამდებობის პირებთან აქვს საქმე. ბევრ რამეში სპინოზა რუსოს წინამორბედია.

ისევე როგორც მაკიაველი, სპინოზაც ყურადღებას აქცევს ადამიანთა ვნებებს, აფექტებს, მათ ფსიქოლოგიას, მათ სულიერ მდგომარეობას. შეიძლება ითქვას, რომ მისთვის ადამიანი არის სოციალურ-ფსიქოლოგიური არსება. თუმცა ასეთმა მოსაზრებამ შეიძლება დავა გამოიწვიოს. სპინოზას აზრით, ადამიანს იმდენი უფლება აქვს, რამდენიც ძალა.

მან მთლიანად გაათავისუფლა პოლიტიკური მოძღვრება რელიგიისა და მორალის გავლენისაგან, რაც, ალბათ მთლად მართებული არ არის. სახელმწიფო და საზოგადოება არა თუ XVII საუკუნეში, დღესაც განიც-

დის ამ. ზეგავლენას. მას სურდა პოლიტიკა .საკუთარ ფეხზე დაეყენებინა.

XVII საუკუნის დასავლეთ ევროპაში აბსოლუტურ მონარქიას თავისი დადებითი ფუნქციები ამოწურული არ ჰქონდა, მაგრამ სპინოზას მიაჩნდა, რომ ამ ვითარებაშიც მეფის ხელისუფლება უნდა შეზღუდულიყო იმ ფასეულობათა წინაშე, რასაც ჰქვია ადამიანის აზრის თავისუფლება და სინდისის თავისუფლება.

სპინოზას აზრით, „ზნეობის ინტერესები მოითხოვენ მხოლოდ ზნეობრივი თავისუფლების შესაძლებლობას". ამ უკანასკნელს კი სპინოზა არ უარყოფს, ვინაიდან ზნეობრივ თავისუფლებაში მას ესმის ის თავისუფლება, რომელსაც აუცილებლობის ცოდნა იძლევა.

„მოკლებულია ზნეობრივ თავისუფლებას და ზნეობრივ მონობაში იმყოფება, ვინც უმეცარია, გაუნათლებელი, ვინც არ იცის აუცილებლობა და მოქმედებს ბრმად, შეუგნებლად, უგუნურ ვნებათა გავლენით."[64]

სპინოზა ამბობს: „ფილოსოფიის საქმეა არა სიცილი, არა ტირილი, არა წყეველა, არამედ გაგება".

განათლებულ, მცოდნე ადამიანს, სპინოზას აზრით, ესმის თავისი ყოფის აუცილებლობა, მხოლოდ მან იცის, რომ ყველაფერი ღმერთისგან მოდის, შეუძლია ყველაფერს უცქიროს მარადიულობის ნიშანქვეშ და განიმსჭვალოს იმ გრძნობით, რომელსაც ეწოდება ღვთის ინტელექტუალური სიყვარული.

ჩვენი მხრით, შეიძლება მოვახდინოთ სპინოზას სიტყვების პერიფრაზირება:

პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საქმეა არა წარსულში შექმნილ მოძღვრებათა დაცინვა, არა მათი ხელაღებით უარყოფა, არამედ მათი გაგება.

---

[64] ს. დანელია, „მიზეზობრიობის პრობლემა სპინოზას ფილოსოფიაში", იხ. მისი „ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში". თბ. 1978. გვ305–306.

პატივცემულო მკითხველო!

იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა" დაარსების დღიდან სისტემატურად გამოსცემს ახალ წიგნებს სამართლის სხვადასხვა დარგში. ჩვენი ძალისხმევით არაერთმა საინტერესო გამოკვლევამ იხილა მზის სინათლე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ბონა კაუზა" იქცა იურისტის ბიბლიოთეკის გამდიდრების საუკეთესო საშუალებად.

ქართული სამართლებრივი აზროვნების შემდგომი განვითარებისა და ნიჭიერ მეცნიერთა წახალისების მიზნით „ბონა კაუზა", სამართლის მკვლევარებს გთავაზობთ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას.

- **„ბონა კაუზა" უზრუნველყოფს იურისპრუდენციაში თქვენი სამეცნიერო ნაშრომების გამოცემას.**

- **წიგნები დაიბეჭდება ფირმის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორებს გადაეცემათ ჰონორარი.**

მზად ვართ, განვიხილოთ აგრეთვე თქვენი წინადადებები თანამშრომლობის სხვა ფორმატთან დაკავშირებით.

- **„ბონა კაუზა" გთავაზობთ წიგნების ოპერატიულ გამოცემას მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შეღავათიანი, ხელმისაწვდომი პირობებით.**

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. N12.

☎ 990 071 მობილური 8(99) 78 61 77

ელ. ფოსტა: bonacausa@yahoo.com

ქაღალდი ოფსეტური. ბეჭდვა რიზოგრაფზე
ქაღალდის ზომა 70X84 1\32
ფასი სახელშეკრულებო